ა. ფანცხავა

კ. მარქსის „ზედმეტი ღირებულების თეორიები“

(„კაპიტალის“ IV ტომი)

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი 1977

3 K 14
3 კ 14+33
ფ 253

მონოგრაფიაში გადმოცემულია კ. მარქსის „შედეგები ღირებულების თეორიების“ („კაპიტალის“ IV ტომის) სამივე ნაწილის მოკლე შინაარსი. ნაჩვენებია ამ გენიალური ნაშრომის მნიშვნელობა თანამედროვე რეაქციულ-ბურჟუაზიული თეორიების წინააღმდეგ ბრძოლაში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შუქზე.

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1977

შ ე ს ა ვ ა ლ ი

კ. მარქსის გენიალური ნაშრომი „ზედმეტი ღირებულების თეორიები“ დაწერილია 1862 წლის იანვრიდან 1863 წლის ივლისამდე. იგი წარმოადგენს შემადგენელ ნაწილს 1861—1863 წლების ვრცელი ხელნაწერისა, რომლის სათაური იყო „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ [1]. იგი დაწერილი იყო როგორც უშუალო გაგრძელება 1859 წელს პირველ ნაკვეთად გამოსული წიგნისა „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“. 1861—1863 წლების ხელნაწერი შედგება 23 რვეულისაგან (საერთო მოცულობით 200 ნაბეჭდი თაბახი). ამ ხელნაწერების ყველაზე დიდ (დაახლოებით 110 ნაბეჭდი თაბახი) და ყველაზე უფრო დამუშავებულ ნაწილს წარმოადგენს „ზედმეტი ღირებულების თეორიები“; ეს პირველი და ერთადერთი მონახაზია „კაპიტალის“ მეოთხე, დასკვნითი ტომისა. ამ მეოთხე ტომს, განსხვავებით სამი თეორიული ტომისაგან, კ. მარქსი უწოდებდა თავისი ნაშრომის ისტორიულ, ისტორიულ-კრიტიკულ ან ისტორიულ-ლიტერატურულ ნაწილს[2].

„ზედმეტი ღირებულების თეორიებზე“ მუშაობის პროცესში კ. მარქსი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა მთელი ამ ისტორიულ-კრიტიკული მასალის გამოყოფა „კაპიტალის“ ცალკე, მეოთხე წიგნის სახით.

---

[1] რუსულ ენაზე, გარდა უკვე გამოქვეყნებული „ზედმეტი ღირებულების თეორიებისა“, იგი გამოცემულია პირველად იმელ-ის მიერ კ. მარქსისა და ფ. ენგელსის თხზულებათა მეორე გამოცემის 47-ე ტომში (1973 წ.), დამთავრდება 48-ე ტომში.

[2] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი I, თბ., 1966, გვ. V.

1861 — 1863 წლების ვრცელ ხელნაწერში ეს ისტორიული ანუ ისტორიულ-კრიტიკული ნაწილი მოიცავს რვეულებს VI-დან XV-მდე ჩათვლით, პლუს რვეული XVIII და რიგი ცალკეული ისტორიული ნარკვევები და შენიშვნები XX—XXIII რვეულებში. „ზედმეტი ღირებულების თეორიების“ ძირითადი ტექსტი მოცემულია VI—XV და XVIII რვეულებში (იქვე, გვ. VII).

დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, 1861—1863 წლების ხელნაწერის დამთავრებისა, კ. მარქსი წერდა ფ. ენგელსს (1863 წ. 15/VIII) ამ თავისი ხელნაწერის შესახებ, რომ, როცა ის ხედავს ამ დიდ ხელნაწერს, მას აგონდება, თუ როგორ მოუხდა ყველაფრის უკუგდება „და თვით ისტორიული ნაწილის დამუშავებაც ნაწილობრივ აქამდე სრულიად უცნობი მასალის საფუძველზე“[3].

„ისტორიული ნაწილის“ სახით კ. მარქსი გულისხმობდა „ზედმეტი ღირებულების თეორიებს“, რომელიც უკვე მაშინ გათვალისწინებული იყო მის მიერ როგორც მისი შრომის განსაკუთრებული, ისტორიული ნაწილი.

პირველი პირდაპირი მითითება „კაპიტალის“ მეოთხე, ისტორიულ-ლიტერატურულ წიგნზე, გვხვდება კ. მარქსის წერილში ფ. ენგელსისადმი (1865 წ. 31/VII), სადაც კ. მარქსი აცნობს ფ. ენგელსს მისი მუშაობის მსვლელობას „კაპიტალზე“: „დარჩა კიდევ დასაწერად სამი თავი, რომ დამთავრდეს თეორიული ნაწილი (პირველი 3 წიგნი). შემდეგ საჭიროა კიდევ დაიწეროს მე-4 წიგნი, ისტორიულ-ლიტერატურული; ეს ჩემთვის შედარებით ყველაზე ადვილი ნაწილია, რადგან მთელი საკითხები გადაჭრილია პირველ სამ წიგნში, ხოლო უკანასკნელი უფრო განმეორებაა ისტორიულ ფორმაში“[4].

კ. მარქსმა ვერ მოასწრო დაემუშავებინა დასაბეჭდად „ზედმეტი ღირებულების თეორიები“. მისი გარდაცვალების შემდეგ ეს ხელნაწერი, როგორც მთელი მისი ხელნაწერი მემკვიდრეობა გადავიდა მისი ერთგული მეგობრის და დიდი თანამებრძოლის ფ. ენგელსის ხელში, რომელსაც უდიდესი ღვაწლი მიუძღვის კ. მარქსის დარჩენილი შრომების შემდგომი დამუშავებისა და გამოცემის საქმეში, პირველ რიგში „კაპიტალის“ დაუმთავრებელი წიგნებისა.

პირველად „ზედმეტი ღირებულების თეორიების“ ხელნაწერის

---

[3] К. Маркс и Ф. Энгельс. Письма о «Капитале», М., 1968, стр. 187.

[4] К. Маркс и Ф. Энгельс. Письма о «Капитале», М., 1968, стр. 196.

აქედან ჩანს, რომ მაშინ, იმ დროისათვის (1865 წ.) კ. მარქსმა ხელახლა გადაამუშავა და გადაწერა თავისი ნაშრომის სამი თეორიული წიგნი, — მეოთხე წიგნი — „ისტორიულ-ლიტერატურული“ დარჩა თავდაპირველი სახით, (როგორც იყო დაწერილი 1862—1863 წლებში) და ამიტომ საჭიროებდა გადამუშავებას „კაპიტალის“ პირველი სამი წიგნის ახალ რედაქციასთან შესაბამისად. (კ. მარქსი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი I, თბ., 1966, გვ. X).

შესახებ მოხსენებულია ფ. ენგელსის წერილებში ლაურა ლაფარგისადმი (1883 წ. 22/V) და კაუცკისადმი (1884 წ. 16/II და 24/III)[5], ამის შემდეგ კი ამას ვხვდებით ფ. ენგელსის მთელ რიგ წერილებში და წინასიტყვაობაში (კ. მარქსის „კაპიტალის" მეორე ტომისადმი).

უკანასკნელად ფ. ენგელსი ეხება „ზედმეტი ღირებულების თეორიების" ხელნაწერს წერილში (1895 წ. 10/IV) სტეფანე ბაუერისადმი.

როგორც ამ წერილიდან ჩანს, ფ. ენგელსი ვარაუდობდა 1895 წელს კ. მარქსის „ზედმეტი ღირებულების თეორიების" გამოცემას „კაპიტალის" IV წიგნის სახით[6]. მაგრამ ეს მას არ დასცალდა. იგი გარდაიცვალა ამ წერილის დაწერიდან დაახლოებით ოთხი თვის შემდეგ.

ფრიდრიხ ენგელსი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა კ. მარქსის ამ ხელნაწერს და განიხილავდა მას როგორც „კაპიტალის" IV წიგნს ან IV ტომს.

„ზედმეტი ღირებულების თეორიების" ხელნაწერი პირველად გამოცემული იყო კ. კაუცკის მიერ 1905—1910 წლებში სამ ტომად, რომელთაგან მეორე ტომი გაყოფილი იყო ორ ნაწილად.

კ. კაუცკის ეს გამოცემა თავისი ხარისხით მრავალმხრივ არადამაკმაყოფილებელი, და რიგ შემთხვევაში პირდაპირ მანკიერი იყო.

კაუცკიმ უარი თქვა გამოეცა კ. მარქსის ხელნაწერი „კაპიტალის" IV ტომის სახით, როგორც ეს გადაწყვეტილი ჰქონდა ფ. ენგელსს, გამომდინარე თვით კ. მარქსის პირდაპირი გამონათქვამიდან. კაუცკი დიდად ცდებოდა როცა აცხადებდა, რომ „ზედმეტი ღირებულების თეორიები" წარმოადგენს არა „კაპიტალის" IV ტომს, არამედ „კაპიტალის" პარალელურ ნაწარმოებს, ისიც ისეთს, რომელიც ვითომდა არ მოიცავს შინაგან გეგმას და წესს. ამით კაუცკი ამახინჯებდა კ. მარქსის ნაშრომის სტრუქტურას, იმ მნიშვნელობას, რომელიც აქვს ამ ნაშრომში ისტორიულ-კრიტიკულ გამოკვლევათა შეხამებასა და გადახლართვას თვით ეკონომიური პრობლემების თეორიულ ასპექტში გამოკვლევებთან. ამასთან კაუცკის მიერ დაშვებული იყო მთელი რიგი უხეში შეცდომები და დამახინ-

---

[5] К. Маркс и Ф. Энгельс. Письма о «Капитале», М., 1968, стр. 409, 420, 423.

[6] К. Маркс и Ф. Энгельс, Письма о «Капитале», М., 1968, стр. 584.

ჯებანი თვით ხელნაწერის ტექსტში. მაგალითად მან ხელნაწერიდან ამოიღო ის ნაწყვეტი ნარკვევიდან რამსეის შესახებ, სადაც კ. მარქსი ლაპარაკობს მუშათა კლასის მდგომარეობის აუცილებელ გაუარესებაზე კაპიტალის დაგროვების კვალობაზე და სხვ.

ამგვარმა სერიოზულმა შეცდომებმა და ნაკლმა, გამოიწვია „ზედმეტი ღირებულების თეორიების" პრინციპულად ახალი გამოცემის აუცილებლობა, რაც შესრულებული იყო სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის მიერ 1954—1961 წლებში[7].

ამის შემდეგ მხოლოდ ზოგ დეტალებში ტექსტში ცვლილებებით და დაზუსტებით „ზედმეტი ღირებულების თეორიები" ამავე იმელ-ის მიერ გამოცემულ იქნა კ. მარქსის და ფ. ენგელსის თხზულებათა მეორე გამოცემის 26 ტომის სამი ნაწილის (ნაწილები I, II, III) სახით[8].

მოკლედ დავახასიათოთ „ზედმეტი ღირებულების თეორიების" („კაპიტალის" IV ტომის) სამი ნაწილის შინაარსი.

წიგნში მოტანილი ის სქოლიოები, რომლებშიც აღნიშნულია (რედ.), იმეორებს „კაპიტალის" IV ტომის ქართული გამოცემის შესაბამის სქოლიოებს.

---

[7] კ. მარქსი „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი I, თბ., 1966, გვ. XVI—XVIII, XIX, XXI, XXIII.

[8] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., изд. 2, т. 26, ч. I, М., 1962, стр. XXVI.

§ 1. „ზედმეტი ღირებულების თეორიების“

(„კაპიტალის“ IV ტომის)

პირველი ნაწილის მოკლე შინაარსი

პირველ ნაწილში ჯემს სტიუარტის შეხედულებათა მოკლედ განხილვის შემდეგ მოცემულია ფიზიოკრატებისა და ადამ სმიტის თეორიების ანალიზი და კრიტიკა.

ეს ნაწილი შედგება ძირითადი ტექსტის შვიდი თავისაგან და ცამეტი დამატებისაგან.

პირველ თავში დახასიათებულია ჯ ე მ ს ს ტ ი უ ა რ ტ ი ს შეხედულებანი, რომელსაც მარქსი უწოდებს მონეტარული და მერკანტილისტური სისტემის „რაციონალურ გამომხატველს“[1].

ფიზიოკრატებამდე, მერკანტილისტებს ზედმეტი ღირებულება, ე. ი. მოგება, ზედმეტი ღირებულება მოგების ფორმით გამოყავდათ მარტოოდენ გაცვლისაგან, ხსნიდნენ საქონლის გაყიდვით მის ღირებულებაზე მეტად. ჯემს სტიუარტი ვერ გასცილდა — აღნიშნავს კ. მარქსი — ამ შეზღუდული შეხედულების ფარგლებს; უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ სტიუარტმა იგი „აღადგინა მეცნიერულად“.

საქმე ისაა, — წერს კ. მარქსი, — რომ სტიუარტი არ იზიარებდა იმ ილუზიას, რომ ზედმეტი ღირებულება, რომელსაც იღებს ცალკეული კაპიტალისტი საქონლის ღირებულებაზე მეტად გაყიდვით, თითქოს ახალი სიმდიდრის შექმნა იყოს. ამიტომ სტიუარტი ერთმანეთისაგან განასხვავებს დ ა დ ე ბ ი თ ს ა და შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ს მოგებას.

დადებითი მოგება, მისი აზრით წამოიქმნება „შრომისა, გულმოდგინებისა და დახელოვნების გადიდებით“. როგორც ჩანს, სტი-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი I, თბ., 1966, გვ. 10.

უარტი ამაში გულისხმობს სახმარ ღიოებულებათა მასის გადიდებას, განპირობებულს შრომის პროდუქტიული ძალების განვითარებით. დადებით მოგებას იგი განიხილავს სრულიად დამოუკიდებლად კაპიტალისტების მოგებისაგან, რომელიც ყოველთვის გულისხმობს საცვლელი ღირებულების გადიდებას. ამრიგად დადებითი მოგების წყაროდ სტიუარტი თვლიდა შრომას, წარმოების პროცესს და არა გაცვლას. შეფარდებითი მოგების წყაროს კი სტიუარტი ეძებს გაცვლაში, რჩება რა ამ მხრივ მერკანტილისტების პოზიციებზე. შეფარდებითი მოგება ნიშნავს მისი სიტყვებით, ვინმესთვის დანაკარგს; იგი არ გულისხმობს არავითარ მიმატებას ერთობლივი ფონდებისადმი.

მაშასადამე, — წერს კ. მარქსი „ საქონლის ფასი, მისი აზრით შეიცავს ორ დამოუკიდებელ ელემენტს: 1) მის ნამდვილ ღირებულებას, 2) „განსხვისებით მიღებულ მოგებას“, მოგებას, რომელიც რეალიზდება მისი განსხვისებისას, მისი გაყიდვისას.

„განსხვისებით მიღებული მოგება“ იქიდან წარმოიშვება, რომ საქონლის ფასი მის ნამდვილ ღირებულებაზე მეტია, რომ საქონელი იყიდება მის ღირებულებაზე უფრო მეტად. ერთის მოგება მოასწავებს დანაკარგს მეორესთვის. აქ არ იქმნება არავითარი „დამატება ერთობლივი ფონდებისადმი“.

მოგება (უნდა ეთქვა ზედმეტი ღირებულება) შეფარდებითია და დაიყვანება „მონაწილე მხარეებს შორის სიმდიდრის სასწორის რყევისადმი“.

სტიუარტის ეს თეორია, — შენიშნავს კ. მარქსი — თუმცა იგი სრულიად არ ეხება თვით ზედმეტი ღირებულების ბუნებასა და წარმოქმნას, მეტად მნიშვნელოვანია ზედმეტი ღირებულების სხვადასხვა კლასებს და სხვადასხვა რუბრიკებს (მოგება, სარგებელი, რენტა) შორის განაწილების განხილვისას.

სტიუარტის აზრით ცალკეული კაპიტალისტის მთელი მოგება — აღნიშნავს კ. მარქსი — შემოიფარგლება ამ „შეფარდებითი მოგებით“, „განსხვისებით მიღებული მოგებით“; ეს მოგება ყოველთვის „შეფარდებითი მოგებაა“, „განსხვისებით მიღებული მოგებაა“. ყოველთვის იქიდან გამომდინარეობს, რომ საქონლის ფასი მის ნამდვილ ღირებულებას აღემატება, რომ საქონელი მის ღირებულებაზე მეტად იყიდება.

ამრიგად, წერს კ. მარქსი — სტიუარტი ერთი მხრივ უარყოფს მონეტარული და მერკანტილისტური სისტემის იმ შეხედულებას, რომლის მიხედვით საქონლის გაყიდვა მის ღირებულებაზე მეტად, და აქედან გამომდინარე, მოგება ქმნის ზედმეტ ღირებულებას, სიმ-

დიდრის დადებით გადიდებას; მეორე მხრივ იგი რჩება მათი შეხედულების მიმდევრად, თითქოს ცალკეული კაპიტალის მოგება არის გადანამეტი ფასისა ღირებულებაზე, „განსხვისებით მიღებული მოგება". მაგრამ ეს მოგება მისი აზრით, მხოლოდ შეფარდებითია, რადგან ერთის მოგებას შეესაბამება მეორის დანაკარგი, რის გამოც მოგების მოძრაობა წარმოადგენს „მონაწილე მხარეებს შორის სიმდიდრის სასწორის რყევას".

სწორედ ამიტომ კ. მარქსი სტიუარტს მონეტარული და მერკანტილისტური სისტემის რაციონალურ გამომხატველს უწოდებდა.

მისი დამსახურება კაპიტალის გაგებაში ემყარება იმას, რომ იგი გვიჩვენებს თუ როგორ ხდება წარმოების პირობების, როგორც განსაზღვრული კლასის საკუთრების, სამუშაო ძალისაგან გათიშვის პროცესი. კაპიტალის წარმოშობის ამ პროცესს სტიუარტი დიდ ყურადღებას უთმობს, თუმცა მას კიდევ არ ესმის ეს პროცესი პირდაპირ, როგორც კაპიტალის წარმოშობის პროცესი.

ა. სმიტთან ეს გათიშვის პროცესი იგულისხმება როგორც უკვე მზა სახით მოცემული[2].

ის თავი, რომელშიც ლაპარაკია სტიუარტის შესახებ, წარმოადგენს ფიზიოკრატების ეკონომიური მოძღვრების ანალიზის ერთგვარ შესავალს. ამით კ. მარქსი უფრო მკვეთრად გვიჩვენებს ფიზიოკრატების დამსახურებას ზედმეტი ღირებულების პრობლემის გამოკვლევაში.

მეორე თავში კ. მარქსი განიხილავს ფ ი ზ ი ო კ რ ა ტ ე ბ ი ს ეკონომიურ მოძღვრებას. ის აღნიშნავს იმ დადებითს, რაც ფიზიოკრატებმა მოგვცეს ზედმეტი ღირებულების თეორიის დამუშავებაში. მათ მთავარ დამსახურებას კ. მარქსი ხედავს იმაში, რომ მათ ზედმეტი ღირებულების წარმოშობის საკითხის განხილვა მიმოქცევის სფეროდან წარმოების სფეროში გადმოიტანეს და ამით საფუძველი ჩაუყარეს კაპიტალისტური წარმოების ანალიზს.

ფიზიოკრატების არსებითი დამსახურება მდგომარეობს იმაში, — წერს კ. მარქსი, რომ მათ ბურჟუაზიული ჰორიზონტის ფარგლებში მოგვცეს კაპიტალის ანალიზი. ეს დამსახურება ხდის მათ თანამედროვე პოლიტიკური ეკონომიის „ნამდვილ მამებად"[3].

---

[2] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი I, თბ., 1966, გვ. 7—10.

სტიუარტის წიგნი გამოვიდა ლონდონში 1767 წელს, ტიურგოსი დაიწერა 1776 წელს, ადამ სმიტის წიგნი — 1775 წელს (იქვე, გვ. 10).

[3] კ. მ ა რ ქ ს ი ამის შესახებ შემდეგნაირად წერდა: "Die Analyse des K a p i t a l s, innerhalb des bürgerlichen Horizonts, gehört wesentlich den

უპირველეს ყოვლისა, — აღნიშნავს კ. მარქსი — მათ მოგვცეს იმ სხვადასხვა ნივთიერი შემადგენელი ნაწილების ანალიზი, რომლებშიც არსებობს და რომლებადაც იშლება კაპიტალი შრომის პროცესის დროს (ინსტრუმენტები, ნედლეული და ა. შ.). ამასთან ფიზიოკრატები განიხილავენ წარმოების კაპიტალისტურ ფორმას წარმოების რაღაც მუდმივ, ბუნებრივ ფორმად. მაგრამ ფიზიოკრატების დიდი დამსახურება ის იყო, რომ ისინი განიხილავდნენ ამ ფორმებს, როგორც საზოგადოების ფიზიოლოგიურ ფორმებს, როგორც ფორმებს გამომდინარეს თვით წარმოების ბუნებრივი აუცილებლობიდან, დამოუკიდებელს ნებისყოფაზე, პოლიტიკაზე და ა. შ. „ეს მატერიალური კანონებია; შეცდომა აქ მხოლოდ ისაა, რომ საზოგადოების განსაზღვრული ისტორიული საფეხურის მატერიალური კანონი განიხილება, როგორც აბსტრაქტული კანონი, რომელიც თანაბრად ბატონობს საზოგადოების ყველა ფორმაზე"[4].

კაპიტალის ამ ნივთიერი ელემენტების ანალიზის გარდა, ფიზიოკრატები იკვლევენ იმ ფორმებს, რომლებსაც კაპიტალი ღებულობს მიმოქცევაში (ძირითადი კაპიტალი, საბრუნავი კაპიტალი, თუმცა ფიზიოკრატები ჯერ კიდევ სხვა ტერმინებს ხმარობენ), და საერთოდ გარკვეულ კავშირს ამყარებენ მიმოქცევის პროცესს და კაპიტალის კვლავწარმოების პროცესს შორის[5].

ფიზიოკრატებმა — აღნიშნავს კ. მარქსი, სავსებით სწორად წამოაყენეს ის ფუნდამენტური დებულება, რომ პროდუქტიულია მხოლოდ ის შრომა, რომელიც ზედმეტ ღირებულებას ქმნის. თუმცა მათთან ჯერ კიდევ სწორად არ იყო მოცემული მისი არსი, რადგან მათ ვერ დაიყვანეს ღირებულება საერთოდ მის მარტივ სუბსტანციამდე, შრომის რაოდენობამდე, ანუ სამუშაო დრომდე.

Physiokraten. Dies Verdienst ist es, das sie zu den eigentlichen Vätern der modernen Ökonomie macht".

Karl Marx, Theorien über den Mehrwert (Vierter Band des „Kapitals"), erster Teil, erstes bis siebentes Kapitel und Beilagen. Karl Marx, Friedrich Engels, Werke, Band 26, erster Teil. Berlin, 1973, S. 12.

[4] კ. მარქსი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი I, თბ., 1966, გვ. 11, 12.

[5] ორივე ამ მთავარ პუნქტში — როგორც შენიშნავს კ. მარქსი, — ა. სმიტი გამოდიოდა ფიზიოკრატების შემკვიდრეობიდან და მისი დამსახურება შემოიფარგლება იმით, რომ მან ფიქსაცია გაუკეთა აბსტრაქტულ კატეგორიებს, მეტი სიმტკიცე მისცა იმ სახელწოდებებს, რომლებითაც მან ფიზიოკრატების მიერ გაანალიზებული სხვაობანი მონათლა. (კ. მარქსი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი I, თბ., 1966, გვ. 12.).

ფიზიოკრატებისათვის სამიწათმოქმედო შრომა — წერს კ. მარქსი — პროდუქტიული შრომაა, ხოლო მიწის რენტა კი ზედმეტი ღირებულების ერთადერთი მათთვის ცნობილი ფორმაა.

მრეწველობაში მათი აზრით, მუშაკი არ ადიდებს ნივთიერების რაოდენობას, იგი მხოლოდ ცვლის მის ფორმას. მასალას — ნივთიერების მასას — მას მიწათმოქმედება აწვდის.

ამიტომ მათთვის არ არსებობს — შენიშნავს კ. მარქსი — საკუთრივ კაპიტალის მოგება. მოგება მათ წარმოდგენილი აქვთ როგორც თავისებური უფრო მაღალი ხელფასი, რომელსაც მიწის მესაკუთრენი იხდიან და კაპიტალისტები შემოსავლის სახით მოიხმარენ. მაშასადამე, იგი შედის წარმოების ხარჯებში ისევე როგორც ჩვეულებრივი მუშების ხელფასის მინიმუმი. რადგან სამიწათმოქმედო შრომა ფიზიოკრატების აზრით ერთადერთი პროდუქტიული შრომაა, რომელიც ზედმეტ ღირებულებას ქმნის, ამიტომ მისი ფორმა— მიწის რენტა მათთვის წარმოადგენს ზედმეტი ღირებულების საყოველთაო ფორმას.

ეს მთლიანად უპირისპირდება — აღნიშნავს კ. მარქსი — იმ შეხედულებას, რომელსაც ადამ სმიტიდან მოყოლებული იზიარებდნენ შემდეგდროინდელი პოლიტიკო-ეკონომები. ესენი მართებულად განიხილავენ სამრეწველო მოგებას, როგორც ზედმეტი ღირებულების თავდაპირველ საყოველთაო ფორმას; ხოლო სარგებელი და მიწის რენტა მათი გაგებით იმ სამრეწველო მოგების განშტოებანია, რომელსაც მრეწველი კაპიტალისტები ანაწილებენ ზედმეტი ღირებულების თანამფლობელ სხვადასხვა კლასებს შორის.

გვაძლევს რა ფიზიოკრატების ამგვარი შეხედულების სხვადასხვა მოტივების დახასიათებას, კ. მარქსი შენიშნავს:

ვინაიდან ფიზიოკრატიის დამსახურება და განმასხვავებელი ნიშანია, რომ მას ღირებულება და ზედმეტი ღირებულება არა მიმოქცევიდან, არამედ წარმოებიდან გამოყავს, ამიტომ იგი მონეტარული და მერკანტილისტური სისტემის საწინააღმდეგოდ, აუცილებლად წარმოების იმ დარგით იწყებს, რომელიც საერთოდ შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც მიმოქცევისაგან, გაცვლისაგან გამოცალკევებულად, დამოუკიდებლად არსებული და რომელიც გულისხმობს არა გაცვლას ადამიანთა შორის, არამედ მხოლოდ გაცვლას ადამიანსა და ბუნებას შორის[6].

---

[6] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი I, თბ., 1966, გვ. 13, 14, 17, 18, 20.

ამასთან, კ. მარქსი აღნიშნავს რიგ წინააღმდეგობებს ფიზიოკრატიის სისტემაში.

ფაქტიურად იგი იყო პირველი სისტემა, — წერს კ. მარქსი — რომელიც კაპიტალისტურ წარმოებას ანალიზს უკეთებდა და მის პირობებს წარმოების მარადიული ბუნებრივი კანონების სახით გვიხატავდა. მაგრამ მეორე მხრივ, ეს სისტემა უფრო ფეოდალური სისტემის ბურჟუაზიულ განმეორებას წარმოადგენდა. ფეოდალიზმი ახსნილია აქ ბურჟუაზიული წარმოების თვალსაზრისით. მაშინ როდესაც ამის მეოხებით ფეოდალიზმი ბურჟუაზიულ ხასიათს იძენდა, ბურჟუაზიული საზოგადოება გარეგნულად ფეოდალურ ხასიათს ღებულობდა. მაშასადამე, ფიზიოკრატიული სისტემა, შენიშნავს კ. მარქსი — იმ ეპოქის ბურჟუაზიულ საზოგადოებას შეესაბამება, როცა ეს საზოგადოება ფეოდალიზმიდან იჩეკება. ამოსავალი პუნქტი ამიტომ იყო საფრანგეთში და არა ინგლისში, სადაც გაბატონებული იყო მრეწველობა, ვაჭრობა და ზღვაოსნობა.

ფიზიოკრატების მონათესავე იდეები ფრაგმენტული სახით მათ წინამორბედებსაც ჰქონდათ, როგორც მაგალითად თვით საფრანგეთში ბუაგილბერს, მაგრამ ეს იდეები მხოლოდ ფიზიოკრატებთან ყალიბდება, როგორც ახალი ეტაპი მეცნიერებაში[7].

ფიზიოკრატიის სისტემისათვის, — შენიშნავს კ. მარქსი — რომელიც პირველი ცდილობდა აეხსნა ზედმეტი ღირებულება სხვისი შრომის მითვისებით, ღირებულება არ არის საზოგადოებრივი შრომის ფორმა, ზედმეტი ღირებულება კი არ არის ზედმეტი შრომა. მისთვის ღირებულება წარმოადგენდა მხოლოდ სახმარ ღირებულებას, ხოლო ზედმეტი ღირებულება ბუნების ნაბოძებს[8]. ერთი მხრივ, — აღნიშნავს კ. მარქსი — მიწის რენტა მიწის საკუთრების ფეოდალური გარსიდან განთავისუფლებულია, გადაქცეულია უბრალო ზედმეტ ღირებულებად. მეორე მხრივ ეს ზედმეტი ღირებულება გამოყვანილია ბუნებიდან და არა საზოგადოებიდან.

თვით ღირებულება დაყვანილია სახმარ ღირებულებაზე, ნივთიერებაზე, მაგრამ ამავე დროს ამ ნივთიერებაში ფიზიოკრატებს აინტერესებდათ სახმარ ღირებულებათა მხოლოდ რაოდენობრივი მიმართება ერთიმეორისადმი, მათი საცვლელი ღირებულება, რომელიც საბოლოო ანგარიშით სამუშაო დროზე დაიყვანება.

---

[7] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი I, თბ., 1966, გვ. 21, 22.

[8] ტიურგო, რომელმაც ფიზიოკრატიულ სისტემას უფრო განვითარებული სახე მისცა, ალაგ-ალაგ „ბუნების წმინდა ნაბოძებს" ზედმეტი შრომის სახითაც კი წარმოგვიდგენს (იქვე, გვ. 27).

ყოველივე ეს — კაპიტალისტური წარმოების იმ პერიოდის წინააღმდეგობანია, როცა „ეს წარმოება, ბრძოლით გამოდის რა ფეოდალური საზოგადოების წიაღიდან, ჯერ მხოლოდ თვით ამ ფეოდალურ საზოგადოებას ბურჟუაზიულ ინტერპრეტაციას აძლევს, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მოუნახავს თავისი საკუთარი ფორმა“[9]. თვით ტიურგო — შენიშნავს კ. მარქსი, — ბურჟუაზიული რადიკალი მინისტრია, რომლის მოღვაწეობაც „საფრანგეთის რევოლუციის შესავალი იყო. მიუხედავად მთელი თავიანთი ყალბი ფეოდალური გარეგნობისა, ფიზიოკრატები ენციკლოპედისტებთან ხელიხელჩაკიდებულნი მუშაობენ“[10].

ფიზიოკრატების მოძღვრების კრიტიკულ განხილვასთან დაკავშირებით კ. მარქსი აღნიშნავს ფიზიოკრატული თეორიის ელემენტებს ადამ სმიტთან, რომელიც შეცდომით თვლიდა მიწის რენტას ბუნების ნაბოძებად. აქ ადამ სმიტი ასახავს ჯერ კიდევ „მსხვილი მრეწველობის წინა ისტორიას და ამიტომ გამოხატავს ფიზიოკრატების შეხედულებებს, მაშინ როდესაც დ. რიკარდო მას თანამედროვე მრეწველობის თვალსაზრისით უპასუხებს[11].

„ზედმეტი ღირებულების თეორიების“ პირველი ნაწილის ძირითად შინაარსს წარმოადგენს ადამ სმიტის ეკონომიური თეორიის კრიტიკული ანალიზი კ. მარქსის მიერ. მესამე თავში კ. მარქსი ამ თეორიის ღრმა ანალიზს გვაძლევს. ა. სმიტმა მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა წინ ზედმეტი ღირებულების თეორიაში, თუმცა თვით იგი „ძალიან იყო შეპყრობილი ფიზიოკრატიის სენით, და არსად იგი ამას ისე მკაფიოდ არ ამჟღავნებს, როგორც ფიზიოკრატიის კრიტიკაში“[12].

მის ნაწარმოებს — შენიშნავს კ. მარქსი — ხშირად მთელ ფენებად გასდევს ისეთი აზრები, რაც ფიზიოკრატებს ეკუთვნის და თვით მის შეხედულებებს მთლიანად ეწინააღმდეგება (მაგალითად, მოძღვრებაში მიწის რენტის შესახებ და ა. შ.).

მაგრამ, ჩვენი მიზნისათვის — წერს კ. მარქსი — შეიძლება მხედველობის გარეშე დაეტოვოთ მისი შრომის ეს ა. სმიტისათვის არადამახასიათებელი შემადგენელი ნაწილები, სადაც იგი უბრალო ფი-

---

[9] კ. მარქსი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომ-)“, ნაწილი I, თბ., 1966, გვ. 23, 24.

[10] იქვე, გვ. 42—43.

[11] იქვე, გვ. 35.

[12] იქვ ე, გვ. 40.

ზიოკრატად გვეელინება[13]. ამის შემდეგ კ. მარქსი გვაძლევს ა. სმიტის ღირებულების თეორიის ღრმა კრიტიკულ ანალიზს.

აქ აღსანიშნავია, რომ უმნიშვნელოვანესი ეკონომიური კატეგორიების მიმართ (ღირებულების, ზედმეტი ღირებულების, პროდუქტიული შრომის და ა. შ.) ა. სმიტის მოძღვრებაში კ. მარქსმა გამოავლინა წინააღმდეგობა და მერყეობა, რომელიც ზოგჯერ ძლიერ ახლოს მიდიოდა ღირებულებისა და ზედმეტი ღირებულების წყაროს შესახებ სწორ, მეცნიერულ წარმოდგენებამდე; თუმცა მან ვერ შეძლო ამ მეცნიერული ხაზის თანმიმდევრობით გატარება. კ. მარქსი კრიტიკულად არჩევს ა. სმიტის თეორიას და დიდი სიღრმით ავლენს მასში არსებულ ვულგარულ ელემენტს, რომელიც შემდეგში ვულგარული ეკონომისტების, სმიტის ეპიგონების აპოლოგეტიკურ თეორიებად გადაიზარდა. პროდუქტიულ და არაპროდუქტიულ შრომაზე ა. სმიტის შეხედულებათა ანალიზისას კ. მარქსი უჩვენებს აგრეთვე იმ ვულგარიზაციის პროცესს, რაც ამ შეხედულებებმა მომდეენო ეკონომისტების ხელში განიცადეს. ამასთან, კ. მარქსი ყოველთვის ავლენს ამა თუ იმ კონცეფციების არა მარტო მეთოდოლოგიურ, არამედ კლასობრივ ფესვებსაც[14].

ჯერ კიდევ თავის წიგნში „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ (პირველი ნაკვეთი, 1859 წ.) კ. მარქსმა გვიჩვენა, რომ ა. სმიტი მერყეობდა საცვლელი ღირებულების სხვადასხვა განსაზღვრას შორის, სახელდობრ ეს იყო ერთი — საქონლის ღირებულების განსაზღვრა მისი წარმოებისათვის აუცილებელი შრომის რაოდენობით და, მეორე ამ ღირებულების განსაზღვრა ცოცხალი შრომის იმ რაოდენობით, რომლითაც საქონლის ყიდვა შეიძლება, ანდა რაც იმასვე ნიშნავს, საქონლის იმ რაოდენობით, რომლითაც ცოცხალი შრომის გარკვეული რაოდენობის ყიდვა შეიძლება. მეორე განსაზღვრაში, ა. სმიტი საქონელთა ღირებულების საზომად ხდის შრომის საცვლელ ღირებულებას, ფაქტიურად ხელფასს; აქ ღირებულების მასშტაბად გამოცხადებულია თვით ღირებულება და ამით ვარდება გამოუვალ წრეში.

პირველი განსაზღვრა ა. სმიტს ხშირად არეული აქვს მეორეში, ზოგჯერ კი პირველი განსაზღვრა გამორიცხულია მეორე განსაზღვრით. მაგრამ სხვადასხვა განსაზღვრათა ეს მერყეობა — შენიშნავს კ. მარქსი — ვერ უბნევს გზას ა. სმიტს ზედმეტი ღირებულების ბუნებისა და წარმოშობის გამოკვლევაში, რადგან ყველგან, სადაც

---

[13] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი I, თბ., 1966, გვ. 47, 48.

[14] ი ბ ე ვ ე, გვ. XXIV—XXV.

იგი თავის დებულებებს ავითარებს, იცავს საცვლელი ღირებულების მართებულ განსაზღვრას, მის განსაზღვრას საქონელში მოთავსებული და დახარჯული შრომის რაოდენობით, ანუ სამუშაო დროით.

იმ გარემოებამ — აღნიშნავს კ. მარქსი — რომ ა. სმიტს ღირებულების საზომად მიაჩნდა აგრეთვე შრომის ღირებულება, ანუ ანა თუ იმ საქონლის (თუ ფულის) მყიდველობითი ძალა შრომის მიმართ, დაარღვია მისი აზრის მსელელობა იქ, სადაც იგი იძლევა ფასების თეორიას და ა. შ., საერთოდ დაუკარგა მის ნაშრომს ყოველგვარი ერთიანობა და იმის მიზეზიც კი გახდა, რომ ძირითადი საკითხების დიდი რაოდენობა მისი გამოკვლევის გარეთ დარჩა.

მაგრამ ზედმეტი ღირებულების შესახებ მისი აზრის ს ა ე რ თ ო მსელელობაზე — წერს კ. მარქსი — ამას გავლენა არ მოუხდენია, რადგან აქ ა. სმიტი მუდამ იცავდა იმ სწორ შეხედულებას, რომ ღირებულება განისაზღვრება დახარჯული სამუშაო დროით, რასაც სხვადასხვა საქონელი შეიცავს[15].

ა. სმიტს ზედმეტი ღირებულება, ე. ი. ზედმეტი შრომა, — საქონელში გასაგნობრივებული შრომის გადანამეტი ფასგადახდილ შრომაზე, ესმის როგორც საყოველთაო კატეგორია, რომლის მიმართ საკუთრივ მოგება და მიწის რენტა მხოლოდ მის განშტოებებს წარმოადგენს[16].

მაგრამ, ამასთან ა. სმიტს ზედმეტი ღირებულება არ გამოუცალკევებია განსაკუთრებული კატეგორიის სახით, იმ განსაკუთრებული ფორმებისაგან, რომელთაც იგი ღებულობს მოგებასა და მიწის რენტაში, საიდანაც მომდინარეობს სმიტის ბევრი შეცდომა საგნის გამოკვლევაში[17].

ამრიგად, ა. სმიტმა — წერს კ. მარქსი — დიდი ნაბიჯი გადადგა წინ ფიზიოკრატებთან შედარებით ზედმეტი ღირებულების ანალიზში, მაშასადამე კაპიტალის ანალიზშიც.

---

[15] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)" ნაწილი I, თბ. 1966, გვ. 48, 53.

[16] ი ქ ვ ე, გვ. 63. ა. ს მ ი ტ ი ს შეხედულებით ფულის სარგებელი, ისევე როგორც გადასახადები, ან გადასახადებიდან მისაღები შემოსავალი, რამდენიმეც უკანასკნელი არ არის გამონაკლები, თვით ხელფასიდან, მხოლოდ მოგებასა და მიწის რენტაში მონაწილეობის წილია; მოგება და მიწის რენტა კი თავის მხრივ ზედმეტ ღირებულებაზე, ე. ი. ფასგადაუხდელ სამუშაო დროზე დაიყვანება (იქვე, გვ. 66).

[17] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი"), ნაწილი I, თბ., 1966, გვ. 63, 64.

ფიზიოკრატების შეხედულებით ზედმეტ ღირებულებას ქმნის შრომის მხოლოდ ერთი სახეობა — სამიწათმოქმედო შრომა. ისინი განიხილავდნენ საგანს ჯერ კიდევ შეზღუდული, ფანტასტიკური წარმოდგენებით დამახინჯებული, ფორმით.

ა. სმიტის შეხედულებით კი პირიქით, ღირებულებას ქმნის საყოველთაო საზოგადოებრივი შრომა, ქმნის მხოლოდ აუცილებელი შრომის რაოდენობა.

ზედმეტი ღირებულება, მოგების ფორმით გამოდის იგი, მიწის რენტისა თუ სარგებლის მეორადი ფორმით, არის ამ შრომის ნაწილი, რასაც ნივთიერი პირობების მესაკუთრენი მიითვისებენ ცოცხალ შრომასთან გაცვლის პროცესში.

ამიტომ ფიზიოკრატებთან ზედმეტი ღირებულება მხოლოდ მიწის რენტის ფორმით გვევლინება, ა. სმიტის მიხედვით კი მიწის რენტა, მოგება და სარგებელი ზედმეტი ღირებულების მხოლოდ სხვადასხვა ფორმებია[18].

მაგრამ ა. სმიტმა ვერ გაიგო ღირებულების კანონის სპეციფიკური მოქმედება კაპიტალსა და დაქირავებულ შრომას შორის გაცვლისას. ზედმეტი ღირებულების წარმოშობის საკითხზე ა. სმიტმა „შეიგრძნო ნაპრალის წარმოშობა"; იგი გრძნობდა როგორიც არ უნდა ყოფილიყო მისთვის „გაუგებარი შუალედი რგოლები" — აღნიშნავს კ. მარქსი, — რომ ეს კანონი ფაქტიურად ირღვევა: შრომის მეტი რაოდენობა გაიცვლება შრომის ნაკლებ რაოდენობაზე (მუშის თვალსაზრისით), შრომის ნაკლები რაოდენობა — მეტ რაოდენობაზე (კაპიტალისტის თვალსაზრისით). ა. სმიტის დამსახურება იყო იმის აღნიშვნა, რომ კაპიტალის დაგროვებასთან და მიწის საკუთრების აღმოცენებასთან ერთად, — შენიშნავს კ. მარქსი — ხდება შემობრუნება, ღირებულების კანონის მოჩვენებითი, თავის შედეგით — ფაქტიურიც, გადაქცევა მის დაპირისპირებულობად.

თუ ა. სმიტის თეორიული ძალა ისაა, — წერს კ. მარქსი, რომ იგი გრძნობდა და აღნიშნავდა ამ წინააღმდეგობას, სამაგიეროდ მისი თეორიული სისუსტე იყო, რომ ეს წინააღმდეგობა „თავგზას უბნევს მას". ა. სმიტს არ ესმოდა როგორ წარმოიშვება ეს წინააღმდეგობა, განპირობებული იმით, რომ თვით სამუშაო ძალა საქონელი ხდება.

დ. რიკარდოს ის უპირატესობა ჰქონდა ა. სმიტთან შედარებით — აღნიშნავს კ. მარქსი, — რომ მას ვერ აბნევენ ეს მოჩვენებითი,

---

[18] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი I, თბ., 1966, გვ. 67, 68.

თავის შედეგით კი ნამდვილი წინააღმდეგობანი. მაგრამ დ. რიკარდო იმ მხრივ ჩამორჩებოდა ა. სმიტს, რომ იგი ვერ ამჩნევდა აქ პრობლემის არსებობას. კაპიტალის წარმოშობასთან ერთად ღირებულების კანონის სპეციფიკური განვითარება „მას ერთი წუთითაც არ დააფიქრებს და სულაც არ აინტერესებს“[19]. მაგრამ ცხადია, ა. სმიტის სწორედ ეს შეხედულება — აღნიშნავს კ. მარქსი — იმავე დროს იწვევდა მის მერყეობას, ყოყმანს; დ. რიკარდოსგან განსხვავებით იგი არ აძლევდა მას ბურჟუაზიული სისტემის აბსტრაქტული ზოგადი საფუძვლის მომცველი მწყობრი თეორიული თვალსაზრისის მიღწევის შესაძლებლობას[20].

ამასთან, თუმცა ა. სმიტი — წერს კ. მარქსი — არსებითად ზედმეტ ღირებულებას განიხილავდა, მაგრამ მას იგი არ ჰქონდა წარმოდგენილი ნათლად გამოხატული სახით, როგორც განსაზღვრული, მისივე განსაკუთრებული ფორმებისაგან განსხვავებული კატეგორია. ამიტომ იგი შემდეგში პირდაპირ აიგივებდა ზედმეტ ღირებულებას ყოველგვარი შუალედი რგოლის ჩაურთველად, უფრო განვითარებულ ფორმასთან, მოგებასთან.

ამ შეცდომას, — შენიშნავს კ. მარქსი — იმეორებდა დ. რიკარდო და ყველა მომდევნო ეკონომისტი. რადგან ა. სმიტს ზედმეტი ღირებულება დაყავდა არა მარტო მოგებაზე, არამედ რენტაზეც, ამიტომ უკვე მარტო ამ გარემოებას უნდა მიეყვანა იგი იმ აზრამდე, რომ არ შეიძლება შუალედი რგოლების მონაწილეობის გარეშე საყოველთაო აბსტრაქტული ფორმა აეურიოთ ერთ-ერთ მის განსაკუთრებულ ფორმაში. როგორც ა. სმიტს — შენიშნავს კ. მარქსი — ისე ყველა შემდგომდროინდელ ბურჟუაზიულ ეკონომისტს, როგორც წესი, ემჩნევა იმ თეორიული გაგების ნაკლებობა, რაც აუცილებელია სხვადასხვა ეკონომიური ფორმების გასარკვევად და ისინი უხეშად ჩასჭიდებიან რა ემპირიულ მასალას, მარტო ამით არიან დაინტერესებული[21].

ამავე დროს სმიტს, გამომდინარე ღირებულების თავისი მეორე, არამეცნიერული განსაზღვრიდან, მცდარი შეხედულება ჰქონდა მო-

---

[19] ი ქ ვ ე, გვ. 71. აქვე კ. მარქსი შენიშნავს: „შემდგომ ჩვენ დავინახავთ, რომ ის, რაც ა. სმიტის შეხედულებაში გენიალურია, რეაქციული ხდება მალთუსის შეხედულებაში, რომელიც რიკარდოს თვალსაზრისის წინააღმდეგ ილაშქრებს“ (იქვე, გვ. 71).

[20] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“ ნაწილი I, თბ., 1966, გვ. 70, 71.

[21] ი ქ ვ ე, გვ. 73, 77.

გებასა, მიწის რენტასა და ხელფასზე, როგორც ღირებულების წყაროებზე.

ა. სმიტი მას შემდეგ, რაც მან ზედმეტი ღირებულებისა და ღირებულების ბუნება გამოიკვლია, შეცდომაში ვარდება, აღნიშნავს კ. მარქსი — როცა კაპიტალსა და მიწას საცვლელი ღირებულების დამოუკიდებელ წყაროებად სახავს. ეს ფართო გზას უხსნიდა ვულგარულ პოლიტიკურ ეკონომიას. კაპიტალი და მიწა შემოსავლის წყაროებია მათი მფლობელებისათვის, რამდენადაც ისინი საფუძველია ზედმეტი შრომის გარკვეული რაოდენობის მისაღებად.

მოყავს რა ა. სმიტის სიტყვები, რომ „ხ ე ლ ფ ა ს ი, მ ო გ ე ბ ა და რ ე ნ ტ ა სამი პ ი რ ვ ე ლ ა დ ი წ ყ ა რ ო ა ყ ო ვ ე ლ ი შემოსავლისა, ი ს ე ვ ე რ ო გ ო რ ც ყ ო ვ ე ლ ი ს ა ც ვ ლ ე ლ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ა ც“, კ. მარქსი შენიშნავს, რომ რამდენადაც მართებულია ის, რომ ისინი „ყოველი შემოსავლის სამი პირველადი წყაროა“, იმდენადვე მცდარია ის, რომ ისინი „ასევე ყოველი საცვლელი ღირებულების სამი პირველადი წყაროა“, რადგან საქონლის ღირებულება განისაზღვრება მხოლოდ მასში მოქცეული სამუშაო დროით. მიწის საკუთრება და კაპიტალი, რომლებიც შემოსავლის წყაროებია, თავიანთი მფლობელებისათვის არ ხდებიან ამის გამო ღირებულების წყაროდ.

ასევე არასწორია იმის თქმა, — წერს კ. მარქსი — რომ ხელფასი შეადგენს საცვლელი ღირებულების პირველად წყაროს, თუმცა ხელფასი შეადგენს შემოსავლის წყაროს მუშისათვის. ღირებულებას ქმნის შრომა და არა მუშის ხელფასი. ხელფასი მუშის მიერ შექმნილი ღირებულების ის ნაწილია, რასაც თვით იგი ითვისებს. მაგრამ ეს მითვისება არ ქმნის ღირებულებას.

ამრიგად, შრომა წარმოადგენს ღირებულების ერთადერთ წყაროს. „ღირებულების ამ წყაროდან წარმოიშვება „ხელფასის ფასი“ და „მოგების ფასი“. მაგრამ თვით ეს „ფასები“ — როგორც ხელფასი, — ისე მოგებაც — სულაც არ წარმოადგენენ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს წ ყ ა რ ო ს“[22].

ა. სმიტის მიხედვით, — წერს კ. მარქსი — პირველად ხელფასს, მოგებას და მიწის რენტას არეგულირებს საქონლის ღირებულება, ხოლო შემდეგ იგი საგანს საპირისპირო მხრიდან უდგება, რაც უფრო ახლოა ემპირიულ გარეგნობასთან, და ცდილობს საქონელთა

---

[22] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი I, თბ., 1966, გვ. 79, 80.

ბუნებრივი ფასი [23] განსაზღვროს ხელფასის, მოგებისა და მიწის რენტის ბუნებრივ ფასთა შეკრებით. დ. რიკარდოს ერთ-ერთი მთავარი დამსახურება იყო — შენიშნავს კ. მარქსი, — რომ მან ბოლო მოუღო ამ „არევ-დარევას".

ამრიგად, — წერს კ. მარქსი, — ყურადღებას იქცევს ა. სმიტის წიგნში „აზრთა უცნაური" მსჯელობა: იგი ჯერ იკვლევს საქონლის ღირებულებას და რიგ შემთხვევაში სწორად განსაზღვრავს მას ისე, რომ მის წინაშე ზოგადად მკაფიოდ ისახება ზედმეტი ღირებულებისა და მისი განსაკუთრებული ფორმების წყარო, — — საქონლის ღირებულებიდან მას კიდევაც გამოჰყავს ხელფასი და მოგება. მაგრამ, შემდეგ ა. სმიტი ცდილობს, პირიქით საქონელთა ღირებულება (რომლიდან მან უკვე გამოიყვანა ხელფასი და მოგება), გამოიყვანოს ხელფასის, მოგებისა და მიწის რენტის ბუნებრივ ფასთა შეკრებიდან.

ამის გამო — შენიშნავს კ. მარქსი, — ა. სმიტმა, რომელსაც არ ჰქონდა თვით საფუძველი, ვერ მოგვცა სწორი ანალიზი ხელფასის, მოგებისა და ა. შ. რაევის გავლენისა საქონელთა ფასებზე[24].

ღირებულების, როგორც ხელფასის, მოგების და მიწის რენტის ჯამის განსაზღვრასთან დაკავშირებულია ეგრეთწოდებული „სმიტის დოგმა", რომლის მიხედვით მთელი საზოგადოებრივი პროდუქტის ღირებულებაც აგრეთვე შედგება მხოლოდ ამ სამი ნაწილისაგან. ამრიგად ა. სმიტი უგულებელყოფდა მუდმივი კაპიტალის ღირებულებას, ცნობდა მას მხოლოდ ცალკეული საქონლისათვის და თვლი-

---

[23] „საქონელთა ბუნებრივ ფასად" ა. სმიტი გულისხმობს მხოლოდ მათ ღირებულებას, გამოხატულს ფულით (იქვე, გვ. 81).

[24] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი I, თბ., 1966, გვ. 83, 84.

ამავე საკითხზე „ზედმეტი ღირებულების თეორიების" მეორე ნაწილში კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ, თუ ა. სმიტი თავდაპირველად სწორ შეხედულებებს ავითარებს ღირებულებაზე, აგრეთვე მოგების, ხელფასის, და ა. შ., როგორც ამ ღირებულების შემადგენელი ნაწილების თანაფარდობაზე, შემდეგ კი იგი საწინააღმდეგო გზას ადგება; ხელფასის, მოგების და მიწის რენტის ფასებს იგი წინასწარ მოცემულად გულისხმობს, ცდილობს განსაზღვროს ისინი, როგორც დამოუკიდებელი სიდიდენი და მიიღოს მათი შეკრებიდან ს ა ქ ო ნ ლ ი ს ფ ა ს ი. ა. სმიტის ეს გადასვლა საპირისპირო თვალსაზრისზე ნიშნავდა, რომ ჯერ იგი საგნებს იღებდა მათ შინაგან კავშირში, შემდეგ კი — იმ დამახინჯებული ფორმით, რომლითაც ისინი კონკურენციაში ელინდებიან. როგორც შენიშნავდა კ. მარქსი, — განხილვის ეს ორიენ წესი ა. სმიტთან გულებრყვილოდ იყო გადახლართული და ამასთან იგი ვერ ამჩნევდა წინააღმდეგობას მათ შორის (კ. მარქსი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 133).

და, რომ მთელი საზოგადოებრივი პროდუქტისათვის მთლიანად იგი თავის მხრივ დაიყოფა შემოსავლების ჯამად.

მაშასადამე, თუ ა. სმიტი — წერს კ. მარქსი — ფერმერის მიმართ აღიარებს, რომ მისი პურის ფასში გარდა იმ ხელფასის, მოგებისა და რენტისა, რაც მან თავის თავს და სხვა პირებს გადაუხადა, შედის კიდევ მეოთხე შემადგენელი ნაწილიც, მის მიერ მოხმარებული მუდმივი კაპიტალის ღირებულება (მაგ. ცხენების, სამიწათმოქმედო იარაღების და სხვ. ღირებულება), მაშინ ეს ძალაში რჩება აგრეთვე ცხენსაშენის მფლობელისა და სამიწათმოქმედო იარაღების მეფაბრიკის მიმართაც და სმიტი — შენიშნავს კ. მარქსი — „სრულიად ამაოდ გვაგზავნის ჩვენ პონტიუსისგან პილატესთან“ [25]. რაც მართებულია „ერთი საქონლის მიმართ, ის აუცილებლად ძალაში რჩება საქონელთა მთელი ჯამისათვისაც“[26].

ეს საკითხი ეხება უკვე მთელი საზოგადოებრივი კაპიტალის კვლავწარმოების პრობლემას. ამიტომ უარყოფდა რა სმიტის დოგმას, კ. მარქსი იმავე დროს აყალიბებდა თავის კვლავწარმოების თეორიის ძირითად დებულებებს, რომლებიც შემდეგში განვითარებულ იქნა „კაპიტალის“ მეორე ტომში. ამ პრობლემას კ. მარქსის მიერ დათმობილი აქვს სპეციალური თეორიული გამოკვლევა „ზედმეტი ღირებულების თეორიების“ პირველი ნაწილის მესამე თავის მე-10 პარაგრაფში[27].

---

[25] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი I, თბ., 1966, გვ. 86.

[26] ი ქ ვ ე, გვ. 87.

ა. სმიტის ეს „აღმა-დაღმა ხეტიალი — წერს კ. მარქსი, — მისი წინააღმდეგობანი, საქმის შინაარსისაგან გადახვევები ადასტურებენ, რომ ის აქ ჩიხში მოემწყვდა და გარდუვალად უნდა თავგზა აბნეოდა, რაკი მან ხელფასი, მოგება და რენტა პროდუქტის საცვლელი ღირებულების, ანუ ერთობლივი ფასის ჩამომყალიბებელ შემადგენელ ნაწილებად გადააქცია“ (იქვე, გვ. 91).

ამავე დროს კ. მარქსი აღნიშნავს, რომ ა. სმიტის წინააღმდეგობანი მნიშვნელოვანია იმ მხრივ, რომ „ისინი შეიცავენ პრობლემებს, რომლებსაც ის, მართალია, ვერ წყვეტს, მაგრამ, რომელთაც იგი უკვე იმით აყენებს, რომ თავის თავს ეწინააღმდეგება. მის სწორ ალღოს ამ მიმართებით ყველაზე უკეთ ის გარემოება ამტკიცებს, რომ მისი მომდევნო ეკონომისტები, როცა ერთმანეთს ედავებიან, ღებულობენ სმიტის მოძღვრების ხან ერთ, ხან მეორე მხარეს“, (იქვე, გვ. 153).

[27] (10). „გამოკვლევა იმისა, თუ როგორ შეიძლება, რომ წლიური მოგება და წლიური ხელფასი ყიდულობდნენ წლის განმავლობაში წარმოებულ საქონელთ, რომელნიც მოგებისა და ხელფასის გარდა, კიდევ მუდმივ კაპიტალსაც შეიცავენ“ (კ. მარქსი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი I, თბ., 1966, გვ. 96).

ღირებულებისა და ზედმეტი ღირებულების ამა თუ იმ გაგებასთან მჭიდრო კავშირშია პროდუქტიული შრომის გაგება კაპიტალისტურ საზოგადოებაში. თეორიებს პროდუქტიული და არაპროდუქტიული შრომის შესახებ კაპიტალისტურ საზოგადოებაში კ. მარქსი „ზედმეტი ღირებულების თეორიების" პირველ ნაწილში უთმობს მნიშვნელოვან ადგილს: მეოთხე თავი და თეორიული ნარკვევი „დამატებათა" მე-12 პარაგრაფში, რომელშიც კ. მარქსი აჯამებს თავის შეხედულებებს კაპიტალისტურ საზოგადოებაში პროდუქტიული შრომის ბუნების შესახებ.

იმის განსაზღვრისას — აღნიშნავს კ. მარქსი, — თუ რას უწოდებს ა. სმიტი პროდუქტიულ შრომას არაპროდუქტიულისაგან განსხვავებით, იგი ისევე გაორებულია, როგორც აქამდე ყველაფერში. მას არეული აქვს ერთმანეთში ორი განსაზღვრა პროდუქტიული შრომისა. ჯერ კ. მარქსი განიხილავს პირველ, სწორ განსაზღვრას.

პროდუქტიული შრომა — წერს კ. მარქსი — კაპიტალისტური წარმოების თვალსაზრისით არის ის დაქირავებული შრომა, რომელიც გაიცვლება კაპიტალის ცვალებად ნაწილზე და არა მარტო კელავ-აწარმოებს კაპიტალის ამ ნაწილს, არამედ, გარდა ამისა, აწარმოებს აგრეთვე ზედმეტ ღირებულებას კაპიტალისტისათვის და მხოლოდ ამით გადაიქცევა საქონელი ან ფული კაპიტალად, იწარმოება იგი კაპიტალის სახით. პროდუქტიულია მხოლოდ ის დაქირავებული შრომა, რომელიც აწარმოებს კაპიტალს.

თვით კაპიტალისტთა კლასის, მაშასადამე კაპიტალის, არსებობა აღნიშნავს კ. მარქსი — დამყარებულია შრომის ნაყოფიერებაზე, მაგრამ არა მის აბსოლუტურ, არამედ მის შეფარდებით ნაყოფიერებაზე. მაგალითად, სამუშაო დღე რომ მარტო მუშის სიცოცხლის შენარჩუნებისათვის კმაროდეს, მაშინ აბსოლუტურად რომ ვთქვათ, შრომა პროდუქტიული იქნებოდა, მაგრამ იგი არ იქნებოდა პროდუქტიული კაპიტალისტური თვალსაზრისით, რადგან არავითარ ზედმეტ ღირებულებას არ აწარმოებდა. ეს პროდუქტიულობა ემყარება შეფარდებით პროდუქტიულობას, იმას, რომ მუშა არა მარტო ანაზღაურებს წინანდელ ღირებულებას, არამედ ახალსაც ქმნის[28].

პროდუქტიული შრომის ეს გაგება — შენიშნავს კ. მარქსი, — თავისთავად გამომდინარეობს ა. სმიტის შეხედულებიდან ზედმეტი ღირებულების წარმოშობაზე, და რამდენადაც ა. სმიტი პროდუქტი-

---

[28] კ. მარქსი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)" ,ნაწილი I, თბ., 1966, გვ. 154, 155.

ულ შრომაზე ამ შეხედულების მოძღვრეა. იგი მისდევს ერთ-ერთ იმ მიმართულებას, რომელიც ფიზიოკრატებმა და თვით მერკანტილისტებმაც კი აიღეს, მხოლოდ ათავისუფლებს მას წარმოდგენის მცდარი წესისაგან, აცლენს მის შინაგან ბირთვს[29].

ა. სმიტთან სწორი და მცდარი შეხედულება — შენიშნავს კ. მარქსი — პროდუქტიულ შრომაზე იმდენად გადახლართულია ერთმეორესთან, რომ ორივე ეს შეხედულება კვალდაკვალ მისდევს ერთიმეორეს ერთი და იმავე ნაწყვეტის მანძილზე.

პროდუქტიული შრომის პირველი სწორი გაგებისას ა. სმიტი — წერს კ. მარქსი — სრულიად გარკვევით უწოდებს პროდუქტიულ მუშაკს ისეთ მუშაკს, რომელიც არა მარტო კვლავ-აწარმოებს კაპიტალისტისათვის ხელფასში მოცემულ თავის საარსებო საშუალებათა სრულ ღირებულებას, არამედ კვლავ-აწარმოებს ამ ღირებულებას „ამა თუ იმ მოგებით“.

---

[29] ფიზიოკრატები, — წერს კ. მარქსი, რომელთაც შეცდომით მიაჩნდათ პროდუქტიულ შრომად მარტო სამიწათმოქმედო შრომა, იმ სწორ შეხედულებას ადგენენ, რომ კაპიტალისტური თვალსაზრისით პროდუქტიულია მხოლოდ ის შრომა, რომელიც ქმნის ზედმეტ ღირებულებას წარმოების პირობების შესაკუთრისათვის, ქმნის მიწის შესაკუთრისათვის „წმინდა პროდუქტს“. ამ უკანასკნელზე, ღირებულებაზე და სხვ. მათ არა სწორი წარმოდგენა ჰქონდათ, მაგრამ მაინც ყოველივე ამას თუ გამოვაკლებთ, მათ რჩებათ სწორი განსაზღვრა, რომელიც ა. სმიტმა „გაანთავისუფლა“ ფიზიოკრატების მცდარი წარმოდგენისაგან.

მერკანტილისტები — აღნიშნავს კ. მარქსი, — თვალსაზრისის ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს იგივე შეხედულება პროდუქტიულ შრომაზე, თუმცა ეს მათთვის შეუცნობელი დარჩა (იქვე, გვ. 156).

მერკანტილისტების შეხედულებით შრომა პროდუქტიულია მხოლოდ წარმოების იმ დარგებში, რომელთა პროდუქტები, როცა საზღვარგარეთ იგზავნებიან, უფრო მეტ ფულს უბრუნებენ უკან ამა თუ იმ ქვეყანას, ვიდრე მისი წარმოებისათვის დაიხარჯა. ისინი ხედავდნენ, რომ ასეთ ქვეყნებში სწრაფად იზრდებოდა სიმდიდრე და საშუალო კლასი. ოქროს ეს გავლენა სინამდვილეში გაპირობებული იყო შემდეგით: ხელფასის ზრდა ჩამორჩებოდა საქონელთა ფასების ზრდას; მაშასადამე, ხელფასი დაბლა იწევდა, ამით კი იზრდებოდა შეფარდებითი ზედმეტი შრომა, დიდდებოდა მოგების ნორმა, მაგრამ არა იმიტომ, რომ მუშა უფრო პროდუქტიული გახდა, არამედ იმიტომ, რომ აბსოლუტური ხელფასი შემცირდა, მუშების მდგომარეობა გაუარესდა.

ამრიგად, ამ ქვეყნებში შრომა მართალია გახდა უფრო პროდუქტიული, მის გამომყენებელ მეწარმეთათვის. ეს ფაქტი დაკავშირებული იყო ძვირფასი ლითონების მოდინებასთან, რაც გახდა კიდევაც, ბუნდოვნად შეცნობილი მოტივი, რომელმაც აიძულა მერკანტილისტები ერთადერთ პროდუქტიულ შრომად გამოეცხადებინათ ამგვარი წარმოების დარგებში გამოყენებული შრომა (იქვე, გვ. 156—157).

მხოლოდ ის შრომა არის პროდუქტიული, რომელიც კაპიტალს აწარმოებს. მაგრამ საქონელი ან ფული კაპიტალად იქცევა მხოლოდ იმის გამო, რომ იგი გაიცვლება სამუშაო ძალაზე, იმისათვის, რომ ანაზღაურდეს შრომის უფრო მეტი რაოდენობით, ვიდრე მასშია მოთავსებული.

პროდუქტიული შრომა განსაზღვრულია აქ კაპიტალისტური წარმოების თვალსაზრისით და ა. სმიტი — აღნიშნავს კ. მარქსი — ამ შემთხვევაში „ჩასწვდა თვით საქმის დედაარსს, ზუსტად სწვდა მიზანს".

ერთ-ერთი მისი დიდი მეცნიერული დამსახურებაა, რომ იგი განსაზღვრავს პროდუქტიულ შრომას, ისეთი შრომით, რომელიც უშუალოდ გაიცვლება კაპიტალზე[30].

ამით, — წერს კ. მარქსი — აბსოლუტურად დადგენილია, თუ რა არის არაპროდუქტიული შრომა. ეს არის ისეთი შრომა, რომელიც გაიცვლება არა კაპიტალზე, არამედ უშუალოდ შემოსავალზე, ე. ი. ხელფასზე ან მოგებაზე და აგრეთვე, ცხადია სარგებელზე და რენტაზე.

იქ, სადაც ყოველი შრომა ნაწილობრივ ანაზღაურებს თავის თავს, ნაწილობრივ კი უშუალოდ გაიცვლება შემოსავალზე, არ არსებობს კაპიტალი და დაქირავებული შრომა ბურჟუაზიული ეკონომიის თვალსაზრისით. ეს განსაზღვრებანი აღებულია მაშასადამე, არა შრომის ნივთობრივი დახასიათებიდან, არა იმ თვისებებიდან, რომლებიც კონკრეტულ შრომას ახასიათებს, არამედ გარკვეული საზოგადოებრივი ფორმიდან, იმ წარმოებითი ურთიერთობებიდან, რომლებშიც ეს შრომა ხორციელდება[31].

მაგალითად, — შენიშნავს კ. მარქსი, — მსახიობი, კლოუნიც კი, ამის შესაბამისად, მწარმოებელი მუშაკია, თუ იგი ქირით მუშაობს კაპიტალისტთან (ანტრეპრენიორთან), ხოლო წვრილი თერძი, რომელიც კაპიტალისტთან მიდის და შარვალს დაუკერებს, რითაც მხოლოდ სახმარ-ღირებულებას ქმნის, არამწარმოებელი მუშაკია. „პირველის შრომა გაიცვლება კაპიტალზე, მეორისა — შემოსავალზე. პირველი სახის შრომა ქმნის ზედმეტ ღირებულებას, მეორე შემთხვევაში — შემოსავალი მოიხმარება... მწერალი მწარმოებელი მუშაკია არა იმიტომ, რომ იგი იდეებს აწარმოებს, არამედ იმიტომ,

---

[30] ეს სმიტისეული განსხვავება პროდუქტიულ და არაპროდუქტიულ შრომას შორის რჩება მთელი ბურჟუაზიული ეკონომიის საფუძვლად (იქვე, გვ. 160).

[31] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი I, თბ., 1966, გვ. 158—161.

რომ იგი ამდიდრებს წიგნის გამყიდველს, რომელიც მის თხზულებებს გამოსცემს, ე. ი. იგი მწარმოებელია იმდენად, რამდენადაც რომელიმე კაპიტალისტის დაქირავებული მუშაკია"[32]. შრომის, მისი პროდუქტის ნივთობრივ განსაზღვრულობას თავისთავად არაფერი აქვს საერთო ამ განსხვავებასთან პროდუქტიულ და არაპროდუქტიულ შრომას შორის[33].

იმდენად, რამდენადაც კაპიტალი მთელ წარმოებას იმორჩილებს, — აღნიშნავს კ. მარქსი, — ჩნდება და სულ უფრო ძლიერდება ნივთობრივი განსხვავებაც მწარმოებელ და არამწარმოებელ მუშაკებს შორის, რადგან პირველნი მცირე გამონაკლისს გარდა აწარმოებენ მხოლოდ საქონელს, მეორენი კი, ასევე მცირე გამონაკლისის გარდა, ასრულებენ მხოლოდ პირად მომსახურებას. ამიტომ პირველთა კატეგორია აწარმოებს უშუალო მატერიალურ, საქონელთაგან შემდგარ სიმდიდრეს, რამდენადაც იგი შედგება არა საკუთრივ სამუშაო ძალისაგან. ეს იყო ერთი იმ მოსაზრებათაგანი, რამაც საბაბი მისცა ა. სმიტს პირველ სპეციფიკურ განმასხვავებელი ნიშნისათვის, რომელიც ძირითად განსაზღვრას წარმოადგენს. კიდევ სხვებიც მიემატებინა. ა. სმიტის მსჯელობით არაპროდუქტიული მუშაკის შრომა „არ აწარმოებს არავითარ ღირებულებას", იგი „არ ფიქსირდება ან არ საგნობრივდება, რომელიმე ცალკეულ საგანში ან გასაყიდად ვარგის საქონელში", პირიქით. „მისი მომსახურება ჩვეულებრივ თვით მისი შესრულების მომენტში ქრება". იგი „არ ფიქსირდება, არ საგნობრივდება არც ერთ ხანგრძლივად არსებულ საგანში, ან გასაყიდად ვარგის საქონელში".

აქ ტერმინები „პროდუქტიული" და „არაპროდუქტიული", — შენიშნავს კ. მარქსი, — აღებულია არა თავდაპირველი აზრით. ლაპარაკია უკვე არა ზედმეტი ღირებულების წარმოებაზე; მუშაკის შრომა აქ პროდუქტიულად ითვლება იმდენად, რამდენადაც მუშაკი მოხმარებული ღირებულების ნაცვლად იძლევა ეკვივალენტს, იმით, რომ თავისი შრომით რაიმე მასალის ღირებულების იმავე რაოდენობას მიუმატებს, რამდენსაც მისი ხელფასი შეიცავდა. ჩვენ აქ

---

[32] კ. მარქსი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი I, თბ., 1966, გვ. 161.

[33] იქვე, გვ. 162. მაგალითად — მზარეულები და ოფიციანტები — შენიშნავს კ. მარქსი — „რესტორანში მწარმოებელი მუშაკები არიან, რამდენადაც მათი შრომა გადაიქცევა კაპიტალად რესტორნის მფლობელისათვის. იგივე პირები არამწარმოებელი მუშაკები არიან შინამოსამსახურეთა სახით, რამდენადაც მე მათი მომსახურებიდან კაპიტალს კი არ ვქმნი არამედ მათზე ჩემს შემოსავალს ვხარჯავ. მაგრამ ფაქტიურად იგივე პირები რესტორანშიც ჩემთვის, როგორც მომხმარებლისათვის, არამწარმოებელი მუშაკები არიან" (იქვე, გვ. 163).

ვცილდებით საზოგადოებრივი ფორმა-განსაზღვრულობის ფარგლებს, მწარმოებელი და არამწარმოებელი მუშაკების განსაზღვრას კაპიტალისტური წარმოებისადმი მათი დამოკიდებულებით. ა. სმიტის შრომიდან (IV წიგნის 9 თავიდან) ჩანს, იგი ამ აბერაციამდე მივიდა იმ გზით რომ თავის შეხედულებებს ავითარებდა ნაწილობრივ ფიზიოკრატების საპირისპიროდ, ნაწილობრივ კი მათი ზეგავლენით[34].

ა. სმიტის მეორე (მის სხვა შეხედულებასთან ვადანასკვული) შეხედულება „პროდუქტიულ" და „არაპროდუქტიულ შრომაზე", მდგომარეობდა იმაში, — წერს კ. მარქსი — რომ პროდუქტიულია შრომა, რომელიც საქონელს აწარმოებს, და არაპროდუქტიულია შრომა, რომელიც „არავითარ საქონელს" არ აწარმოებს. ა. სმიტის ამ მეორე კონცეფციის მიხედვით პროდუქტიული შრომა არის ისეთი შრომა, რომელიც აწარმოებს საქონელს, არაპროდუქტიული შრომა კი — ისეთი, რომელიც აწარმოებს პირად მომსახურებას.

პირველი სახის შრომა წარმოდგენილია გასაყიდად ვარგის ნივთში, მეორე სახის შრომა მოიხმარება მისი შესრულების დროს.

პირველი სახის შრომა გარდა თვით სამუშაო ძალის შემქმნელი შრომისა, მოიცავს ნივთიერ ფორმაში არსებულ მთელ მატერიალურ და ინტელექტუალურ სიმდიდრეს, მეორე სახის შრომა მოიცავს ყველა სახის შრომას, რომელიც აკმაყოფილებს ადამიანის რაიმე წარმოსახვით თუ ნამდვილ მოთხოვნილებას, ან რომელსაც თავს მოახვევენ მას.

საქონელი, — შენიშნავს კ. მარქსი, — ბურჟუაზიული სიმდიდრის ყველაზე ელემენტარული ფორმაა, ამიტომ „პროდუქტიული შრომის" განმარტებაც როგორც „საქონლის" მწარმოებელი შრომისა, შეესაბამება გაცილებით უფრო ელემენტარულ თვალსაზრისს, ვიდრე განმარტება პროდუქტიული შრომის, როგორც კაპიტალის მწარმოებელი შრომისა.

ა. სმიტის „პროდუქტიული შრომის" მეორე განმარტებამ გააადვილა ამ საკითხის ვულგარიზაციის პროცესი მომდევნო ბურჟუაზიული ეკონომისტების მიერ.

ა. სმიტის მოწინააღმდეგეებმა — წერს კ. მარქსი — უყურადღებოდ დატოვეს მისი პირველი, საქმის არსის შესაბამისი განმარტება, და ხელი ჩასჭიდეს მეორეს, თან აღნიშნეს წინააღმდეგობანი და არათანმიმდევრობანი. აქაც თავიანთი პოლემიკა იმით გაიად-

---

[34] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი I, თბ., 1966, გვ. 165, 167.

ვილეს, რომ ყურადღება გაამახვილეს შრომის ნივთობრივ შინაარსზე, განსაკუთრებით იმ განსაზღვრაზე, რომ შრომის ფიქსირება უნდა ხდებოდეს, რომელიმე ხანგრძლივ პროდუქტში[35].

პოლემიკას პროდუქტიულ და არაპროდუქტიულ შრომას შორის ა. სმიტის მიერ წამოყენებული განსხვავების წინააღმდეგ აწარმოებდნენ უმთავრესად კ. მარქსის სიტყვებით „დაბალი თანრიგის ღმერთები". იმდენად, რამდენადაც კაპიტალის ბატონობა ვითარდებოდა, — აღნიშნავს კ. მარქსი, — პოლიტიკური ეკონომიის მოსიკოფანტე წვრილმა მოხელეებმა თავის მოვალეობად მიიჩნიეს განდიდებინათ და გაემართლებინათ ყოველგვარი საქმიანობის სფერო იმაზე მითითებით, რომ იგი „დაკავშირებულია" მატერიალური სიმდიდრის წარმოებასთან, რომ იგი სიმდიდრის საშუალებას წარმოადგენს. აქ უკვე უპირატესობას იმსახურებენ ისეთი ადამიანები, როგორც მალთუსი, რომლებიც პირდაპირ იცავენ „არამწარმოებელი მუშაკების" და აშკარა პარაზიტების აუცილებლობას და მარგებლობას[36].

შემდეგ კ. მარქსი ჩერდება ა. სმიტის პროდუქტიული შრომის საკითხზე პირველი გაგების მომხრეებზე (დ. რიკარდო, სისმონდი) და აგრეთვე პროდუქტიული შრომის სმიტისეული მეორე გაგების მომხრეზე — ჯონ სტიუარტ მილზე. ეს უკანასკნელი — შენიშნავს კ. მარქსი — თავს იმტვრევდა პროდუქტიული და არაპროდუქტიული შრომის პრობლემებზე, მაგრამ იგი სინამდვილეში არაფერს არ უმატებდა სმიტისეულ მეორე განსაზღვრას, გარდა იმისა, მტკიცებისა, რომ პროდუქტიულია აგრეთვე შრომის ის სახეობანიც, რომელნიც თვით სამუშაო ძალას აწარმოებენ. ამის შემდეგ კ. მარქსი განიხილავს ა. სმიტისა და ფიზიოკრატების თეორიების ვულგარიზაციას ამ საკითხში (ჟერმენ გარნიე, პარიზი, 1802 წ.) და ა. შ. IV თავის დასასრულს ეხება რა ა. სმიტის მოძღვრებას პროდუქტიულ შრომაზე, კ. მარქსი წერს—ეს არის ენა რევოლუციურად განწყობილი ბურჟუაზიისა, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუმორჩილებია მთელი საზოგადოება, სახელმწიფო და ა. შ. ყველა ეს მოსაქმეობა — ხელმწიფე, მოსამართლენი, ოფიცრები, ხუცები, და ა. შ., მთელი ერთობლიობა ძველი იდეოლოგიური წოდებებისა, რომელთაც ისინი წარმოშობენ, ეკონომიურად. გათანაბრებულნი არიან ბურჟუაზიის საკუთარი ლაქიებისა და მასხარათა ბრბოსთან, რომლებსაც ისინი არჩენენ. ისინი უბრალოდ საზოგადოების მსახურნი არიან, ისევე როგორც სხვები მათი მსახურებია.

---

[35] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი I, თბ., 1966, გვ. 179, 181, 182.

[36] ი ქ ვ ე, გვ. 183, 186.

პირიქით, მას შემდეგ, — წერს კ. მარქსი, — რაც ბურჟუაზია სარბიელს დაეუფლა და ნაწილობრივ თვით დაეპატრონა სახელმწიფოს, ნაწილობრივ კი დათმობაზე წავიდა მის წინანდელ ბატონპატრონებთან, მას შემდეგ, რაც მან იდეოლოგიური წოდებანი მიიჩნია როგორც თავისი ხორცი ხორცთაგანი და ისინი ყველგან თავის ნოქრებად გადააქცია; მას შემდეგ საქმის ვითარება იცვლება და ბურჟუაზია ცდილობს „ეკონომიურად" თავისი საკუთარი თვალსაზრისით გაამართლოს ის, რის წინააღმდეგაც იგი უწინ კრიტიკით იბრძოდა. ამის რუპორები და მისი სინდისის დამამშვიდებელნი არიან გარნიე და სხვები. ამას ემატება ცდა იმ ეკონომისტებისა, რომლებიც თვით არიან ხუცები, პროფესორები და ა. შ. დაამტკიცონ თავიანთი „პროდუქტიული" სარგებლიანობა, „ეკონომიურად" გაამართლონ თავიანთი ჯამაგირები[37].

მცირე მოცულობის მეხუთე თავში კ. მარქსი განიხილავს ფრანგი პოლიტიკური მოღვაწის და ეკონომისტის ნეკერის შეხედულებას, რომელიც ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში ცდილობდა დაესახა კლასთა დაპირისპირებულობა კაპიტალიზმის დროს, როგორც დაპირისპირებულობა სიღარიბესა და სიმდიდრეს შორის.

მეექვსე თავში კ. მარქსი კვლავ უბრუნდება ფიზიოკრატებს („კენეს ეკონომიური ცხრილი. გადახვევა") და განიხილავს მათი მოძღვრების იმ ნაწილს, რომელშიც მათ თავი გამოიჩინეს როგორც უფრო ღრმა მკვლევარებმა, ვიდრე ა. სმიტი იყო; სახელდობრ კ. მარქსი განიხილავს კენეს განთქმულ „ეკონომიურ ცხრილს". თავების ასეთი თანმიმდევრობა შეესაბამებოდა ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის წინააღმდეგობრივ მსვლელობას, სადაც წინგადადგმულ ნაბიჯს ერთი რიგი საკითხების გარკვევაში, ზოგჯერ თან ახლდა ნაბიჯის უკან გადადგმა სხვა საკითხების გარკვევაში[38]. ფიზიოკრატების მხრივ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მათ ცდას გამოესახათ ერთობლივი კაპიტალის კვლავწარმოებისა და მიმოქცევის პროცესი. კვლავწარმოების პროცესის ანალიზში ფიზიოკრატები ა. სმიტთან შედარებით უფრო შორს წავიდნენ.

ნამდვილად ეს იყო ცდა, — წერს კ. მარქსი, — კენეს „ეკონომიურ ცხრილზე" წარმოედგინათ კაპიტალის მთელი წარმოების პროცესი, როგორც კვლავწარმოების პროცესი, მიმოქცევა კი მხო-

---

[37] კ. მარქსი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი I, თბ., 1966, გვ. 187, 188, 193, 194, 353, 354.

[38] იქვე, გვ. XX (რედ.).

ლოდ ფორმა ამ კვლავწარმოების პროცესისა. შემდეგ მარქსი გვაძ-ლევს რა ამ ცხრილის მნიშვნელობის ყოველმხრივ დახასიათებას, შენიშნავს:

„ეს ცდა, რომელიც გაკეთდა XVIII საუკუნის მეორე მესამედ-ში, პოლიტიკური ეკონომიის სიყმაწვილის პერიოდში, უაღრესად გენიალური იდეა იყო, უდაოდ ყველაზე გენიალური იმ იდეათა-გან, რომელნიც კი დღემდე პოლიტიკურ ეკონომიას წამოუყენე-ბია"[39].

ა. სმიტმა არსებითად მხოლოდ „აითვისა ფიზიოკრატების მემ-კვიდრეობა და მოგვცა ინვენტარის ცალკეული მუხლების ზუსტი კლასიფიკაცია და დეტალური აღწერა, მაგრამ ვერ ვიტყვი, — შე-ნიშნავს კ. მარქსი, — რომ მას ერთობლივი მოძრაობა ისე მართე-ბულად გადმოეცეს და განემარტოს, როგორც იგი დასახული იყო — საერთო ჩანაფიქრის მიხედვით — „ეკონომიურ ცხრილში", მი-უხედავად კენეს მცდარი წანამძღვრებისა"[40].

მეშვიდე თავში კ.მარქსი ჩერდება ფიზიოკრატების ადრინ-დელი (1767 წ.) კრიტიკოსის, ფრანგი პუბლიცისტის, ისტორიკოსის და ეკონომისტის ლენგეს შეხედულებებზე. კ. მარქსი აღნიშნავს, რომ ლენგე სოციალისტი არ იყო; მისი პოლემიკა მის თანამედროვე განმანათლებელთა ბურჟუაზიულ-ლიბერალური იდეალების წი-ნააღმდეგ, ბურჟუაზიის ბატონობის წინააღმდეგ, რომელიც მაშინ იწყებოდა, „გახვეულია — სანახევროდ სერიოზულად, სანახევროდ ირონიულად — რეაქციულ გარსში"[41]. მას გამოთქმული აქვს რიგი ღრმა კრიტიკული შენიშვნები ბურჟუაზიულ თავისუფლებებსა და საკუთრებაზე[42].

უკვე მისი ერთი შენიშვნა — აღნიშნავს კ. მარქსი — მონტეს-კიეს წინააღმდეგ: „საკუთრება — აი რა არის კანონების სული" — „გვიჩვენებს მისი შეხედულების სიღრმეს"[43].

„ზედმეტი ღირებულების თეორიების („კაპიტალის" მეოთხე ტო-მის)" პირველი ნაწილის დ ა მ ა ტ ე ბ ე ბ ში კ. მარქსი გვაძლევს და-ხასიათებას ჰობსის, პეტის, ნორსის, ლოკის, ბერკლის, იუმის, მასის ეკონომიური შეხედულებებისა, გვიჩვენებს ჩანასახებს ღირე-ბულების შრომითი თეორიისა, მოძღვრებისა კაპიტალზე, სარგებ-

---

[39] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი I, თბ., 1966, გვ. 412.

[40] ი ბ ე ვ ე.

[41] ი ბ ე ვ ე, გვ. 414.

[42] ი ბ ე ვ ე, გვ. 514 (რედ.).

[43] ი ბ ე ვ ე, გვ. 415.

ელზე, მოგებაზე და რენტაზე. დამატებათა დასკვნით ნაწილში (11 და 12 პარაგრაფებში), კ. მარქსი აკრიტიკებს რა ყველა პროფესიის შრომის მწარმოებლობის ეპოლოგეტიკურ კონცეფციას, გვაძლევს კაპიტალიზმის დროს პროდუქტიული და არაპროდუქტიული შრომის არსის მეცნიერულ განსაზღვრას, საკუთარ შეხედულებათა შეჯამებას ამ საკითხზე. პროდუქტიულია მხოლოდ ისეთი ფორმა, — წერს კ. მარქსი, — რომელიც პირდაპირ გადაიქცევა კაპიტალად, ე. ი. მხოლოდ ისეთი შრომა, რომელიც ცვალებად კაპიტალს ცვალებად სიდიდედ ხდის, მთელ კაპიტალს K-ს კი უთანატოლებს

$$K+\Delta$$ [44].

ამრიგად, პროდუქტიული შრომა კაპიტალისტური წარმოების სისტემაში არის — წერს კ. მარქსი — ისეთი შრომა, რომელიც მისი გამომყენებლისათვის აწარმოებს ზედმეტ ღირებულებას, ანუ შრომა, რომელიც შრომის ობიექტურ პირობებს აქცევს კაპიტალად, მის მფლობელს კი კაპიტალისტად. ამიტომ როცა ჩვენ პროდუქტიულ შრომაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ ვლაპარაკობთ საზოგადოებრივად გარკვეულ შრომაზე, რომელიც შეიცავს გარკვეულ ურთიერთობას შრომის მყიდველსა და მის გამყიდველს შორის.

პროდუქტიული შრომა, — აღნიშნავს კ. მარქსი, არის შრომის ისეთი დახასიათება, რომელსაც უშუალოდ არა აქვს აბსოლუტურად არაფერი საერთო შრომის გარკვეულ შინაარსთან, მის განსაკუთრებულ სარგებლობასთან ან სპეციფიკურ სახმარ ღირებულებასთან, რომლითაც იგი გამოიხატება. ერთი და იგივე სახის შრომა შეიძლება იყოს როგორც პროდუქტიული, ისე არაპროდუქტიულიც[45].

მაგალითად, — წერს კ. მარქსი, — „მილტონი, რომელმაც „დაკარგული სამოთხე“ დაწერა და მასში 5 გირვ. სტერლ. მიიღო, ა რ ა-მ წ ა რ მ ო ე ბ ე ლ ი მ უ შ ა კ ი იყო. პირიქით, მწერალი, რომელიც თავის წიგნით მოვაჭრისათვის ფაბრიკულ ყაიდაზე მუშაობს, მ წ ა რ მ ო ე ბ ე ლ ი მ უ შ ა კ ი ა... მომღერალი ქალი, რომელიც თავის სიმღერას თავისი პასუხისმგებლობითა და რისკით ყიდის,

---

[44] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებელების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი I, თბ., 1966 გვ. 480, ბერძნული ასოს Δ, რომელიც მათემატიკაში ნაზრდის აღსანიშნავად გამოიყენება, კ. მარქსი ხმარობს აქ ზედმეტი ღირებულების აღსანიშნავად. შემდეგ ტექსტში იგი ამავე აზრით ხმარობს ლათინურ ასოს h (ი ქ ვ ე, გვ. 537, რედ.).

[45] ი ქ ვ ე, გვ. 460, 464, 491.

— ა რ ა მ წ ა რ მ ო ე ბ ე ლ ი მ უ შ ა კ ი ა. მაგრამ იგივე მომღერალი ქალი, მიწვეული ანტრეპრენიორის მიერ, რომელიც ფულის შოვნის მიზნით მას აიძულებს იმღეროს, — მ წ ა რ მ ო ე ბ ე ლ ი მ უ შ ა კ ი ა, რადგან იგი კაპიტალს აწარმოებს"[46].

ამასთან, — წერს კ. მარქსი, — კაპიტალისტური წარმოების ურთიერთობათა შესწავლისას შეიძლება დაეშვათ, რომ, საქონელთა მთელი სამყარო, მატერიალური სიმდიდრის წარმოების ყველა დარგი ექვემდებარება კაპიტალისტური წარმოების წესს. ამის თანახმად მწარმოებელი მუშებისათვის, ე. ი. მუშებისათვის, რომელნიც კაპიტალს აწარმოებენ, შეიძლება დამახასიათებლად მივიჩნიოთ ის გარემოება, რომ მათი შრომა საგნობრივდება საქონელში, მატერიალურ სიმდიდრეში. და ამრიგად, პროდუქტიული შრომა გარდა თავისი გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე დამახასიათებელი შრომისა, რომელიც სრულიად გულგრილია შრომის შინაარსის მიმართ, ამ შინაარსზე არ არის დამოკიდებული, გარდა ამ ნიშნისა, პროდუქტიული შრომა იძენს აღნიშნული ნიშნისაგან განსხვავებულ მეორე, დამატებითს დახასიათებას[47].

რაც შეეხება საქმის ვითარებას, დამოუკიდებელი ხელოსნებისა და გლეხების მიმართ, რომელთაც არა ჰყავთ დაქირავებული მუშები, ამ ურთიერთობას არაფერი აქვს საერთო კაპიტალის შრომაზე გაცვლასთან — წერს კ. მარქსი — მაშასადამე ამ ურთიერთობას არ მიუდგება განსხვავება პროდუქტიულ და არაპროდუქტიულ შრომას შორის, რომელიც ემყარება იმას, იცვლება შრომა ფულზე როგორც ასეთზე, თუ ფულზე, როგორც კაპიტალზე; ამიტომ გლეხებისა და ხელოსნების შრომა — აღნიშნავს კ. მარქსი — არ მიეკუთვნება არც პროდუქტიული შრომის კატეგორიას, არც არაპროდუქტიული შრომის კატეგორიას, თუმცა ისინი საქონელმწარმოებელნი არიან. მაგრამ ისინი ისეთი საქონელმწარმოებელნი არიან, რომელთა წარმოება არ ექვემდებარება კაპიტალისტურ წარმოების წესს.

ეკონომიური განვითარების პროცესში ხელოსანი და გლეხი, რომელიც თავისი საკუთარი წარმოების საშუალებებით აწარმოებს, ან თანდათან გადაიქცევა — შენიშნავს კ. მარქსი, — წვრილ კა-

---

[46] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 1, თბ., 1966, გვ. 491.

[47] ი ქ ვ ე, გვ. 503.

პიტალისტად, ანდა კარგავს თავის წარმოების საშუალებებს (რაც უფრო ხშირად ხდება, თუნდაც, რომ იგი დარჩეს წარმოების საშუალებათა ნომინალურ მესაკუთრედ, როგორც მაგალითად გლეხი იპოთეკური დავალიანების დროს) და გადაიქცევა დაქირავებულ მუშად. ასეთია განვითარების ტენდენცია იმ საზოგადოებაში, სადაც კაპიტალისტური წარმოების წესი ბატონობს[48].

აქვე კ. მარქსი იხილავს პროდუქტიული და არაპროდუქტიული შრომის პრობლემასთან დაკავშირებულ რიგ სხვა საკითხებს.

[48] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი I, თბ., 1966, გვ. 499, 500, 502.

§ 2. „ზედმეტი ღირებულების თეორიების“

(„კაპიტალის“ IV ტომის)

მეორე ნაწილის მოკლე შინაარსი

მეორე ნაწილში როდბერტუსის შეხედულებათა განხილვის შემდეგ მოცემულია უმთავრესად დ. რიკარდოს თეორიის, კლასიკური ბურჟუაზიულ-პოლიტიკური ეკონომიის კულმინაციური წერტილის, ანალიზი და კრიტიკა.

ეს ნაწილი შედგება ძირითადი ტექსტის თერთმეტი თავისაგან და ექვსი დამატებისაგან.

მერვე თავში (გადახვევა), რომლითაც იწყება „ზედმეტი ღირებულების თეორიების“ მეორე ნაწილი, კ. მარქსი დაწვრილებით კრიტიკულად განიხილავს გერმანელი ვულგარული ეკონომისტის ი. კ. რ ო დ ბ ე რ ტ უ ს ი ს მიწის რენტის თეორიას.

თავის მესამე „სოციალურ წერილში“ ფონ კირხმანისადმი (1851 წ.) როდბერტუსი შეეცადა განევითარებინა აბსოლუტური რენტის ცნება, რაც დ. რიკარდოს არ გააჩნდა, და რასაც კ. მარქსი თვლიდა მისი რენტის თეორიის ერთ-ერთ ძირითად ნაკლად[1].

კ. მარქსმა, ვიდრე იგი შეუდგებოდა მიწის რენტის რიკარდოსეული თეორიის განხილვას, მოგვცა როდბერტუსის ამ ცდის გაშლილი კრიტიკული ანალიზი. აქვე კ. მარქსი როდბერტუსის თეორიის კრიტიკული განხილვის დროს, და შემდეგ „ზედმეტი ღირებულების თეორიის“ მეორე ნაწილის რიგ ადგილას გვაძლევს რენტის საკუთარი თეორიის დასაბუთებას, რაც მნიშვნელოვნად ავსებს „კაპიტალის“ III ტომის მეექვსე განყოფილებას და გვიჩვენებს თუ როგორ ყალიბდებოდა კ. მარქსის რენტის თეორია. იგი გამოყენებული იქნა ვ. ი. ლენინის მიერ, რომელმაც ბრწყინვალედ განავი-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 2,თბ., 1968, გვ. 796.

თარა კ. მარქსის რენტის თეორიის. აგრარულ საკითხში რევიზიონიზმის კრიტიკისა და რსდმპ აგრარული პროგრამის დამუშავებისას. კ. მარქსი აკლენს, რომ როდბერტუსის მარცხი გამომდინარეობდა იმისგან, რომ აბსოლუტური რენტის თეორიის ამოსავალ პუნქტში, საკითხში ღირებულებისა და წარმოების ფასის თანაფარდობისა, როდბერტუსი იზიარებდა სმიტის და რიკარდოს შეხედულებას.

როდბერტუსი იცავდა უსაფუძვლო დებულებას მიწათმოქმედებაში ნედლი მასალის ღირებულების არარსებობის შესახებ. მისი აზრით — შენიშნავს კ. მარქსი — მიწათმოქმედებაში სრულიად არ მიიღება ანგარიშში ნედლი მასალა იმიტომ, რომ გერმანელი გლეხი, ირწმუნებოდა როდბერტუსი, არ თვლის თავისთვის დანახარჯად თესლს, საკვებს და ა. შ., არ შეაქვს გაანგარიშებაში ეს წარმოების ხარჯები, ე. ი. არასწორად ანგარიშობს. გამოდის რომ — შენიშნავს კ. მარქსი — ინგლისში, სადაც ფერმერი უკვე 150 წელზე მეტია სწორად ანგარიშობს, არავითარი მიწის რენტა არ უნდა არსებულიყო. მაშასადამე, — წერს კ. მარქსი — როდბერტუსს მართებდა აქედან გამოეტანა არა ის დასკვნა, რომ მოიჯარე რენტას იხდის იმიტომ, რომ მისი მოგების ნორმა უფრო მაღალია, ვიდრე მრეწველობაში, არამედ სულ სხვა: მოიჯარე რენტას იხდის იმიტომ, რომ, არასწორი გაანგარიშების შედეგად, იგი მოგების უფრო დაბალი ნორმით კმაყოფილდება. გაანგარიშების ამ შეცდომის გარეშე, რომელსაც არც ერთი კაპიტალისტი მოიჯარე არ დაუშვებს, შეუძლებელი იქნებოდა როდბერტუსისეული რენტა[2]. იგი შესაძლებელია „მხოლოდ იქ, ს ა დ ა ც ნედლი მასალა წარმოების ხარჯებში შედის, მაგრამ შეუძლებელია იქ, სადაც იგი ხარჯებში ა რ შ ე დ ი ს. იგი შესაძლებელია მხოლოდ იქ, სადაც ნედლი მასალა შედის წარმოებაში, მხოლოდ ა რ იანგარიშება მწარმოებლის მიერ. მაგრამ იგი შეუძლებელია იქ, ს ა დ ა ც ნედლი მასალა არ შედის წარმოებაში, — თუმცა ბ—ნ როდბერტუსს სურს გამოიყვანოს რენტა ა რ ა გ ა ა ნ გ ა რ ი შ ე ბ ა შ ი დ ა შ ვ ე ბ უ ლ ი

---

[2] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 47, 48, 50.

დოქტორ კენეს — შენიშნავს კ. მარქსი, რომელიც თვითონ მოიჯარის შვილი იყო და კარგად იცნობდა საფრანგეთის საიჯარო ურთიერთობას, როდბერტუსი არ მოეწონებოდა. კენე ხომ რუბრიკაში „ავანსები“, „ყოველწლიურ ავანსებში“, ერთ მილიარდად განსაზღვრავს იმ „ნედლი მასალის“ ღირებულებას, რომელსაც მოიჯარე იყენებს თავის მეურნეობაში, თუმცა მას იგი in natura კელავ-აწარმოებს“ (იქვე, გვ. 48).

შ ე ც დ ო მ ი დ ა ნ, არამედ აკანსად გაღებულ ხარჯებში ნამდვილად არსებული ხარჯების ერთ-ერთი მუხლის უ ა რ ყ ო ფ ი დ ა ნ"[3].

უკეთებს რა მოკლე რეზიუმეს როდბერტუსის აზრთა მსვლელობას, კ. მარქსი აღნიშნავს მისი რენტის თეორიის რიგ მცდარ წანამძღვარებს. მაგალითად, რადგან როდბერტუსი უკვე გულისხმობს მოგების ნორმას[4], ამიტომ მცდარი იყო მისი წანამძღვარი, — შენიშნავს კ. მარქსი — თითქოს საქონელთა გაცვლა მათი ღირებულების შესაბამისად ხდება.

ერთი წანამძღვარი გამორიცხავს შეორეს. საქონელთა ღირებულებანი, უკვე სახეშეცვლილი, საშუალო ფასებად[5] გარდაქმნილნი უნდა იყვნენ, რომ შესაძლო გახდეს მოგების ნორმის (საერთო ნორმის) ჩამოყალიბება. ამ საერთო ნორმაში ხდება წარმოების ყოველი სფეროს მოგების განსაკუთრებული ნორმების გათანაბრება; რატომ ამას ადგილი არა აქვს — წერს კ. მარქსი — მიწათმოქმედებაში? სწორედ ეს არის საკითხი, მაგრამ როდბერტუსს „საკითხიც კი არა აქვს სწორად დასმული, რადგან იგი ჯ ე რ ე რ თ ი ვარაუდობს, რომ მ ო გ ე ბ ი ს საერთო ნ ო რ მ ა უკვე არსებობს, მ ე ო რ ე, ვარაუდობს, რომ მოგების გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი ნორმები (მაშასადამე, სხვაობანიც მათ შორის) ა რ ა რ ი ა ნ გათანაბრებული, ე. ი. რომ საქონელთა გაცვლა ხდება მათი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ"[6].

მცდარი იყო აგრეთვე როდბერტუსის წანამძღვარი, რომ ნედლი მასალის ღირებულება არ შედის მიწათმოქმედებაში. სინამდვილეში კი — წერს კ. მარქსი — დანახარჯი თესლის და სხვა. სახით აქ მუდმივი კაპიტალის ნაწილია და ფერმერი მას ანგარიშობს როგორც ასეთს. იმდენად რამდენადაც მიწათმოქმედება უბრალოდ მეწარმეობის ერთ-ერთი დარგი ხდება და კაპიტალისტური წყობილება მყარდება სოფლად, იმდენად რამდენადაც იგი აწარმოებს ბაზრისათვის, აწარმოებს საქონელს — იგი ანგარიშობს თავის ხარჯებს, განიხილავს ამ ხარჯების ყოველ მუხლს როგორც საქონელს,

---

[3] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 50.

[4] რ ო დ ბ ე რ ტ უ ს ი მას „კაპიტალის მოგების განაკვეთს უწოდებდა", (იქვე, გვ. 68).

[5] ტერმინით „საშუალო ფასი" კ. მარქსი იმაევს გულისხმობს, რასაც ტერმინით „წარმოების ფასი", ე. ი. წარმოების ხარჯები პლუს საშუალო მოგება (იქვე, გვ. 796, რედ.).

[6] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 68.

იმისდა მიუხედავად თავის თავისაგან (თავის წარმოებაში) ყიდულობს ამ საგანს თუ მესამე პირისაგან.

რამდენადაც პროდუქტები საქონლად იქცევიან, აგრეთვე საქონლად იქცევიან წარმოების ელემენტებიც; მაშასადამე, — შენიშნავს კ. მარქსი — რადგან ხორბალი, თივა, პირუტყვი, თესლი და ა. შ. იყიდება როგორც საქონელი, ამიტომ წარმოებაშიც ისინი საქონლის სახით შედიან და „ფერმერი სულ მთლად სულელი იქნებოდა, თუ ვერ გამოიყენებდა ფულს, როგორც საანგარიშო ფულს... მაშასადამე მცდარია შეხედულება, თითქოს აქ მრეწველობაში კაპიტალის ისეთი ნაწილი შედიოდეს, რომელიც მიწათმოქმედებაში არ შედის“[7].

წარმოების ყველა დარგში ადგილი აქვს კვლავწარმოებას, მაგრამ წარმოებასთან დაკავშირებული ეს კვლავწარმოება ემთხვევა ბუნებრივ კვლავწარმოებას მხოლოდ მიწათმოქმედებაში და არა მოპოვებით მრეწველობაში. თუ როდბერტუსი ფიქრობს — წერს კ. მარქსი — რომ მიწათმოქმედების პროდუქტი „არ შეიძლება შედიოდეს კვლავწარმოებაში როგორც „ს ა ქ ო ნ ე ლ ი“ — იმ თავისებური ფორმის გამო, რომლითაც იგი (ტექნოლოგიურად) შედის მასში „ს ა ხ მ ა რ ი ღ ი რ ებ უ ლ ებ ი ს“ სახით, — მაშინ იგი სრულიად მცდარ გზას ადგია და, ცხადია ემყარება იმ დროის მოგონებას, როცა მიწათმოქმედება ჯერ კიდევ არ წარმოადგენდა კაპიტალისტური საქმიანობის დარგს... ეს არის სრული გაუგებლობა იმ გავლენისა, რასაც კაპიტალისტური წარმოების წესი მთელი წარმოების პროცესზე ახდენს. კაპიტალისტური წარმოებისათვის ყოველი პროდუქტი, რომელსაც ღირებულება აქვს — რომელიც, მაშასადამე an sich ს ა ქ ო ნ ე ლ ი ა, — იანგარიშება აგრეთვე როგორც საქონელი“[8].

შემდეგ კ. მარქსი უჩვენებს, რომ როდბერტუსს არ ესმოდა თანაფარდობა საშუალო ფასსა და ღირებულებას შორის მრეწველობასა და მიწათმოქმედებაში. როდბერტუსმა არ იცის — შენიშნავს კ. მარქსი — „რა არის მოგების ნორმა (საერთო) და რა არის საშუალო ფასი“[9], რის შემდეგაც კ. მარქსი გვაძლევს საშუალო ფასების კანონის არსის გარკვევას.

---

[7] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 68, 69.

[8] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 72, 73, 74 (an sich — „თავისთავად“ შესაძლებლობაში, პოტენციურად რედ.).

[9] ი ქ ვ ე, გვ. 77.

როდბერტუსს არ ესმოდა, თუ რატომ უნდა იყიდებოდეს სოფლის მეურნეობაში საქონელი თავისი ღირებულების და არა საშუალო ფასის მიხედვით.

საქონლის საშუალო ფასი, — წერს კ. მარქსი — უდრის მისი წარმოების ხარჯებს პლუს საშუალო მოგება; თუ არსებობს ისეთი საქონელი, რომელიც თავისი ღირებულების მიხედვით იყიდება, თუმცა მისი ღირებულება უფრო მეტია ვიდრე საშუალო ფასი, მაშინ აქ უნდა მოქმედებდნენ განსაკუთრებული პირობები, რომლებიც ამ საქონელს განსაკუთრებულ მდგომარეობას უქმნიან; ამ შემთხვევაში — შენიშნავს კ. მარქსი, — წარმოების ასეთ სფეროებში რეალიზებული მოგება მოგების საერთო ნორმაზე უფრო მაღალია და თუ კაპიტალისტი აქ მოგების საერთო ნორმას იღებს, მაშინ მიწის მესაკუთრეს შეუძლია მიიღოს დამატებითი მოგება მიწის რენტის ფორმით[10].

კ. მარქსი ავლენს აგრეთვე როდბერტუსის შეცდომებს მოგების ნორმისა და მიწის რენტის ნორმის განმსაზღვრელი ფაქტორებისა და რიგ სხვა საკითხში. როდბერტუსს როგორც აღნიშნავს კ. მარქსი — „მასალის ღირებულების“ თავისი კონცეფციის გამო, მიწის რენტა გააზრებული აქვს მარადიულად, კაპიტალისტური წარმოების მარადიულ ბუნებაში მოცემული. „ჩვენი გაგებით, მიწის რენტა არის კაპიტალის ორგანულ შემადგენელ ნაწილებს შორის არსებული თანაფარდობის ი ს ტ ო რ ი უ ლ ი ს ხ ვ ა ო ბ ი ს შედეგი, სხვაობისა, რომელიც შეიძლება ნაწილობრივ გათანაბრდეს და კიდევ მეტი — მიწათმოქმედების განვითარებასთან ერთად სავსებით გაქრეს კიდეც... სხვაობა, რამდენადაც მას მხოლოდ ნიადაგის ბუნებრივ ნაყოფიერებაში მოცემული განსხვავება წარმოშობს, რჩება მაშინაც კი, თუ ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ი რენტა მოიხსენებოდა. მაგრამ — თუ სრულიად მხედველობის გარეშე დავტოვებთ ბუნებრივ სხვაობათა შესაძლებელ გათანაბრებას — ეს დ ი ფ ე რ ე ნ ც ი უ ლ ი რ ე ნ ტ ა დაკავშირებულია საბაზრო ფასის რეგულირებასთან და, მაშასადამე, ფასთან და კაპიტალისტურ წარმოებასთან ერთად ქრება. ძალაში დარჩებოდა მხოლოდ ის გარემოება, რომ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი შ რ ო მ ა სხვადასხვა ნ ა ყ ო ფ ი ე რ ე ბ ი ს ნ ი ა დ ა გ ს ა მ უ შ ა ვ ე ბ ს, ამასთან, მიუხედავად გამოყენებული შრომის რაოდენობის სხვადასხვაობისა, ეს შრომა შეიძლება უფრო ნაყოფიერი გახდეს ყველა ნიადაგზე“[11].

---

[10] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 82, 83.

[11] ი ქ ვ ე, გვ. 132.

საერთოდ უნდა ვაღიაროთ, — წერს კ. მარქსი — რომ პრიმიტიული, კაპიტალიზმამდელი წარმოების წესის პირობებში მიწათმოქმედება უფრო მეტი მწარმოებლობისაა, ვიდრე მრეწველობა, რადგან აქ ადამიანის მუშაობაში მონაწილეობს ბუნება, როგორც მანქანა და ორგანიზმი, მაშინ როდესაც მრეწველობაში ბუნების ძალები ჯერ კიდევ თითქმის მთლიანად შენაცვლებულია ადამიანის ძალით.

კაპიტალისტური წარმოების აღმავალი განვითარების პერიოდში მწარმოებლობის განვითარება მრეწველობაში, მიწათმოქმედებასთან შედარებით ძლიერ სწრაფად მიმდინარეობს. შემდეგში მწარმოებლობა იზრდება მრეწველობაშიც და მიწათმოქმედებაშიც, თუმცა არათანაბარი ტემპით [12].

მაგრამ, — შენიშნავს აქვე კ. მარქსი — მრეწველობის განვითარების გარკვეულ საფეხურზე „ამ დისპროპორციამ უნდა დაიწყოს შემცირება, ე. ი. მიწათმოქმედების მწარმოებლობა შეფარდებით უფრო სწრაფად უნდა დიდდებოდეს, ვიდრე მრეწველობის მწარმოებლობა. ამისათვის საჭიროა: 1) უქნარა ფერმერის შეცვლა მრეწველით, სოფლის მეურნეობის კაპიტალისტით, მიწათმოქმედთა გადაქცევა წმინდა დაქირავებულ მუშებად, მიწათმოქმედების წარმართვა დიდი მასშტაბით, ე. ი. კონცენტრირებული კაპიტალების მეშვეობით; 2) განსაკუთრებით კი შემდეგი: მსხვილი მრეწველობის ნამდვილ მეცნიერულ საფუძველს შეადგენს მექანიკა, რომელმაც XVIII საუკუნეში რამდენადმე მიაღწია თავის მწვერვალს. მხოლოდ XIX საუკუნეში, განსაკუთრებით მის მერმინდელ ათწლეულებში[13], ვითარდება მეცნიერებანი, რომლებიც უშუალოდ სპეციალურ საფუძველს წარმოადგენენ მიწათმოქმედებისათვის უფრო მეტად, ვიდრე მრეწველობისათვის — ქიმია, გეოლოგია და ფიზიოლოგია“[14].

აქედან ჩანს კ. მარქსის გენიალური წინასწარგანჭვრეტა თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის გაელენის შესახებ მიწათმოქმედების შემდგომ განვითარებაზე.

მეორე „გადახვევა“, თავი მეცხრე, წარმოადგენს დიფერენციულ რენტაზე შეხედულებათა განვითარების ისტორიულ ნარკვევს

---

[12] კ. მარქსი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 2, თბ., 1966, გვ. 138.

[13] ე. ი. 40-იან და 50-იან წლებში (რედ. იქვე, გვ. 139).

[14] კ. მარქსი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 138, 139.

ანდერსონიდან, რომელსაც ეკუთვნის დიფერენციული რენტის აღმოჩენა დ. რიკარდომდე.

კ. მარქსი ჯერ კრიტიკულად განიხილავს პრაქტიკოს-მოიჯარის ჯ. ა ნ დ ე რ ს ო ნ ი ს დიფერენციული რენტის თეორიას, და შემდეგ გადადის მალთუსზე, რომელიც მისი თეორიის პლაგიატორი იყო.

ანდერსონის პირველი თხზულება, — აღნიშნავს კ. მარქსი, — რომელშიც გაკვრით არის განხილული რენტის ბუნება, გამოქვეყნდა 1777 წელს. ანდერსონი ამ ნაშრომში რენტას განიხილავს მხოლოდ სხვა საკითხთან დაკავშირებით და არა ex professio[15]. ასევე გაკვრით ეხება იგი ამ თავის თეორიას ერთ თუ ორ ნარკვევში, რომლებიც თვითონ მან გამოსცა ნარკვევთა სამტომიან კრებულად (1775—1796 წწ.)[16]. ეს შრომები უშუალოდ განკუთვნილი იყო მოიჯარეებისა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისათვის; ანდერსონს, — შენიშნავს კ. მარქსი — წარმოდგენა რომ ჰქონოდა მის მიერ მოხდენილი აღმოჩენის მნიშვნელობაზე და იგი წარედგინა ცალკე, ანდა მას „მინიმალური ოდენობით ჰქონოდა იმის უნარი, რომ საკუთარი იდეებით ისეთივე წარმატებით ევაჭრნა, როგორც მისი თანამემამულე მაკ-კულოხი სხვისი იდეებით ვაჭრობდა, — მაშინ საქმის ვითარება სხვაგვარი იქნებოდა“ [17].

რენტის სწორი გაგებისას, უწინარეს ყოვლისა, — წერს კ. მარქსი — უნდა წარმოშობილიყო ის აზრი, რომ რენტა გამომდინარეობს არა ნიადაგიდან, არამედ მიწათმოქმედების პროდუქტიდან, ე. ი. შრომიდან, შრომის პროდუქტის ფასიდან, — მიწათმოქმედების პროდუქტის ღირებულებიდან, მიწაზე გამოყენებული შრომიდან და არა თვით მიწიდან, და ამას მართებულად ხაზს უსვამდა ანდერსონი. მაგრამ იგი ღირებულებას არასწორად განმარტავდა, არ ესმოდა ის.

ის, რასაც ანდერსონი — აღნიშნავს კ. მარქსი — აქ „მთელი პროდუქტის „ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ს“ უწოდებს, მის წარმოდგენაში, აშკარაა, სხვა არაფერია, თუ არა ს ა ბ ა ზ რ ო ფ ა ს ი, რომლის კვალობაზე პროდუქტი იყიდება, სულ ერთია ეს პროდუქტი საუკეთესო ნიადაგზე მოიყვანება თუ უცუდესზე“[18]. ანდერსონის რენტის თეორიის მთავარი ნაკლი მდგომარეობდა იმაში, რომ იგი გამოდიოდა

---

[15] სპეციალურად (რედ. იქვე, გვ. 143).

[16] იგივე ითქმის 1799—1802 წწ. გამოცემულ თხზულებაზე (იქვე, გვ. 143, 144).

[17] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 143, 144.

[18] ი ქ ვ ე, გვ. 187, 188.

არა ღირებულებიდან, არამედ მოთხოვნა-მიწოდებიდან. ანდერსონთან „რენტა უდრის პროდუქტის ს ა ბ ა ზ რ ო ფ ა ს ი ს გადანამეტს მის ს ა შ უ ა ლ ო ფ ა ს ზ ე (ღირებულების თეორია ჯერ კიდევ სრულიად არ აწუხებს ანდერსონს)“[19].

კ. მარქსი ანდერსონის რენტის თეორიის გამოკვლევის შემდეგ გვიჩვენებს, იმას, თუ როგორ აყალიბებდა მიწის რენტის საკუთარ თეორიას უკვე ღირებულების თეორიის საფუძველზე დ. რიკარდო, ავითარებდა რა ანდერსონის დიფერენციული რენტის ღირებულებებს. მან, თავისი სიტყვებით, ანდერსონის მოძღვრება რენტაზე — აღნიშნავს კ. მარქსი — გახადა ერთ-ერთ მნიშვნელოვან რგოლად პოლიტიკური ეკონომიის საერთო სისტემაში და მიანიჭა მას სრულიად ახალი თეორიული მნიშვნელობა. დ. რიკარდო თვითონ არ იცნობდა ანდერსონის ნაშრომებს, მაგრამ მის მიერ წამოყენებულ რენტის თეორიას გაეცნო მალთუსისა და უესტის წიგნების მეშვეობით. უესტიც ასევე ალბათ იცნობდა ანდერსონს, რაც შეეხება მალთუსს, იგი იცნობდა ანდერსონს და სარგებლობდა მისი ნაწერებით. იგი, კ. მარქსის სიტყვებით, „პროფესიული პლაგიატორი“ იყო და მას „აზრის დიდი უხამსობა“ ახასიათებდა. მალთუსმა ისარგებლა ანდერსონისეული რენტის თეორიით „ეგრეთწოდებული ხალხთმოსახლეობის კანონის“ დასაბუთებისათვის, თუმცა თვით ანდერსონი არა თუ არ უკავშირებდა თავის რენტის თეორიას ამ „ხალხთმოსახლეობის კანონს“, არამედ იგი მოსახლეობის თეორიის (მალთუსისეულის) „სასტიკი მტერი იყო“ და მთელი გარკვეულობით ხაზს უსვამდა იმას, რომ მიწას გაუმჯობესების მზარდი და მუდმივი უნარი აქვს[20]. ანდერსონი „ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ არა მარტო ყ ვ ე ლ ა კატეგორიის ნიადაგის აბსოლუტური ნაყოფიერება შეიძლება დიდდებოდეს მუდამ და მოსახლეობის ზრდასთან ერთად უნდა დიდდებოდეს კიდეც, არამედ უფრო შორს მიდიოდა და ამტკიცებდა, რომ სხვადასხვა კატეგორიის ნიადაგის ნაყოფიერების უ ტ ო ლ ო ბ ა შეიძლება სულ უფრო და უფრო გ ა თ ა ნ ა ბ რ დ ე ს ო“.[21]

მალთუსთან დაპირისპირებით კ. მარქსი აღნიშნავს დ. რიკარდოს მეცნიერულ კეთილსინდისიერებას. მისთვის საწარმოო ძალების განვითარების მოთხოვნა ეკონომიური მოვლენების შეფასებაში ძირითად პრინციპს წარმოადგენდა.

---

[19] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 188.

[20] ი ქ ვ ე, გვ. 144, 145, 186.

[21] ი ქ ვ ე, გვ. 146.

რიკარდო. — წერს კ. მარქსი — კაპიტალისტური წარმოების წესს განიხილავს, როგორც საერთოდ წარმოებისათვის ყველაზე ხელსაყრელს, სიმდიდრის შესაქმნელად ყველაზე ხელსაყრელს და რიკარდო „სავსებით მართალია თავისი ეპოქისათვის. მას სურს წ ა რ მ ო ე ბ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ს ა თ ვ ი ს და იგი სავსებით მ ა რ თ ა ლ ი ა“[22]. დ. რიკარდოს პირდაპირობა მისი პოზიციებისათვის იყო, — შენიშნავს კ. მარქსი — მაშასადამე, არა მარტო მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ა დ პ ა ტ ი ო ს ა ნ ი, არამედ მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ა დ ს ა ვ ა ლ დ ე ბ უ ლ ო ც...

თუ რიკარდოს თვალსაზრისი შეეფარდება კიდეც საერთოდ ს ა მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ უ რ ჟ უ ა ზ ი ი ს ინტერესებს, ეს მხოლოდ ი მ ი ტ ო მ რომ მისი ინტერესები ემთხვევა — და მხოლოდ ი მ დ ე ნ ა დ. რამდენადაც ემთხვევა, — წარმოების ინტერესებს, ანდა ადამიანის შრომის ნაყოფიერების განვითარების ინტერესებს“[23]. მალთუსი კი „ეს არამზადა უკვე მეცნიერების მიერ შოპოვებული (და ყოველთვის მის მიერ მ ო პ ა რ უ ლ ი) წანამძღვრებიდან ისეთ დასკვნებს აკეთებს, რომლებიც „ს ა ს ი ა მ ო ვ ნ ო ა“ (სასარგებლო) არისტოკრატიისათვის ბურჟუაზიის წინააღმდეგ და ორივესათვის — პროლეტარიატის წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ. ამიტომ მას სურს არა წ ა რ მ ო ე ბ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ს ა თ ვ ი ს, არამედ მხოლოდ წარმოება იმდენად, რამდენადაც იგი ინახავს ან განამტკიცებს ა რ ს ე ბ უ ლ წ ყ ო ბ ი ლ ე ბ ა ს და ხელსაყრელია გაბატონებული კლასებისათვის“[24].

რაც შეეხება დ. რიკარდოს რენტის თეორიის როდბერტუსისეულ კრიტიკას, კ. მარქსი ავლენს მის უსაფუძვლობას, აღნიშნავს როდბერტუსის მიერ კაპიტალისტური სოფლის მეურნეობის თავისებურებათა გაუგებლობას. როდბერტუსი ჯერ კიდევ მეტისმეტად — შენიშნავს კ. მარქსი — „ძველი პრუსიული ყაიდის“ „მემამულე“ იყო, რომ გაეგო რენტაზე რიკარდოს დებულებანი. ყოველივე ეს გასაგები და ნათელი ხდება მხოლოდ მაშინ, როცა კაპიტალისტი მიწათმოქმედებას ეუფლება და ყველგან, როგორც ამას მეტწილად ინგლისში აქვს ადგილი, მიწათმოქმედების ხელმძღვანელი ხდება. დ. რიკარდოს მთელ კონცეფციას აზრი აქვს მხოლოდ იმ წანამძღვრების პირობებში, თუ გაბატონებულია კაპიტალისტური წარმოების წესი. მაშასადამე, არ შეიძლება, — აღნიშნავს კ. მარქ-

---

[22] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 148.

[23] ი ქ ვ ე, გვ. 149.

[24] ი ქ ვ ე, გვ. 149, 150.

სი — როგორც ამას აკეთებდა როდბერტუსი, შემოვიტახოთ აქ გლეხური მეურნეობა, რომელიც არ იცნობს კაპიტალისტურ ბუღალტერიას და ამიტომ თესლს და ა. შ. არ მიათვლის ავანსად გაღებულ კაპიტალს. იმისათვის, — შენიშნავს კ. მარქსი — რომ რიგ საკითხში როდბერტუსს რიკარდოს კონცეფცია გაეგო იგი „უნდა ყოფილიყო ინგლისელი და არა პომერანელი მემამულე" და სცოდნოდა სათემო მიწების და ცარიელი ადგილების შემოღობვის ისტორია. როდბერტუსის მიერ რიკარდოს წინააღმდეგ „წაყენებულ საწინააღმდეგო მოსაზრებათა მეტად მნიშვნელოვანი ნაწილი იქიდან გამომდინარეობს, რომ როდბერტუსი გულუბრყვილოდ აიგივებს „პომერანულ" და „ინგლისურ" წარმოებით ურთიერთობებს"[25].

ამავე მეცხრე თავში კ. მარქსი ამხელს მიწის რენტაზე შეხედულებათა განვითარების ისტორიის დამახინჯებას გერმანელი ვულგარული ეკონომისტის როშერის მიერ.

თუ მე მოვინდომებდი — აღნიშნავს კ. მარქსი — დაწერილებით გამეშუქებინა ისტორიის ყველა უხეში დამახინჯება, რომელთაც ადგილი აქვთ „ვილჰელმ თუკიდიდესთან"[26] მის ისტორიულ-ლიტერატურულ შენიშვნებში, „მაშინ მე უნდა დამეწერა ისეთივე დიდტანიანი შრომა, როგორიც არის მისი „Grundlagen"[27] და ასეთი შრომა, ჭეშმარიტად „არ ეღირებოდა იმ ქაღალდად, რომელზეც ის დაიწერებოდა"[28]. თუ როგორი მავნე ზეგავლენა შეუძლია მოახდინოს „ერთმე ვილჰელმ თუკიდიდეს მეცნიერულმა უვიცობამ", მეცნიერების სხვა დარგებში მომუშავე მკვლევრებზე, — ამის მაჩვენებლად კ. მარქსს მოჰყავს ა. ბასტიანის მაგალითი; მის შესახებ, — სხვათა შორის, არ შეიძლება ითქვას: „materiam superabat opus"[29].

---

[25] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 197, 201, 202, 204.

[26] კ. მ ა რ ქ ს ი როშერს უწოდებდა უდიდესი ძველი ბერძენი ისტორიკოსის თუკიდიდეს სახელს, იმიტომ, რომ კ. მარქსის სიტყვებით „ბატონმა პროფესორმა როშერმა მორიდებულად თავისი თავი პოლიტიკური ეკონომიის თუკიდიდედ გამოაცხადა", ამრიგად, სახელწოდება „თუკიდიდე როშერი" უაღრესად ირონიული ხასიათისაა (კ. მარქსი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 2, თბ,. 1968, რედ. გვ. 803).

[27] მხედველობაშია ვ. როშერის წიგნი: „სახალხო მეურნეობის სისტემა. ტომი I: პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლები". მესამე გამოცემა, 1858 წ. იქვე, რედ. გვ. 831).

[28] ი ქ ვ ე, გვ. 156, 157.

[29] — „მასალას გადააჭარბა ოსტატობამ" (ოვიდიუსი, „მეტამორფოზები"), (კ. მარქსი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 157, რედ.).

პირიქით. „Opus“[30] აქ ვერ ართმევს თავს — შენიშნავს კ. მარქსი — საკუთარ ნედლ მასალას[31]. იმედი მაქვს „მე არ მისაყვედურებენ“ — წერს კ. მარქსი — „ულმობელობას“ „ვილჰელმ თუკიდიდეს“ მიმართ. „ულმობელობით“ ექცევა ეს „სკოლის პედანტი“ თვით მეცნიერებას. „იმის შესახებ, რომ მას „სრულიად არ მოეპოვება ჰეშმარიტება“. მე შემიძლია ვილაპარაკო... ისეთივე უფლებით, როგორც იგი ბედავს თავმომწონე — მოწყალებითი ტონით ილაპარაკოს რიკარდოს „ნახევარჭეშმარიტებათა“ შესახებ. ამასთან „ვილჰელმ თუკიდიდე“ სულაც არ არის „კეთილსინდისიერი“, როცა იგი საგნის ლიტერატურას ასახელებს. ვინც „არარესპექტაბელურია“, ის მისთვის ისტორიულადაც არ არსებობს“[32].

ამ გადახვევათა შემდეგ მეათე თავში კ. მარქსი გადადის დ. რ ი კ ა რ დ ო ს თეორიის ყოველმხრივ ანალიზზე, რაც იწყება რიკარდოს ღირებულების თეორიის განხილვით. დ. რიკარდოს ღირებულების თეორიის წინასწარი განხილვის გარეშე შეუძლებელი იყო მისი რენტის თეორიის გაგება, რომელიც დ. რიკარდოს მოძღვრებაში დიდ როლს თამაშობდა, და რომლის ერთ-ერთ ძირითად წანამძღვარს წარმოადგენდა ღირებულებისა და წარმოების ფასის, ანუ „ხარჯთფასის“[33] გაიგივების მცდარი დებულება.

კ. მარქსი იკვლევს დ. რიკარდოს შეხედულებებს მოგებაზე, მოგების ნორმაზე და საშუალო ფასზე.

კ. მარქსი აქ ჯერ ახასიათებს ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კლასიკოსების (სმიტის და რიკარდოს) კვლევის მეთოდს, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მათი თეორიის, მისი დადებითი მხარეებისა და შეცდომების სწორად გაგებისათვის.

ა. სმიტის მეთოდის დახასიათებისას კ. მარქსი აღნიშნავს, რომ მის სისტემაში პოლიტიკური ეკონომია განვითარდა გარკვეულ ერთიანობად, დარგმა, რომელიც მან მოგვცა, ერთგვარად დასრულებული მოხაზულობა მიიღო. თვით სმიტი მუდმივ წინააღმდეგობაში ტრიალებს. ერთი მხრივ იგი — წერს კ. მარქსი — იკვლევს ეკონომიურ კატეგორიათა შინაგან კავშირს, ბურჟუაზიულ-ეკონომიური სისტემის ფარულ სტრუქტურას, იქრება, ასე ვთქვათ, მის

---

[30] ავტორის „ოსტატობა“, (რედ. იქვე. გვ. 157).

[31] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 157.

[32] ი ქ ვ ე. გვ. 157.

[33] „ზედმეტი ღირებულების თეორიების“ II ნაწილში ტერმინს „ხარჯთფასი“ („Kostenpreis“ ანუ „Kostpreis“) კ. მარქსი ხმარობს წარმოების ფასის, ანუ „საშუალო ფასის“ (c+v+ საშუალო მოგება) აზრით. (იქვე, გვ. 804, რედ.).

ფიზიოლოგიაში, მეორე მხრივ იგი ამის კვერდით აყენებს კავშირს, როგორც ეს მოცემულია გარეგნულად კონკურენციის მოვლენებში, მხოლოდ აგვიწერს, აკატალოგებს და ცნებათა სქემატურ განსაზღვრებებში ათავსებს იმას, რაც გარეგნულად ვლინდება სასიცოცხლო პროცესში. სმიტის სისტემაში გაგების ეს ორივე წესი — შენიშნავს კ. მარქსი — არა მარტო მშვიდად თავსდება ერთიმეორის გვერდით, არამედ ისინი ერთმანეთს გადაეხლართვიან და მუდამ ერთიმეორეს ეწინააღმდეგებიან. ამიტომ სმიტის მემკვიდრეებს, რამდენადაც მათი შეხედულებანი არ წარმოადგენენ რეაქციას მის წინააღმდეგ, შეეძლოთ განეხილათ ა. სმიტი, როგორც თავიანთი საფუძველი, იმისდა მიუხედავად, მისი ნაწარმოების ეზოთერულ ნაწილს ემხრობიან ისინი თუ ეგზოთერულ ნაწილს თუ, ორივეს ერთმანეთში ურევენ[34].

კ. მარქსი მაღალ შეფასებას აძლევ დ. რიკარდოს მეცნიერულ დამსახურებას. მისი კვლევის მეთოდს, და ამასთანავე აღნიშნავს მის მეცნიერულ ნაკლსა და მცდარ დასკვნებს.

როგორც კ. მარქსი აღნიშნავს რიკარდოს მეთოდის შესახებ, იგი გამოდის სამუშაო დროით საქონლის ღირებულების სიდიდის განსაზღვრიდან და შემდეგ იკვლევს, ეწინააღმდეგება თუ არა სხვა ეკონომიური კატეგორიები ამ განსაზღვრას, ან იწვევენ თუ არა მის მოდიფიკაციას. აქ ნათელია ამ მეთოდის როგორც ისტორიული მართებულობა, ისე მისი ნაკლიც, რასაც მცდარ დასკვნამდე მივყავართ, რადგან იგი შუალედურ რგოლებს გადაახტება და უშუალო გზით ცდილობს დაამტკიცოს ეკონომიურ კატეგორიათა ურთიერთდამთხვევა[35].

---

[34] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 214. 215.

[35] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)" ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 214.

კ. მ ა რ ქ ს ი ამის შესახებ შემდეგნაირად წერს: „Die Methode Ri [cardo] s besteht nun darin: Er geht aus von der Bestimmung der Wertgröße der Ware durch die Arbeitszeit und u n t e r s u c h t dann, ob die übrigen ökonomischen Verhältnisse, Kategorien, dieser Bestimmung des Wertes w i d e r s p r e c h e n oder wie weit sie dieselbe modifizieren. Man sieht auf den ersten Blick sowohl die historische Berechtigung dieser Verfahrungsart, ihre wissenschaftliche Notwendigkeit in der Geschichte der Ökonomie, aber zugleich auch ihre wissenschaftliche Unzulänglichkeit, eine Unzulänglichkeit, die sich nicht nur in der Darstellungsart (formell) zeigt, sondern zu irrigen Resultaten führt, weil sie

ამოსავალი წერტილი ბურჟუაზიული სისტემის ფიზიოლოგიისათვის, მისი სასიცოცხლო პროცესის გაგებისათვის, წერს კ. მარქსი — არის ღირებულების განსაზღვრა სამუშაო დროით. სწორედ აქედან გამოდის დ. რიკარდო და აიძულებს მეცნიერებას მიატოვოს ძველი რუტინა და ნათლად წარმოიდგინოს, თუ რამდენად შეეფერება ან ეწინააღმდეგება ამ საფუძველს, ამ ამოსავალ წერტილს მის მიერ განვითარებული და წამოყენებული დანარჩენი კატეგორიები. დ. რიკარდო ამავე დროს — აღნიშნავს კ. მარქსი — ამჟღავნებდა, აფორმულებდა კლასთა ეკონომიურ დაპირისპირებულობას, როგორც ამას გვიჩვენებდა შინაგანი კავშირი, რის შედეგად პოლიტიკურმა ეკონომიამ ცხადყო ბრძოლისა და განვითარების ისტორიული პროცესის ფესვები[36].

ამრიგად, კ. მარქსი აღნიშნავს დ. რიკარდოს მეთოდის მეც-

---

notwendige Mittelglieder überspringt und in unmittelbarer Weise die Kongruenz der ökonomischen Kategorien untereinander nachzuweisen sucht".

Karl Marx, Theorien über den Mehrwert (Vierter Band des „Kapitals"), zweiter Teil, achtes bis achtzehntes Kapitel.

Karl Marx, Friedrich Engels, Werke, Band 26, zweiter Teil, Berlin, 1974, S. 161—162.

[36] კ. მარქსი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 215, 216.

განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევს კ. მარქსი დ. რიკარდოს წიგნის („პოლიტიკური ეკონომიისა და საგადასახადო დაბეგვრის საფუძვლების შესახებ") პირველ ორ თავს („ღირებულებაზე" და „რენტაზე").

დ. რიკარდოს მთელი ნაწარმოები — წერს კ. მარქსი—„მოთავსებულია მის პირველ ორ თავში. აქ განვითარებული ბურჟუაზიული წარმოებითი ურთიერთობანი, მაშასადამე... კატეგორიებიც პოლიტიკური ეკონომიის, შეპირისპირებულია მათს პრინციპთან, ღირებულების განსაზღვრასთან... რიკარდოს წიგნის ეს ორი თავი შეიცავს აღრინდელი პოლიტიკური ეკონომიის მთელ რიკარდოსეულ კრიტიკას, კატეგორიულად კავშირის გაწყვეტას ეზოტერიულსა და ეგზოტერიულ წესს შორის არსებულ იმ წინააღმდეგობასთან, რაც ა. სმიტისათვისაა დამახასიათებელი... და ამ კრიტიკის მეოხებით ეს ორი თავი ამასთანავე... ახალ და გაოცარ შედეგებს იძლევა. აქედან წარმოდგება ის დიდი თეორიული სიამოვნება, რასაც ეს ორი პირველი თავი გვგვრის, რადგან ისინი მოკლედ და სხარტად იძლევიან... ძველ წარმოდგენათა კრიტიკას და გვიხატავენ მთელ ბურჟუაზიულ ეკონომიურ სისტემას როგორც ერთი ძირითადი კანონისადმი დაქვემდებარებულს... მაგრამ ის თეორიული სიამოვნება, რასაც ეს ორი პირველი თავი გვგვრის თავისი ორიგინალობით, ძირითადი შეხედულების ერთიანობით, გადმოცემის სისადავით, კონცენტრაციით, სიღრმით, სიახლითა და გადმოცემის სისხარტითა და სიმოკლით, აუცილებლად ქრება წიგნის შემდგომი კითხვისას". (იქვე, გვ. 219, 220).

ნიერულ შეზღუდულობას და ხაკლს. თუ ერთი მხრივ შეიმჩნევა „მეცნიერული მართებულობა და დიდი ისტორიული მნიშვნელობა გამოკვლევის რიკარდოსეული წესისა, მეორე მხრივ ნათელია აგრეთვე მისი მეცნიერული ნაკლიც“[37]. ამ ნაკლს გამოხატავდა დ. რიკარდოს მთავარი მეცნიერული ნაშრომის არქიტექტონიკაც. „აქედან წარმოდგება — შენიშნავს კ. მარქსი — მისი ნაწარმოების უაღრესად უცნაური და აუცილებლად უკუღმართი არქიტექტონიკა“, რაც „გამოხატავს თვით ამ გამოკვლევის წესის მეცნიერულ ნაკლს“[38].

ბურჟუაზიული პოლიტეკონომიის კლასიკოსების მეთოდის ყოველმხრივი განხილვის შემდეგ კ. მარქსი გადადის დ. რიკარდოს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს თეორიის გარჩევაზე; მის შეხედულებებს იგი უპირისპირებს ღირებულების საკუთარ გაგებას.

კ. მარქსი აღნიშნავს, რომ დ. რიკარდო ურევდა ერთმანეთში „ღირებულების“ სხვადასხვა მნიშვნელობას, რამაც საბაბი მისცა მის კრიტიკოსებს, კერძოდ ბეილის, არა სწორად განემარტათ მისი ღირებულების თეორია. ამას ემყარება — წერს კ. მარქსი — ბეილის კრიტიკა რიკარდოს თეორიისა და ამასთანავე ამაშია ღირებულების რიკარდოსეული გაგების ნაკლოვანებანი. იგი არ იძლევა ღირებულების განმსაზღვრელი „შრომის“ ხასიათის შემდგომ გამოკვლევას[39]. ამიტომ რიკარდოს არ ესმოდა — შენიშნავს კ. მარქსი — ამ შრომის კავშირი ფულთან, ის რომ ამ შრომამ აუცილებლად უნდა პოვოს თავისი გამოხატულება ფულის სახით, რომ საქონელნი თავიანთ განვითარებაში აუცილებლად უნდა მივიდნენ ფულის წარმოქმნამდე. აქედან მისი მცდარი თეორია ფულის შესახებ.

დ. რიკარდოსთან იმთავითვე ლაპარაკია მხოლოდ ღირებულების სიდიდეზე, იმაზე, რომ საქონელთა ღირებულების სიდიდენი ისე შეეფარდებიან ერთიმეორეს, როგორც მათი წარმოებისათვის სა-

[37] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“ ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 216.

[38] ი ქ ვ ე, გვ. 216, 217.

[39] თუ ორი საქონელი ეკვივალენტებია — შენიშნავს კ. მარქსი — ან ეკვივალენტებია გარკვეული პროპორციით, ანდა, რაც იგივეა, თუ ისინი არათანაბარნი არიან თავიანთი სიდიდით „შრომის“ — იმ რაოდენობის მიხედვით, რასაც ისინი შეიცავენ, მაშინ ნათელია, რომ თავიანთი სუბსტანციით — რამდენადაც ისინი საცვლელი ღირებულებანია — ისინი ერთნაირი არიან. „მათი სუბსტანცია არის შრომა. ამიტომ ისინი „ღირებულებანია“. მათი სიდიდე სხვადასხვაა იმისდა მიხედვით, უფრო მეტი თუ ნაკლები რაოდენობით შეიცავენ ისინი ამ სუბსტანციას. ფორმას კი — შრომის, როგორც საცვლელი ღირებულების შემქმნელის, ანდა საცვლელი ღირებულებით გამოხატულის... ამ შრომის ხ ა ს ი ა თ ს, რ ი კ ა რ დ ო ა რ ი კ ვ ლ ე ვ ს“ (იქვე, გვ. 213).

ჭირო შრომის რაოდენობანი, როგორც აღნიშნული იყო, იგი გამოდის — წერს კ. მარქსი — სამუშაო დროით საქონლის ღირებულების სიდიდის განსაზღვრიდან და შემდეგ იკვლევს, ეწინააღმდეგება თუ არა სხვა ეკონომიური კატეგორიები ღირებულების ამ განსაზღვრას, ან რამდენად იწვევენ ისინი მის მოდიფიკაციას. აქ ნათელია როგორც ამ მეთოდის მეცნიერული აუცილებლობა პოლიტიკური ეკონომიის ისტორიაში, ისე ამასთანავე მისი მეცნიერული ნაკლი. ეს არა მარტო გადმოცემის წესში ვლინდება, არამედ ამას მივყავართ მცდარ დასკვნამდე, რადგან ეს მეთოდი აუცილებელ შუალედურ რგოლებს გადაახტება და უშუალო გზით ცდილობს დაამტკიცოს ეკონომიურ კატეგორიათა ურთიერთდამთხვევა[40].

დ. რიკარდოს ღირებულების თეორიის არსებით ნაკლს კ. მარქსი ხედავდა აგრეთვე იმაში, რომ რიკარდოს უფრო ხშირად მხედველობაში ქონდა საქონელთა მხოლოდ „შეფარდებითი ღირებულება", ანუ მათი საცვლელი ღირებულება. ბეილი კი აკრიტიკებდა რიკარდოს მის მიერ „ნამდვილი ღირებულების" ცნობისათვის. ამასთან დაკავშირებით კ. მარქსი შენიშნავს: „რიკარდოს უფრო ის უნდა ვუსაყვედუროთ, რომ იგი ძლიერ ხშირად ივიწყებს ამ „ნამდვილ ღირებულებას", ანუ „აბსოლუტურ ღირებულებას"[41] და მხედველობაში აქვს მხოლოდ „შეფარდებითი ღირებულება", ანუ „შედარებითი ღირებულება"[42].

დ. რიკარდოს ღირებულების თეორიის ძირითადი შინაარსის გარკვევის შემდეგ კ. მარქსი გადადის მოგების, საშუალო ფასების რიკარდოსეულ შეხედულებათა განხილვაზე და გვიჩვენებს, რომ ღირებულების თეორიის ნაკლოვანებებს მიყავდა იგი მოგების,

---

[40] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 213, 214.

[41] „აბსოლუტურ ღირებულებას" დ. რიკარდო — შენიშნავს კ. მარქსი — რიგ შემთხვევაში უწოდებს აგრეთვე „ნამდვილ ღირებულებას", ან უბრალოდ „ღირებულებას" (იქვე. გვ. 223).

[42] კ. მ ა რ ქ ს ი. „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)" ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 224.

ბეილის მთელი პოლემიკა (რიკარდოს წინააღმდეგ) — აღნიშნავს კ. მარქსი — ტრიალებს ნაწილობრივ ამ სხვადასხვა მომენტების ირგვლივ ღირებულების ცნების განსაზღვრაში. „ეს მომენტები რიკარდოს არა აქვს განვითარებული, ისინი მხოლოდ ფაქტიურად არსებობენ მის სისტემაში და არეული არიან ერთმანეთში, და ბეილი მათში მხოლოდ „წინააღმდეგობებს" პოულობს. მეორე, ბეილის პოლემიკა მიმართულია „აბსოლუტური ღირებულების", ანუ „ნამდვილი ღირებულების" წინააღმდეგ. განსხვავებით შ ე დ ა რ ე ბ ი თ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს ა გ ა ნ (ანე შეფარდებითი ღირებულებისაგან მეორე აზრით)" (იქვე გვ. 223).

მოგების ნორმისა და სხვა ეკონომიური კატეგორიების არასწორ გაგებამდე.

დ. რიკარდოს არ შეეძლო დაეკავშირებინა მოგების საშუალო ნორმის კანონი ღირებულების კანონთან, რადგან აიგივებდა ზედმეტ ღირებულებას მოგებასთან, ერთმანეთში ურევდა საბაზრო ღირებულების წარმოქმნისა და წარმოების ფასის (ხარჯთფასის) წარმოქმნის პროცესს, არ ესმოდა მოგების ნორმის გათანაბრებისა და ღირებულებათა წარმოების ფასებად გარდაქმნის პროცესი, აიგივებდა ღირებულებასა და წარმოების ფასს.

დ. რიკარდოს არ ესმოდა, რომ წარმოების ფასი — უფრო განვითარებული კატეგორია არის, ვიდრე ღირებულება, იგი ვერ ხედავდა შუალედ რგოლებს ღირებულებასა და წარმოების ფასს შორის. დ. რიკარდოს შეხედულებათა კრიტიკულ განხილვასთან ერთად კ. მარქსი ავითარებს მოგებისა და წარმოების ფასის საკუთარ თეორიას. იგი გვიჩვენებს თუ როგორ ათანაბრებს წარმოების ცალკეულ დარგებს შიგნით კონკურენცია სხვადასხვა ინდივიდუალურ ღირებულებას საბაზრო ღირებულებად. ხოლო წარმოების ცალკეულ დარგებს შორის კონკურენცია წარმოქმნის მოგების საშუალო ნორმასა და წარმოების ფასებს.

კონკურენცია წარმოების ერთსა და იმავე სფეროში ახორციელებს, — წერს კ. მარქსი — საბაზრო ღირებულების დამყარებას, ხოლო კონკურენცია წარმოების სხვადასხვა სფეროებს შორის ახორციელებს მოგების საერთო ნორმის დამყარების სხვადასხვა სფეროებში სხვადასხვა საბაზრო ღირებულებათა ისეთ საბაზრო ფასებთან გათანატოლებით, რომლებიც წარმოადგენენ ნამდვილ საბაზრო ღირებულებათაგან განსხვავებულ ხარჯთფასებს (წარმოების ფასებს).

კონკურენცია ამ მეორე შემთხვევაში — შენიშნავს კ. მარქსი — სრულიად არ ესწრაფვის საქონელთა ფასები შეუფარდოს მათს ღირებულებებს, არამედ, პირიქით, ცდილობს საქონელთა ღირებულებანი დაიყვანოს მათგან განსხვავებულ ხარჯთფასებზე (წარმოების ფასებზე), მოხსნას განსხვავებანი მათს ღირებულებებსა და ხარჯთფასებს (წარმოების ფასებს) შორის.

დ. რიკარდო, — აღნიშნავს კ. მარქსი — ამ უკანასკნელ მოძრაობას განიხილავდა როგორც საქონლის ფასების დაყვანას კონკურენციის მეოხებით მათს ღირებულებაზე, როგორც „საბაზო ფასის“ (ღირებულებისაგან განსხვავებული ფასის) დაყვანას „ბუნებრივ ფასზე“ (ფულით გამოხატულ ღირებულებაზე). ეს შეცდომა გამოწვეული იყო იმით, რომ მისი წიგნის უკვე პირველ თავში

(„ღირებულების შესახებ“) მოცემული იყო ხარჯთფასისა (წარმოების ფასისა) და ღირებულების მცდარი გაიგივება. ეს იმიტომ მოხდა, რომ — შენიშნავს კ. მარქსი — რიკარდომ იქ სადაც მას მხოლოდ „ღირებულება“ უნდა განევითარებინა, ე. ი. სადაც ჯერ მხოლოდ „საქონელი“ იყო მის თვალწინ, მან ჩაურთო მოგების საერთო ნორმა და უფრო განვითარებული კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობიდან გამომდინარე ყველა წანამძღვარი[43].

დ. რიკარდოს ღირებულების თეორიის კრიტიკული ანალიზის შემდეგ კ. მარქსი იხილავს რიკარდოს რ ე ნ ტ ი ს თეორიას (თავი X I, X II, X III).

შეცდომებს ღირებულების და წარმოების ფასის თეორიაში, ცხადია გაკლენა უნდა მოეხდინა დ. რიკარდოს რენტის თეორიაზე. უწინარეს ყოვლისა კ. მარქსი ამ თეორიის განვითარების ისტორიულ ვითარებას აღნიშნავს.

დ. რიკარდო ეხება 1770—1815 წლების პერიოდს, როცა ხორბლის ფასები — წერს კ. მარქსი — განუწყვეტლივ იზრდებოდა. ანდერსონი კი წერდა XVIII ს. დასასრულს, ამ საუკუნის დასაწყისიდან მის შუა ხანამდე ხდებოდა ხორბლის ფასების დაცემა, შუა ხანიდან დასასრულამდე კი — მათი აწევა. ამიტომ, — შენიშნავს კ. მარქსი, — ანდერსონი არსად არ უკავშირებდა მის მიერ აღმოჩენილ კანონს მიწათმოქმედების კლებად ნაყოფიერებას, ანდა პროდუქტის ნორმალურ გაძვირებას. რიკარდო კი გარკვევით უკავშირებს მათ ერთიმეორეს. მაგრამ ორივენი — აღნიშნავს კ. მარქსი — გამოდიან (კონტინენტისათვის უცნაურ) იმ შეხედულებიდან, რომ: 1) „სრულიად არ არსებობს მიწის საკუთრება როგორც დაბრკოლება მიწათმოქმედებაში კაპიტალის დაბანდებისათვის; 2) რომ მიწათმოქმედნი უკეთესი მიწებიდან უცუდეს მიწებზე გადადიან (რიკარდოსთვის ამ წანამძღვარს აბსოლუტური მნიშვნელობა აქვს, თუ არ ჩავთვლით იმ შეწყვეტებს ამ მსელელობაში, რომელთაც მეცნიერებისა და მრეწველობის ჩარევა წარმოშობს; ანდერსონისათვის კი ეს წანამძღვარი შეფარდებითია, რადგან ცუდი ნიადაგი ისევ უკეთეს ნიადაგად იქცევა); 3) რომ მუდამ, არსებობს კაპიტალი, არსებობს კაპიტალის საკმაო მასა მიწაში დასაბანდებლად“[44].

---

[43] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 271, 272.

[44] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 307, 308.

ეინეე პომერანელ მემამულეს (გადაკვრით ნათქვამია როდბერტუსზე რედ.)— შენიშნავს კ. მარქსი — რომელსაც თავში უტრიალებს მხოლოდ ძველთაძვე-

ამის შემდეგ კ. მარქსი დ. რიკარდოს რენტის თეორიის არსის დახასიათებისას არკვევს თუ რა პირობათა გამო უარყოფდა იგი აბსოლუტური რენტის არსებობას, რაც კ. მარქსს მისი რენტის თეორიის ერთ-ერთ ძირითად ნაკლად მიაჩნდა. პრობლემა რომ წმინდა სახით წარმოვიდგინოთ, — წერს კ. მარქსი — ჩვენ დიფერენციული რენტა (რიკარდოს აზრით კი არსებობს მარტოოდენ ეს რენტა), სრულიად მხედველობის გარეშე უნდა დავტოვოთ.

დიფერენციული რენტა — აღნიშნავს კ. მარქსი — „მე მესმის", როგორც განსხვავება რენტის სიდიდეში, რომელიც სხვადასხვა თანრიგის ნიადაგთა ნაყოფიერებისას წარმოიქმნება; ერთნაირი ნაყოფიერების დროს, დიფერენციული რენტა შეიძლება წარმოიქმნას დაბანდებული კაპიტალის სხვადასხვა ოდენობიდან. ეს დიფერენციული რენტა შეესაბამება უბრალოდ იმ ზემოგებას, რასაც ღებულობს მოცემული საბაზრო ფასის (ან უფრო სწორად საბაზრო ღირებულების) დროს მრეწველობის ყოველ დარგში ის კაპიტალისტი, რომელსაც წარმოების უკეთესი პირობები აქვს, ვიდრე ამ გარკვეული დარგის წარმოების საშუალო პირობებია.

მრეწველობაში ზემოგება თვით კაპიტალისტის ჯიბეში მიდის, მიწათმოქმედებაში კი იგი მიწის მესაკუთრის ჯიბეში აღმოჩნდება. შემდეგ მრეწველობაში ეს ზემოგება ხასიათდება დენადობით, ხოლო მიწათმოქმედებაში ხდება მისი ფიქსირება. ამასთან — შენიშნავს კ. მარქსი — იგი (დიფერენციული რენტა) თანაბრად შესაძლებელია როგორც უკეთესი მიწიდან უფრო ცუდზე გადასვლისას, ისე უცუდესი მიწიდან უკეთესზე გადასვლის დროს. ამრიგად, ეს რენტა, არ გულისხმობს მიწათმოქმედების მზარდ გაუარესებას, იგი შეიძლება გამომდინარეობდეს აგრეთვე მისი მზარდი გაუმჯობესებიდანაც.

ამის შემდეგ ისმის საკითხი — აღნიშნავს კ. მარქსი — არსებობს თუ არა აბსოლუტური რენტა, რომელიც არ არის დამოკიდებული დიფერენციულ რენტაზე. რიკარდო, მას შემდეგ რაც მან

ლი (angestammte) მიწათმფლობელობანი, შეუძლია თავში ხელი შემოიკრას „იმ „არაისტორიული" შეხედულების გამო, რომელიც რიკარდოს აქვს მიწათმოქმედების განაწესების განვითარების შესახებ. მაგრამ ამით იგი გვიჩვენებს მხოლოდ, რომ გულუბრყვილოდ ურევს ერთმანეთში პომერანიის და ინგლისის პირობებს... ინგლისის პირობები — ერთადერთი პირობებია, რომელშიაც ადეკვატურად განვითარდა თანამედროვე მიწის საკუთრება.... ინგლისური თეორია ამ პუნქტში კლასიკურია... კაპიტალისტური წარმოების წესისათვის. პომერანული თეორია კი, პირიქით, განიხილავს, განვითარებულ პირობებს ურთიერთობათა ისტორიულად უფრო დაბალი, ჯერ კიდევ არა ადეკვატური ფორმის თვალსაზრისით" (იქვე, გვ. 310).

უკვე აღარ ამოსაყალ პუნქტად მცდარი წანამძღვარი, თითქოს საქონელთა ღირებულებანი და საშუალო ფასები იდენტურნი არიან, სავსებით თანმიმდევრულად უარყოფითად პასუხობდა ამ კითხვაზე.

მაგრამ, დ. რიკარდოს ეს მსჯელობა ინგრევა მის წანამძღვართან ერთად წარმოების ფასისა (ხარჯთფასის) და ღირებულების ტოლობის შესახებ. იკარგება ის თეორიული ინტერესი — წერს კ. მარქსი, — რომელიც აიძულებს რიკარდოს უარყოს აბსოლუტური მიწის რენტის არსებობა. თუ საქონლის ღირებულება განსხვავდება მისი ხარჯთფასისაგან (წარმოების ფასისაგან), თუ ყველა საქონელი აუცილებლად ნაწილდება სამ კატეგორიად (ასე რომ, ერთი ჯგუფის საქონელთა ხარჯთფასი (წარმოების ფასი) უდრის მათს ღირებულებას, მეორესი — ღირებულება მათს ხარჯთფასზე (წარმოების ფასზე) უფრო დაბალია, მესამესი — ღირებულება კი მათს ხარჯთფასზე (წარმოების ფასზე) უფრო მაღალია) — მაშინ ის გარემოება, რომ მიწათმოქმედების პროდუქტთა ხარჯთფასი (წარმოების ფასი) მიწის რენტას იძლევა, მხოლოდ იმის დამამტკიცებელია, რომ ეს პროდუქტები ეკუთვნიან იმ საქონელთ, რომელთა ღირებულება აღემატება მათს ხარჯთფასს (წარმოების ფასს). განსხვავებით სხვა საქონელთაგან, რომელთა ღირებულება აგრეთვე აღემატება მათს ხარჯთფასს (წარმოების ფასს), მიწათმოქმედების პროდუქტთა ღირებულება კაპიტალების კონკურენციას არ დაჰყავს მათს ღირებულებაზე უფრო დაბლა მდგომ ხარჯთფასზე (წარმოების ფასზე). სხვა საქონელთა მიმართ ამას ადგილი აქვს იმდენად, რამდენადაც კაპიტალების კონკურენციას შეუძლია განახორციელოს ეს გათანაბრება.

მაგრამ, მიწის მიმართ — აღნიშნავს კ. მარქსი — ამას არა აქვს ადგილი, რადგან არსებობს მიწის საკუთრება, რომელიც უკვე კაპიტალისტურ წარმოებამდე არსებობდა. კაპიტალს მხოლოდ შეუძლია, რომ მიწათმოქმედება კაპიტალისტური წარმოების პირობებს დაუქვემდებაროს, მაგრამ მას არ შეუძლია წაართვას მიწის საკუთრებას მიწათმოქმედების პროდუქტის იმ ნაწილის მიტაცების შესაძლებლობა, რომლის მითვისებაც კაპიტალს შეეძლო მხოლოდ მიწის საკუთრების არარსებობის პირობებში. მიწის საკუთრების არსებობის პირობებში კაპიტალი იძულებულია დაუთმოს მიწის მესაკუთრეს ღირებულების ნამეტი ხარჯთფასის (წარმოების ფასის) ზევით[45].

---

[45] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 313—317.

ჩვენ ნორმალურად ძიგვაჩნია — შენიშნავს კ. მარქსი, — კაპიტალისტური წარმოების პირობებში, რომ მიწათმოქმედების პროდუქტი, სხვა პროდუქტებისაგან განსხვავებით, იყიდება არა თავისი წარმოების ფასის, არამედ თავისი ღირებულების მიხედვით. ეს არის მიწის საკუთრების შედეგი[46]. აბსოლუტური მიწის რენტის არსებობა, არა მარტო გულისხმობს მიწის საკუთრებას — აღნიშნავს კ. მარქსი — არამედ, ეს არის „სწორედ ნაგულისხმევი მიწის საკუთრება ე.ი. კაპიტალისტური წარმოების მოქმედებით გაპირობებული და სახეშეცვლილი მიწის საკუთრება... აბსოლუტური მიწის რენტის წარმოქმნას ჩვენ ვხსნით სწორედ იმ დაბრკოლებით, რომელიც მიწის საკუთრების სახით წინაღუდგება მიწათმოქმედებაში საშუალო ფასებთან საქონელთა ღირებულებების კაპიტალისტურ გათანაბრებას“[47]. იქ სადაც მიწის საკუთრება არ არსებობს — შენიშნავს კ. მარქსი — ფაქტიურად თუ იურიდიულად, შეუძლებელია იყოს აბსოლუტური მიწის რენტა; აბსოლუტური რენტა და არა დიფერენციული, არის „მიწის საკუთრების ადეკვატური გამოხატულება“[48].

მაგრამ თვით ეს განსხვავება ღირებულებასა და (წარმოების ფასს) ხარჯთფასს შორის — წერს კ. მარქსი — გამომდინარეობს იმ განსხვავებიდან, რომელიც კაპიტალის ორგანულ შემადგენელ ნაწილებს შორის არსებულ თანაფარდობაშია[49].

---

[46] კ. მარქსი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 391.

[47] იქვე, გვ. 396.

[48] იქვე, გვ. 439.

[49] იქვე, გვ. 317. როცა არასამიწათმოქმედო კაპიტალის საშუალო შედგენილობა — აღნიშნავს კ. მარქსი—„არის 80c+20v ,ზედმეტი ღირებულების ნორმა კი 50%-ს უდრის, აბსოლუტური მიწის რენტა არ იარსებებდა, თუ სამიწათმოქმედო კაპიტალის შედგენილობა იქნებოდა 90c+10v, ე. ი. თუ იგი სამრეწველო კაპიტალის შედგენილობაზე უფრო მაღალი იქნებოდა, რასაც კაპიტალისტურ წარმოებაში ისტორიულად ადგილი არ ჰქონია; თუ სამიწათმოქმედო კაპიტალის შედგენილობა არის 80c+20v, რაც დღემდე ჯერ არასოდეს არ ყოფილა, მაშინ აბსოლუტური რენტაც არ იქნება; თუ სამიწათმოქმედო კაპიტალის შედგენილობა უფრო დაბალია, ვიდრე სამრეწველო კაპიტალის შედგენილობა, მაგალითად, თუ იგი 60c+40v-ს უდრის, მაშინ აბსოლუტური მიწის რენტის მიღება შესაძლებელი იქნება“ (იქვე, გვ. 404—405).

აბსოლუტური რენტა შეიძლება „სრულიად გაქრეს, როგორც კი მიწათმოქმედების პროდუქტის ღირებულება და მისი ხარჯთფასი ერთმანეთის ტოლნი გახდებიან. ასე რომ, სამიწათმოქმედო კაპიტალს იგივე შედგენილობა ექნებოდა, როგორც საშუალოდ აქვს არასამიწათმოქმედო კაპიტალს“ (იქვე, გვ. 525).

ყველა ის საქონელი, რომელთა ღირებულება ამ ორგანული შემადგენლობის შესაბამისად ხარჯთფასს (წარმოების ფასს) აღემატება, იმის მაჩვენებელია, რომ ისინი შექმნილია შეფარდებით ნაკლებ ნაყოფიერი შრომით, ვიდრე ის საქონელი, რომელთა ღირებულება უდრის ხარჯთფასს (წარმოების ფასს), და კიდევ უფრო ნაკლებნაყოფიერი შრომით, ვიდრე ისინი, რომელთა ღირებულება ხარჯთფასზე (წარმოების ფასზე) უფრო დაბალია. ეს სხვაობა, — აღნიშნავს კ. მარქსი, — ისტორიულია, აბსოლუტური მიწის რენტის არსებობა „მარტოოდენ ისტორიული ფაქტია, რომელიც მიწათმოქმედების განვითარების გარკვეული საფეხურის დამახასიათებელია, უფრო მაღალ საფეხურზე კი შეიძლება გაქრეს“[50].

დიფერენციულ რენტას დ. რიკარდო ხსნიდა — წერს კ. მარქსი — მიწათმოქმედების ნაყოფიერების აბსოლუტური შემცირებით, რაც არ არის დიფერენციული რენტის წანამძღვარი და არც ანდერსონს წამოუყენებია იგი ასეთი წანამძღვარის სახით.

აბსოლუტურ მიწის რენტას რიკარდო იმიტომ უარყოფდა, რომ იგი გულისხმობდა კაპიტალის ორგანული შედგენილობის ერთნაირობას მრეწველობასა და მიწათმოქმედებაში. ამით იგი უარყოფდა შრომის საწარმოო ძალის პროდუქტიულობის უფრო დაბალ განვითარებას მიწათმოქმედებაში შედარებით მრეწველობასთან.

ამიტომ, — აღნიშნავს კ. მარქსი — დ. რიკარდო ორმაგ ისტორიულ შეცდომას უშვებდა. ერთი მხრივ იგი აღიარებდა, რომ აბსოლუტურად ერთნაირია შრომის ნაყოფიერება მიწათმოქმედებასა და მრეწველობაში, მეორე მხრივ კი — გულისხმობდა მიწათმოქმედების ნაყოფიერების აბსოლუტურ შემცირებას და ამას მისი განვითარების კანონად აცხადებდა.

პირველს იგი იმისათვის აკეთებდა, რომ (წარმოების ფასი) ხარჯთფასი ცუდ მიწაზე გაეთანაბრებია ღირებულებასთან, მეორეს კი იმისათვის, რომ აეხსნა არსებული სხვაობანი ფასებსა, რომლის მიხედვით უკეთესი მიწების პროდუქტები იყიდება, და ამ პროდუქტთა ღირებულებას შორის. დ. რიკარდოს მთელი შეცდომა იქიდან გამომდინარეობდა, რომ ერთმანეთში არეული იყო ხარჯთფასები (წარმოების ფასები) და ღირებულებანი[51].

დ. რიკარდო ფიქრობდა — წერს კ. მარქსი — რომ თუ კი მიწა

---

[50]. კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 317, 318.

[51] ი ქ ვ ე, გვ. 318.

ასევე საერთო კუთვნილება იქნებოდა და შეუზღუდავი რაოდენობით გვექნებოდა, როგორც ბუნების სხვა ელემენტები და ძალები (მაგ. ჰაერი, სინათლე, ორთქლი, წყალი და სხვ.). მაშინ წარმოება უფრო ნაყოფიერი იქნებოდა. მაგრამ, თუ მიწა — შენიშნავს კ. მარქსი — როგორც ბუნების ელემენტი ყველასი და თითოეულის თავისუფალ განკარგულებაში იქნებოდა, მაშინ არ იარსებებდა ერთ-ერთი მთავარი ელემენტი კაპიტალის შესაქმნელად. შრომის ნაყოფიერება, რიკარდოსეული გაგებით, ე. ი. კაპიტალისტური გაგებით, სხვისი ფასგადაუხდელი შრომის „წარმოება", მაშასადამე, შეუძლებელი იქნებოდა და ამით ბოლო მოეღებოდა კაპიტალისტურ წარმოებას საერთოდ.

საკითხისადმი რიკარდოსეულ მიდგომაში — წერს კ. მარქსი — სწორია მხოლოდ შემდეგი: კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებში კაპიტალისტი არის წარმოების არა მარტო აუცილებელი, არამედ გაბატონებული აგენტი, ხოლო მიწის მესაკუთრე აქ სრულიად ზედმეტია. ყველაფერი, რაც საჭიროა კაპიტალისტური წარმოების წესისათვის, არის ის, რომ მიწა არ იყოს საერთო საკუთრება და უპირისპირდებოდეს მუშათა კლასს, არ ეკუთვნოდეს მას. ეს მიზანი მიღწეულია მთლიანად მაშინ, როცა მიწა სახელმწიფო საკუთრებად იქცევა და მიწის რენტას სახელმწიფო ღებულობს. მიწის მესაკუთრე სამრეწველო სამყაროში უსარგებლო ხორცმეტი ხდება. ამიტომ რადიკალი — ბურჟუა — შენიშნავს კ. მარქსი — რომელსაც გარდა ამისა მხედველობაში აქვს ყველა სხვა გადასახადის გაუქმება, თეორიულად მიწის კერძო საკუთრების უარყოფამდე მიდის და სურს ეს საკუთრება სახელმწიფო საკუთრების ფორმით ბურჟუაზიის კლასის საერთო საკუთრებად გადააქციოს. მაგრამ პრაქტიკულად მას „არ ჰყოფნის გამბედაობა, რადგან იერიშის მიტანა საკუთრების ერთ ფორმაზე... — მეტად საშიში იქნებოდა მეორე ფორმისთვისაც. გარდა ამისა, ბურჟუამ თვით მოახდინა თავისი თავის ტერიტორიალიზება" (შეიძინა მიწა. რედ.).[52]

ამასთან კ. მარქსი აღნიშნავს, რომ მიწის საკუთრების გაუქმების და კაპიტალისტური წარმოების შენარჩუნების პირობებში ნაყოფიერების სხვაობიდან გამომდინარე დამატებითი მოგება არ გაქრებოდა. იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო მიწის საკუთრებას მიითვისებდა, ხოლო კაპიტალისტური წარმოება დარჩებოდა, „მაშინ რენტას II, III, IV კატეგორიის მიწებიდან გადაუხდიდნენ სახელმწი-

---

[52] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 46, 47.

ფოს, მავრამ თვით რენტა იარსებებდა"; ხოლო თუ მიწის საკუთრება „ს ა ხ ა ლ ხ ო ს ა კ უ თ რ ე ბ ა დ" გადაიქცეოდა, მაშინ არსებობას შეწყვეტდა საერთოდ კაპიტალისტური წარმოების ბაზისი, ის საფუძველი, რომელსაც ემყარება შრომის პირობების გადაქცევა მუშისაგან განცალკევებულ და მისდამი დაპირისპირებულ ძალად"[53].

დ. რიკარდოს რენტის თეორიის ნაკლოვანებათა და შეცდომების გამოვლინებისას კ. მარქსი „ზედმეტი ღირებულების თეორიებში" ბრწყინვალედ ავითარებს რენტის თავისი თეორიის დიდმნიშვნელოვან დებულებებს. ამ მეორე ნაწილში (თავი XII, მოცემული დიფერენციული რენტის დიდი ხუთი ცხრილი (ცხრილები A, B, C, D, E) და მათი ახსნა-განმარტებანი უდიდეს ინტერესს წარმოადგენს; მათ საფუძველზე წარმოებს მიწის რენტის თეორიული ანალიზი, განხილულია მთელი რიგი ურთულესი საკითხები, მაგალითად ცვლილებები რენტის მასასა და ნორმაში, დიფერენციული და აბსოლუტური რენტის სხვადასხვა კომბინაციები, რიკარდოს რენტის თეორიის კავშირი მიწათმოქმედების კლებადი ნაყოფიერების კონცეფციასთან, აბსოლუტური რენტის ცვლილებათა თანაფარდობა მოგების ნორმის ცვლილებებთან, ერთობლივი რენტის ცვლილებათა დამოკიდებულება საბაზრო ღირებულების ცვლილებაზე და ა შ. აქ უფრო დაწვრილებით, ვიდრე „კაპიტალის" მესამე ტომში, გამოკვლეულია აბსოლუტური რენტა. კ. მარქსის მიერ დაწვრილებით არის გაანალიზებული დიფერენციული რენტის ცხრილები:

ისინი გვიჩვენებენ — შენიშნავს კ. მარქსი — თუ როგორ გვიხსნის ზოგადი კანონი კომბინაციათა დიდ ნაირსახეობას (ცხადია, მხოლოდ უმნიშვნელოვანესის, განსაკუთრებით ჩვენი სპეციალური მიზნისათვის), მაშინ როდესაც დ. რიკარდოს, რომლისთვის რენტის ზოგადი კანონი უცნობი იყო, მხოლოდ ცალმხრივად ესმოდა დიფერენციული რენტის არსი. მას ნაძალადევი აბსტრაქციის საშუალებით სურდა მოვლენათა დიდი მრავალნაირობა ერთადერთ შემთხვევაზე დაეყვანა[54].

ამით კ. მარქსი კიდევ უფრო მეტად უსვამს ხაზს დ. რიკარდოს დიფერენციული რენტის თეორიის მცდარობას, რომელსაც მოვლენათა მთელი მრავალგვარობა დაყავდა დიფერენციული რენტის იმ ერთადერთ შემთხვევამდე, როცა ხდება გადასვლა ნაყოფიერი მი-

---

[53] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 129

[54] ი ქ ე ე, გვ. 353.

წებიდან ნაკლებნაყოფიერზე. მაშასადამე, — აღნიშნავს კ. მარქსი — ცხრილი A გვიჩვენებს, რომ მცდარია რიკარდოს შეხედულება, თითქოს დიფერენციული რენტა გაპირობებულია უფრო პროდუქტიული შახტიდან ან ნიადაგიდან უფრო ნაკლებ პროდუქტიულზე გადასვლით, ე. ი. თითქოს იგი გაპირობებულია შრომის ნაყოფიერების შემცირებით.

დიფერენციული რენტა — წერს კ. მარქსი — შეიძლება წარმოსდგეს პირუკუ მოძრაობიდანაც, შრომის მზარდი ნაყოფიერებიდანაც. თუ ამ ორი მოძრაობიდან, რომელს აქვს ადგილი ან ერთ ან მეორე შემთხვევაში, ამას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს არც დიფერენციული რენტის არსთან, არც მისი არსებობის ფაქტთან, არამედ წარმოადგენს ისტორიულ საკითხს. რეალურ სინამდვილეში აღმავალი და დაღმავალი ხაზები გადაეჯვარედინება ერთიმეორეს, დამატებითი მოთხოვნა დაკმაყოფილებული იქნება მიწის, ქვანახშირის საბადოების და სხვა მსგავსი ბუნებრივი ფაქტორების ხან უფრო პროდუქტიულ, ხან ნაკლებპროდუქტიულ თანრიგზე გადასვლით.

ამრიგად, „ცხრილი A თავიდანვე ამჟღავნებს რიკარდოს ამ ძირითადი წანამძღვარის მცდარობას, რომელიც როგორც ამას ანდერსონის მაგალითი გვიჩვენებს, არა იყო აუცილებელი აბსოლუტური რენტის საკითხში არასწორი კონცეფციის პირობებშიც"[55]. მაგრამ, რა თქმა უნდა შენიშავს კ. მარქსი — აღმავალ და დაღმავალ ხაზებს შორის გარკვეული სხვაობა არსებობს[56].

დ. რიკარდოს რენტის თეორიის განხილვის დამთავრების შემდეგ კ. მარქსი გვაძლევს (XV თავში) ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს რიკარდოსეული თეორიის კრიტიკულ ანალიზს.

დ. რიკარდოს რენტის თეორიის მცდარმა დებულებებმა ღრმა კვალი დააჩნია მის შეხედულებებს ზედმეტი ღირებულების შესახებ. დ. რიკარდოს არეული ჰქონდა ზედმეტი ღირებულების კანონები მოგების კანონებში. იგი არსად არ განიხილავდა — წერს კ. მარქსი — ზედმეტ ღირებულებას განცალკევებულად მისი განსაკუთრებული ფორმებისაგან — მოგებისა (სარგებლისა) და რენტისაგან. ამიტომ მისი მსჯელობა კაპიტალის ორგანულ შედგენილობაზე შემოსაზღვრულია ა. სმიტიდან, ნამდვილად ფიზიოკრატებიდან გადმოსული განსხვავებებით კაპიტალის ორგანულ შედგენილობაში

---

[55] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწ. 2, თბ., 1968, გვ. 358.

[56] ი ქ ვ ე, გვ. 359.

იმ სახით, რა სახითაც ისინი მიმოქცევის პროცესიდან (ძირითადი და საბრუნავი კაპიტალი) გამომდინარეობენ.

ამასთან დ. რიკარდო არსად არ ეხება განსხვავებებს კაპიტალის ორგანულ შედგენილობაში თვით წარმოების შიგნით, ან მან არც კი იცოდა ეს განსხვავებანი: აქედან წარმოდგება — აღნიშნავს კ. მარქსი — დ. რიკარდოს მიერ ღირებულებისა და წარმოების ფასის (ხარჯთფასის) ერთმანეთში არევა, რენტის მცდარი თეორია, მცდარი კანონები მოგების ნორმის გადიდებისა და დაწევის მიზეზების შესახებ და ა. შ.[57].

მოგება და ზედმეტი ღირებულება — შენიშნავს კ. მარქსი — იდენტურია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ავანსებული კაპიტალი უშუალოდ ხელფასზე დახარჯული კაპიტალის იდენტურია.

დ. რიკარდო თავის მსჯელობაში მოგებასა და ხელფასზე, მხედველობის გარეშე ტოვებდა კაპიტალის მუდმივ ნაწილს, და საქმეს ისე განიხილავდა, თითქოს მთელი კაპიტალი უშუალოდ ხელფასზე იხარჯებოდეს.

რამდენადაც დ. რიკარდო თავის განხილვის საგნად იღებდა ზედმეტ ღირებულებას და არა მოგებას, ამიტომ შეიძლება ვილაპარაკოთ — შენიშნავს კ. მარქსი, რიკარდოს ზედმეტი ღირებულების თეორიაზე. მაგრამ, მეორე მხრივ, დ. რიკარდო ფიქრობდა, რომ მას საქმე აქვს მოგებასთან. როცა დ. რიკარდო სწორად გადმოგვცემდა ზედმეტი ღირებულების კანონებს, იგი ამახინჯებდა მათ იმით, რომ აფორმულებდა მათ უშუალოდ როგორც მოგების კანონებს; მეორე მხრივ მას სურდა მოგების კანონები უშუალოდ, შუალედური რგოლების გარეშე წარმოედგინა როგორც ზედმეტი ღირებულების კანონები.

მაშასადამე, — აღნიშნავს კ. მარქსი — როცა დ. რიკარდოს ზედმეტი ღირებულების თეორიაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ ვლაპარაკობთ მისი მოგების თეორიაზე, რამდენადაც იგი მოგებას ზედმეტ ღირებულებაში ურევს, ე. ი. მოგებას განიხილავს ცვალებად კაპიტალთან მიმართებაში[58].

ამასთან რადგან დ. რიკარდო — წერს კ. მარქსი — ზედმეტ ღირებულებას მოგებასთან აიგივებდა, იგი ამტკიცებდა, რომ მოგების ნორმის აწევა ან დაცემა გაპირობებული იყო მხოლოდ იმ გარემოებებით, რომლებიც ზედმეტი ღირებულების აწევას ან დაცემას იწვევენ. შემდეგ, იგი მხედველობიდან უშვებდა, რომ თუ უყურად-

---

[57] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწ. 2, თბ., 1968, გვ. 498.

[58] ი ქ ვ ე ე, გვ. 499.

ღებოდ დავტოვებთ იმ გარემოებებს, რომლებიც ზედმეტი ღირებულების მოცემული მასის დროს გავლენას ახდენენ მოგების ნორმაზე (თუმცა ისინი გავლენას არ ახდენენ მოგების მასაზე), მაშინ მოგების ნორმა დამოკიდებულია ზედმეტი ღირებულების მასაზე, და სრულიადაც არა ზედმეტი ღირებულების ნორმაზე. ზედმეტი ღირებულების მასა — შენიშნავს კ. მარქსი — თუ ზედმეტი ღირებულების ნორმა მოცემულია, „დამოკიდებულია კაპიტალის ორგანულ შედგენილობაზე... კაპიტალის მოცემული ორგანული შედგენილობების ზედმეტი ღირებულებების მასა დამოკიდებულია ზედმეტი ღირებულების ნორმაზე. მაშასადამე, იგი განისაზღვრება ორივე ფაქტორით: ერთდროულად დასაქმებული მუშების რიცხვით და ზედმეტი შრომის ნორმით“ [59].

კ. მარქსი დაწვრილებით იკვლევს რიკარდოსეულ ზედმეტი ღირებულების თეორიის საკითხებს და აღნიშნავს მის სუსტ მხარეებს. ივი უჩვენებს, რომ დ. რიკარდოსათვის ისევე როგორც ა. სმიტისათვის, გადაუწყვეტელი დარჩა კაპიტალზე შრომის გაცვლის პრობლემა. დ. რიკარდო მთელი მისი გამოკვლევისათვის დამახასიათებელი მანერის მიხედვით იწყებს — წერს კ. მარქსი — დებულებით, რომ საქონელთა ღირებულების განსაზღვრა სამუშაო დროით, არ ეწინააღმდეგება ხელფასს, ანუ ამ სამუშაო დროის, ე. ი. შრომის ამ რაოდენობის სხვადასხვა ანაზღაურებას.

დ. რიკარდოს სულაც არ გადაუწყვეტია ის პრობლემა, რომელიც ა. სმიტის წინააღმდეგობათა შინაგან საფუძველს შეადგენდა. შრომის ღირებულება და შრომის რაოდენობა „თანაბარმნიშვნელოვან გამოთქმებად“ რჩებიან — შენიშნავს კ. მარქსი — რამდენადაც საქმე გვაქვს განივთებულ შრომასთან, ისინი აღარ იქნებიან ასეთი, როგორც კი განივთებულ შრომასა და ცოცხალ შრომას შორის გაცვლაზე გადავალთ[60].

ორი საქონელი ერთმანეთზე გაიცვლება მათში გასაგნობრივებული შრომის შესაბამისად. მაგრამ დაქირავებული შრომა ხომ საქონელია — შენიშნავს კ. მარქსი, და აი ირკვევა, რომ „თურმე დაქირავებულ შრომაზე ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ის კ ა ნ ო ნ ი არ ვრცელდება. მაშასადამე, ეს კანონი საერთოდ არ ბატონობს კაპიტალისტურ წარმოებაზე. აქ წინააღმდეგობაა. ეს ერთი პრობლემაა ა. სმი-

---

[59] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 502, 503.

[60] ი ქ ვ ე, გვ. 528, 530.

ტისათვის. მეორე პრობლემა... ისაა, რომ საქონლის კ ა პ ი ტ ა ლ ი ს-ტ უ რ ი გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ა განისაზღვრება არა იმ პროპორციით, რითაც საქონელი შრომას შეიცავს, არამედ იმ პროპორციით, რითაც საქონელი ს ხ ვ ი ს შ რ ო მ ა ს განაგებს, უფლებას იძლევა, რომ იბატონო სხვისი შრომის მეტ რაოდენობაზე, ვიდრე შრომის ის რაოდენობა, რასაც თვით იგი შეიცავს"[61].

დ. რიკარდო არათუ ვერ წყვეტს პრობლემას ,— წერს კ. მარქსი — არამედ ვერც ამჩნევს მას ა. სმიტთან. იგი კმაყოფილდებოდა იმის დამტკიცებით, რომ ხელფასი არ უარყოფს დებულებას, რომ შრომისაგან განსხვავებული საქონელთა ღირებულება განისაზღვრება მათში მოთავსებული შრომის შეფარდებითი რაოდენობით. „ისინი არ არიან ტოლნი" — სახელდობრ — „რომელიმე საქონლის დამზადებაზე დახარჯული შრომის რაოდენობა და შრომის რაოდენობა, რომლის ყიდვაც ამ საქონელით შეიძლება". დ. რიკარდო — შენიშნავს კ. მარქსი — კმაყოფილდებოდა ამ ფაქტის დადგენით. მაგრამ „რით განსხვავდება საქონელი — შრომა სხვა საქონელთაგან? პირველ შემთხვევაში ეს არის ც ო ც ხ ა ლ ი შ რ ო მ ა, მეორეში — გ ა ს ა გ ნ ო ბ რ ი ვ ე ბ უ ლ ი შ რ ო მ ა. მაშასადამე, ეს არის შრომის ორი სხვადასხვა ფორმა. რატომ აქვს ერთი მათგანისათვის ძალა კანონს, რომელიც მეორისათვის ძალადაკარგულია, თუ განსხვავება აქ მარტო ფორმალურია? რიკარდო არ იძლევა პასუხს ამ კითხვაზე, იგი არც კი აყენებს მას"[62]. საკითხი სწორედ ისაა, თუ რატომაა, რომ შრომა და ის საქონელი, რომელზეც ეს შრომა გაიცვლება, გაიცვლებიან არა ღირებულების კანონის მიხედვით.

ასე დასმული საკითხი თავისთავად გადაუწყვეტელია — აღნიშნავს კ. მარქსი — რამდენადაც წანამძღვრად მიჩნეულია ღირებულების კანონი და გადაუწყვეტელია იმ მიზეზით, რომ აქ შრომა, როგორც ასეთი, უპირისპირდება საქონელს, გარკვეული რაოდენობა უშუალო შრომისა უპირისპირდება გასაგნობრივებული შრომის გარკვეულ რაოდენობას.

---

[61] ი ქ ვ ე, გვ. 531.

ეს არსებითად მეორე საიდუმლო მოტივია — აღნიშნავს კ. მარქსი — სმიტისეული მტკიცებისათვის „თითქოს კაპიტალისტური წარმოების წარმოშობის დროიდან საქონელთა ღირებულება განისაზღვრება არა იმ შრომით, რომელსაც ისინი შეიცავენ, არამედ იმ ცოცხალი შრომით, რომელსაც ისინი განაგებენ, — განისაზღვრება მაშასადამე, შ რ ო მ ი ს ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი თ (იქვე, გვ. 531).

[62] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის", მეოთხე ტომი)", ნაწილი 2, 1968, გვ. 531, 532.

საკითხის რიკარდოსეული განხილვის ამ სუსტმა მხარემ — შენიშნავს კ. მარქსი — ხელი შეუწყო რიკარდოს სკოლის დაშლას[63]. ამ საკითხის გადაჭრა შეუძლებელი იყო სამუშაო ძალის, როგორც განსაკუთრებული საქონლის განსაზღვრის გარეშე, „შრომისა" და „სამუშაო ძალის" ცნებების გამიჯვნის გარეშე, რაც დ. რიკარდომ ვერ შეძლო; მან ვერ შეძლო შეექმნა ზედმეტი ღირებულების თეორია. კ. მარქსი ამომწურავად გვიჩვენებს შრომასა და სამუშაო ძალის ურთიერთდამოკიდებულების რიკარდოსეული გაგების მცდარობას. ზედმეტი ღირებულების განსაზღვრისათვის — წერს კ. მარქსი — დ. რიკარდოს — უპირველესად უნდა მოეცა სამუშაო ძალის ღირებულების განსაზღვრა, ან როგორც ის ა. სმიტისა და სხვ. მსგავსად ამბობს, შრომის ღირებულების განსაზღვრა; დ. რიკარდოს შეხედულებით შრომის ღირებულება ანუ ბუნებრივი ფასი (იგი რიკარდოს აზრით ღირებულების ფულადი გამოხატულებაა) განისაზღვრება იმ საარსებო საშუალებებით, რომლებიც ტრადიციით აუცილებელი არიან მუშების შესანახად და მათი მოდგმის გასაგრძელებლად. თუ რა კანონის ძალით განისაზღვრება შრომის ღირებულება ამ წესით, ამაზე დ. რიკარდოს სხვა პასუხი არ ჰქონდა, გარდა იმის მტკიცებისა, რომ მიწოდებისა და მოთხოვნის კანონს შრომის საშუალო ფასი დაჰყავს საარსებო საშუალებებამდე, რომლებიც აუცილებელია მუშის შესანახად.

აქ დ. რიკარდო მთელი თავისი სისტემის ერთ-ერთ ძირითად პუნქტში — აღნიშნავს კ. მარქსი — ღირებულებას განსაზღვრავს მოთხოვნისა და მიწოდების საშუალებით, როგორც ამას „ბოროტი სიხარულით" შენიშნავდა სეი.

დ. რიკარდოს უნდა ელაპარაკა — წერს კ. მარქსი — არა შრომაზე, არამედ სამუშაო ძალაზე. მაშინ კი კაპიტალიც წარმოდგენილი იქნებოდა როგორც მუშისადმი დამოუკიდებელი ძალის სახით დაპირისპირებული — შრომის ნივთობრივი პირობები, როგორც გარკვეული საზოგადოებრივი ურთიერთობა. დ. რიკარდოსათვის კი კაპიტალი არის „დაგროვილი შრომა" განსხვავებით „უშუალო შრომისაგან", უბრალოდ ელემენტი შრომის პროცესში, საიდანაც არასგზით არ შეიძლება შრომისა და კაპიტალის, ხელფასისა და მოგების ურთიერთობის გამოყვანა. ამ საკითხში დ. რიკარდო — შენიშნავს კ. მარქსი — ივიწყებდა საქონელთა ღირებულების კანონს და მიწოდებისა და მოთხოვნის კანონს მიმართავდა, შრომის ღირებუ-

---

[63] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 532, 533.

ლებას განსაზღვრავდა არა შრომის იმ რაოდენობით, რაც სამუშაო ძალის წარმოებაზე იხარჯება, არამედ იმ რაოდენობით, რაც მუშის ხელფასის წარმოებაზე იხარჯება.

ყოველივე ამან ხელი შეუშალა დ. რიკარდოს — შენიშნავს კ. მარქსი — გაეგო სპეციფიკური განსხვავება საქონელსა და კაპიტალს შორის საქონელგაცვლის კანონების შესაბამისად, საქონელზე საქონლის გაცვლასა და საქონელზე კაპიტალის გაცვლას შორის[64].

დ. რიკარდომ ვერ მოგვცა ზედმეტი ღირებულების წარმოშობის ანალიზი, რაც შეადგენდა მისი ზედმეტი ღირებულების თეორიის ერთ-ერთ მთავარ მანკს. თუ მხედველობაში არ მივიღებთ შრომისა და სამუშაო ძალის ერთმანეთში არევას, დანარჩენში დ. რიკარდო — წერს კ. მარქსი — სწორად განმარტავდა საშუალო ხელფასს, ანუ შრომის ღირებულებას. მისი ღირებულება — ამბობდა იგი — განისაზღვრება იმ სამუშაო დროით, რაც ამ საარსებო საშუალებათა წარმოება ღირს, შრომის იმ რაოდენობით, რომელიც გასაგნობრივებულია მუშის კუთვნილ საარსებო საშუალებებში. ამას რიკარდო უწოდებდა ნამდვილ ხელფასს. მაგრამ რა გინდ სწორი არ უნდა ყოფილიყო ეს ფორმულა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ, რომ აქ უშუალოდ შეპირისპირებულია ერთმანეთთან შრომა და კაპიტალი, იგი მაინც არასაკმარისი იყო.

დ. რიკარდო გულისხმობდა — აღნიშნავს კ. მარქსი,— რომ სამუშაო დრო, რასაც ყოველდღიური აუცილებელი საარსებო საშუალებანი შეიცავენ, უდრის იმ სამუშაო დროს, რომლის განმავლობაში მუშა იძულებულია ყოველდღიურად იმუშაოს, რათა აუცილებელ საარსებო საშუალებათა ღირებულება კვლავ-აწარმოოს. მაგრამ ამით დ. რიკარდო, — რამდენადაც საკითხის მისებურ განხილვაში, ყოველი მუშის სამუშაო დღის ესა თუ ის ნაწილი არ ვვევლინება უშუალოდ როგორც ამ სამუშაო ძალის ღირებულების კვლავწარმოებისათვის განკუთვნილი, — აბუნდოვანებდა აქ არსებული ურთიერთობის გაგებას. აქედან გაუგებარი ხდება — შენიშნავს კ. მარქსი — ზედმეტი ღირებულების წარმოშობა; ამიტომ რიკარდოს შემდეგდროინდელი ეკონომისტები დ. რიკარდოს უსაყვედურებდნენ, რომ მან ვერ გაიგო, ვერ განავითარა ზედმეტი ღირებულების ბუნება. ნაწილობრივ აქედან გამომდინარეობდა მათ მიერ ზედმეტი ღირებულების ახსნის სქოლასტიკური ცდები.

ასეთი სახით ზედმეტი ღირებულების წარმოშობა და ბუნება — წერს კ. მარქსი — არ არის მკაფიოდ ფორმულირებული. ამიტომ

---

[64] კ. მარქსი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 534, 535, 539.

ზედმეტი შრომა პლუს აუცილებელი შრომა, ერთობლივი სამუშაო დღე — განიხილება როგორც ფიქსირებული სიდიდე; მხედველობის გარეშეა განსხვავებანი ზედმეტი ღირებულების სიდიდეში, გაუგებარია კაპიტალის იძულება ზედმეტი შრომის შესრულებისადმი — ერთი მხრივ, აბსოლუტური ზედმეტი ღირებულების წარმოების აზრით, შემდეგ კი კაპიტალის შინაგანი მისწრაფება აუცილებელი სამუშაო დროის შემცირებისადმი. პირიქით, ა. სმიტმა — შენიშნავს კ. მარქსი — უკვე მოგვცა სწორი ფორმულა. რამდენადაც მნიშვნელოვანი იყო ღირებულების დაყვანა შრომაზე, ამდენადვე მნიშვნელოვანი იყო ზედმეტი ღირებულების დაყვანა ზედმეტ შრომაზე, ამასთან სრულიად გარკვეული გამოთქმებით[65].

დ. რიკარდო გამოდის — წერს კ. მარქსი — კაპიტალისტური წარმოების არსებობის ფაქტიდან. შრომის ღირებულება ნაკლებია ამ შრომის მიერ შექმნილი პროდუქტის ღირებულებაზე. ამიტომ პროდუქტის ღირებულება უფრო მეტია ამ პროდუქტის შემქმნელი შრომის ღირებულებაზე, ანუ მეტია ხელფასის ღირებულებაზე. პროდუქტის ღირებულების ნამეტი ხელფასის ღირებულების ზევით შეადგენს ზედმეტ ღირებულებას. რიკარდო შეცდომით ლაპარაკობდა მოგებაზე, რადგან აიგივებდა მას ზედმეტ ღირებულებასთან, სინამდვილეში კი იგი ზედმეტ ღირებულებაზე ლაპარაკობდა[66].

დ. რიკარდოსთვის ფაქტია — აღნიშნავს კ. მარქსი — რომ პროდუქტის ღირებულება მეტია ხელფასის ღირებულებაზე. ხოლო, თუ როგორ წარმოიშვა ეს ფაქტი გაურკვეველი რჩება. სამუშაო დღე „მთლიანად აღებული, ა ღ ე მ ა ტ ე ბ ა სამუშაო დღის იმ ნაწილს, რომელიც საჭიროა ხელფასის საწარმოებლად. რატომ? ეს რიკარდოსთან გაურკვეველი რჩება. ამიტომ ე რ თ ო ბ ლ ი ვ ი სა მ უ შ ა ო დ ღ ი ს სი დ ი დ ე რიკარდოს შეცდომით აქვს ნაგულისხმევი ფ ი ქ ს ი რ ე ბ უ ლ სიდიდედ, აქედან კი უშუალოდ გამომდინარეობს არასწორი დასკვნები. ამის შედეგად ზედმეტი ღირებულების გადიდება ან შემცირება რიკარდოს შეუძლია ახსნას მ ხ ო ლ ო დ იმ საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების გადიდებით ან შემცირებით, რომელიც აუცილებელ საარსებო საშუალებებს აწარმოებს. სხვანაირად რომ ვთქვათ, რიკარდო იცნობს მხოლოდ შეფარდებით ზედმეტ ღირებულებას“[67].

---

[65] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 540, 542.

[66] ი ქ ვ ე, გვ. 542.

[67] ი ქ ვ ე, გვ. 543.

ცხადია — აღნიშნავს კ. მარქსი, — რომ თუ აუცილებელია ვივარაუდოთ შრომის ნაყოფიერების გარკვეული დონე, რათა ზედმეტი შრომის არსებობა შეიძლებოდეს, მაშინ მარტოოდენ ამ ზედმეტი შრომის შესაძლებლობა ჯერ კიდევ არ ქმნის მის ნამდვილობას. ამისათვის აუცილებელია წინასწარ აიძულონ მუშა იმუშაოს ზემოაღნიშნული საზღვრის გადამეტებით, რასაც მუშას აიძულებს კაპიტალი. ყოველივე ეს დ. რიკარდოს არა აქვს, მაშინ როდესაც სწორედ აქედან მომდინარეობს მთელი ბრძოლა ნორმალური სამუშაო დღის განსაზღვრისათვის. რადგან დ. რიკარდო არ იკვლევდა არც ზედმეტი ღირებულების წარმოშობას, არც აბსოლუტურ ზედმეტ ღირებულებას. ამიტომაც იგი სამუშაო დღეს განიხილავდა, როგორც ერთგვარ მოცემულ სიდიდეს.

დ. რიკარდო — შენიშნავს კ. მარქსი — „იკვლევს მხოლოდ იმას, რასაც მე შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ი ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა ვუწოდე. იგი გამოდიოდა იმ წანამძღვარიდან (რომლიდანაც ეტყობა, გამოდიოდნენ აგრეთვე სმიტი და მისი წინამორბედნიც), რომ ს ა მ უ შ ა ო დ ღ ი ს ს ი დ ი დ ე მ ო ც ე მ უ ლ ი ა“ [68].

ამრიგად, შეფარდებითი ზედმეტი ღირებულება, — აღნიშნავს კ. მარქსი, — ეს ფაქტიურად, ზედმეტი ღირებულების ერთადერთი ფორმაა, რომელსაც მოგების სახელწოდებით იკვლევდა დ. რიკარდო.

დ. რიკარდოს ერთ-ერთ მეცნიერულ დამსახურებად კ. მარქსი თვლიდა, მის მიერ შეფარდებითი ხელფასის ანალიზს. შრომის რაოდენობა, რაც საჭიროა საქონლის საწარმოებლად, განსაზღვრავს საქონლის ღირებულებას, რომელიც ამის გამო მოცემული, განსაზღვრული სიდიდეა. ეს სიდიდე ნაწილდება დაქირავებულ მუშასა და კაპიტალისტს შორის. აქ რიკარდო — შენიშნავს კ. მარქსი — სმიტივით არ ითვალისწინებდა მუდმივ კაპიტალს. ცხადია, რომ ერთის წილი შეიძლება იზრდებოდეს ან ეცემოდეს მხოლოდ იმ ზომით რა ზომითაც ეცემა ან იზრდება მეორის წილი. ამრიგად, ხელფასი და ზედმეტი ღირებულება, — წერს კ. მარქსი — ეს ორი კატეგორია, რომლებადაც რიკარდოს შეხედულებით საქონლის ღირებულება ან თვით პროდუქტი დაიყოფა, არა მარტო შებრუნებულ შეფარდებაშია ერთიმეორესთან, არამედ, პირველადი, განმსაზღვრელი მომენტი ხელფასის მოძრაობაა. მისი გადიდება ან დაცემა უკუმოძრაობას იწვევს მოგების (ზედმეტი ღირებულების) მხარე-

---

[68] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 543, 544, 546, 553.

ზე. ხელფასი იზრდება ან ეცემა არა იმიტომ, რომ ეცემა ან იზრდება მოგება (ზედმეტი ღირებულება), არამედ პირიქით, ზედმეტი ღირებულება (მოგება) ეცემა ან იზრდება იმიტომ, რომ იზრდება ან ეცემა ხელფასი.

საქონელთა ღირებულება მათში მოთავსებული შრომის რაოდენობით განისაზღვრება, ხელფასი და ზედმეტი ღირებულება (მოგება) მხოლოდ წილია, პროპორციებია, რომელთა მიხედვით მწარმოებელთა ორი კლასი ინაწილებს საქონლის ღირებულებას ერთმანეთს შორის.

ამიტომ ცხადია — წერს კ. მარქსი, — რომ თუმცა ხელფასის გადიდება ან დაცემა განსაზღვრავს ზედმეტი ღირებულების ნორმას (რიკარდოსათვის მოგების ნორმას), მაგრამ იგი გავლენას არ ახდენს საქონლის ღირებულებაზე, ან მის ფასზე, რომელიც საქონლის ღირებულების ფულადი გამოხატულებაა.

იმ პროპორციის მეოხებით, რომლითაც გაყოფის ორ მონაწილეს შორის მთელი განაწილდება, თვით ეს მთელი არ ხდება, არც უფრო დიდი ან უფრო პატარა[69]. მაშასადამე, „მცდარი ცრურწმენაა, თითქოს ხ ე ლ ფ ა ს ი ს გ ა დ ი დ ე ბ ა ა დ ი დ ე ბ ს ს ა ქ ო ნ ე ლ თ ა ფ ა ს ე ბ ს: იგი იწვევს მხოლოდ მოგების (უნდა ითქვას: ზედმეტი ღირებულების) დაცემას. რიკარდოს მიერ მოყვანილი გამონაკლისებიც კი, როცა ხელფასის გადიდებას თითქოს ის მოსდევს, რომ ზოგიერთი საქონლის საცვლელი ღირებულება ეცემა, ზოგიერთის კი იზრდება, არ შეესაბამება სინამდვილეს, თუ ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ებ ზ ე ვილაპარაკებთ, და სწორია მხოლოდ ხ ა რ ჯ თ ფ ა ს ე ბ ი ს მიმართ“[70].

ამრიგად, ამით იმსხვრევა ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ცრურწმენა თითქოს ხელფასის გადიდება იწვევდეს საქონლის ფასების გადიდებას. კ. მარქსის ეს შენიშვნა აქტუალურია დღესაც, როდესაც ბურჟუაზიული აპოლოგეტები ფართოდ იყენებენ ამ ცრუ დებულებას ხელფასის გადიდებაზე მუშათა კლასის მოთხოვნათა წინააღმდეგ.

დ. რიკარდოს ერთ-ერთი დიდი დამსახურება იყო — აღნიშნავს კ. მარქსი — შეფარდებითი, ანუ პროპორციული, ხელფასის ანალიზი და დადგენა მისი როგორც კატეგორიისა, რადგან მანამდე ხელ-

---

[69] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 558, 559.

[70] ი ქ ვ ე, გვ. 559, 560

ფასი განიხილებოდა მხოლოდ შეუფარდებლად, ხოლო მუშა კი ამიტომ განიხილებოდა როგორც „ცხოველი". აქ კი მუშა განიხილება მის საზოგადოებრივ ურთიერთობაში. კლასების მდგომარეობა ერთიმეორის მიმართ გაპირობებულია უფრო მეტად შეფარდებითი ხელფასით, ვიდრე მისი აბსოლუტური სიდიდით[71].

დ. რიკარდოს ზედმეტი ღირებულების თეორიის გამოკვლევის შემდეგ. კ. მარქსი გადადის რიკარდოს მ ო გ ე ბ ის თეორიის განხილვაზე.

ზედმეტი ღირებულების კანონები არც ისე უშუალოდ და უბრალოდ ემთხვევა მოგების კანონებს, როგორც ამას დ. რიკარდო ფიქრობდა. კ. მარქსის მიერ ნაჩვენები იყო, რომ დ. რიკარდო შეცდომით აიგივებდა ზედმეტ ღირებულებას და მოგებას, რომ ისინი იდენტურნი არიან მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მთელი კაპიტალი ცვალებადი კაპიტალისაგან შედგება. ამიტომ ის, რასაც დ. რიკარდო „მოგებას" უწოდებს — წერს კ. მარქსი — მხოლოდ ზედმეტ ღირებულებას წარმოადგენს. ამასთან დ. რიკარდო იზიარებდა ა. სმიტის შეხედულებას, რომ წლიური პროდუქტის ერთობლივი ღირებულება შემოსავალზე დაიყვანება, საიდანაც წარმოსდგებოდა აგრეთვე მის მიერ ღირებულებისა და ხარჯთფასის (წარმოების ფასის) ერთმანეთში არევა. არც მოგების ნორმა ექვემდებარება უშუალოდ იმავე კანონებს, რომლებსაც ზედმეტი ღირებულების ნორმა ექვემდებარება.

ზოგიერთ მოსაზრებებს თვით დ. რიკარდოს მსჯელობაში — აღნიშნავს კ. მარქსი — უნდა მიეყვანა იგი ზედმეტი ღირებულებისა და მოგების განსხვავებამდე. იმის შედეგად, რომ დ. რიკარდო ამ განსხვავებას არ იძლევა, იგი ჩანს ალაგ-ალაგ ვულგარულ შეხედულებამდე მიდის, თითქოს მოგება უბრალოდ საქონლის ღირებულების წანამატია. აქედან წარმოდგება მისი ეპიგონების დიდი უაზრობანი.

ვულგარული შეხედულება უთუოდ წარმოიშვება — შენიშნავს კ. მარქსი, თუ დებულება იმის შესახებ, რომ მოგება დამოკიდებულია გამოყენებული კაპიტალის სიდიდეზე, არ უკავშირდება მთელი რიგი შუალედური რგოლების მეშვეობით იმ ზოგად კანონებს, რომლებიც ღირებულებებს და ა. შ. ეხება, მოკლედ თუ მოგება და ზედმეტი ღირებულება გაიგივებულია, რაც სწორია მხოლოდ ერთობლივი კაპიტალის მიმართ. ამიტომაც დ. რიკარდოსთვის „დახუ-

---

[71] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 560, 561.

რულია ძ ო გ ე ბ ი ს ს ა ე რ თ ო ნ ო რ მ ი ს განსაზღვრის ყველა გზა"[72].

ზოგჯერ დ. რიკარდოს მსჯელობაში ჩანს მოგებისა და ზედმეტი ღირებულების განსხვავების ცდა; მაგალითად, როდესაც მას ესმის, რომ მოგების ნორმაზე გავლენა არა აქვთ საქონელთა ღირებულების ისეთ ცვლილებებს, რომლებიც თანაბრად ახდენენ გავლენას კაპიტალის ყველა ნაწილზე — ფულის ღირებულების ცვლილებანი. აქ დ. რიკარდოსთან ზედმეტი პროდუქტი — აღნიშნავს კ. მარქსი, — ანუ ზედმეტი ღირებულება, ანუ რაც კვლავ იგივეა, რაც ზედმეტი შრომა, რამდენადაც იგი ყოველივე ამას მოგების თვალსაზრისით განიხილავს, გამოანგარიშებულია არა მარტო ცვალებად კაპიტალთან, არამედ მთელ ავანსებულ კაპიტალთან შეფარდებით. აქ იგი არ აიგივებს მოგებას ზედმეტ ღირებულებასთან, მოგების ნორმას კი — ზედმეტი ღირებულების ნორმასთან.

განსხვავება მოგებასა და ზედმეტ ღირებულებას შორის ჩანს, როდესაც დ. რიკარდო მოხმარების საგნების გაძვირების გავლენის განხილვისას ფერმერების მოგების ნორმაზე, განასხვავებს — აღნიშნავს კ. მარქსი — აბსოლუტურ მოგებას (ზედმეტ ღირებულებას) და მოგების ნორმას და გვიჩვენებს აგრეთვე, რომ ავანსებული კაპიტალის ღირებულების ცვლილების შედეგად მოგების ნორმა უფრო მეტად ეცემა, ვიდრე აბსოლუტური მოგება (ზედმეტი ღირებულება), რომელიც „შრომის ღირებულების" (ხელფასის) გადიდების გამო მცირდება.

მაშასადამე, ირკვევა, რომ — აღნიშნავს კ. მარქსი — „მოგების ნორმის გადიდება ან დაცემა განისაზღვრება სხვა გარემოებებითაც, გარდა აბსოლუტური მოგების გადიდებისა ან დაცემისა და მისი იმ ნორმის გადიდებისა და დაცემისა, რაც ხელფასისათვის დახარჯულ კაპიტალზე იანგარიშება"[73].

ამ ადგილებში დ. რიკარდო „თვითონვე თავდაყირა აყენებს მთელ თავის მოგების თეორიას, რომელიც ზედმეტი ღირებულების ნორმისა და მოგების ნორმის მცდარ გაიგივებას ემყარება"[74]. აქ მნიშვნელოვანია მხოლოდ ის — შენიშნავს კ. მარქსი, — რასაც რიკარდო ვერ ამჩნევს, „სახელდობრ — იგი უკუაგდებს მოგებისა და ზედმეტი ღირებულების თავის გაიგივებას და ადასტურებს, რომ, შრო-

---

[72] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 570, 571, 572.

[73] ი ქ ვ ე, გვ. 572, 573, 575, 576.

[74] ი ქ ვ ე, გვ. 576.

მის ღირებულებისაგან დამოუკიდებლად, მოგების ნორმაზე გავლენა შეუძლია მოახდინოს მუდმივი კაპიტალის ღირებულების ცვლილებამ[75].

დ. რიკარდოს მოგების თეორიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენდა მოგების („საშუალო მოგების" ანუ „ჩვეულებრივი მოგების") საერთო ნორმის წარმოქმნის საკითხი, რის შესახებაც მის შეხედულებებს აგრეთვე რიგი ნაკლი ახასიათებდა. მისი მოგების თეორიის ამოსავალ პუნქტს მოგების წინასწარ მოცემული საშუალო ნორმა წარმოადგენს. რიკარდოს „თეორიული შეხედულებანი აქ სრულიადაც არ არის ნათელი"[76].

თუ სამუშაო დღე მოცემულია, მაშინ მოცემულია საერთო ნორმაც ზედმეტი ღირებულებისა, ე. ი. ზედმეტი შრომისა, რადგან ხელფასი საშუალოდ ერთი და იგივეა. ამ „აკვიატებული აზრით" — წერს კ. მარქსი — განიხილავს რიკარდო საკითხს და იგი ზედმეტი ღირებულების ამ საერთო ნორმას მოგების საერთო ნორმაში ურევს. კ. მარქსმა ცხადყო, რომ ზედმეტი ღირებულების ერთი და იმავე ნორმის არსებობის პირობებშიც, თუ საქონელი მისი ღირებულების მიხედვით გაიყიდებოდა, მოგების ნორმები წარმოების სხვადასხვა დარგში აუცილებლად განსხვავებული იქნებოდა[77]. მოგების საერთო ნორმა — წერს კ. მარქსი — წარმოიქმნება იმ გზით, რომ ერთობლივი ზედმეტი ღირებულება გამოიანგარიშება კაპიტალისტთა კლასის ერთობლივ კაპიტალზე. ამიტომ ყოველი კაპიტალი წარმოების ყოველ ცალკეულ დარგში, გვევლინება როგორც სათანადო ნაწილი ერთი და იმავე ორგანული შემადგენლობის მქონე ერთობლივი კაპიტალისა, იმ გაგებით, რომ კაპიტალი იყოფა როგორც ცვალებად და მუდმივ, ისე საბრუნავ და ძირითად კაპიტალად. მოცემული კაპიტალი ღებულობს, თავისი სიდიდის პროპორციულად, თავის დიეიდენდებს კაპიტალის საერთო ჯამით წარმოებულ ზედმეტი ღირებულებიდან.

ამგვარად დაყოფილი ზედმეტი ღირებულება, — აღნიშნავს კ. მარქსი — ზედმეტი ღირებულების წილი, რაც დროის მონაკვეთში, მაგალითად ერთ წელში, მოცემული სიდიდის კაპიტალის პორციას, მაგალითად 100-ს უწევს, ქმნის საშუალო მოგებას, ანუ მოგების საერთო ნორმას, რომელიც ყოველი დარგის ხარჯთფასში (წარმოების ფასში) შედის.

---

[75] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 578.

[76] ი ქ ვ ე, გვ. 578.

[77] ი ქ ვ ე, გვ. 579, 580.

ცხადია, რომ მოგების საერთო ნორმის წარმოქმნა, დამყარება აუცილებელს ხდის ღირებულებათა გარდაქმნას მათგან განსხვავებულ ხარჯთფასებად (წარმოების ფასებად). დ. რიკარდო კი პირიქით — შენიშნავს კ. მარქსი — ღირებულებათა და ხარჯთფასთა (წარმოების ფასთა) იგივეობას გულისხმობდა, რადგან იგი ერთმანეთში ურევდა მოგების ნორმას და ზედმეტი ღირებულების ნორმას. ამიტომ მას არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა იმ ცვლილებაზე, რასაც მოგების საერთო ნორმის დამყარების პროცესი იწვევს საქონელთა ფასებში, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ შეიძლებოდეს ლაპარაკი მოგების ამა თუ იმ საერთო ნორმაზე.

დ. რიკარდოს მიაჩნდა — წერს კ. მარქსი — მოგების ეს ნორმა რაღაც პირველადად, რომელიც მისი აზრით ღირებულების განსაზღვრაშიც კი შედის. იგი გამოდიოდა მოგების საერთო ნორმის წანამძღვრიდან და მას არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდა იმაზე, რომ ამ ნორმის შესაქმნელად წინასწარ უნდა მოხდეს ღირებულებათა გარდაქმნა ხარჯთფასებად (წარმოების ფასებად), რომ. რაკი მან საფუძვლად მოგების საერთო ნორმა აიღო, მას უკვე საქმე აღარ აქვს უშუალოდ საქონელთა ღირებულებებთან[78]. აქვე კ. მარქსი შესანიშნავად ახასიათებს დ. რიკარდოს ამ თეორიული შეცდომების მიზეზს.

ყველა ამ შეცდომას დ. რიკარდო იმიტომ უშვებს — შენიშნავს კ. მარქსი, რომ თავისი წანამძღვარი ზედმეტი ღირებულების ნორმისა და მოგების ნორმის იგივეობის შესახებ მას სურს განახორციელოს ნაძალადევი აბსტრაქციების გზით. ეულგარულმა ეკონომისტებმა აქედან ის დასკვნა გააკეთეს, რომ „თეორიული ჭეშმარიტებანი აბსტრაქციებია, რომლებიც ეწინააღმდეგებიან საქმის ნამდვილ ვითარებას. ისინი ვერ ხედავენ იმას, რომ რიკარდო, პირიქით, სწორი აბსტრაქციის გზით საკმაოდ შორს ვერ მიდის და რომ სწორედ ამას მიჰყავს იგი მცდარ აბსტრაქციამდე“[79].

---

[78] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“ ნაწილი, 2, თბ., 1968, გვ. 580, 581.

[79] კ. მ ა რ ქ ს ს აქ მხედველობაში ჰყავდა დ. რიკარდოს ისეთი კრიტიკოსები, როგორიც იყო ფრანგი ეულგარული ეკონომისტი უ. ბ. სეი, რომელიც დ. რიკარდოს უსაყვედურებდა, რომ ივი თაეის მსჯელობას საფუძვლად უდებს „აბსტრაქტულ პრინციპებს, რომელთაც მეტისმეტად საყოველთაო მნიშვნელობა ენიჭებათ“, რის შედეგად მიღებული დასკვნები არ შეესაბამებიანო რეალურ სინამდვილეს (რედ. იქეე, გვ. 814).

კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 585, 586.

შემდეგ კ. მარქსი განიხილავს მოგების ნორმის დაცემის რიკარდოსეულ კონცეფციას და ამხელს მის მცდარ დებულებებს. დ. რიკარდოს სისტემაში მოგების ნორმის დაცემის კანონი „ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პუნქტი" იყო.

რადგან დ. რიკარდოსთვის — წერს კ. მარქსი — მოგების ნორმა და ნორმა ზედმეტი ღირებულებისა (შეფარდებითი ზედმეტი ღირებულებისა, რამდენადაც დ. რიკარდოს მიერ სამუშაო დღე ნაგულისხმევი იყო როგორც უცვლელი) იდენტურია, ამიტომ მოგების ნორმის ტენდენცია დაცემისადმი, მას შეეძლო აეხსნა მხოლოდ იმავე მიზეზებით, რა მიზეზებიც განაპირობებენ ზედმეტი ღირებულების ნორმის დაცემის ტენდენციას, ე. ი. სამუშაო დღის იმ ნაწილისა, როცა მუშა მუშაობს კაპიტალისტისათვის.

თუ ვიგულისხმებთ — აღნიშნავს კ. მარქსი, — რომ სამუშაო დღე მოცემულია, მაშინ მისი ის ნაწილი, როცა მუშა მუქთად მუშაობს კაპიტალისტისათვის, შეიძლება ეცემოდეს, მცირდებოდეს მხოლოდ იმ პირობით, რომ იზრდება სამუშაო დღის ის ნაწილი, როცა იგი თავისთვის მუშაობს. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დიდდება ღირებულება აუცილებელი საარსებო საშუალებებისა, რომლებზეც მუშების ხელფასი იხარჯება. მაგრამ სამრეწველო საქონლის ღირებულება, შრომის საწარმოო ძალის განვითარების გამო მუდამ მცირდება.

მაშასადამე, დ. რიკარდოს აზრით, მოგების ნორმის დაცემა მხოლოდ იმით აიხსნება, რომ საარსებო საშუალებათა მთავარი ნაწილის — კვების პროდუქტების ღირებულება მუდამ იზრდება, რაც იმიტომ ხდება, რომ მიწათმოქმედების ნაყოფიერება მუდამ მცირდება.

ეს წანამძღვარი იგივეა, რომლითაც დ. რიკარდო განმარტავდა რენტის არსებობას და მის ზრდას. ამიტომ დ. რიკარდოს მიხედვით მოგების ნორმის განუწყვეტელი დაცემა — წერს კ. მარქსი — დაკავშირებული იყო მიწის რენტის ნორმის განუწყვეტლივ გადიდებასთან.

კ. მარქსმა შესანიშნავად ცხადყო მიწის რენტის რიკარდოსეული გაგების მცდარობა; ამით მაშასადამე — შენიშნავს კ. მარქსი — „ინგრევა" მოგების ნორმის დაცემის რიკარდოსეული ახსნის ერთ-ერთი საფუძველი; მეორე მხრივ რიკარდოს შეხედულება მოგების ნორმის დაცემაზე ემყარებოდა მცდარ წანამძღვარს, ზედმეტი ღირებულების ნორმისა და მოგების ნორმის იგივეობის, იდენტურობის შესახებ, ასე რომ, მოგების ნორმის დაცემა გაიგივებული იყო ზედ-

მეტი ღირებულების ნორმის დაცემასთან. ამით „გაბათილებული“ იყო დ. რიკარდოს თეორია[80].

ამ საკითხზე დ. რიკარდოს მცდარი კონცეფციის კრიტიკასთან ერთად, კ. მარქსი ახასიათებს თვითონ მის მიერ აღმოჩენილ მოგების ნორმის დაცემის ტენდენციის კანონს, რაც შემდეგში განვითარებულ იქნა „კაპიტალის“ მესამე ტომში. დიფერენციული რენტის ცხრილების გამოყენებით კ. მარქსი უჩვენებს, რომ მოგების ნორმის დაცემის მიზეზს წარმოადგენს კაპიტალის ორგანული შედგენილობის გადიდება. მოგების ნორმა ეცემა — წერს კ. მარქსი — თუმცა ზედმეტი ღირებულების ნორმა ამასთან უცვლელი რჩება ან დიდდება — იმ მიზეზით, რომ ცვალებადი კაპიტალი შრომის საწარმოო ძალის განვითარების კვალობაზე მცირდება მუდმივ კაპიტალთან შედარებით.

ამრიგად, მოგების ნორმა ეცემა „არა იმიტომ, რომ შრომა ნაკლებ ნაყოფიერი ხდება, არამედ იმიტომ, რომ იგი უფრო ნაყოფიერი ხდება. იგი ეცემა არა იმიტომ, რომ მუშას უფრო ნაკლებ ექსპლოატაციას უწევენ, არამედ იმიტომ, რომ მას მეტ ექსპლოატაციას უწევენ, სულ ერთია, ხდება ეს იმის შედეგად, რომ იზრდება აბსოლუტური სამუშაო დღე, თუ... იმის შედეგად, რომ თვით კაპიტალისტური წარმოების არსიდან გამომდინარეობს შრომის შეფარდებითი ღირებულების დაცემა და, მაშასადამე, შეფარდებითი ზედმეტი დროის გადიდება“[81].

ამრიგად, დ. რიკარდოს თეორია, როგორც აღნიშნავს კ. მარქსი, ემყარება ორ მცდარ წანამძღვარს: პირველი, თითქოს მიწის რენტის არსებობა და ზრდა გამოწვეულია მიწათმოქმედების კლებადი ნაყოფიერებით; მეორე, თითქოს მოგების ნორმა, რასაც დ. რიკარდო შეფარდებით ზედმეტი ღირებულების ნორმასთან აიგივებს, შეიძლება დიდდებოდეს ან ეცემოდეს მხოლოდ შებრუნებული შეფარდებით ხელფასის გადიდებასა და დაცემასთან“[82].

ამის შემდეგ, მეჩვიდმეტე თავში კ. მარქსი გვაძლევს დ ა გ რ ო ვ ე ბ ი ს რიკარდოსეული თეორიის კრიტიკულ ანალიზს. დ. რიკარდოს სისტემის კრიტიკასთან დაკავშირებით კ. მარქსი შესანიშნავად ავითარებს თავის შეხედულებებს კაპიტალის დაგროვებაზე და კრი-

---

[80] კ. მ ა რ ქ ს ი „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 586, 587.

[81] ი ქ ვ ე, გვ. 587, 588.

[82] ი ქ ვ ე, გვ. 588.

ზისებზე. უპირველესად იგი ავლენს ა. სმიტის და დ. რიკარდოს შეცდომებს, რომლებიც კლავეწარმოების ანალიზის დროს მხედველობიდან უშვებდნენ მუდმივ კაპიტალს, რაც კლავეწარმოებისა და კრიზისების თეორიაში მათი შეცდომების წყაროს წარმოადგენდა. იმთავითვე მცდარი, ე. ი. ცალმხრივია ის წარმოდგენა — აღნიშნავს კ. მარქსი — „თითქოს კაპიტალის დაგროვება არის შემოსავლის გადაქცევა ხელფასად, თითქოს იგი მხოლოდ ცვალებადი კაპიტალის დაგროვებაა. ამით მთელი საკითხი დაგროვების შესახებ მცდარად არის გაშუქებული“[83].

შემდეგ კ. მარქსი ახასიათებს მუდმივი კაპიტალის როლს კლავეწარმოების პროცესში და აღნიშნავს ა. სმიტისა და დ. რიკარდოს შეცდომებს, რომელნიც კაპიტალის დაგროვებას მხოლოდ როგორც ცვალებადი კაპიტალის დაგროვებას განიხილავდნენ. ის შეხედულება, რომ ზედმეტი პროდუქტი, — წერს კ. მარქსი — რადგან იგი მხოლოდ წლის განმავლობაში ახლად მიმატებული შრომის შედეგია, გადაიქცევა დაგროვებისას აგრეთვე მხოლოდ ცვალებად კაპიტალად, იხარჯება მხოლოდ ხელფასზე, — ეს შეხედულება „საერთოდ შეესაბამება იმ მცდარ წარმოდგენას, რომ, რადგან პროდუქტი მხოლოდ შედეგია ან მატერიალიზაცია შრომისა, ამიტომ პროდუქტის ღირებულება მთლიანად დაყვანილია შემოსავალზე: ხელფასსა, მოგებასა და რენტაზე,—როგორც ამას შეცდომით ფიქრობდნენ სმიტი და რიკარდო“[84]. კაპიტალის გადიდების, მისი დაგროვების დროს (საკითხის გამარტივებისათვის ნაგულისხმევია, რომ შრომის ნაყოფიერება იგივე რჩება) — წერს კ. მარქსი — ზედმეტი ღირებულების ნაწილი უნდა გადაიქცეს კაპიტალად, ნაცვლად იმისა, რომ მოხმარებულ იქნეს როგორც შემოსავალი. იგი უნდა გადაიქცეს ნაწილობრივ მუდმივ, ნაწილობრივ ცვალებად კაპიტალად. დაყოფის პროპორცია კაპიტალის ამ ორ ნაწილს შორის დამოკიდებულია კაპიტალის მოცემულ ორგანულ შედგენილობაზე,—ვინაიდან წარმოების წესი და ორივე ნაწილის ღირებულებრივი თანაფარდობა უცვლელი რჩება. რაც უფრო მეტად არის განვითარებული წარმოება, მით უფრო მეტი იქნება ზედმეტი ღირებულების ის ნაწილი, რომელიც მუდმივ კაპიტალად გადაიქცევა, შედარებით მის იმ ნაწილთან, რომელიც ცვალებად კაპიტალად გადაიქ-

---

[83] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 632

[84] ი ქ ვ ე, გვ. 659.

ცევა[85]. კაპიტალის დაგროვების ყველა აუცილებელი პირობების გამოკვლევისას კ. მარქსი აღნიშნავს ძირითადი კაპიტალის ამორტიზაციის მნიშვნელობას კვლავწარმოების პროცესში და საამორტიზაციო დაგროვებათა აუცილებლობას განსაკუთრებული ფონდის სახით. იქ, სადაც ბევრი მუდმივი კაპიტალი გამოიყენება, — აღნიშნავს კ. მარქსი — მაშასადამე ბევრი ძირითადი კაპიტალიც, პროდუქტის ღირებულების ეს ნაწილი, რომელიც ძირითადი კაპიტალის გაცვეთას ანაზღაურებს, წარმოადგენს დაგროვების ფონდს, რომელიც შეუძლია გამოიყენოს მან, ვინც მას ახალი, ძირითადი კაპიტალის, ანდა საბრუნავი კაპიტალის საქმეში დააბანდებს. ამასთან, დაგროვების ამ ნაწილისათვის არავითარი გამოქვითვა ზედმეტი ღირებულებიდან არ ხდება. დაგროვების ასეთი ფონდი არ არსებობს წარმოების ისეთ საფეხურებზე, და იმ ერებში, სადაც არ არის დიდი ძირითადი კაპიტალი. ეს მნიშვნელოვანი პუნქტია — შენიშნავს კ. მარქსი — ჩვენ აქ გვაქვს ფონდი გაუმჯობესებათა, გაფართოებათა და ა. შ. განსახორციელებლად საჭირო მუდმივი ხარჯებისათვის[86].

შემდეგ, ეკონომიური კრიზისების თეორიის განხილვისას კ. მარქსი არკვევს მის კავშირს კვლავწარმოების თეორიასთან და გვიჩვენებს, რომ კაპიტალისტური კვლავწარმოების თავისებურებები განაპირობებენ კრიზისების აუცილებლობას. დაგროვების მთელი პროცესი, — წერს კ, მარქსი — „დაიყვანება უწინარეს ყოვლისა ისეთ დ ა მ ა ტ ე ბ ი თ ს წ ა რ მ ო ე ბ ა ზ ე, რომელიც ერთი მხრივ, შეესაბამება მოსახლეობის ბუნებრივ ზრდას, მეორე მხრივ, კი — იმანენტურ საფუძველს ქმნის იმ მოვლენებისათვის, რომლებიც კ რ ი ზ ი ს ე ბ შ ი მეღავნდებიან“[87]. უკვე ფულის განხილვისას — აღნიშნავს კ. მარქსი — გაირკვევა, რომ ფული შეიცავს კრიზისების შესაძლებლობას, როგორც საერთოდ საქონლის ნატურალური ფორმისაგან განსხვავებული ფორმით, ისე გადახდის საშუალების თავისი ფორმით. ეს გარემოება კიდევ უფრო მეტად მეღავნდება კაპიტალის ზოგადი ბუნების განხილვისას[88]. დ. რი-

[85] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 640. „თუ რა პროპორციით იყოფა ზედმეტი პროდუქტი — წერს კ. მ ა რ ქ ს ი — ცვალებადსა და მუდმივ კაპიტალს შორის, ეს დამოკიდებულია კაპიტალის საშუალო შედგენილობაზე და რაც უფრო განვითარებულია კაპიტალისტური წარმოება, მით უფრო ნაკლები იქნება შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ხელფასზე უშუალოდ დახარჯული ნაწილი“. (იქვე, გვ. 659).

[86] ი ქ ვ ე, გვ. 644, 645.

[87] ი ქ ვ ე, გვ. 660.

[88] ი ქ ვ ე, გვ. 661

კარდოს მიერ — შენიშნავს კ. მარქსი — შეთვისებული იყო ის შეხედულება სეისა, რაც არსებითად ჯემს მილს ეკუთვნოდა, თითქოს შეუძლებელია ჭარბწარმოება, ყოველ შემთხვევაში, ბაზრის საყოველთაო გავსება[89]; ეს შეხედულება ემყარება იმ დებულებას, რომ პროდუქტები გაიცვლება პროდუქტებზე [90], ანდა, როგორც ეს მილს წარმოედგინა, იგი ემყარება „გამყიდველთა და მყიდველთა მეტაფიზიკურ წონასწორობას“[91]. აქედან — აღნიშნავს კ. მარქსი — გაკეთდა შემდგომი დასკვნა, რომ მოთხოვნას მხოლოდ თვით წარმოება განსაზღვრავს, ან რომ მოთხოვნა და მიწოდება იდენტური არიან. ამავე დებულებას ეხვდებით რიკარდოს მიერ აჩემებული ფორმითაც, რომ კაპიტალის ყოველი თანხა ყოველ ქვეყანაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნაყოფიერად. არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს — წერს კ. მარქსი, — რომ კაპიტალისტური წარმოებისას, საქმე ეხება არა უშუალოდ სახმარ ღირებულებას, არამედ საცვლელ ღირებულებას და განსაკუთრებით ზედმეტი ღირებულების გადიდებას, რაც მისი მამოძრავებელი მოტივია. ცუდია ის კონცეფცია, რომელიც კაპიტალისტური წარმოების წინააღმდეგობათა თავიდან მოცილებისათვის, მხედველობის გარეშე ტოვებს კაპიტალისტური წარმოების საფუძველს და მას ისეთ წარმოებად სახავს, რომლის მიზანია მწარმოებელთა უშუალო მოხმარების უზრუნველყოფა[92].

კრიზისების თავისი თეორიის გადმოცემისას კ. მარქსი შენიშნავს, რომ დ. რიკარდოს არ გააჩნდა კრიზისების თეორია ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. დ. რიკარდომ არაფერი არ იცოდა — წერს კ. მარქსი — კრიზისების შესახებ, მსოფლიო ბაზრის საყოველთაო კრიზისების შესახებ, „რომლებიც თვით წარმოების პროცესიდან გამომდინარეობენ“[93]. 1800—1815 წლების კრიზისები მას შეეძლო აეხსნა — შენიშნავს კ. მარქსი — მოუსავლიანობით გამოწვეული პუ-

---

[89] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 661, 662.

[90] ი ქ ვ ე, გვ. 662.

კ. მარქსს მხედველობაში აქვს სეის სიტყვები „პროდუქტებს ყიდულობენ პროდუქტებით“. სეის ამ ფორმულას თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს რიკარდო შემდეგ ერთ ადგილას თავის წიგნში (იქვე, გვ. 815, 816, რედ.).

[91] კ. მ ა რ ქ ს ს მხედველობაში აქვს ჯემს მილის მსჯელობანი მუდმივ და აუცილებელ თანასწორობაზე წარმოებასა და მოხმარებას შორის, მიწოდებასა და მოთხოვნას შორის, ყიდვათა ჯამსა და გაყიდვათა ჯამს შორის, რასაც შეიცავდა მისი წიგნის (1821 წ.) მეოთხე თავის მესამე განყოფილება (იქვე, გვ. 816, რედ.).

[92] ი ქ ვ ე, გვ. 662, 664.

[93] ი ქ ვ ე, გვ. 667

რის გაძვირებით, ქაღალდის ფულის გაუფასურებით, კოლონიური საქონლის გაუფასურებით და ა. შ., რადგან კონტინენტური ბლოკადის შედეგად ბაზარი ნაძალადევად იყო შევიწროებული პოლიტიკური და არა ეკონომიური მიზეზების გამო. ასევე კრიზისები 1815 წლის შემდეგ მას შეეძლო აეხსნა ნაწილობრივ მოუსავლიანი წლით, ნაწილობრივ პურის ფასების დაცემით, ნაწილობრივ კი ომის მდგომარეობიდან მშვიდობიან მდგომარეობაში გადასვლით და აქედან გამომდინარე „ვაჭრობის მსვლელობაში მომხდარი უეცარი ცვლილებებით".

მერმინდელი ისტორიული მოვლენები, განსაკუთრებით მსოფლიო ბაზრის კრიზისების თითქმის რეგულარული პერიოდულობა — წერს კ. მარქსი — უკვე აღარ აძლევდა რიკარდოს შემდეგდროინდელ ეკონომისტებს იმის ნებას, რომ უარეყოთ ფაქტები ან განემარტათ ისინი როგორც შემთხვევითი მოვლენები[94].

ჭარბწარმოების საყოველთაო კრიზისების უარყოფა, დ. რიკარდოს მიერ, დაკავშირებული იყო მის მცდარ შეხედულებასთან წარმოებასა და მოხმარებას შორის თანაფარდობის შესახებ. დ. რიკარდო ცნობდა მხოლოდ ცალკეულ საქონელთა ჭარბწარმოებას, რაც გამომდინარეობდა დ. რიკარდოს იმ მცდარი დებულებიდან, რომ პროდუქტებს ყოველთვის ყიდულობენ პროდუქტებით, ან მომსახურებით, ფული კი მხოლოდ შუამავალია, მიმოქცევის საშუალება, ე. ი. რომ მოთხოვნა და მიწოდება იგივენი არიან. კ. მარქსი აკრიტიკებს დ. რიკარდოსა და სხვა ეკონომისტების ამ მცდარ დებულებებს.

მაშასადამე, აქ საქონელი, — წერს კ. მარქსი — რომელშიც არსებობს დაპირისპირებულობა საცვლელ და სახმარ ღირებულებას შორის, გადაიქცევა უბრალო პროდუქტად, სახმარ ღირებულებად, ხოლო საქონელთა გაცვლა — უბრალო პროდუქტებით, მარტოოდენ სახმარი ღირებულებებით წარმოებულ გაცვლით ვაჭრობად, რასაც ადგილი ჰქონდა არა მარტო კაპიტალისტურ წარმოებამდე, არამედ მარტივ საქონელწარმოებამდეც კი.

დაქირავებული შრომის ნაცვლად, — აღნიშნავს კ. მარქსი — აქ ლაპარაკობენ „მომსახურებაზე", რომელიც არის შრომა, აღებული მხოლოდ, როგორც სახმარი ღირებულება, სავსებით ისევე როგორც სიტყვაში „პროდუქტი" საქონლის არსი და მასში არსებული წინააღმდეგობა დაფარულია. თვით ფული განიხილება, რო-

---

[94] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 667, 668.

გორც მხოლოდ შუამავალი პროდუქტების გაცვლისა და არა როგორც არსებითი და აუცილებელი ფორმა საქონლის არსებობისა. ამიტომ, — შენიშნავს კ. მარქსი — ასევე ადვილი შესაძლებელია უარყოფა ფულისა, როგორც საქონლის არსებითი ფორმისა, რომელიც მეტამორფოზის პროცესში გვევლინება დამოუკიდებელ ფორმად საქონლის თავდაპირველი ფორმის მიმართ[95].

მაშასადამე აქ კრიზისებს — შენიშნავს კ. მარქსი — თავიდან იცილებენ იმით, რომ ივიწყებენ ან უარყოფენ კაპიტალისტური წარმოების ამოსავალ წანამძღვრებს — „პროდუქტის არსებობას საქონლის სახით, საქონლის გაორებას საქონლად და ფულად, აქედან გამომდინარე გათიშვის მომენტებს საქონელთა გაცვლაში, ბოლოს, იმ მიმართებას, რაშიაც ფული ან საქონელი დაქირავებულ შრომასთან იყოფება"[96].

მოყავს რა დ. რიკარდოს სიტყვები, „ყოველი ადამიანი აწარმოებს მხოლოდ მოხმარების ა ნ გ ა ყ ი დ ვ ი ს მიზნით, და იგი მხოლოდ იმ მიზნით ყიდის, რომ იყიდოს რომელიმე სხვა საქონელი, რომელიც უშუალოდ სასარგებლო იქნებოდა მისთვის ან გამოსადეგი მ ო მ ა ვ ა ლ ი წ ა რ მ ო ე ბ ი ს ა თ ვ ი ს", კ. მარქსი შენიშნავს, რომ

---

[95] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 672, 673.

ფულის რიკარდოსეული მცდარი გაგება — შენიშნავს კ. მარქსი — ემყარებოდა იმას, რომ იგი განიხილავდა მხოლოდ საცვლელი ღირებულების რაოდენობრივ განსაზღვრას, და ივიწყებდა, მის თვისობრივ განსაზღვრას, სახელდობრ, რომ ინდივიდუალური შრომა მხოლოდ თავისი გასხვისების გზით უნდა გამოიხატებოდეს, როგორც აბსტრაქტულად საყოველთაო, საზოგადოებრივი შრომა. ის გარემოება, რომ რიკარდო ფულს განიხილავდა როგორც მხოლოდ მიმოქცევის საშუალებას, იგივე იყო რომ იგი საცვლელ ღირებულებას განიხილავდა, მხოლოდ, როგორც წარმავალ ფორმას, საერთოდ როგორც ფორმალურს ბურჟუაზიული წარმოებისათვის. ამიტომაც ეს უკანასკნელი მას მიაჩნდა არა სპეციფიკურ, არამედ საერთოდ წარმოების ერთადერთ წესად (იქვე, გვ. 676).

[96] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 673.

უკეთესად როდია საქმე იმ ეკონომისტებთან (მაგ. ჯ. სტ. მილთან) — აღნიშნავს კ. მარქსი, — რომელთაც სურთ კრიზისები ახსნან კრიზისის იმ უბრალო შ ე ს ა ძ ლ ე ბ ლ ო ბ ი თ, რასაც საქონელთა მეტამორფოზი შეიცავს, — მაგ., ყიდვისა და გაყიდვის გათიშვით. ეს განსაზღვრებანი, რომელნიც კრიზისის შესაძლებლობას გვიხსნიან, ვერ გვიხსნიან ამ კრიზისის სინამდვილეს. ყიდვისა და გაყიდვის ეს გათიშვა ელინდება კრიზისში; ეს გათიშვა არის კრიზისის ელემენტარული ფორმა. ახსნა კრიზისი მისი ამ ელემენტარული ფორმით — ნიშნავს ახსნა კრიზისი კრიზისით (იქვე, გვ. 673).

ეს „ბავშვური ყბედობა“ შეეფერება არა რიკარდოს, არამედ ვინმე სეის[97]. არც ერთი კაპიტალისტი — წერს კ. მარქსი — არ აწარმოებს იმისათვის, რათა თავისი პროდუქტი მოიხმაროს. დ. რიკარდომ წინათ დაივიწყა, რომ, პროდუქტი საქონელია, ახლა მან შრომის საზოგადოებრივი დანაწილებაც კი დაივიწყა. იმ საზოგადოებრივ პირობებში, როცა ადამიანები თავისთვის აწარმოებენ, არ არის კრიზისები, მაგრამ არ არის აგრეთვე კაპიტალისტური წარმოებაც. ამრიგად, — შენიშნავს კ. მარქსი — პირველი ნაწილი ალტერნატივისა („მოხმარების ან გაყიდვის მიზნით“) უაზრობაა. „სისულელეა“ მეორე ნაწილიც, ადამიანს, რომელმაც პროდუქტი აწარმოა, არა აქვს კაპიტალიზმის პირობებში არჩევანი: გაყიდოს თუ არა. იგი იძულებულია გაყიდოს. კრიზისების დროს სწორედ ისეთი მდგომარეობაა, რომ მას არ შეუძლია გაყიდოს ან შეუძლია გაყიდოს მხოლოდ ხარჯთფასზე დაბლა ანდა იძულებულიც კია პირდაპირ ზარალით გაყიდოს[98].

დ. რიკარდო იმასაც კი ივიწყებს, — წერს კ. მარქსი, — რომ ვინმეს შეუძლია გაყიდოს, რათა გადაიხადოს, რომ იძულებით გაყიდვა მეტად მნიშვნელოვან როლს ასრულებს კრიზისებში. კაპიტალისტის უახლოესი მიზანი გაყიდვისას ისაა, რომ უკუგარდაქმნას თავისი საქონელი ანუ, საქონლური კაპიტალი ფულად კაპიტალად და ამით რეალიზაცია უყოს თავის მოგებას. მოხმარება — შემოსავალი სრულიადაც არ არის ამ პროცესის წარმმართველი მომენტი. კაპიტალისტური წარმოების დროს შემოსავალი (მოხმარება) შედეგია და არა მიზანი. თითოეული უპირველესად იმისათვის ყიდის, რათა გაყიდოს, რათა საქონელი ფულად აქციოს[99].

დ. რიკარდოს მსჯელობას — შენიშნავს კ. მარქსი — აქ საფუძვლად უდევს აგრეთვე წინათ განხილული დებულება ჯემს მილისა „ყიდვათა და გაყიდვათა მეტაფიზიკური წონასწორობის“ შესახებ — დებულება, რომელიც ყიდვისა და გაყიდვის პროცესებში ხედავს მხოლოდ ერთიანობას, მაგრამ არა გათიშვას. აქედან — აღნიშნავს კ. მარქსი, — წარმოდგება დ. რიკარდოს ასეთი მსჯელობა ჯემს მილის ყაიდაზე, რომ „ცალკეული საქონელი შეიძლება წარმოებული იქნეს ზედმეტი რაოდენობით და ბაზარზე შეიძლება აღ-

---

[97] კ. მარქსი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 673, 674.

[98] იქვე, გვ. 674.

[99] იქვე, გვ. 674, 675.

მოჩნდეს იგი ისე ჭარბად, რომ მასში.ე დახარჯული კაპიტალი ვერ ანაზღაურდება; მაგრამ ეს არ შეიძლება მოუვიდეს ყ ვ ე ლ ა საქონელს". დებულება იმის შესახებ — შენიშნავს კ. მარქსი, — რომ საქონელთა არა ყველა სახეობა, არამედ მათი მხოლოდ ცალკეული სახეობანი შეიძლება აღმოჩნდეს „ბაზარზე უხვად", რომ ჭარბწარმოება ამიტომ შეიძლება იყოს მხოლოდ ნაწილობრივი — წინააღმდეგობიდან „უბადრუკი თავის დაძვრენაა"[100].

არაფერი არ უშლის ხელს იმას, — წერს კ. მარქსი — რომ ყველა საქონელი უხვად იყოს ბაზარზე და რომ ამიტომ ყველა თავის ხარჯთფასზე დაბლა დაეცეს. აქ ხომ ლაპარაკია მარტოოდენ კრიზისის მომენტზე. საერთო ბუნება საქონელთა მეტამორფოზისა არა თუ არ გამოხატავს ბაზრის საყოველთაო ავსების შესაძლებლობას, არამედ თვით არის სწორედ ეს შესაძლებლობა საყოველთაო ავსებისა[101].

რიკარდოს და სხვა ეკონომისტების მსგავს მსჯელობათა ამოსავალი იყო შეფარდება არა მარტო ყიდვასა და გაყიდვას შორის, არამედ მოთხოვნასა და მიწოდებას შორისაც, რაც უნდა გაირკვეს მხოლოდ კაპიტალების კონკურენციის განხილვისას.

მილის თანახმად, — აღნიშნავს კ.მარქსი, — ყიდვა არის გაყიდვა და ა. შ., აქედან გამოდის, რომ მოთხოვნაც მიწოდებაა, მიწოდება კი — მოთხოვნა. მაგრამ ისინი ხომ ასევე გამოეყოფიან ერთიმეორეს და შეუძლიათ მოიპოვონ დამოუკიდებლობა ერთიმეორის მიმართ. ყველა საქონლის მიწოდება შეიძლება მოცემულ მომენტში იყოს ყველა საქონლის მოთხოვნაზე მეტი იმის გამო, რომ საყოველთაო საქონლის, ფულის, საცვლელი ღირებულების მოთხოვნა მეტია ყველა განსაკუთრებული საქონლის მოთხოვნაზე; იმის გამო, რომ ფულით საქონლის გამოხატვის, მისი საცვლელი ღირებულების რეალიზაციის მომენტი ძლევს სახმარ ღირებულებად საქონლის უკუგარდაქმნის მომენტს[102]. ჭარბწარმოების წარმოქმნა რომ შესაძლებელი იყოს — შენიშნავს კ. მარქსი — მხოლოდ მას შემდეგ, რაც ერის ყველა წევრმა საარსებო მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილა, მაშინ კაპიტალიზმის ისტორიაში არც ერთხელ არ იქნებოდა არათუ საყოველთაო, არამედ ნაწილობრივი ჭარბწარმოებაც კი. ჭარბწარმოება დაკავშირებულია — წერს კ. მარქსი — მხო-

---

[100] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 675. 676.

[101] ი ბ ე ე, გვ. 676, 677.

[102] ი ბ ე ე, გვ. 677.

ლოდ გადახდისუნარიან მოთხოვნილებებთან. „ლაპარაკია არა აბსოლუტურ ჭარბწარმოებაზე თავისთავად, არამედ მის მიმართებაში აბსოლუტურ მოთხოვნილებასთან ანდა საქონელთა ფლობის სურვილთან. ამ აზრით არ არსებობს არც ნაწილობრივი, არც საყოველთაო ჭარბწარმოება"[103]. „განსაცვიფრებელი" ჭარბწარმოებაში ის არის, — შენიშნავს კ. მარქსი, — რომ იმ საქონელთა ნამდვილ მწარმოებელთ, რომლებიც ბაზარს ავსებენ — მუშებს აკლიათ ეს საქონელი[104]. ჭარბწარმოების მომენტებში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი, განსაკუთრებით მუშათა კლასი, უფრო ნაკლებად არის, ვიდრე სხვა რომელიმე დროს, უზრუნველყოფილი საჭირო საარსებო საშუალებებით.

შემდეგ კ. მარქსი შესანიშნავი სიღრმით არკვევს ჭარბწარმოების კრიზისების წარმოქმნის ფორმალურ, აბსტრაქტულ შესაძლებლობას მარტივ სასაქონლო მეურნეობაში, ამ შესაძლებლობის გადაქცევას კაპიტალისტურ წარმოებაში სინამდვილედ, კრიზისების გარდუვალობას კაპიტალიზმის პირობებში.

უშუალო წარმოების პროცესისა და მიმოქცევის პროცესის ერთიმეორისაგან განცალკევება, — წერს კ. მარქსი, — წარმოადგენს, კვლავ და უფრო განვითარებული სახით, კრიზისის შესაძლებლობას, რომელიც უკვე საქონლის უბრალო მეტამორფოზის განხილვისას მჟღავნდება. როგორც კი ეს პროცესები დამოუკიდებელნი ხდებიან და ერთმანეთს უპირისპირდებიან, — კრიზისი უკვე არსებობს.

კრიზისი სხვა არაფერია, — აღნიშნავს კ. მარქსი — თუ არა ძალადური განხორციელება წარმოების პროცესის ფაზების ერთიანობისა, ფაზებისა, რომლებიც განცალკევდნენ და ერთიმეორის მიმართ დამოუკიდებელნი გახდნენ. კრიზისის ზოგადი აბსტრაქტული შესაძლებლობა არის კრიზისის ყველაზე აბსტრაქტული ფორმა, შინაარსის გარეშე, კრიზისის შინაარსიანი წამქეზებელი მიზეზის გარეშე. გაყიდვა და ყიდვა შეიძლება ერთიმეორეს დაშორდეს, ისინი, მაშასადამე, კრიზისია შესაძლებლობაში, და მათი დამთხვევა მუდამ კრიტიკულ მომენტად რჩება საქონლისათვის. მაშასადამე, ძალაში რჩება — შენიშნავს კ. მარქსი — რომ კრიზისის ყველაზე აბსტრაქტული ფორმა და ამიტომ კრიზისის ფორმალური შესაძლებლობა თვით საქონლის მეტამორფოზია. ამრიგად, კრიზისი

---

[103] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 679.

[104] ი ქ ვ ე. გვ. 679.

თავისი პირველი ფორმით არის თვით მეტამორფოზი საქონლისა, ყიდვისა და გაყიდვის გამოყოფა ერთიმეორისაგან. კრიზისი თავისი მეორე ფორმით დაკავშირებულია ფულის, როგორც გადახდის საშუალების ფუნქციასთან. აქ ფული ორი სხვადასხვა დროის მონაკვეთში ორ სხვადასხვა ფუნქციას ასრულებს. ორივე ეს ფორმა ჯერ კიდევ აბსტრაქტულია, თუმცა მეორე პირველზე უფრო კონკრეტულია[105].

საქონელთა და შემდეგ ფულის მიმოქცევაში განვითარებული წინააღმდეგობანი, —აღნიშნავს კ. მარქსი — მაშასადამე, შესაძლებლობანიც კრიზისისა, თავისთავად კვლავ წარმოიქმნება კაპიტალში, რადგან საქონელთა და ფულის განვითარებულ მიმოქცევას სინამდვილეში ადგილი აქვს მხოლოდ კაპიტალის საფუძველზე.

ახლა ლაპარაკია იმაზე, — წერს კ. მარქსი, — რომ გავარკვიოთ პოტენციური კრიზისის შემდგომი განვითარება. რეალური კრიზისი შეიძლება გამოვიყვანოთ მხოლოდ კაპიტალისტური წარმოების კონკურენციისა და კრედიტის მოძრაობიდან.

გარკვეული უნდა იქნეს პოტენციური კრიზისის შემდგომი განვითარება, რამდენადაც იგი გამომდინარეობს კაპიტალის იმ ფორმაგანსაზღვრულობათაგან, რომლებიც დამახასიათებელია კაპიტალისათვის, როგორც კაპიტალისათვის და რომელთაც არ შეიცავს უბრალოდ მისი — როგორც საქონლისა და ფულის მყოფობა.

კაპიტალის ერთობლივი მიმოქცევის პროცესი, ანუ ერთობლივი კვლავწარმოების პროცესი — აღნიშნავს კ. მარქსი — არის მისი წარმოების და მისი მიმოქცევის ფაზების ერთიანობა. აქ მოცემულია კრიზისის შესაძლებლობა ანუ მისი აბსტრაქტული ფორმა, რომელმაც შემდგომი განვითარება მიიღო. ამიტომ ეკონომისტები, რომლებიც კრიზისებს უარყოფენ, მხოლოდ ამ ორი ფაზის ერთიანობას იცავენ. ეს ფაზები რომ ერთმანეთს დაშორებული იყვნენ და რაღაც ერთიანს არ წარმოადგენდნენ, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა მათი ერთიანობის ძალდატანებითი აღდგენა, შეუძლებელი იქნებოდა კრიზისი. ისინი რომ მხოლოდ ერთიანობას წარმოადგენდნენ და ერთმანეთს დაშორებულნი არ იყვნენ, მაშინ შე-

---

[105] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 680, 683, 684.

მაგრამ არ შეიძლება ითქვას — აღნიშნავს კ. მარქსი, — რომ კრიზისის აბსტრაქტული ფორმა კრიზისის მიზეზია. თუ მისი მიზეზის შესახებ კითხულობენ, ამით უნდა იცოდნენ, თუ რატომაა, რომ მისი აბსტრაქტული ფორმა, მისი შესაძლებლობის ფორმა, შესაძლებლობიდან სინამდვილედ იქცევა (იქვე, გვ. 691).

უძლებელი იქნებოდა მათი ერთმანეთისაგან ძალდატანებითი ჩამოშორება, რაც კვლავ კრიზისს წარმოადგენს[106].

კრიზისი არის „ძალდატანებითი აღდგენა იმ მომენტების ერთიანობისა, რომლებიც დამოუკიდებელნი გახდნენ, და ძალდატანებითი გადაქცევა დამოუკიდებელ რამედ ისეთი მომენტებისა, რომლებიც არსებითად რაღაც ერთიანობას წარმოადგენენ“ [107].

კრიზისის პრობლემა არ შეიძლება დაყვანილ იქნეს უბრალოდ მომხმარებლებსა და მწარმოებლებს შორის არსებულ ურთიერთობაზე. როგორც კ. მარქსი აღნიშნავს, არ არსებობს კრიზისების უარყოფის იმაზე „უაზრო ხერხი“, ვიდრე იმის მტკიცება, თითქოს მომხმარებელნი (მყიდველნი) და მწარმოებელნი (გამყიდველნი) კაპიტალიზმის დროს იდენტურნი არიან. ისინი სრულიად არ ემთხვევიან ერთიმეორეს[108].

მუშას შეუძლია გამოვიდეს, — წერს კ. მარქსი, — როგორც მყიდველი, (როგორც მოთხოვნის წარმომადგენელი) მხოლოდ იმ საქონლის მიმართ, რომელიც ინდივიდუალურ მოხმარებაში შედის, რადგან იგი თვითონ როდი ფლობს თავის შრომის განხორციელების პირობებს (შრომის საშუალებებსა და შრომის მასალას).

მაშასადამე, უკვე ეს გარემოება — აღნიშნავს კ. მარქსი — გამორიცხავს კაპიტალიზმის დროს მწარმოებელთა უდიდეს ნაწილს მომხმარებელთა — მყიდველთა რიცხვიდან. ისინი არ ყიდულობენ ნედლეულსა და შრომის საშუალებებს, ისინი ყიდულობენ მხოლოდ საარსებო საშუალებებს, ინდივიდუალურ მოხმარებაში შემავალ საქონელს. ამრიგად, მუშები არიან მწარმოებლები და არა მომხმარებლები ყველა იმ საგნის მიმართ, რომელთა მოხმარება უნდა ხდებოდეს არა ინდივიდუალურად, არამედ პროდუქტიულად. ამიტომ იმაზე უფრო „სასაცილო“ არაფერია, ვიდრე ლაპარაკი მწარმოებელთა და მომხმარებელთა იგივეობაზე.

ამ იდენტურობის მტკიცება — შენიშნავს კ. მარქსი — შეიძლება „3000 მწარმოებლიდან მხოლოდ ერთის მიმართ, ე. ი. მხოლოდ კაპიტალისტის მიმართ. ასევე მცდარია საწინააღმდეგო მტკიცება. თითქოს მომხმარებელნი მწარმოებელნი არიან. მიწის მესაკუთრე (რენტის მიმღები) არ აწარმოებს, მაგრამ მაინც მომხმარებელია.

---

[106] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 687, 689.

[107] ი ქ ვ ე, გვ. 689.

[108] ი ქ ვ ე გვ. 696.

ასეთივე მდგომარეობა ჩეაქვს ფულადი კაპიტალის ყველა წარმომ.-
დგენლის მიმართაც" [109].

აქრიგად, როცა განსახილველი ურთიერთობა — აღნიშნავს კ. მარქსი—უბრალოდ მომსმარებლებსა და მწარმოებლებს შორის არსებულ ურთიერთობაზე დაყავთ, ივიწყებენ, რომ მწარმოებელი დაქირავებული მუშა და მწარმოებელი კაპიტალისტი ორი სრულიად სხვადასხვა სახის მწარმოებელია, რომ არაფერი ითქვას იმათზე, რომლებიც საერთოდ არ ეწევიან საწარმოო საქმიანობას. აქ კვლავ დაპირისპირებულობა უარყოფილია იმით, რომ მხედველობის გარეშეა წარმოებაში ნამდვილად არსებული დაპირისპირებულობა, ურთიერთობა დაქირავებულ მუშასა და კაპიტალისტს შორის [110].

კაპიტალისტური წარმოების საზღვარია არა მწარმოებელთა მოთხოვნილებანი, არამედ კაპიტალისტების მოგება. ბაზრის გაფართოება — შენიშნავს კ. მარქსი — რომ ფეხდაფეხ მოჰყვებოდეს წარმოების გაფართოებას, მაშინ არ იქნებოდა ბაზრის გავსება, არ იქნებოდა ჭარბწარმოება.

რიკარდოსეული კონცეფცია მოხმარების ზრდისა და შინაბაზრის გაფართოების უსაზღვრო შესაძლებლობის შესახებ მცდარ დებულებებს ემყარებოდა. დ. რიკარდოს აზრით, რომელიმე ქვეყანაში არსებული მთელი კაპიტალი შეიძლებოდა ხელსაყრელად ყოფილიყო გამოყენებული ამავე ქვეყანაში[111]. დამატებითი წარმოების საზომია, — წერს კ. მარქსი, — თვით კაპიტალი, წარმოების პირობათა არსებული მასშტაბი და კაპიტალისტების უზომო სწრაფვა გამდიდრებისადმი, თავიანთი კაპიტალის გადიდებისადმი და არავითარ შემთხვევაში მოხმარება; ეს უკანასკნელი იმთავითვე ჩაფუშულია, რადგან მოსახლეობის უდიდეს ნაწილს, — მუშა-მოსახლეობას შეუძლია თავისი მოხმარება გააფართოოს მხოლოდ მეტად შეზღუდულ ფარგლებში.

მეორე მხრივ — შენიშნავს კ. მარქსი — კაპიტალიზმის განვითარების კვალობაზე, შრომის მოთხოვნა შეფარდებით მცირდება, თუმცა აბსოლუტურად იზრდება. ამას ემატება ისიც, რომ დისპროპორციათა ყველა გათანაბრებას შემთხვევითი ხასიათი აქვს; რომ თუმცა კაპიტალების ცალკეულ სფეროებში გამოყენების თანაფარდობანი გარკვეული მუდმივი პროცესის მეოხებით გათანაბრებას

---

[109] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 695, 696, 697.

[110] ი ქ ვ ე, გვ. 697, 698.

[111] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 704.

განიცდიან, მაგრამ თვით მუდმივობა ამ პროცესისა გულისხმობს ასევე მუდმივ დისპროპორციებს, რომელთა გათანაბრებაც, მას მუდამ, იძულებითი გზით, უხდება[112].

მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით, კაპიტალისტები აფართოებენ წარმოებას, რასაც ადგილი აქვს მოხმარების შესაბამისი გაფართოების გარეშე.

სიტყვა ჭარბწარმოებას, — წერს კ. მარქსი — თავისთავად შეეყავართ შეცდომაში. სანამ დაკმაყოფილებული არაა საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილის საარსებო მოთხოვნილებანი, ანდა მისი მხოლოდ ყველაზე უშუალო მოთხოვნილებანი. აბსოლუტურად შეუძლებელია ლაპარაკი პროდუქტების ჭარბწარმოებაზე, იმ აზრით, რომ პროდუქტების მასა მოჭარბებულია შედარებით ამ პროდუქტების მოთხოვნილებასთან. პირიქით, კაპიტალიზმის დროს ამ აზრით მუდამ არსებობს ნაკლებწარმოება. წარმოების საზღვარია კაპიტალისტების მოგება და არა მწარმოებელთა მოთხოვნილებანი.

თუ დ. რიკარდო ფიქრობდა, აღნიშნავს კ. მარქსი, -- რომ საქონლის ფორმა სულერთია პროდუქტისათვის, რომ საქონელმიმოქცევა მხოლოდ ფორმალურად განსხვავდება გაცვლითი ვაჭრობისაგან. რომ საცვლელი ღირებულება აქ მხოლოდ წარმავალი ფორმაა ნივთიერებათა ცვლისა, ფული კი ამიტომ მიმოქცევის მხოლოდ ფორმალური საშუალებაა, — ყოველივე ეს გამომდინარეობდა დ. რიკარდოს წანამძღვრიდან, რომ ბურჟუაზიული წარმოების წესი წარმოების აბსოლუტური წესია. ამიტომაც დ. რიკარდოს არ შეეძლო აღიარება, რომ ეს წარმოების წესი შეიცავს საზღვარს საწარმოო ძალების თავისუფალი განვითარებისათვის, საზღვარს, რომელიც მეღავნდება კრიზისებში და ჭარბწარმოებაში, კრიზისების ამ ძირითად მოვლენაში[113].

კაპიტალისტური კვლავწარმოების და დაგროვების ანტაგონისტურ წინააღმდეგობათა ღრმა ანალიზის საფუძველზე კ. მარქსი აყალიბებს დასკვნას კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობის შესახებ, რომელიც წარმოადგენს კრიზისების მთავარ მიზეზს, რაც შემდეგში მის მიერ ასე შესანიშნავად იქნა განვითარებული „კაპიტალის" მესამე ტომში.

---

[112] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 660, 661.

[113] ი ბ ე ვ ე, გვ. 707, 708.

ამიტომ ძველ ხალხებში არ იყო ჭარბწარმოება, — შენიშნავს კ. მარქსი -- მდიდრებთან იყო ჭარბმოხმარება, რაც რომისა და საბერძნეთის უკანასკნელ ეპოქაში უაზრო მფლანგველობაში გადადიოდა (იბევ, გვ. 709).

როგორც კ. მარქსი აღნიშნავს, საწარმოო ძალების „სწორედ ეს შეუჩერებელი განვითარება და აქედან გამომდინარე მასობრივი წარმოება, რაც ისეთ პირობებში ხდება, რომ, ერთი მხრივ, მწარმოებელთა მასისათვის მოხმარება შეზღუდულია პირველი საჭიროების საგნებით, მეორე მხრივ კი, წარმოების საზღვარს კაპიტალისტური მოგება წარმოადგენს, — აი რა შეადგენს თანამედროვე ჭარბწარმოების საფუძველს“ [114].

ეკელა მოსაზრება — წერს კ. მარქსი — რასაც დ. რიკარდო და სხვები ჭარბწარმოების და ა. შ. წინააღმდეგ იყენებენ, იმას ემყარება, რომ კაპიტალისტურ წარმოებას ისინი განიხილავენ ან როგორც ისეთს, როცა არ არსებობს განსხვავება ყიდვასა და გაყიდვას შორის, — ანდა როგორც საზოგადოებრივ წარმოებას, როცა საზოგადოება, გეგმის მიხედვით ანაწილებს თავის წარმოების საშუალებებს და საწარმოო ძალებს, იმდენად და იმ ზომით, რამდენადაც ეს აუცილებელია მისი სხვადასხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

ეს ფიქცია — აღნიშნავს კ. მარქსი — გამომდინარეობს ბურჟუაზიული წარმოების სპეციფიკური ფორმის გაგების უუნარობიდან. ეს უუნარობა კი თავის მხრივ გამომდინარეობს ბურჟუაზიულ წარმოებაში „ჩაძირვიდან“, წარმოებაში, რომელიც წარმოუდგენიათ, როგორც წარმოება საერთოდ (schlechthin)[115].

მსოფლიო ბაზრის კრიზისებში მძაფრად მეღავნდება კაპიტალისტური წარმოების წინააღმდეგობანი და ანტაგონიზმები. მაგრამ, იმის მაგივრად, რომ გამოიკვლიონ — წერს კ. მარქსი, — რას წარმოადგენენ ის ანტაგონისტური ელემენტები, რომლებიც კატასტროფის სახით იჩენენ ხოლმე თავს, აპოლოგეტები იმით კმაყოფილდებიან, რომ უარყოფენ თვით კატასტროფას. მიუხედავად მისი კანონზომიერი პერიოდულობისა, ისინი ჯიუტად ამტკიცებენ, რომ თუ წარმოება სახელმძღვანელოების მიხედვით წარიმართებოდა, მაშინ საქმე კრიზისამდე აღარ მივიდოდაო.

აპოლოგეტიკა აქ მდგომარეობს — შენიშნავს კ. მარქსი — უმარტივეს ეკონომიურ ურთიერთობათა ფალსიფიკაციაში, განსაკუთრე-

---

[114] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 709.

[115] ი ქ ვ ე, გვ. 709, 710.

სავსებით ასევე ადამიანი — შენიშნავს კ. მარქსი, — „რომელიც გარკვეულ რელიგიას აღიარებს, მასში ხედავს რელიგიას საერთოდ (schlechthin), მის გარეშე კი მხოლოდ ცრურელიგიებს ამჩნევს“ (იქვე, გვ. 710).

ბით იმაში, რომ დაპირ.ისპირებულობის წინააღმდეგ ერთიანობა ფიქსირდება.

მაგრამ აქ აგრეთვე გათიშვაცაა და სწორედ კრიზისი ააშკარავებს ივ მომენტების ერთიანობას, რომელნიც ერთიმეორის მიმართ დამოუკიდებელნი გახდნენ; ამ მოჩვენებითად ინდიფერენტული მომენტების შინაგანი ერთიანობის გარეშე კრიზისიც არ იქნებოდა.

ეკონომისტი-აპოლოგეტი ამბობს — წერს კ. მარქსი—რომ, რადგან ადგილი აქვს ერთიანობას, კრიზისი არ შეიძლება იყოს; ეს მხოლოდ იმის მტკიცებას ნიშნავს, რომ საპირისპირო მომენტების ერთიანობა გამორიცხავს მათს დაპირისპირებულობას.

კრიზისების უარყოფის მიზნით გამოყენებული აპოლოგეტური ფრაზები — აღნიშნავს კ. მარქსი, — მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ყოველთვის იმის საწინააღმდეგოს ამტკიცებენ, რისი დამტკიცებაც სურთ. ყოველგვარი საფუძველი რაც კრიზისის არსებობის წინააღმდეგ აპოლოგეტებს მოჰყავთ, წარმოადგენს წინააღმდეგობას, თავიდან მოშორებულს მხოლოდ მათს წარმოსახვაში, მაშასადამე, რეალურ წინააღმდეგობას, მაშასადამე კრიზისის საფუძველს [116]. კ. მარქსის სიტყვებით, ფანტაზიორების შემწეობით „წინააღმდეგობათა თავიდან მოშორებისადმი მისწრაფება ამასთანავე დადასტურებაა იმისა, რომ სინამდვილეში არსებობს წინააღმდეგობანი, რომლებიც, ღვთისმოსავი სურვილის თანახმად, ა რ უ ნ დ ა არსებობდნენ“[117].

კ. მარქსის ეს სიტყვები აცამტვერებენ თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტ-აპოლოგეტების (მაგალითად კეინსიანელ ე. ჰანსენის, „ტექნოლოგიური“ ვარიანტის მიმდევრების — ჯ. დიბოლი, პ. დრუკერი და სხვ.) ცრუ თეორიებს „კაპიტალიზმის უკრიზისო განვითარების“ შესახებ.

თანამედროვე კაპიტალიზმის განვითარების თავისებურებანი ბრწყინვალედ ადასტურებს კ. მარქსის ამ გენიალურ წინასწარხედვას, ამხელს თანამედროვე ვულგარული ბურჟუაზიული ეკონომისტების მიერ მონოპოლისტური კაპიტალიზმის ყოველგვარი სახის აპოლოგეტიკას.

„ზედმეტი ღირებულების თეორიების („კაპიტალის“ მეოთხე ტომის)“ მეორე ნაწილის უკანასკნელ, მეთვრამეტე (18) თავში კ. მარქსი კრიტიკულად განიხილავს დ. რიკარდოს შეხედულებებს მთლია-

---

[116] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 670, 671, 697.

[117] ი ქ ვ ე, გვ. 697.

ნი და წმინდა შემოსავლის შესახებ და შემდეგ მისი და XIX საუკუნის ინგლისელი ეკონომისტის, კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენლის ჯ. ბარტონის შეხედულებებს მანქანების გავლენის შესახებ მუშათა კლასის მდგომარეობაზე.

წმინდა შემოსავალი, წინააღმდეგ მთლიანი შემოსავლისა (რომელიც გაიგივებული იყო ერთობლივ პროდუქტთან ან ერთობლივი პროდუქტის ღირებულებასთან), ის ფორმაა — წერს კ. მარქსი, — რომლითაც ფიზიოკრატები თავდაპირველად ზედმეტი ღირებულების ფიქსირებას ახდენენ. მიწის რენტას ისინი განიხილავდნენ როგორც ზედმეტი ღირებულების ერთადერთ ფორმას, იმიტომ რომ სამრეწველო მოგება მათ ესმოდათ მხოლოდ, როგორც თავისებური ხელფასი.

წმინდა შემოსავალი სინამდვილეში არის პროდუქტის, ანუ მისი ღირებულების ნამეტი მის იმ ნაწილთან შედარებით, რომელიც ანაზღაურებს ავანსებულ კაპიტალს (მუდმივს და ცვალებადს). მაშასადამე, წმინდა შემოსავალი შედგება მოგებისა და რენტისაგან.

კაპიტალისტური წარმოების უშუალო მიზანია, — წერს კ. მარქსი — არა საქონლის წარმოება, არამედ ზედმეტი ღირებულების, ანუ მოგების (მისი განვითარებული ფორმით) წარმოება; არა პროდუქტი, არამედ ზედმეტი პროდუქტი.

ამ თვალსაზრისით თვით შრომა — შენიშნავს კ. მარქსი — პროდუქტიულია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი კაპიტალისათვის ქმნის მოგებას ანუ ზედმეტ პროდუქტს. თუ მუშა ამას არ ქმნის, მისი შრომა არ არის პროდუქტიული. მაშასადამე, გამოყენებული პროდუქტიული შრომის მასა კაპიტალისათვის ინტერესს წარმოადგენს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მისი შემწეობით იზრდება ზედმეტი შრომის მასა. მხოლოდ ამდენად, არის აუცილებელი ის,— აღნიშნავს კ. მარქსი, — „რასაც ჩვენ აუცილებელი სამუშაო დრო ვუწოდეთ. თუ შრომა ამ შედეგს არ იძლევა, იგი ზედმეტია და უნდა შეწყდეს“ [118].

„კაპიტალისტური წარმოების მუდმივი მიზანი ისაა, რომ ავანსებული კაპიტალის მინიმუმის პირობებში აწარმოოს ზედმეტი ღირებულების ან ზედმეტი პროდუქტის მაქსიმუმი“ [119].

თვით მუშები ასეთი გაგებისას, — წერს კ. მარქსი, — წარმოგვიდგებიან ისეთებად, როგორც არიან კაპიტალისტურ წარმოებაში,

---

[118] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 733, 734.

[119] ი ქ ვ ე, გვ. 734.

როგორც წარმოების საშუალებანი და არა როგორც თეითმიზანი და არა როგორც მიზანი წარმოებისა.

წმინდა შემოსავალს განსაზღვრავს — აღნიშნავს კ. მარქსი — არა ერთობლივი პროდუქტის ღირებულება, არამედ ერთობლივი პროდუქტის ღირებულების გადანამეტი ავანსებული კაპიტალის ღირებულებაზე, ანუ ზედმეტი პროდუქტის სიდიდე ერთობლივ პროდუქტთან შედარებით. თუ ეს გადანამეტი იზრდება, თუნდაც პროდუქტის ღირებულების შემცირებისას ანდა, როცა ღირებულებასთან ერთად მცირდება ერთობლივი რაოდენობაც პროდუქტისა, მაშინ კაპიტალისტური წარმოების მიზანი მიღწეულია [120].

დ. რიკარდომ ჩამოაყალიბა, — წერს კ. მარქსი, — „ეს ტენდენციები მთელი თანმიმდევრობით და სრულიად შეულამაზებლად. აქედან წარმოდგება ესოდენ ხმამაღალი ყვირილი მის წინააღმდეგ მეშჩანური ფილანტროპების მხრიდან“[121].

ამასთან დ. რიკარდო წმინდა შემოსავლის განხილვისას — შენიშნავს კ. მარქსი — კვლავ უშვებდა იმ შეცდომას, რომ ერთობლივი პროდუქტი მას დაჰყავდა შემოსავალზე — ხელფასსა, მოგებასა და რენტაზე, და მხედველობის გარეშე ტოვებდა ასანაზღაურებელ მუდმივ კაპიტალს[122].

რაც შეეხება დ. რიკარდოს შეხედულებებს მუშათა კლასის მდგომარეობაზე მანქანების გავლენის შესახებ, აღსანიშნავია მისი თავდაპირველი მიხვედრა მანქანების მიერ მუშების ნაწილის გაძევების შესახებ, მაგრამ მცდარი იყო მისი დებულება დათხოვნილი მუშებისათვის ხელფასის ფონდის განთავისუფლების შესახებ.

ეხება რა დ. რიკარდოს მიერ მოტანილ მაგალითს (ქარის ან წყლის დახმარებით წისქვილზე ათი კაცის შრომის დაზოგვის შესახებ) კ. მარქსი შენიშნავს, რომ შეცდომაა იმ ათი კაცის „შესანახად განკუთვნილ ფონდზე“ ლაპარაკი, რომლებმაც სამუშაო დაკარგეს ახალი აღმოჩენის შედეგად. ეს ფონდი ზემოაღნიშნულ ათ მუშასთან სრულიად არავითარ ბუნებრივ კავშირში არაა. ეს მუშები შეიძლება გახდნენ პაუპერები, შიმშილით დაიხოცონ და ა. შ. მაგრამ ყველა გარემოებაში, — წერს კ. მარქსი, — აქ არ არსებობს არაევითარი ფონდი „განკუთვნილი“ ათი დათხოვნილი მუშისათვის.

---

[120] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 734.

[121] ი ქ ვ ე, გვ. 734.

[122] ი ქ ვ ე.

უაზროა აქ წამოყენებული წანამძღვარი იმის შესახებ, რომ თუ მანქანების შემოღება (ან ბუნების ძალების გამოყენება) არ ამცირებს იმ საარსებო საშუალებათა მასას, რომელთაც შეუძლიათ ხელფასის მაგიერობა გასწიონ, მაშინ ზემოაღნიშნული წესით განთავისუფლებული ფონდი აუცილებლად უნდა დაიხარჯოს ცვალებადი კაპიტალის სახით და უნდა დაიხარჯოს სწორედ დათხოვნილ მუშებზე; თითქოს შეუძლებელი იყოს საარსებო საშუალებათა გაზიდვა საზღვარგარეთ, ანდა თითქოს შეუძლებელი იყოს არამწარმოებელ მუშაკებზე მათი დახარჯვა, ანდა კიდევ ხელფასს არ შეეძლოს გადიდება წარმოების ამა თუ იმ სფეროებში და ა. შ.[123].

მანქანები „მუდამ ქმნიან შეფარდებითს ჭარბმოსახლეობას, მუშების სარეზერვო არმიას, რაც დიდად ადიდებს კაპიტალის ძალას“ [124].

შემდეგში დ. რიკარდომ გამოიჩინა რა მეცნიერული კეთილსინდისიერება, გადასინჯა თავისი შეხედულებანი მანქანების საკითხში. მისი წიგნის 31 თავი („მანქანების შესახებ“), რომელიც დ. რიკარდომ თავის თხზულების მესამე გამოცემაში დაურთო — შენიშნავს კ. მარქსი — მოწმობს „მის კ ე თ ი ლ ს ი ნ დ ი ს ი ე რ ე ბ ა ს, რაც მას ასე არსებითად განასხვავებს ეულგარული ეკონომისტებისაგან“[125].

მაგრამ, ამასთანავე კ. მარქსი აკრიტიკებს იმ წინანდელ მცდარ წანამძღვრებს, რომლებიც შემორჩა დ. რიკარდოს საკითხის ახალ დასმაში.

ის უაზრობა, რომელიც ფარული სახით დ. რიკარდოს არგუმენტაციას შეადგენს — წერს კ. მარქსი — მდგომარეობს იმაში, რომ ის საარსებო საშუალებანი, რომელთაც წინათ ამჟამად დათხოვნილი მუშები ხმარობდნენ, ხომ განაგრძობენ არსებობას და უწინ-

---

[123] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 738, 743.

[124] ი ბ ე ი, გვ. 743.

[125] ი ბ ე ი, გვ. 744.

შემდეგ, აგრეთვე „კაპიტალის“ I ტომში (1867 წ.) კ. მარქსი აღნიშნავს, რომ დ. რიკარდო, თავდაპირველად იზიარებდა იმ შეხედულებას, რომ ყველა მანქანა, რომელიც მუშებს აძევებს, იმავე დროს მუდამ და აუცილებლად ათავისუფლებს სათანადო კაპიტალს, რომელიც ამავე განდევნილ მუშებს სამუშაოს აძლევს, მაგრამ შემდეგში მან გარკვევით უარყო ეს შეხედულება „მისთვის დამახასიათებელი მეცნიერული მიუდგომლობითა და ჭეშმარიტების სიყვარულით“, (კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954. გვ. 554.).

დებურად ბაზარზე იმყოფებიან. მეორე მხრივ, ეს მუშებიც ხომ ასე-ვე ბაზარზე არიან. ამრიგად, ერთ მხარეზეა მუშების საარსებო საშუალებანი, მაშასადამე გადახდის საშუალებანიც, რომლებიც პოტენციურად ცვალებად კაპიტალს წარმოადგენენ, მეორე მხარეზე კი დაუსაქმებელი მუშები. მაშასადამე არსებობს ფონდი იმისათვის, რომ ეს მუშები მოძრაობაში მოიყვანოს და მაშასადამე, ისინი მონახავენ სამუშაოს.

ამ კონცეფციის თანახმად — აღნიშნავს კ. მარქსი — არც ერთი შრომისუნარიანი და შრომისმოყვარე ადამიანი არ შეიძლება შიმშილობდეს, როცა ბაზარზე, საზოგადოებაში მოიპოვება საარსებო საშუალებანი, რომლებიც შეიძლება მას საფასურად მიეცეს სამუშაოსათვის.

დ. რიკარდო — შენიშნავს კ. მარქსი — გამოდის იმ ფანტასტიკური წარმოდგენიდან, თითქოს ბურჟუაზიული საზოგადოების მთელი მექანიზმი ისე იყოს მოწყობილი, რომ, თუ მაგალითად დათხოვნილია ათი მუშა, მათი საარსებო საშუალებანი, ახლა რომ განთავისუფლდა აუცილებლად უნდა მოიხმაროს ამავე დათხოვნილმა ათმა მუშამ, წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ვერ გასაღდებოდნენ, თითქოს ამ საზოგადოების „ფსკერზე არ იყოს უამრავი ნახევრადდასაქმებული ანდა სრულიად დაუსაქმებელი ადამიანი, რომლებიც სამუშაოს შეუწყვეტელ ძიებაში დაძრწიან, და ვითომდა საარსებო საშუალებათა სახით არსებული კაპიტალი გარკვეულ ფიქსირებულ სიდიდეს წარმოადგენდეს“ [126].

ამასთან, კ. მარქსი აღნიშნავს მუშათა კლასისათვის მანქანების შემოღების ზოგიერთი შედეგის სწორ კონსტატაციას დ. რიკარდოს მიერ. მაგალითად, იგი აღიარებდა, რომ იმ მიზეზებს, რომლებიც კაპიტალისტებისა და მიწის მესაკუთრეების სიმდიდრეს ადიდებენ „შეუძლიათ... შექმნან ჭ ა რ ბ მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ა“, ასე რომ ეს უკანასკნელი გამოხატულია აქ როგორც თვით გამდიდრების პროცესისა და მისი გამაპირობებელი საწარმოო ძალის განვითარების შედეგი. რაც შეეხება ფონდს — წერს კ. მარქსი — საიდანაც შემოსავალს ღებულობენ კაპიტალისტები და მიწის მესაკუთრენი, და მეორე მხრივ, ფონდს, საიდანაც შემოსავალს მუშები ღებულობენ, ეს საერთო ფონდი არის უწინარეს ყოვლისა ერთობლივი პროდუქტი[127].

კაპიტალისტებისა და მიწის მესაკუთრეთა მოხმარებაში შემავა-

---

[126] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 749, 750.

[127] ი ქ ვ ე, გვ. 756, 757.

ლი პროდუქტების მნიშვნელოვანი ნაწილი, — შენიშნავს კ. მარქსი— არ შედის მუშების მოხმარებაში, მაგრამ, მეორე მხრივ, მუშების მოხმარებაში შემავალი თითქმის ყველა პროდუქტი, — შედის „აგრეთვე მიწის მესაკუთრეთა და კაპიტალისტთა მოხმარებაშიც, მათი მსახურების, მუქთამჭამლების, ძაღლებისა და კატების ჩათვლით“ [128].

არ შეიძლება წარმოვიდგინოთ — წერს კ. მარქსი, — თითქოს არ არსებობს ერთიმეორისაგან განცალკევებულად თავისი ბუნებით განსხვავებული, ფიქსირებული სიდიდის მქონე, ორი ფონდი. მნიშვნელოვანია ის, თუ რა წილს ღებულობს ამ საერთო ფონდიდან თითოეული მხარე. კაპიტალისტური წარმოების მიზანი, სიმდიდრის მოცემული მასის შემწეობით, რაც შეიძლება მეტი ზედმეტი პროდუქტის ან ზედმეტი ღირებულების მიღება, იმით ხორციელდება, რომ მუდმივი კაპიტალი შეფარდებით უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე ცვალებადი კაპიტალი, ე. ი. იმით, რომ რაც შეიძლება ნაკლები ცვალებადი კაპიტალით მოძრაობაში მოიყვანება, რაც შეიძლება მეტი მუდმივი კაპიტალი.

ამრიგად, გაცილებით უფრო ზოგადი აზრით — წერს კ. მარქსი — ვიდრე ეს აქ დ. რიკარდოს აქვს მხედველობაში, სწორია ის, რომ ერთი და იგივე მიზეზი, რომელიც იმ ფონდის გადიდებას იწვევს, საიდანაც კაპიტალისტები და მუშები შემოსავალს იღებენ, ამ შედეგს წარმოშობს იმ ფონდის შემცირებით, საიდანაც თავის შემოსავალს მუშები იღებენ [129].

აქედან არ გამომდინარეობს, — შენიშნავს კ. მარქსი, — რომ ფონდი, საიდანაც მუშები თავიანთ შემოსავალს იღებენ აბსოლუტურად მცირდება, იგი მხოლოდ მათ მიერ წარმოებულ ერთობლივ პროდუქტთან შეფარდებით მცირდება. ეს გარემოება არის ერთადერთი მნიშვნელოვანი იმ წილის განსასაზღვრავად, რასაც ისინი მიითვისებენ თვით მათ მიერ შექმნილი სიმდიდრიდან [130]. ამავე დროს კ. მარქსი ამხელს აპოლოგეტიკურ წარმოდგენათა არსებობას პრობლემის რიკარდოსეულ გაშუქებაში.

არსებობს — წერს კ. მარქსი — ორი მუდამ გადაჯვარედინებული ტენდენცია: — ჯერ ერთი, გამოყენებულ იქნეს რაც შეიძლება ნაკლები შრომა საქონელთა იმავე ან უფრო მეტი რაოდენობის, წმინდა პროდუქტის, ზედმეტი ღირებულების, წმინდა შემოსავ-

---

[128] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 757.

[129] ი ქ ვ ე, გვ. 757, 758.

[130] ი ქ ვ ე, გვ. 758.

ლის იმავე ან უფრო მეტი რაოდენობის საწარმოებლად; მეორე, გამოყენებულ იქნეს რაც შეიძლება მეტი მუშა, თუმცა შეიძლება ნაკლებიც მათ მიერ წარმოებულ საქონელთა რაოდენობასთან შედარებით, რადგან, საწარმოო ძალების განვითარების მოცემულ საფეხურზე, გამოყენებული შრომის მასის გადიდებასთან ერთად იზრდება ზედმეტი ღირებულების და ზედმეტი პროდუქტის მასაც.

ერთი ტენდენცია — შენიშნავს კ. მარქსი — ქუჩაში ისვრის მუშებს და ქმნის ჭარბმოსახლეობას. მეორე კი — ხელახლა ნთქავს მათ და აბსოლუტურად აფართოებს დაქირავებული შრომის მონობას. „ამრიგად, ბედი მუშას ხან იქით გადაისვრის, ხან აქეთ, მაგრამ მაინც ამ ბედს იგი თავს ვერ აღწევს". ამიტომ თავისი შრომის საწარმოო ძალების განვითარებას მუშა თავის მტრად მიიჩნევს.

მეორე მხრივ, კაპიტალისტი მას ექცევა როგორც ისეთ ელემენტს, რომელიც მუდამ შეიძლება გაძევებულ იქნეს წარმოებიდან [131].

ასეთია წინააღმდეგობანი, „რომელთა გადაწყვეტაზე რიკარდო წვალობს ამ თავში" [132].

რისი აღნიშვნაც დ. რიკარდოს აქ ავიწყდება, — წერს კ. მარქსი — ეს არის მუდმივი გამრავლება საშუალო კლასებისა, რომლებიც დგანან, ერთი მხრივ, მუშებსა და, მეორე მხრივ, კაპიტალისტებსა და მიწის მესაკუთრეებს შორის, — საშუალო კლასებისა, რომლებიც „სულ უფრო მზარდი მოცულობით მეტწილად შემოსავლის ხარჯზე იკვებებიან, მძიმე ტვირთად აწვებიან მუშებს, საზოგადოების საფუძველს რომ შეადგენენ, და ათეული ათასობით ზემომდგომთა სოციალურ სამყაროსა და ძალას ზრდიან" [133].

მანქანების გამოყენების მეოხებით — შენიშნავს კ. მარქსი — „დაქირავებული მონობის უკვდავყოფას ბურჟუები გვთავაზობენ როგორც მანქანების „აპოლოგიას" [134].

შემდეგ კ. მარქსი კრიტიკულად იხილავს ჯ. ბ ა რ ტ ო ნ ი ს შეხედულებებს, მის დებულებას შრომის მოთხოვნის შეფარდებითი შემცირების შესახებ კაპიტალის დაგროვების პროცესში. როგორც

---

[131] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 768.

[132] ი ქ ვ ე.

[133] ი ქ ვ ე.

[134] ი ქ ვ ე.

იგი არკვევს ჯ. ბარტონსა და დ. რიკარდოს არ ესმოდათ ამ მოვლენის შინაგანი კავშირი შრომაზე კაპიტალის ბატონობასთან.

ამასთან ჯ. ბარტონს, — შენიშნავს კ. მარქსი — „უდავოდ დიდი დამსახურება მიუძღვის“ [135].

ა. სმიტი ფიქრობდა, — წერს კ. მარქსი — რომ შრომის მოთხოვნა იზრდება კაპიტალის დაგროვების პირდაპირ პროპორციულად. მალთუსს ჭარბმოსახლეობა იქიდან გამოყავდა, რომ კაპიტალი არ გროვდება ისე სწრაფად, როგორც მოსახლეობა.

ჯ. ბარტონმა პირველმა აღნიშნა, — წერს კ. მარქსი — რომ კაპიტალის სხვადასხვა ორგანული შემადგენელი ნაწილები არ იზრდება თანაზომიერად დაგროვებასა და საწარმოო ძალების განვითარებასთან ერთად; რომ პირიქით, საწარმოო ძალების ზრდის პროცესში კაპიტალის ის ნაწილი, ხელფასად რომ გადაიქცევა, შეფარდებით მცირდება იმ ნაწილთან შედარებით (ბარტონი მას ძირითად კაპიტალს უწოდებს), რომელიც თავის სიდიდესთან შედარებით უმნიშვნელოდ ცვლის მოთხოვნას შრომაზე.

ამიტომ ჯ. ბარტონი „პირველად აყენებს იმ მნიშვნელოვან დებულებას, რომ „დასაქმებული მუშების რიცხვი“ არ არის „სახელმწიფო სიმდიდრის პროპორციული“, რომ იგი შეფარდებით უფრო მეტია მრეწველობის მხრივ განვითარებულ ქვეყანაში, ვიდრე მრეწველობის მხრივ განვითარებულში[136].

თავისი წიგნის მესამე გამოცემის 31 თავში („მანქანების შესახებ“) დ. რიკარდო, რომელიც — შენიშნავს კ. მარქსი — თავისი წიგნის წინა გამოცემებში ჯერ კიდევ მთლიანად ა. სმიტს მისდევდა ამ საკითხში, იღებს ჯ. ბარტონის შესწორებას, იმ ცალმხრივი განსაზღვრით, რომელსაც ჯ. ბარტონი მას აძლევდა. ერთადერთი პუნქტი, რომელშიც დ. რიკარდო უფრო შორს მიდიოდა, და ამ პუნქტს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, — წერს კ. მარქსი — იყო ის, რომ იგი ჯ. ბარტონის მსგავსად არა მარტო აყენებდა დებულებას, რომ შრომის მოთხოვნა არ იზრდება მანქანების განვითარების პროპორციუ-

---

[135] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 773.

[136] ი ქ ვ ე, გვ. 773, 774.

მაგალითად, კ. მარქსს მოჰყავს ჯ. ბარტონის შემდეგი სიტყვები თავის წიგნში (ლონდონი, 1817 წ.) „ინგლისური მუსლინის ერთი ნაჭრის საწარმოებლად გამოყენებული ძირითადი კაპიტალის რაოდენობა, სულ ცოტა ასჯერ და შეიძლება ათასჯერ უფრო მეტია, ვიდრე ინდური მუსლინის იმავე ნაჭრის საწარმოებლად გამოყენებული ძირითადი კაპიტალი, მაშინ როდესაც გამოყენებული საბრუნავი კაპიტალის ნაწილი ამასთან ასჯერ ან ათასჯერ უფრო ნაკლებია“ (იქვე, გვ. 773).

ლად, არამედ იმასაც ამტკიცებდა, რომ თვით მანქანა „ძოსახლეობის ნაწილს მოჭარბებულ მოსახლეობად ხდის", ე. ი. ჭარბმოსახლეობას წარმოშობს [137].

დ. რიკარდო მხოლოდ შეცდომით შემოსაზღვრავდა, — აღნიშნავს კ. მარქსი—მანქანების შემოღების ამ შედეგს იმ შემთხვევით, რომელიც მხოლოდ მიწათმოქმედებაში გვხვდება და, რომელსაც იგი ავრცელებდა აგრეთვე მრეწველობაზეც, სახელდობრ იმ შემთხვევით, როცა წმინდა პროდუქტი მთლიანი პროდუქტის ხარჯზე დიდდება. მაგრამ, ამ ჩანასახში მოცემული იყო უარყოფა მოსახლეობის გამრავლების უაზრო თეორიისა, განსაკუთრებით კი ვულგარული ეკონომისტების ყბედობა იმის შესახებ, რომ მუშებმა თავიანთი გამრავლება უნდა შეაჩერონ ისეთ დონეზე, რომელიც კაპიტალის დაგროვების დონეზე დაბლა იქნებოდა [138].

პირიქით, ჯ. ბარტონის და დ. რიკარდოს შეხედულებიდან გამომდინარეობს — წერს კ. მარქსი — რომ მუშათა მოსახლეობის გამრავლების ისეთი შეზღუდვა, რომელიც შრომის მოწოდებას ამცირებს და, მაშასადამე მის ფასს ადიდებს, დააჩქარებდა მხოლოდ მანქანების შემოღებას, ხელფასზე დახარჯული საბრუნავი კაპიტალის გადაქცევას ძირითად კაპიტალად და ამ გზით ხელოვნურად შექმნიდა „მოჭარბებულ" მოსახლეობას; ვინაიდან მოსახლეობის სიჭარბე არსებობს, როგორც წესი, არა საარსებო საშუალებათა რაოდენობის მიმართ, არამედ შრომის დაქირავების საშუალებათა, შრომის ნამდვილი მოთხოვნის მიმართ [139].

ჯ. ბარტონის შეცდომა მდგომარეობდა იმაში — აღნიშნავს კ. მარქსი — რომ იგი კაპიტალის ორგანულ დიფერენციაციას, ანუ მის ორგანულ შედგენილობას იღებს მხოლოდ იმ ფორმით, როგორც იგი მიმოქცევის პროცესში გვევლინება — ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის სახით. ეს სხვაობა, ფიზიოკრატების მიერ აღმოჩენილი შემდეგ ა. სმიტმა განავითარა, ხოლო მის შემდეგ „ეკონომისტების ცრურწმენად იქცა" [140]. მიმოქცევის პროცესიდან გამომდინარე ეს სხვაობა — წერს კ. მარქსი — მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სიმდიდრის კვლავწარმოებაზე საერთოდ, და, მაშასადამე მის იმ ნაწილზეც, რომელიც „სამუშაო ფონდს" შეადგენს, მაგრამ აქ ეს რო-

---

[137] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 774.

[138] ი ქ ვ ე.

[139] ი ქ ვ ე, გვ. 774, 775.

[140] ი ქ ვ ე, გვ. 775.

დია ვადამწყვეტი. ძირითადი კაპიტალის სახით მანქანები, შენობები და ა. შ. საბრუნავი კაპიტალისაგან უშუალოდ განსხვავდებიან არა რაიმე მიმართებით ხელფასისადმი, არამედ მხოლოდ თავისი მიმოქცევისა და კვლავწარმოების წესით.

კაპიტალის სხვადასხვა შემადგენელი ნაწილის უშუალო შეფარდება ცოცხალ შრომასთან — წერს კ. მარქსი — გამომდინარეობს არა მიმოქცევის პროცესიდან, არამედ უშუალოდ წარმოების პროცესიდან და წარმოადგენს მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის შეფარდებას, რომელთა შორის განსხვავება მხოლოდ ცოცხალ შრომასთან მათ შეფარდებას ემყარება[141].

რამსეიმ კიდევ უფრო განავითარა ის განსხვავება — აღნიშნავს კ. მარქსი — რომელიც ბარტონმა დასახა. მან შესწორება შეიტანა მის შეხედულებაში, მაგრამ მისი წარმოდგენის წესის ფარგლებს ვერ გასცილდა. ფაქტიურად ბარტონისეული განსხვავება მას დაჰყავს განსხვავებაზე მუდმივ და ცვალებად კაპიტალს შორის, მაგრამ უწინდებურად მუდმივ კაპიტალს უწოდებს ძირითად კაპიტალს, თუმცა აქ შეაქვს მას აგრეთვე ნედლეული, და ა. შ., ხოლო ცვალებად კაპიტალს კი უწოდებს საბრუნავ კაპიტალს, თუმცა იქიდან მთელ იმ საბრუნავ კაპიტალს გამორიცხავს, რომელიც უშუალოდ ხელფასზე არ იხარჯება. ეს ადასტურებს შინაგანად განპირობებული შემდგომი წინსვლის აუცილებლობას[142].

თუ გაგებულია მუდმივი და ცვალებადი კაპიტალის განსხვავება, — შენიშნავს კ. მარქსი — მაშინ მეღავნდება ისიც, რომ ამ განსხვავებას არავითარი დამოკიდებულება არა აქვს წარმოებულ მოხმარების საგანთა აბსოლუტურ მასასთან, თუმცა მას დიდი დამოკიდებულება აქვს იმასთან, თუ რა საგნებში ხდება მთლიანი შემოსავლის მოცემული მასის რეალიზაცია.

მაგრამ, — წერს კ. მარქსი, — სხვადასხვა საქონელში მთლიანი შემოსავლის რეალიზაციის ეს წესი მიზეზი კი არაა, როგორც ეს დ. რიკარდოს მიაჩნდა და ჯ. ბარტონიც ამას გულისხმობდა, არამედ შედეგია კაპიტალისტური წარმოების იმ იმანენტური კანონებისა, რომლებიც იწვევენ მუშათა კლასის კვლავწარმოებისათვის საჭირო პროდუქტების ფონდის სულ უფრო შემცირებას, პროდუქტის მთელ ჯამთან შეფარდებით. ცვალებადი კაპიტალის კვლავწარმოების ეს შეფარდებითი შემცირება მიზეზი კი არ არის შრომის მოთხოვნის

---

[141] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 775.

[142] ი ქ ვ ე, გვ. 776.

შეფარდებითი შემცირებისა, არამედ პირიქით, მისი შედეგია. საესებით ასევე საერთო შემოსავალში შემავალ მოხმარების საგანთა წარმოებით დასაქმებული მუშების უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი აწარმოებს მოხმარების საგნებს კაპიტალისტების, მიწის მესაკუთრეების და მათი მსახურების მოხმარებისათვის — შემოსავლის ხარჯვისათვის, და უფრო ნაკლები ნაწილი აწარმოებს მუშების შემოსავლისათვის განკუთვნილ საგნებს; მაგრამ ეს შედეგია და არა მიზეზი[143].

მუშებისა და კაპიტალისტების სოციალური ურთიერთობის შეცვლასთან, „კაპიტალისტურ წარმოებაში გაბატონებულ ურთიერთობათა გარეგოლუციურებასთან ერთად — აღნიშნავს კ. მარქსი — ეს დაუყოვნებლივ შეიცვლებოდა. შემოსავალი, რიკარდოს გამოთქმა რომ ვიხმაროთ, „რეალიზაციას პოვებდა სხვა საქონელში“[144]. თუ მუშები იბატონებდნენ, თუ მათ შესაძლებლობა ექნებოდათ თავისთვის ეწარმოებიათ — წერს კ. მარქსი — მაშინ ისინი სულ მალე აიყვანდნენ კაპიტალს (ვულგარული ეკონომისტების გამოთქმით) თავიანთ მოთხოვნილებათა დონემდე. უდიდესი განსხვავება ისაა, უპირისპირდებიან თუ არა წარმოების საშუალებანი მუშებს როგორც კაპიტალი, იყენებენ ეს წარმოების საშუალებანი მათ, მუშებს, თუ — მუშები სუბიექტების სახით, იყენებენ წარმოების საშუალებებს როგორც ობიექტს, რათა სიმდიდრე თავისთვის აწარმოონ[145].

აქვე, მოკლედ არის განხილული ჯ. ბარტონის შეხედულებანი ხელფასის მოძრაობასა და მუშა-მოსახლეობის ზრდაზე.

მეთვრამეტე თავის დასასრულს დ ა მ ა ტ ე ბ ა თ ა სახით მოცემულია კ. მარქსის შენიშვნები რიგ საკითხებზე.

---

143 კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 776, 777.

144 ი ქ ვ ე, გვ. 777.

145 ი ქ ვ ე.

ავიღოთ მაგალითისათვის — შენიშნავს კ. მარქსი — 1862 წელი (ახლანდელი შემოდგომა). ლანკაშირელ უმუშევართა გაჭირვებული მდგომარეობა. მეორე მხრივ, ლონდონის ფულის ბაზარზე — „ფულის გამოყენების მონახვის სიძნელე“. დ. რიკარდოს თეორიის მიხედვით გამოდის, რომ, რადგან, ერთი მხრივ, ლონდონში კაპიტალი არსებობს, მეორე მხრივ კი, მანჩესტერში დაუსაქმებელი სამუშაო ძალა მოიპოვება, ამიტომ ამ მუშებისათვის „აუცილებლად გაიხსნებოდა შრომის გამოყენების სხვა რომელიმე დარგში შესასვლელი გზა“ (იქვე, გვ. 777, 778).

§ 8 „ზედმეტი ღირებულების თეორიების“

(„კაპიტალის“ IV ტომის)

მესამე ნაწილის მოკლე შინაარსი

მესამე ნაწილში კ. მარქსის მიერ განხილულია დ. რიკარდოს სისტემის კრიტიკა, როგორც მალთუსის მხრივ, რომელიც მიწათმფლობელური არისტოკრატიისა და ბურჟუაზიის ყველაზე რეაქციული ელემენტების ინტერესების გამომხატველი იყო, ისე ინგლისელ უტოპიურ სოციალისტ-რიკარდოელთა მხრივ, ამასთან გაშუქებულია რიკარდოს სკოლის დაშლის პროცესი და ნაჩვენებია თუ ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის კლასობრივი ბრძოლის გაშწვავებასთან ერთად, როგორ ეუფლება ვულგარიზაციის პროცესი პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლებს, მის ძირითად კატეგორიებს [1].

ეს ნაწილი შედგება ძირითადი ტექსტის ექვსი თავისაგან და ერთი ვრცელი დამატებისაგან („შემოსავალი და მისი წყაროები. ვულგარული პოლიტიკური ეკონომია“). ამრიგად, მთლიანად სამივე ნაწილის ძირითადი ტექსტი მოიცავს ოცდაოთხ თავს (24) და სხვადასხვა დამატებას.

მესამე ნაწილი იწყება (მეცხრამეტე თავი) თ. რ. მ ა ლ თ უ ს ი ს ეკონომიური თეორიის კრიტიკული განხილვით, რომელიც წარმოადგენდა ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთ მთავარ წარმომადგენელს.

ამ თავში კ. მარქსი განიხილავს მალთუსის იმ შრომებს, რომლებიც გამოვიდა დ. რიკარდოს წიგნის (1817 წ.) გამოცემის შემდეგ.

მალთუსს, როგორც „ხალხთმოსახლეობის თეორიის“ მქადაგებელს, კ. მარქსი ეხება გზადაგზა; ამ „თეორიის“ გამანადგურებელი კრიტიკა მას მოცემული აქვს „კაპიტალის“ სხვა ტომებში. „ზედმეტი ღირებულების თეორიებში“ კ. მარქსი ამხელს მალთუსის კელაკ-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი I, თბ., 1966, გვ. XXVI.

წარმოების თეორიის რეაქციულ არსს, ცხადყოფს, რომ მალთუსი თავგამოდებით იცავს პარაზიტული კლასების მფლანგველობას. თავისი „თეორიის“ დასაბუთებას მალთუსი ცდილობს დ. რიკარდოს ღირებულების თეორიის უარყოფით. მალთუსის თხზულებასი („Principles“ — პირველი გამოცემა 1820 წ. და ორი სხვა) ძირითადად გამოწვეული იყო — აღნიშნავს კ. მარქსი — იმით, რომ მალთუსს შურდა დ. რიკარდოს წიგნის (1817 წ.) წარმატება და ცდილობდა ხელახლა წამოწეულიყო პირველ ადგილზე, რომელიც მან როგორც დახელოვნებულმა პლაგიატორმა თაღლითური გზით ხელთ იგდო დ. რიკარდოს წიგნის გამოსვლამდე. ამასთანავე დ. რიკარდოს წიგნში მოცემული ღირებულების განსაზღვრა, თუმცა ჯერ კიდევ აბსტრაქტული, მიმართული იყო ლენდლორდებისა და მათი მუქთახორა ამალის ინტერესების წინააღმდეგ, რომელთაც მალთუსი უფრო უშუალოდ იცავდა, ვიდრე სამრეწველო ბურჟუაზიის ინტერესებს.

მაგრამ მისი გამოსვლები დ. რიკარდოს წინააღმდეგ, და თვით ამ გამოსვლების ხასიათი, შესაძლებელი იყო მხოლოდ იმიტომ, რომ დ. რიკარდო გაიხლართა ყოველგვარ არათანმიმდევრულობაში[2].

თავის გამოსვლებში დ. რიკარდოს წინააღმდეგ მალთუსმა — წერს კ. მარქსი — ამოსავალ პუნქტებად გამოიყენა ერთი მხრივ ზედმეტი ღირებულების წარმოშობის საკითხი, ხოლო მეორე მხრივ კ[illegible]ის განმარტება, რაც დ. რიკარდომ მისცა ხარჯთფასების გათანაბრებას კაპიტალის გამოყენების სხვადასხვა სფეროში, განხილულს თვით ღირებულების კანონის მოდიფიკაციის სახით, და აგრეთვე რიკარდოს მთელ წიგნში გატარებული მოგებისა და ზედმეტი ღირებულების არევა, მათი პირდაპირი გაიგივება.

მალთუსი არა თუ ვერ ახერხებს ამ წინააღმდეგობების და ცნებათა არევის გარკვევას, არამედ გადმოაქვს ისინი რიკარდოდან, რათა ამ არევდარევაზე დაყრდნობით უკუაგდოს რიკარდოსეული ღირებულების ძირითადი კანონი და ა. შ., და მიაწოდოს თავის მფარველებს მათთვის სასიამოვნო დასკვნები[3]. თავისი შედეგების მისაღწევად — წერს კ. მარქსი — მალთუსს დასჭირდა მთელი რიგი თეორიული მანიპულაციების ჩატარება.

უპირველეს ყოველისა ა. სმიტის მოძღვრების ერთი მხარის მიღებისას, რომლის თანახმად საქონლის ღირებულება უდრის შრო-

---

[2] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 5, 6.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 6, 7.

მის რაოდენობას, რომელიც საქონლის განკარგულებაშია, ანდა რომელიც მასზე გაიცვლება, საჭირო იყო თავიდან მოშორება იმ საწინააღმდეგო მოსაზრებებისა, რომლებიც წამოაყენეს თვით ა. სმიტმა და მერმინდელმა ეკონომისტებმა, მათ შორის მალთუსმაც, იმ დებულების საწინააღმდეგოდ, რომ საქონლის ღირებულება — ღირებულება — შეიძლება იყოს ღირებულების საზომი.

მალთუსის თხზულება „ღირებულების საზომი. საკითხის გადმოცემა და ილუსტრაცია" (ლონდონი, 1823) — შენიშნავს კ. მარქსი — წარმოადგენს „ჭკუასუსტობის" ნამდვილ ნიმუშს, რომელიც აბრუებს თავის თავს კაზუისტიკით, მიხვეულ-მოხვეული გზით მიდის ცნებათა საკუთარ შინაგან არევდარევამდე, მისი მძიმე და უმწეო გადმოცემა სტოვებს გულუბრყვილო და არაკომპეტენტურ მკითხველზე ისეთ შთაბეჭდილებას, რომ თუ მკითხველისათვის ძნელია შეიტანოს გარკვეულობა ამ არევ-დარევაში, ამის მიზეზია არა წინააღმდეგობა არევ-დარევასა და გარკვეულობას შორის, არამედ მკითხველის მხრივ არასაკმაო გაგება.

უპირველესად, მალთუსისათვის აუცილებელი იყო — წერს კ. მარქსი — ხელახლა წაეშალა დ. რიკარდოს მიერ გატარებული გამიჯვნა „შრომის ღირებულებასა" და „შრომის რაოდენობას" შორის, და დაეყვანა ერთ, მცდარ მხარეზე ღირებულების სხვადასხვა განსაზღვრათა ის გადახლართვა, რასაც ადგილი ჰქონდა სმიტთან. მალთუსი აიგივებდა გამოთქმებს შრომის რაოდენობა და შრომის ღირებულება. ამასთან, იმის დასამტკიცებლად, რომ ღირებულების საზომია არა შრომის რაოდენობა, რაც წარმოებისათვის არის საჭირო, არამედ შრომა როგორც საქონელი, მალთუსი ამტკიცებდა. რომ „შრომის ღირებულება მუდმივია".

მაგრამ ამაში — შენიშნავს კ. მარქსი — არაფერი არ იყო ორიგინალური, არამედ ეს იყო გადმოცემა და შემდგომი განვითარება ა. სმიტის დებულებისა ამის შესახებ.

შემდეგ, მალთუსის ის აღმოჩენა, რომლითაც იგი ასე ყოყოჩობდა, და რომლის შესახებაც ამტკიცებდა, რომ ეს პირველად მან გააკეთა, სახელდობრ ის დებულება, რომ ღირებულება უდრის საქონელში მოთავსებულ შრომის რაოდენობას პლუს შრომის რაოდენობა, რომელიც მოგებას წარმოადგენს, ეს აღმოჩენაც აგრეთვე კ. მარქსის მიერ სმიტის აქვე მოტანილი ორი ფრაზის უბრალოდ ერთად შეერთება იყო. მალთუსი მუდამ პლაგიატორი რჩებოდა. ბეილი — შენიშნავს კ. მარქსი — მეტად მოხერხებულად დასცინის მალთუსისეულ არგუმენტაციას, და აგრეთვე იმ უაზრო ცხრილებს,

რომლებიც ძალთუსს ‘ოჰყავდ’ ღირებულების თავისი საზოძის „ილუსტრაციად“ [4].

მალთუსი, თავის პოლემიკაში ღირებულების რიკარდოსეული განსაზღვრის წინააღმდეგ — წერს კ. მარქსი — მთლიანად იყენებს პირველად თვით დ. რიკარდოს მიერ წამოყენებულ დებულებებს საქონელთა საცვლელი ღირებულების იმ ცვლილებების შესახებ, რომელნიც ამ საქონელთა წარმოებაზე დახარჯული შრომის რაოდენობაზე დამოუკიდებლად, წარმოდგებიან სხვადასხვაობიდან კაპიტალის შედგენილობაში, მიმოქცევის პროცესიდან გამომდინარე, — საბრუნავი და ძირითადი კაპიტალის სხვადასხვა შეფარდება, გამოყენებული ძირითადი კაპიტალის ხანგამძლეობის სხვადასხვა ხარისხი, საბრუნავი კაპიტალის ბრუნვის სხვადასხვა პერიოდი. მოკლედ რომ ითქვას, მალთუსი თავის გამოსვლაში დ. რიკარდოს წინააღმდეგ ხაზს უსვამს ხარჯთფასისა და ღირებულების ცნებათა რიკარდოსეულ არევას, რამდენადაც რიკარდო წარმოების ცალკეულ სფეროებში გამოყენებული შრომის რაოდენობისაგან დამოუკიდებელი ხარჯთფასების გათანაბრებებს განიხილავს როგორც თვით ღირებულების მოდიფიკაციებს და ამით უკუაგდებს მთელ პრინციპს. მალთუსი ხელს სჭიდებს ღირებულების სამუშაო დროით განსაზღვრის წინააღმდეგ თვით რიკარდოს მიერ წამოყენებულს და მის მიერ პირველად აღმოჩენილ ამ წინააღმდეგობებს არა იმისათვის, რომ გადაჭრას ისინი, არამედ იმისათვის, რომ უკან დაუბრუნდეს სრულიად უაზრო წარმოდგენებს და რომ ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენების გამოთქმა, მათი სიტყვიერი გადმოცემა, მოგვაჩვენოს წინააღმდეგობათა გადაწყვეტად [5].

ასეთივე მეთოდის გამოყენებას — აღნიშნავს კ. მარქსი — ჩვენ დავინახავთ რიკარდოსეული სკოლის განხილვისას — ჯემს მილთან და მაკ-კულოხთან, რომელნიც ცდილობენ წმინდა სიტყვიერი გზით, სქოლასტიკურ უაზრო განსაზღვრებით და განსხვავებებით, უშუალოდ შეუთანხმონ საყოველთაო კანონს მისი საწინააღმდეგო მოვლენები, მოიშორონ თავიდან ისინი თავის მსჯელობაში; მაგრამ ამასთან ერთად ასეთი ცდების შედეგად ამ ავტორებთან ქრება თვით საყოველთაო საფუძველი [6].

---

[4] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 22, 24, 26.

[5] ი ქ ვ ე, გვ. 27.

[6] ი ქ ვ ე.

მალთუსი — აღნიშნავს კ. მარქსი — გვაძლევს ღირებულების კიდევ ასეთ განსაზღვრას[7]: „ღირებულება — არის საქონლის შეფასება, დაფუძნებული მის ხარჯებზე მყიდველისათვის, ანუ იმ მსხვერპლზე, რომელიც უნდა გაიღოს მყიდველმა, რათა საქონელი შეიძინოს, და რომელიც იზომება შრომის იმ რაოდენობით, რასაც იგი იძლევა ამ საქონლის სანაცვლოდ, ანუ, რაც იმავეს ნიშნავს, იმ შრომით, რომელიც საქონლის განკარგულებაშია"[8].

მალთუსსა და რიკარდოს შორის განსხვავების სახით კეინსნოვი აღნიშნავს შემდეგს: „ბ-ნ რიკარდოს ა. სმიტთან ერთად შრომა სარჯების ჭეშმარიტ საზომად მიაჩნდა, მაგრამ ამ საზომს იგი იყენებდა მხოლოდ მწარმოებლის ხარჯების მიმართ... იგი შეიძლება თანაბრად იქნეს გამოყენებული როგორც საზომი ხარჯებისა მყიდველისათვის"[9]. ამის შემდეგ კ. მარქსი შენიშნავს, რომ — სხვა სიტყვებით, საქონლის ღირებულება უდრის ფულის თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს მყიდველმა, ხოლო ეს ფულის თანხა ყველაზე უკეთ ფასდება მარტივი შრომის იმ მასით, რომელიც შეიძლება ნაყიდი იქნეს ამ ფულით.

მაგრამ, რით განისაზღვრება ფულის ეს თანხა, ამის შესახებ აქ არაფერი არის ნათქვამი. ჩვენ წინაშე არის — წერს კ. მარქსი — სავსებით ეულგარული წარმოდგენა, რაც ადამიანებს აქვთ ამ საგანზე ჩვეულებრივ ცხოვრებაში, უბრალო ტრივიალობა, მაღალფარდოვნად გამოხატული. სხვა სიტყვებით ეს ნიშნავს ხარჯთფასისა და ღირებულების გაიგივებას, არევას, რომელიც ა. სმიტთან და მით უფრო მეტად დ. რიკარდოსთან ეწინააღმდეგება მათს ნამდვილ ანალიზს, მაგრამ, რომელიც მალთუსს აჰყავს კანონამდე. ამგვარად— შენიშნავს კ. მარქსი — აქ ჩვენ წინაშეა ის წარმოდგენა ღირებულებაზე, რომელიც დამახასიათებელია კონკურენციის სამყაროს ფილისტერისათვის. ამასთან კ. მარქსი მთელ რიგ კითხვებს სვამს. რით განისაზღვრება ხარჯთფასი? ავანსებული კაპიტალის სიდიდით პლუს მოგება. მაგრამ რით განისაზღვრება მოგება? საიდან მიიღება მისთ-

[7] კ. მარქსი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, ამ განსაზღვრის ფორმულირება შედგენილია კეინზნოვის მიერ მალთუსისა და ა. სმიტის გამონათქვამთა საფუძველზე, რომლისგანაც მალთუსმა გადმოიღო საქონლის ღირებულების განსაზღვრა ცოცხალი შრომის იმ რაოდენობით, რომელსაც ამ საქონელზე გაცვლის წესით ყიდულობენ (რედ., იქვე, გვ. 654).

[8] იქვე, გვ. 29, 30.

[9] იქვე, გვ. 30.

ვის ფონდი, საიდან მაიღება ზედმეტი პროდუქტი, რომელშიც წარ-ძოდგენილია ეს ზედმეტი ღირებულება?

თუ საქმე ეხება მხოლოდ ფულადი ფასის ნომინალურ გადიდებას, მაშინ საქონელთა ღირებულების გადიდება ადვილი საქმეა. მაგრამ რით განისაზღვრება ავანსებული კაპიტალის ღირებულება? მასში მოთავსებული შრომის ღირებულებით — ამბობს მალთუსი. მაგრამ რით განისაზღვრება უკანასკნელი? იმ საქონელთა ღირებულებით, რომლებზედაც იხარჯება ხელფასი. მაგრამ ამ საქონელთა ღირებულება? შრომის ღირებულებით პლუს მოგება. ამრიგად, ჩვენ ისევ მანკიერ წრეში ვტრიალებთ. მალთუსს აბსოლუტურად არ გაეგებოდა ის, რომ მოგების მიღება შესაძლებელია არა ღირებულების წანამატის გზით, არამედ სხვა გზით [10].

მალთუსის დამსახურება მის სამ თხზულებაში — აღნიშნავს კ. მარქსი — იმაში მდგომარეობს, რომ იგი ყურადღებას ამახვილებს კაპიტალსა და დაქირავებულ შრომას შორის არათანაბარ გაცვლაზე, მაშინ, როდესაც დ. რიკარდო არსებითად ვერ ხსნის, იმას, თუ როგორ გამომდინარეობს საქონელთა გაცვლისაგან ღირებულების კანონის მიხედვით არათანაბარი გაცვლა კაპიტალსა და ცოცხალ შრომას შორის; ე. ი. რიკარდო არსებითად ვერ არკვევს ზედმეტი ღირებულების წარმოშობას, რადგან მისი შეხედულებით კაპიტალი იცვლება უშუალოდ შრომაზე, და არა სამუშაო ძალაზე.

მოყავს რა მალთუსის ერთ-ერთი გვიანდელი მიმდევრის კეიზნოვის სიტყვები, რომ „ს ა ქ ო ნ ე ლ თ ა გ ა ც ვ ლ ა დ ა მ ა თ ი გ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა“ (ხელფასი, რენტა, მოგება) „უნდა განიხილებოდეს ერთიმეორისაგან განცალკევებით..., განაწილების კანონები მთლიანად როდია დამოკიდებული იმ კანონებზე, რომელნიც გაცვლას ეკუთვნიან“ [11], კ. მარქსი აღნიშნავს — ამ შემთხვევაში ეს იმას ნიშნავს, რომ თანაფარდობა ხელფასისა და მოგების, — გაცვლა კაპიტალისა და დაქირავებული შრომის, დაგროვილი შრომისა და უშუალო შრომის — არ ემთხვევა უშუალოდ საქონელთა გაცვლის კანონს.

თუ განვიხილავთ ფულის ან საქონლის ღირებულების კაპიტალის სახით გამოყენებას, ე. ი. განვიხილავთ — წერს კ. მარქსი — არა მათ ღირებულებას, არამედ მათი ღირებულების კაპიტალისტურ გამოყენებას, მაშინ ცხადია, რომ ზედმეტი ღირებულება სხვა არა-

---

[10] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 30, 31.

[11] ი ქ ვ ე, გვ. 7.

ფერია, თუ არა გადანამეტი იმ შრომისა, რომელიც კაპიტალის განკარგულებაშია (საქონელი ან ფული), იმ შრომის რაოდენობასთან შედარებით, რასაც შეიცავს თვით ეს საქონელი, სხვა არაფერია, თუ არა ფასგადაუხდელი შრომა. გარდა თვით საქონელში მოცემული შრომის რაოდენობისა, საქონელი ყიდულობს კიდევ შრომის ნამეტსაც, რასაც საქონელი არ შეიცავდა.

ეს გადანამეტი შეადგენს ზედმეტ ღირებულებას, მის სიდიდეზეა დამოკიდებული კაპიტალის ღირებულების გადიდების მასშტაბი. ცოცხალი შრომის ეს ჭარბი რაოდენობა, რომელზეც იცვლება საქონელი, შეადგენს მოგების წყაროს.

მოგება, უფრო ზუსტად ზედმეტი ღირებულება, — შენიშნავს კ. მარქსი — წარმოიშობა არა გასაგნობრივებული შრომიდან, რომელიც თითქოს იცვლება თავის ეკვივალენტზე — ცოცხალი შრომის თანაბარ რაოდენობაზე, არამედ ცოცხალი შრომის იმ ნაწილიდან, რომელსაც ამ გაცვლაში მიითვისებენ მასში ეკვივალენტის გადაუხდელად, ფასგადაუხდელი შრომიდან, რასაც ამ მოჩვენებით გაცვლაში კაპიტალი ითვისებს.

მაშასადამე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ამ პროცესის შუალედურ რგოლებს, — მალთუსს მით უფრო მეტი საფუძველი აქვს მხედველობიდან გაუშვას ისინი, რადგან რიკარდოსთან ეს შუალედური რგოლები არ არის მოცემული, — თუ განვიხილავთ პროცესის მხოლოდ ფაქტიურ შინაარსს და შედეგს, მაშინ ღირებულების გადიდება, მოგება, ფულის ან საქონლის გადაქცევა კაპიტალად მიიღება არა იმიტომ, რომ საქონელთა გაცვლა ხდება ღირებულების კანონის შესაბამისად, ე. ი. იმ სამუშაო დროის პროპორციულად, რაც ისინი ღირან, არამედ, პირიქით, იმიტომ, რომ ადგილი აქვს საქონელთა ან ფულის (განივთებული შრომის) გაცვლას ცოცხალი შრომის უფრო მეტ რაოდენობაზე, რასაც ისინი შეიცავენ ან რაც დახარჯულია მათზე [12].

მალთუსის ერთადერთი დამსახურება — შენიშნავს კ. მარქსი — მის ზემოხსენებულ თხზულებებში, იყო ყურადღების გამახვილება იმ პუნქტზე, რომელიც რიკარდოსთან მით უფრო ნაკლებად ჩანს ნათლად, ვინაიდან რიკარდო ყოველთვის გულისხმობს მზა პროდუქტს, რომელიც უნდა გაიყოს კაპიტალისტსა და მუშას შორის, და არ ჩერდება იმ გაცვლაზე, იმ შუალედურ პროცესზე, რომელიც ამ გაყოფას იწვევს.

---

[12] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 7, 11.

ეს დამსახურება შემდეგ არარად იქცევა იმის გამო, რომ ფულის ან საქონლის ღირებულების კაპიტალის სახით გამოყენებას, და მაშასადამე, მათ ღირებულებასაც კაპიტალის სპეციფიკურ ფუნქციაში, მალთუსი ურევდა საქონლის როგორც ასეთის ღირებულებასთან. ამიტომ მალთუსი შემდგომი მსჯელობის დროს უბრუნდება მონეტარული სისტემის უაზრო წარმოდგენებს — profit upon expropriation („გასხვისებით მიღებული მოგება") და საერთოდ ვარდება ნამდვილ არეე-დარევაში.

ამრიგად, იმის ნაცვლად, რომ რიკარდოზე უფრო შორს წავიდეს, მალთუსი თავის გადმოცემაში ცდილობს უკუაგდოს პოლიტიკური ეკონომია არა მარტო რიკარდოსთან შედარებით, არამედ სმიტთან და ფიზიოკრატებთან შედარებითაც კი[13].

მალთუსის აზრით, მწარმოებელს არ შეუძლია გაყიდოს თავისი საქონელი წარმოების ხარჯების ტოლი ფასის მიხედვით და ამიტომ შეაქვს წარმოების ხარჯებში მოგება. მალთუსს სურს, — აღნიშნავს კ. მარქსი, — ერთბაშად შეიტანოს ღირებულების განსაზღვრაში „მოგება", რათა იგი უშუალოდ გამომდინარეობდეს იმ განსაზღვრიდან, რასაც რიკარდოსთან ვერ ვხედავთ[14]. აქედან ჩანს, რომ მალთუსი გრძნობდა თუ რაში მდგომარეობდა სიძნელე. გარდა ყოველივე ამისა, მასთან დიდ უაზრობას წარმოადგენდა საქონლის ღირებულებისა და კაპიტალის სახით მისი ღირებულების გამოყენების გაიგივება.

საყურადღებოა მხოლოდ ის, რომ მალთუსის თანახმად მოგება უშუალოდ და მზა სახით მოცემულია უკვე საქონლის ღირებულებაში და, რომ მალთუსისათვის ნათელი იყო ერთი რამ — რომ საქონელი მუდამ განაგებს შრომის უფრო მეტ რაოდენობას, ვიდრე თვით მასშია მოთავსებული. საქონლის კვლავწარმოების პირობები, კაპიტალისტური წარმოების საფუძველზე, — წერს კ. მარქსი, — იმაში მდგომარეობს, რომ საქონელი ან მისი ღირებულება, მისი წარმოების ან კვლავწარმოების პროცესში შრომის უფრო მეტ რაოდენობაზე გაიცვლება, ვიდრე მასშია მოთავსებული, ვინაიდან საქონელი იწარმოება მხოლოდ მოგების რეალიზაციისათვის. მაგრამ, თუ მოგება მოცემულია წარმოების ხარჯებში, როგორ ხდება მისი

---

[13] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 11.

[14] მალთუსი, — შენიშნავს კ. მ ა რ ქ ს ი — წინასწარ გულისხმობს მოგების არსებობას, იმისათვის, რომ შემდეგ გაზომოს მისი ღირებულებითი მასა გარეგანი საზომით. იგი არ ეხება მოგების წარმოშობის და შინაგანი შესაძლებლობის საკითხს (იქვე, გვ. 30, შენიშვნა).

რეალიზაცია? მაგალითად, ჩითის ფაბრიკანტი ყიდის თავის ჩითს. იგი ყიდის ამ ჩითს შესაბამისად არა იმ სამუშაო დროისა, რომელიც მან აანაზღაურა, არამედ შესაბამისად იმ სამუშაო დროისა, რომელსაც ეს ჩითი შეიცავს და რომლის ნაწილიც ფაბრიკანტს არ აუნაზღაურებია. ჩითი შეიცავს სამუშაო დროს, რომელიც უდრის, მაგალითად, 12 შილინგს. აქედან ფაბრიკანტმა გადაიხადა მხოლოდ 9 შილინგი. იგი ყიდის საქონელს 12 შილინგად, თუ მას მისი ღირებულების მიხედვით ყიდის, და მაშასადამე, იგებს 4 შილინგს [15].

რაც შეეხება მყიდველს, — აღნიშნავს კ. მარქსი — იგი იხდის ყველა გარემოებაში მხოლოდ ჩითის ღირებულებას, ე. ი. იძლევა ფულის ისეთ თანხას, რომელიც შეიცავს იმდენივე სამუშაო დროს, რამდენიც ჩითშია მოთავსებული. აქ შესაძლებელია სამი შემთხვევა: 1) მყიდველი — კაპიტალისტია, 2) მყიდველი — დამოუკიდებელი მწარმოებელია, 3) მყიდველი დაქირავებული მუშაა. მხოლოდ მუშა (მესამე შემთხვევა) ერთადერთი მყიდველია, რომელიც, — შენიშნავს კ. მარქსი — ყველა საქონელში მათს ღირებულებაზე უფრო მეტს იხდის, მაშინაც კი, როცა იგი ყიდულობს საქონელს მისი ღირებულების მიხედვით, იმიტომ რომ მან იყიდა საყოველთაო ეკვივალენტი, ფული, შრომის ისეთი რაოდენობით, რომელიც აღემატება ფულის ღირებულებას. მისთვის, ვინც მიყიდის საქონელს მუშას, აქედან არავითარი მოგება არ რჩება, მუშა უხდის მას იმდენს, რამდენსაც სხვა მყიდველი, — იგი იხდის შრომით შექმნილ ღირებულებას.

კაპიტალისტი, რომელიც უკანეე მიჰყიდის მუშას ამ უკანასკნელის მიერ წარმოებულ საქონელს, ინაღდებს, მართალია, ასეთი გაყიდვისას მოგებას, მაგრამ ეს მხოლოდ ისეთივე მოგებაა, რომელსაც იგი ყოველი სხვა მყიდველისათვის თავისი საქონლის მიყიდვის დროს ინაღდებს.

ასეთი კაპიტალისტის მოგება — თავის მუშისთვის საქონლის მიყიდვისას — გამომდინარეობს არა იქიდან, რომ იგი მიყიდის მუშას საქონელს მის ღირებულებაზე უფრო მაღლა, არამედ იქიდან; რომ მან სინამდვილეში მანამდე, წარმოების პროცესში, იყიდა ეს საქონელი მუშისაგან მის ღირებულებაზე უფრო დაბლა [10].

მალთუსი, — აღნიშნავს კ. მარქსი, — რომელმაც საქონლის ღი-

---

[15] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 12, 13, 14.

[16] ი ქ ვ ე, გვ. 14, 15.

რებულების გამოყენება კაპიტალის სახით საქონლის ღირებულებად გადააქცია, სრულიად თანმიმდევრულად აქცევს ყველა მყიდველს დაქირავებულ მუშებად, ე. ი. მალთუსი აიძულებს ყველა მყიდველს გაუცვალონ კაპიტალისტს არა საქონელი, არამედ უშუალო შრომა და მისცენ კაპიტალისტს სამაგიეროდ უფრო მეტი შრომა. ვიდრე მოცემულია საქონელში, მაშინ როდესაც სინამდვილეში კაპიტალისტის მოგება, პირიქით, იქიდან მიიღება, რომ იგი ყიდის საქონელში მოცემულ მთელ შრომას, მაშინ როცა მან საქონელში მოთავსებული შრომის მხოლოდ ნაწილი აანაზღაურა.

მაშასადამე, — წერს კ. მარქსი — თუ დ. რიკარდოსთან სიძნელე წარმოიშობა იმისაგან, რომ საქონელთა გაცვლის კანონი ვერ ხსნის კაპიტალსა და დაქირავებულ შრომას შორის უშუალოდ გაცვლას, არამედ, პირიქით, მოჩვენებით ეწინააღმდეგება მას, სამაგიეროდ მალთუსი ამ სიძნელეს იმით წყვეტს, რომ საქონელთა ყიდვას (გაცვლას) იგი აქცევს გაცვლად კაპიტალსა და დაქირავებულ შრომას შორის.

ის, რაც მალთუსს არ ესმის, ესაა განსხვავება, საქონელში განხორციელებული შრომის მთელ ჯამსა და ამ საქონელში მოცემულ ფასგადახდილი შრომის ჯამს შორის. სწორედ ეს განსხვავება წარმოქმნის მოგების წყაროს.

მაგრამ შემდეგ მალთუსს აუცილებლად გამოყავს მოგება იქიდან, რომ გამყიდველი ყიდის საქონელს არა მარტო იმაზე მაღლა, რაც მას იგი უღირს (ამას აკეთებს კაპიტალისტი), არამედ იმაზე მაღლაც, რაც იგი ღირს, ე. ი. მალთუსი უბრუნდება ვულგარულ შეხედულებას მოგებაზე, როგორც „გასხვისებით მიღებულ მოგებაზე", რომელსაც ზედმეტი ღირებულება გამოყავს იქიდან, რომ გამყიდველი ყიდის საქონელს მის ღირებულებაზე მაღლა, ე. ი. სამუშაო დროს უფრო მეტ რაოდენობად, ვიდრე იგი მის საქონელშია მოთავსებული.

ამრიგად, იმას, რასაც ადამიანი იგებს როგორც ერთი საქონლის გამყიდველი, იგი კარგავს როგორც მეორეს მყიდველი, და სრულიად გაუგებარია — წერს კ. მარქსი — თუ როგორ შეიძლება, რომ ფასების ასეთი საყოველთაო ნომინალური გადიდებით, ვინემ რაიმე რეალური „მოგება" მიიღოს. განსაკუთრებით გაუგებარია ის, თუ როგორ შეუძლია საზოგადოებას en masse (მთლიანად) ამით გამდიდრდეს, როგორ შეიძლება ამან გამოიწვიოს ნამდვილი ზედმეტი ღირებულების ან ნამდვილი ზედმეტი პროდუქტის წარმოქმნა. ეს შეუსაბამო, უაზრო წარმოდგენაა.

ა. სმიტი გულუბრყვილოდ გამოთქვამდა ერთიმეორისადმი სა-

წინააღმდეგო აზრებს, და ამრიგად, მისი მოძღვრება გახდა დიამეტრალურად საპირისპირო მოსაზრებათა წყარო, ამოსავალი პუნქტი. ა. სმიტის დებულებებზე დაყრდნობით, მალთუსი აკეთებს არეულ-დარეულ, მაგრამ გადაუჭრელი სიძნელის სწორ ალღოსა და შეგნებაზე დამყარებულ ცდას — დაუპირისპიროს დ. რიკარდოს თეორიას ახალი თეორია და განიმტკიცოს თავისთვის „პირველი ადგილი" [17]. გადასვლა ამ ცდიდან უაზრო ვულგარულ შეხედულებაზე ხდება შემდეგნაირად: თუ განვიხილავთ საქონლის ღირებულების კაპიტალისტურ გამოყენებას, მაშინ საქონლის განკარგულებაში აღმოჩნდება, გარდა მასში მოცემული სამუშაო დროისა (იმ ეკვივალენტის სახით, რომელსაც მუშა კვლავ-აწარმოებს), აგრეთვე ზედმეტი სამუშაო დროც, რომელიც მოგების წყაროს შეადგენს.

ახლა თუ ჩვენ, — წერს კ. მარქსი — გადავიტანთ საქონლის ღირებულების ამ გამოყენებას მის ღირებულებაზე, მაშინ ყოველი მყიდველი საქონლის მიმართ ისეთსავე დამოკიდებულებას უნდა იჩენდეს, როგორსაც იჩენს მუშა, ე. ი. ყიდვის დროს გარდა საქონელში მოცემული შრომის რაოდენობისა, უნდა იძლეოდეს კიდევ შრომის დამატებით რაოდენობას. რადგან დანარჩენი მყიდველები, გარდა მუშებისა, არ იჩენენ საქონლის მიმართ ისეთსავე დამოკიდებულებას, როგორსაც მუშები, ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ თუმცა ისინი უშუალოდ არც იძლევიან შრომის იმაზე მეტ რაოდენობას, რასაც საქონელი შეიცავს, მაგრამ, ისინი იძლევიან შრომის მეტი რაოდენობის შემცველ ღირებულებას. ამ „შრომის უფრო მეტი რაოდენობის მეშვეობით, ანუ, რაც იგივეა, შრომის უფრო მეტი რაოდენობის შემცველი ღირებულების მეშვეობით" ხდება ზემოთ აღნიშნული გადასვლა — მალთუსისა უაზრო ვულგარულ შეხედულებაზე.

ამრიგად, საქმის ვითარება არსებითად შემდეგია: საქონლის ღირებულებას შეიცავს ის ღირებულება, რომელსაც ამ საქონელში იხდის მყიდველი, ხოლო ეს ღირებულება უდრის საქონლის (ღირებულების) ეკვივალენტს პლუს ის, რაც ამ ღირებულებას აღემატება — ზედმეტი ღირებულება. მაშასადამე, გამოდის ვულგარული შეხედულება: მოგება იქიდან წარმოდგება, რომ საქონელს უფრო ძვირად ყიდიან, ვიდრე ყიდულობენ. მყიდველი საქონელს ყიდულობს

---

[17] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 16, 17.

შრომის ან გასაგნობრივებული შრომის უფრო მეტი რაოდენობით, ვიდრე იგი გამყიდველს ეღირს.

მაგრამ, თუ მყიდველი თვითონ არის კაპიტალისტი, საქონლის გამყიდველი — წერს კ. მარქსი — და ის ფული, რომლითაც იგი ყიდულობს, მხოლოდ მის მიერ გაყიდულ საქონელს წარმოადგენს, მაშინ საქმე მხოლოდ იმით თავდება, რომ ორივენი ერთმანეთს საქონელს ძლიერ ძვირად მიჰყიდიან და ამრიგად ერთიმეორეს მოატყუებენ, და თანაც მოატყუებენ თანაბრად, თუ ორივენი მხოლოდ მოგების საერთო ნორმის რეალიზაციას მოახდენენ. მაშინ საიდან უნდა გაჩნდნენ ისეთი მყიდველები, რომელნიც კაპიტალისტს უხდიან შრომის იმ რაოდენობას, რომელიც უდრის მის საქონელში მოთავსებულ შრომას პლუს კაპიტალისტის მოგება? მაგალითად საქონელი გამყიდველს უჯდება 10 შილინგი. გამყიდველი ყიდის მას 12 შილინგად. მის განკარგულებაშია არა მარტო 10 შილინგის შესატყვისი შრომა, არამედ აგრეთვე 2 შილინგით უფრო მეტი. მაგრამ მყიდველიც ასევე თავის საქონელს ღირებულს 10 შილინგად, 12 შილინგად ყიდის. ამრიგად, თითოეული კარგავს მყიდველის სახით იმას, რასაც იგებს გამყიდველის სახით. ერთადერთ გამონაკლისს შეადგენს მუშათა კლასი [18].

რამდენადაც, — წერს კ. მარქსი — პროდუქტის ფასი აღემატება მის ხარჯთფასს, მუშებს შეუძლიათ გამოისყიდონ მხოლოდ პროდუქტის ნაწილი და ამრიგად, პროდუქტის მეორე ნაწილი ან ამ მეორე ნაწილის ფასი, წარმოქმნის კაპიტალისტისათვის მოგებას. მაგრამ, რადგან მოგება მიიღება სწორედ იქიდან, რომ მუშებს შეუძლიათ გამოისყიდონ მხოლოდ პროდუქტის ნაწილი, კაპიტალისტების კლასი ვერასოდეს ვერ შეძლებს მოახდინოს თავისი მოგების რეალიზაცია მარტოოდენ მუშების მოთხოვნის მეშვეობით, არასოდეს არ შეუძლია მისი რეალიზება მთელი პროდუქტის ხელფასზე გაცვლის გზით, არამედ პირიქით მის რეალიზაციას მხოლოდ იმით ახდენს, რომ მუშების მთელი ხელფასი მხოლოდ პროდუქტის ნაწილზე გაიცვლება. მაშასადამე, გარდა თვით მუშებისა, საჭიროა კიდევ სხვა მოთხოვნა და სხვა მყიდველები, — სხვანაირად ვერავითარი მოგება ვერ წარმოიქმნებოდა. საიდან ჩნდება ეს მყიდველები? თუ ისინი თვითონ არიან კაპიტალისტები, თვით არიან გამყიდველები, მაშინ ადგილი აქვს კაპიტალისტთა კლასის, ზემოთ აღნიშნულ თვითმოტყუებას, რამდენადაც უკანასკნელნი ნომინალურად ერთი-

---

[18] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 17, 18.

მეორეს უდიდებენ თავიანთი საქონლის ფასს და თითოეული მათგანი როგორც გამყიდველი იგებს იმას, რასაც იგი კარგავს როგორც მყიდველი. მაშასადამე, საჭიროა მყიდველები, რომელნიც არ არიან გამყიდველები, რათა კაპიტალისტმა შეძლოს თავისი მოგების რეალიზაცია, გაყიდოს საქონელი „მისი ღირებულების მიხედვით". აქედან საჭიროება ლენდ-ლორდების, პენსიონერების, სინეკურათა მფლობელების, ხუცების და ა. შ. მათი ლაქიებისა და მუქთამჭამელების ჩათვლით [19].

მალთუსის ღირებულების თეორიიდან — წერს კ. მარქსი — გამომდინარეობს მთელი მისი მოძღვრება მუდმივად მზარდ არაპროდუქტიული მოხმარების აუცილებლობაზე, რომელსაც ასე მომაბეზრებლად გადმოსცემდა ჭარბმოსახლეობის თეორიის ეს მქადაგებელი (საარსებო საშუალებათა ნაკლებობისაგან გამომდინარე ჭარბმოსახლეობის)[20].

საქონლის ღირებულება — აღნიშნავს კ. მარქსი — უდრის ავანსებული მასალების, მანქანებისა და ა. შ. ღირებულებას პლუს მასში მოთავსებული უშუალო შრომის რაოდენობა, რაც, მალთუსის თანახმად უდრის საქონელში მოთავსებული ხელფასის ღირებულებას პლუს მოგების წანამატი ყველა ამ ავანსზე მოგების საერთო ნორმის დონის შესაბამისად. საქონლის ფასში ეს შეტანილი ნომინალური წანამატი შეადგენს მალთუსის მიხედვით მოგებას, და იგი წარმოადგენს საქონლის მიწოდების ე. ი. საქონლის კლავწარმოების პირობას.

ყველა ეს ელემენტი — შენიშნავს კ. მარქსი — განსხვავებით ფასისაგან მწარმოებლისათვის წარმოქმნის ფასს მყიდველისათვის, ხოლო ფასი მყიდველისათვის არის საქონლის სამდვილი ღირებულება. ახლა ისმის კითხვა — როგორი გზით ხდება ამ ფასის რეალიზაცია? ვინ უნდა იხდიდეს მას? რომელი ფონდიდან უნდა იყოს იგი გადახდილი?

ძნელია გაგება, თუ საერთოდ როგორ შეიძლება მოგება გამომდინარეობდეს იქიდან, რომ გამცვლელი მხარეები მიჰყიდიან ერთიმეორეს თავიანთ საქონელს თანაბარი წანამატით და თანაბრად მოატყუებენ ერთიმეორეს[21].

ეს სიძნელე — წერს კ. მარქსი — შეიძლებოდა თავიდან აცი-

---

[19] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 18.

[20] ი ქ ვ ე, გვ. 41.

[21] ი ქ ვ ე, გვ. 41, 53.

ლებული ყოფილიყო იმ შემთხვევაში, თუ გარდა ერთი კატეგორიის კაპიტალისტების გაცვლისა მათ მუშებთან და სხვადასხვა კატეგორიათა კაპიტალისტების გაცვლისა ურთიერთშორის, სცენაზე გამოვიდოდა კიდევ მყიდველთა მესამე კატეგორია — თავისებური „deus ex machina“ [22]. იგი საქონელში იხდის მისი ნომინალური ღირებულების მიხედვით, მაგრამ თავის მხრივ არავის არავითარ საქონელს არ მიჰყიდის; იგი ისეთი კატეგორიაა, რომელიც ასრულებს პროცესს ფ-ს, მაგრამ არა ფ-ს-ფ; რომელიც ყიდულობს არა თავის კაპიტალის მოგებით ანაზღაურების მიზნით, არამედ საქონელთა მოხმარების მიზნით, ე. ი. არის ისეთი კატეგორია, რომელიც ყიდულობს, მაგრამ არ ყიდის.

მაგრამ ასეთი მყიდველები, რომელნიც არ არიან ამასთანავე გამყიდველები, უნდა იყვნენ ისეთი მომხმარებლები, რომელნიც არ არიან ამასთანავე მწარმოებლები; ისინი უნდა იყვნენ არამწარმოებელი მომხმარებლები, და სწორედ არამწარმოებელ მომხმარებელთა ეს კატეგორია წყვეტს მალთუსთან კოლიზიას [23].

მაგრამ ეს არამწარმოებელი მომხმარებლები — შენიშნავს კ. მარქსი — უნდა იყვნენ ამასთან გადახდისუნარიანი მომხმარებლები, ისინი უნდა ქმნიდნენ ნამდვილ მოთხოვნას, და თანაც ღირებულების ჯამები, რაც მათ აქვთ და რასაც ისინი ყოველწლიურად ხარჯავენ უნდა იყოს საკმარისი არა მარტო მათ მიერ ნაყიდ საქონელთა წარმოების ღირებულების ასანაზღაურებლად, არამედ გარდა ამისა, იმისთვისაც, რომ გადაიხადონ მოგების ნომინალური წანამატი, ზედმეტი ღირებულება, გასაყიდ ღირებულებასა და წარმოების ღირებულებას შორის სხვაობა. საზოგადოებაში ეს კატეგორია იქნება წარმომადგენელი მოხმარებისა მოხმარებისათვის, როგორც კაპიტალისტების კლასი არის წარმომადგენელი წარმოებისა წარმოებისათვის.

ერთნი გამოდიან კ. მარქსის მიერ მოტანილი მალთუსის სიტყვებით — როგორც წარმომადგენელნი „მფლანგველობის ენებისა“, ხოლო მეორენი როგორც წარმომადგენელნი „დაგროვების ენებისა“. („Principles of Political Economy“ (2nd edition) გვ. 326)[24]. კაპიტალისტების მისწრაფებას დაგროვებისადმი ასულდგ-

---

[22] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, სიტყვასიტყვით: „ღმერთი მანქანიდან“ — (ანტიკურ თეატრში). გადატანითი აზრით — პიროვნება, რომელიც მოულოდნელად გამოჩნდა და მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალს მონახავს (რედ., იქვე, გვ. 53).

[23] ი ქ ვ ე, გვ. 53, 54.

[24] ი ქ ვ ე, გვ. 54.

მულებს ის, რომ მათი მოგება მუდამ აღემატება მათს ხარჯებს. მალთუსის მტკიცებით, მიუხედავად მათი ასეთი მისწრაფებისა დაგროვებისადმი, საქმე პარბწარმოებამდე არ მიდის, ანდა მისი წარმოქმნა მეტად გაძნელებულია, რადგან არამწარმოებელი მომხმარებლები, არა მარტო ქმნიან უდიდეს გადასაგდებ არხს ბაზარზე გადასროლილი პროდუქტებისათვის, არამედ თავის მხრივ არ გააქვთ არავითარი პროდუქტები ბაზარზე, ასე რომ, რა გინდ ბევრნიც არ უნდა იყვნენ ისინი მაინც ვერ ქმნიან კონკურენციას კაპიტალისტებისათვის [25].

მაგრამ საიდან ჩნდება — წერს კ. მარქსი — ამ კლასის ყოველწლიური გადახდის საშუალებანი? ესენი უპირველეს ყოვლისა არიან მიწის მესაკუთრენი, რომლებიც ისაკუთრებენ წლიური პროდუქტის ღირებულების მნიშვნელოვან ნაწილს რენტის სახით და ხარჯავენ კაპიტალისტებისაგან ამ გზით წართმეულ ფულს კაპიტალისტების მიერ წარმოებულ საქონელთა მოხმარებაზე, კაპიტალისტები კი ამ საქონელთა ყიდვისას მათ ატყუებენ.

თვით მიწის მესაკუთრენიც — აღნიშნავს კ. მარქსი — როგორც წესი, არ აწარმოებენ. არსებითია ის, რომ მათ ჰყავთ არა მწარმოებელი მუშები, არამედ მხოლოდ მუქთამჭამელები, შინამსახურნი, რომელნიც ინარჩუნებენ პირველი საჭიროების საგნებზე ფასების მაღალ დონეს, რადგან ისინი ამ საგნებს მხოლოდ ყიდულობენ, მაგრამ თვითონ არ უწყობენ ხელს ამ ან სხვა რომელიმე საქონელთა მიწოდების გადიდებას. მაგრამ მიწის რენტის ეს მიმღებნი არასაკმაოა იმისათვის, რომ შეიქმნას „საკმარისი მოთხოვნა“.

აუცილებელია ხელოვნური საშუალებების გამოყენება. ეს უკანასკნელი მდგომარეობს დიდ გადასახადებში, სახელდობრ: დიდი რაოდენობით სახელმწიფო და საეკლესიო სინეკურათა მაღალი ანაზღაურების უშრომო თანამდებობათა მფლობელების არსებობაში; მრავალრიცხოვანი არმიების შენახვაში; დიდი პენსიების გადახდაში, სამეათედოებში ხუცების სასარგებლოდ; მნიშვნელოვან სახელმწიფო ვალში და — დროდადრო ძვირადღირებულ ომებში. ასეთია — შენიშნავს კ. მარქსი — მალთუსის მიხედვით „სამკურნალო საშუალებანი“, უთითებს რა მისი ზემოთ აღნიშნული წიგნის

---

[25] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 54.

შესაბამის ადგილებს („Principles of Political Economy“ (2nd edition), გვ. 408 და — შემდგომი)[26].

ამრიგად, მყიდველთა მესამე კატეგორია, — წერს კ. მარქსი — რომელიც მალთუსმა მოიშველია როგორც „სამკურნალო საშუალება“, იმთავითვე ღებულობს წლიური პროდუქტის ღირებულების მნიშვნელოვან ნაწილს, არაფერს არ იხდის მასში და იმით ამდიდრებს მწარმოებლებს, რომ ეს უკანასკნელნი თავდაპირველად იძულებულნი არიან მუქთად მისცენ ამ მყიდველთა კატეგორიას ფული თავიანთი საქონლის საყიდლად, ხოლო შემდეგ უკანვე იბრუნებენ ამ ფულს იმით, რომ მიჰყიდიან მას თავიანთ საქონელს მის ღირებულებაზე ზევით, ანდა იმით, რომ ამ კატეგორიისაგან უკან იბრუნებენ უფრო მეტ ღირებულებას ფულის სახით, ვიდრე აწვდიან მას საქონლის სახით. ასე მეორდება წლიდან—წლამდე[27].

მალთუსის დასკვნები — წერს კ. მარქსი — გაკეთებულია სწორედ მისი ღირებულების ძირითადი თეორიიდან. მაგრამ ეს თეორია თავის მხრივ შეგუებული იყო მის მიზანთან — ინგლისში არსებული მდგომარეობის, ლენდლორდიზმის, „სახელმწიფოსა და ეკლესიის“, პენსიათა მიმღებთა, გადასახადების ამკრეფთა, საეკლესიო სამეათედოს, სახელმწიფო ვალის, ბირჟის მაკლერების, ეკლესიის დარაჯების, ხუცებისა და ლაქიების („ეროვნული ხარჯების“) აპოლოგიასთან. მათ ებრძოდნენ რიკარდოელები, როგორც ბურჟუაზიული წარმოების უსარგებლო და მოძველებულ ხორცმეტებს, რომლებიც მისთვის მძიმე ტვირთს წარმოადგენდა. დ. რიკარდო — შენიშნავს კ. მარქსი — იცავდა ბურჟუაზიულ წარმოებას „quand même“ (მიუხედავად ყველაფრისა), რამდენადაც ეს წარმოება მისი აზრით მოასწავებდა საზოგადოებრივი საწარმოო ძალების მაქსიმალურ შეუფერხებელ გაშლას და ამავე დროს იგი არ ზრუნავდა წარმოების მატარებელთა ბედზე, კაპიტალისტი იყო ის, თუ მუშა. იგი ცნობდა განვითარების ამ საფეხურის ისტორიულ მართლზომიერებას და აუცილებლობას[28].

რამდენადაც მას — შენიშნავს კ. მარქსი — აკლდა წარსულის მიმართ ისტორიული ალღო, იმდენად იგი ცხოვრობდა თავისი დროის ისტორიულ ფოკუსში[29].

---

[26] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებელების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 54, 55.

[27] ი ქ ვ ე, გვ. 55.

[28] ი ქ ვ ე, გვ. 55, 56.

[29] ი ქ ვ ე, გვ. 56.

მალთუსსაც აგრეთვე სურდა კაპიტალისტური წარმოების რაც შეიძლება თავისუფალი განვითარება, რამდენადაც სწორედ მის მთავარ მატარებელთა, მშრომელი კლასების, სიღატაკე არის ამ განვითარების პირობა. მაგრამ, ამავე დროს ეს განვითარება, მალთუსის აზრით — წერს კ. მარქსი — უნდა ეგუებოდეს არისტოკრატიისა და სახელმწიფოსა და ეკლესიაში მის განშტოებათა „მოხმარების მოთხოვნილებებს"; მალთუსისათვის მისაღებია ბურჟუაზიული წარმოება, რამდენადაც ის არ არის რევოლუციური, რამდენადაც იგი ქმნის არა ისტორიული განვითარების მომენტს, არამედ „ძველი" საზოგადოებისათვის მხოლოდ უფრო ფართო და უფრო მოხერხებულ მატერიალურ საფუძველს [30].

ამრიგად, — წერს კ. მარქსი, — ერთი მხრივ არის მუშათა კლასი, რომელიც ხალხთმოსახლეობის კანონის ძალით ყოველთვის არის ჭარბი შედარებით მისთვის განკუთვნილ საარსებო საშუალებებთან — ჭარბმოსახლეობა ნაკლებწარმოების შედეგად. შემდეგ არის კაპიტალისტების კლასი, რომელსაც ამ ხალხთმოსახლეობის კანონის მეოხებით, ყოველთვის შეუძლია უკანვე მიჰყიდოს ისევ მუშებს მათი საკუთარი პროდუქტი ისეთ ფასებში, რომ მუშები მიიღებენ მისგან, მხოლოდ იმდენს, რამდენიც აუცილებელია მხოლოდ სულის შესანარჩუნებლად.

ბოლოს, — წერს კ. მარქსი, — არის საზოგადოების არც თუ ისე მცირე ნაწილი, შემდგარი ფუფუნებაში მყოფი პარაზიტებისგან, ნაწილობრივ ბატონებისაგან, ნაწილობრივ მსახურებისაგან, რომელნიც ნაწილობრივ რენტის ტიტულით, ნაწილობრივ პოლიტიკური ტიტულებით, უსასყიდლოდ ართმევენ კაპიტალისტების კლასს სიმდიდრის მნიშვნელოვან ნაწილს, მაგრამ კაპიტალისტებისაგან წართმეული ფულით, უხდიან ამავე კაპიტალისტებისაგან ნაყიდ საქონელში მის ღირებულებაზე ზევით [31].

კაპიტალისტების კლასს წარმოების სტიმულს აძლევს დაგროვებისადმი მისწრაფება, არაპროდუქტიული ჯგუფები კი ეკონომიური თვალსაზრისით მხოლოდ მომხმარებლები და მფლანგველები არიან. და თანაც ეს განიხილება, როგორც ჭარბწარმოების თავიდან აცილების ერთადერთი საშუალება, რომელიც არსებობს ერთდროულად ჭარბმოსახლეობასთან ერთად — ჭარბმოსახლეობასთან, სწორედ წარმოებასთან შედარებით. ერთისა და მეორისაგან საუკეთესო სამკურნალო საშუალებად გამოცხადებულია იმ კლასების

---

[30] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 56.

[31] ი ქ ვ ე, გვ. 56, 57.

გადაჭარბებული მოხმარება, რომელნიც წარმოების გარეშე დგანან[32].

დისპროპორცია მუშათა მოსახლეობასა და წარმოებას შორის თავიდან აცილებულია იმით, რომ პროდუქტის ნაწილს ჭამენ უსაქმურები, რომელნიც არავითარ მონაწილეობას არ იღებენ წარმოებაში. ჭარბწარმოების დისპროპორცია, რასაც იწვევენ კაპიტალისტები, ისპობა ჭარბმოხმარებით, რასაც ახორციელებენ დამატებული სიმდიდრის წარმომადგენელნი[33].

მოუავს რა მალთუსის ეს შეხედულებანი, — კ. მარქსი შენიშნავს: „ჩვენ დავინახეთ როგორ ბავშვურად სუსტი, ტრივიალური და უშინაარსოა მალთუსი იქ, სადაც იგი ა. სმიტის შეხედულებათა სუსტ მხარეს ეყრდნობა და ცდილობს კონტრთეორია ააგოს იმ თეორიის საწინააღმდეგოდ, რომელიც რიკარდომ ააგო ა. სმიტის შეხედულებათა ძლიერ მხარეზე დაყრდნობით. საეჭვოა, რომ შეეხვდეთ უძლურების იმაზე უფრო კომიკურ ჭაპანწყვეტას, ვიდრე მალთუსის თხზულებაა ღირებულების შესახებ“[34]. მაგრამ, როგორც კი იგი გადადის პრაქტიკულ დასკვნებზე — აღნიშნავს კ. მარქსი — იგი მთლიანად თავის სტიქიაში აღმოჩნდება ხოლმე. მაგრამ აქაც იგი არ ღალატობს თავის „პლაგიატორის თანდაყოლილ თვისებას“[35].

ერთი შეხედვით ვინ დაიჯერებდა — წერს კ. მარქსი, — რომ მალთუსის „Principles of Political Economy“ წარმოადგენს სისმონდის წიგნის „Nouveaux Principes d'économie politique“ მხოლოდ მალთუსიანიზებულ თარგმანს?

და მაინც ეს ასეა. სისმონდის წიგნი გამოვიდა 1819 წელს. ერთი წლის შემდეგ გამოქვეყნდა ამ წიგნის მალთუსისეული ინგლისური კარიკატურა[36].

როგორც უწინ, — აღნიშნავს კ. მარქსი, — ტაუნსენდსა და ანდერსონთან, ისე ახლა სისმონდისთან მალთუსმა კვლავ მონახა თეორიული დასაყრდენი წერტილი ერთ-ერთი თავისი გაბერილი ეკონომიური პამფლეტისათვის; ამასთან ერთად მას გამოადგა აგრეთვე რიკარდოს „Principles“-დან ამოღებული ახალი თეორიებიც.

---

32 ეს არის კლასები, — შენიშნავს კ. მარქსი — რომელნიც მხოლოდ მოიხმარებენ — „fruges consumere nati“, (იქვე, გვ. 20) („დაბადებულთ ნაყოფის საკვებლად“ — ჰორაციუსი, რედ., იქვე, გვ. 20).

33 კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 57.

34 ი ქ ვ ე.

35 ი ქ ვ ე.

36 ი ქ ვ ე.

თუ რიკარდოს წინააღმდეგ მალთუსი ებრძოდა — შენიშნავს კ. მარქსი — კაპიტალისტური წარმოების იმ ტენდენციას, რომელიც რევოლუციურია ძველი საზოგადოების მიმართ, სისმონდისგან მან შეუცდომელი ხუცური ინსტიქტით გადმოიღო მხოლოდ ის, რაც რეაქციულია კაპიტალისტური წარმოების მიმართ, თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების მიმართ [37].

დ. რიკარდო, — წერს კ. მარქსი, — განიხილავდა კაპიტალისტურ წარმოებას, როგორც წარმოების აბსოლუტურ ფორმას. მისი აზრით კაპიტალისტური წარმოების წარმოებით ურთიერთობათა გარკვეული ფორმები არსად არ შეიძლება ეწინააღმდეგებოდნენ წარმოების მიზანს, ან ბორკავდნენ ამ მიზანს, რომელიც მდგომარეობს სიუხვის შექმნაში, და რაც განაპირობებს ადამიანის როგორც მწარმოებლის, წარმოებითი უნარის ყოველმხრივ განვითარებას.

მაგრამ აქ დ. რიკარდო — წერს კ. მარქსი — სასაცილოდ ეწინააღმდეგება თავის თავს. როდესაც ლაპარაკია ღირებულებაზე და სიმდიდრეზე, ჩვენ დ. რიკარდოს განმარტებათა თანახმად უნდა გვქონდეს მხედველობაში მხოლოდ საზოგადოება მთლიანად. ხოლო როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ კაპიტალზე და შრომაზე, დ. რიკარდო თვლის თავისთავად გასაგებად, რომ „მთლიანი შემოსავალი" არსებობს მხოლოდ იმისთვის, რათა შექმნას „წმინდა შემოსავალი". ბურჟუაზიულ წარმოებაში დ. რიკარდო აღტაცებულია ფაქტიურად სწორედ იმით, რომ მისი გარკვეული ფორმები აძლევენ გასაქანს საწარმოო ძალების თავისუფალ განვითარებას — წარმოების ადრინდელ ფორმებთან შედარებით. იმ შემთხვევებში, როცა ეს ფორმები ამას ვეღარ აკეთებენ, ან როდესაც აქ გამოვლინდება წინააღმდეგობანი, დ. რიკარდო უარყოფს წინააღმდეგობებს, ან უფრო სწორად თვითონ გამოხატავს წინააღმდეგობას სხვა ფორმით, წამოაყენებს რა, როგორც საბოლოო მიზანს — სიმდიდრეს როგორც ასეთს, თავისთავად სახმარ ღირებულებათა მასას, მწარმოებელთა მხედველობაში მიუღებლად [38].

---

[37] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 57, 58.

ამასთან კ. მარქსი შენიშნავს: „მე აქ სისმონდის გამოვრიცხავ ჩემი ისტორიული მიმოხილვიდან, იმიტომ, რომ მისი შეხედულებების კრიტიკა იმ ნაწილს მიეკუთვნება, რომელზეც მუშაობის დაწყება მე შემიძლია მხოლოდ ამ ჩემი თხზულების შემდეგ, იგი მიეკუთვნება კაპიტალის რეალური მოძრაობის განხილვას (კონკურენცია და კრედიტი)" (იქვე, გვ. 58).

[38] ი ქ ვ ე, გვ. 60, 61.

რაც შეეხება სისმონდს, იგი ღრმად გრძნობდა, როგორც აღნიშნავს კ. მარქსი — რომ კაპიტალისტური წარმოება ეწინააღმდეგება თავის თავს, რომ მისი ფორმები, მისი წარმოებითი ურთიერთობანი, ერთი მხრივ სტიმულს აძლევენ საწარმოო ძალისა და სიმდიდრის შეუკავებელ განვითარებას, მაგრამ რომ მეორე მხრივ ეს ურთიერთობანი შეზღუდულია გარკვეული პირობებით და რომ მათთვის დამახასიათებელი წინააღმდეგობანი, იღებენ მით უფრო დიდ მასშტაბს, რაც უფრო ვითარდება საწარმოო ძალა.

განსაკუთრებით იგი გრძნობს — წერს კ. მარქსი — ძირითად წინააღმდეგობას: ერთი მხრივ საწარმოო ძალების შეუზღუდველი განვითარება და სიმდიდრის გადიდება, მეორე მხრივ, როგორც ამის საფუძველი მწარმოებელთა მასის შეზღუდვა პირველი აუცილებლობის საგნებით. ამიტომ სისმონდისათვის კრიზისები არ არის შემთხვევითობა, როგორც ეს რიკარდოსათვისაა, არამედ არსებითი გამოვლინებანია იმანენტურ წინააღმდეგობათა, რომელნიც მძაფრი ფორმით იჩენენ თავს, მოიცავენ ფართო დარგს და მეორდებიან პერიოდულად. და იგი მუდამ მერყეობს: რა უნდა იყოს სახელმწიფოს მიერ ალაგმული — საწარმოო ძალები, რათა ისინი მოყვანილ იქნენ წარმოებით ურთიერთობებთან შესაბამისობაში, თუ წარმოებითი ურთიერთობანი, რათა ისინი მოყვანილ იქნენ საწარმოო ძალებთან შესაბამისობაში. ამასთან იგი ხშირად ეძებს ხსნას წარსულში. იგი ხდება კ. მარქსის სიტყვებით „Laudator temporis acti"[39], ანდა ცდილობს წინააღმდეგობანი დაუმორჩილოს შემოსავალსა და კაპიტალს, განაწილებასა და წარმოებას შორის ურთიერთობათა სხვაგვარი რეგულირების დახმარებით. მას არ ესმოდა, რომ განაწილების ურთიერთობანი—მხოლოდ წარმოების ურთიერთობანია „sub alia specie"[40]. იგი მოხდენილად აკრიტიკებს — აღნიშნავს კ. მარქსი — ბურჟუაზიული წარმოების წინააღმდეგობებს, მაგრამ ისინი მას არ ესმის, და ამიტომ არ ესმის მათი გადაწყვეტის პროცესიც[41].

მაგრამ, — შენიშნავს კ. მარქსი — საფუძველში მას ნამდვილად გააჩნია ბუნდოვანი მიხვედრა იმისა, რომ კაპიტალისტური საზოგადოების წიაღში განვითარებულ საწარმოო ძალებს, სიმდიდრის შექმნის მატერიალურ და სოციალურ პირობებს, უნდა შეესაბამებოდეს ამ სიმდიდრის მითვისების ახალი ფორმები; რომ ბურჟუაზიული ფორ-

---

[39] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, „წარსული დროის მაქებარი" (ჰ ო რ ა ც ი უ ს ი, რედ., იქვე, გვ. 61).

[40] სხვა თვალთახედვით, (რედ., იქვე, გვ. 61).

[41] ი ქ ვ ე, გვ. 61, 62.

ბები არიან მხოლოდ წარმტაცი და წინააღმდეგობებით აღსავსე ფორმები, რომლებშიც სიმდიდრე ღებულობს ყოველთვის მხოლოდ წინააღმდეგობრივ არსებობას. ეს ისეთი სიმდიდრეა, რომელსაც მუდამ გააჩნია თავის წანამძღვრად სიღატაკე და რომელიც ვითარდება მხოლოდ იმის ხარჯზე, რომ იგი სიღატაკეს ავითარებს [42].

ჩვენ დავინახეთ, — წერს კ. მარქსი — როგორი „წარმტაცი ფორმით" მალთუსი ითვისებს სისმონდის შეხედულებებს. უტრირებულ და კიდევ უფრო მეტად საზიზღარი სახით მალთუსის თეორია მოცემულია თომას ჩალმერსის (თეოლოგიის პროფესორის) თხზულებაში (ლონდონი, 1832 წ.). აქ ჩვენ წინაშე არა მარტო თეორიული თვალსაზრისით კიდევ უფრო ძლიერად გამოვლინებულია ხუცური ელემენტი, არამედ პრაქტიკულ ასპექტშიც კიდევ უფრო ძლიერად იგრძნობა „დაწესებული ეკლესიის" წევრი, „ეკონომიურად" დამცველი მისი „მიწიერ დოვლათთა" და განწესებათა მთელი სისტემის, რომლებთანაც ერთად ეს ეკლესია სდგას და ეცემა [43].

მალთუსი არ იყო — შენიშნავს კ. მარქსი — დაინტერესებული იმით, რომ დაემალა ბურჟუაზიული წარმოების წინააღმდეგობანი, პირიქით იგი დაინტერესებულია ამ წინააღმდეგობათა წინ წამოწევით,—ერთი მხრივ რომ დაამტკიცოს მუშათა კლასის სიღატაკის აუცილებლობა (ეს ნამდვილად აუცილებელია ამ წარმოების წესისათვის); მეორე მხრივ, რომ დაუმტკიცოს კაპიტალისტებს, რომ ჩასუქებული სამღვდელოება და მოხელეები აუცილებელია კაპიტალისტების მიერ გასაყიდ პროდუქტებზე საკმარისი მოთხოვნის შესაქმნელად. ამიტომაც მალთუსი ამტკიცებს, რომ „სიმდიდრის უწყვეტი გადიდებისათვის" არ არის საკმარისი არც მოსახლეობის ზრდა, არც კაპიტალის დაგროვება, არც ნიადაგის ნაყოფიერება, არც „შრომის დამზოგავი გამოგონებანი", არც „საგარეო ბაზრების" გაფართოება. ამიტომაც მალთუსი რიკარდოელების საპირისპიროდ წინ წამოსწევს საყოველთაო ჭარბწარმოების შესაძლებლობას [44].

მთლიანად კ. მარქსი შემდეგნაირად ახასიათებს მალთუსის თხზულებათა რეაქციულ როლს და მათ პლაგიატორულ ხასიათს:

მალთუსის წიგნი „On Population" იყო პამფლეტი წინააღმდეგ

---

[42] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 62.

[43] ი ქ ვ ე, გვ. 62. „დაწესებული ეკლესია" („Established Church") ინგლისში ეწოდება ინგლისის სახელმწიფო ეკლესიას), „ანგლიკანურ" ეკლესიას, (რედ., იქვე, გვ. 656).

[44] ი ქ ვ ე, გვ. 63.

საფრანგეთის რეოლუციისა და მისი თანადროული იდეებისა ინგლისში რეფორმების შესახებ. თეორია პლაგიატი იყო ტაუნსენდისგან და სხვებისაგან.

მისი „Essay on Rent" წარმოადგენდა პამფლეტს ლენდლორდების დასაცავად სამრეწველო კაპიტალის წინააღმდეგ. თეორია პლაგიატი იყო ანდერსონისაგან.

მისი „Principles of Political Economy" იყო პამფლეტი კაპიტალისტების ინტერესების დასაცავად მუშების წინააღმდეგ და არისტოკრატიის, ეკლესიის, გადასახადების შთანმთქმელთა, ყოველგვარი სახის მლიქვნელებისა და ა. შ. ინტერესების დასაცავად კაპიტალისტების წინააღმდეგ. თეორია ნასესხებია ა. სმიტისაგან, იქ, სადაც თეორია საკუთარი გამოგონებისაა, იგი სავალალოა. თეორიის შემდგომი გადმოცემისას საფუძველს წარმოადგენს სისმონდი[45].

კ. მარქსის მიერ მალთუსის შეხედულებათა კრიტიკა, სავსებით ეხება თანამედროვე ბურჟუაზიულ ეკონომისტებსაც, აცამტვერებს მათ შეხედულებებს, კერძოდ მონოპოლისტური კაპიტალის აპოლოგეტების კეინსიანელთა მტკიცებებს კერძო და სახელმწიფო ინვენსტიციების გადიდების, ყოველგვარი არანაყოფიერი ხარჯების სარგებლიანობის შესახებ, კაპიტალიზმის უკრიზისო განვითარებისათვის პირველ რიგში სამხედრო ხარჯების გადიდების აუცილებლობის შესახებ.

შემდეგ, მომდევნო (მეოცე) თავში კ. მარქსი ღრმად ახასიათებს რიკარდოსეული სკოლის დაშლას, გვიჩვენებს თუ რიკარდოს მიმდევრები როგორ თანდათანობით, სულ უფრო და უფრო უარყოფდნენ რიკარდოსეული თეორიის მეცნიერულ დებულებებს. იგი დაუზოგავად აკრიტიკებს ინგლისელ ეკონომისტებს რ. ტორენს, ჯემს მილს, მაკ-კულოხს, და სხვებს, რომელთა მაგალითზე ნათლად ჩანს რიკარდოსეული სკოლის დაშლისა და ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ვულგარიზაციის პროცესი.

კ. მარქსი ჯერ იწყებს რ. ტ ო რ ე ნ ს ი ს ეკონომიური შეხედულებების კრიტიკულ განხილვას. ტორენსის ვულგარულ შეხედულებათა კრიტიკულ განხილვამდე კ. მარქსი კვლავ უბრუნდება მოგების საშუალო ნორმისა და ღირებულების კანონს შორის თანაფარდობის საკითხს დ. რიკარდოსთან და ა. სმიტთან. კონკურენციაზე დაკვირვება გვიჩვენებს — წერს კ. მარქსი, — რომ ტოლდიდ კაპიტალებს მოაქვთ საშუალოდ თანაბარი მოგება, ან რომ მოცემული მოგების

---

[45] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 67, 68.

საშუალო ნორმის დრ ის მოგების მასა დამოკიდებულია ავანსებული კაპიტალის სიდიდეზე; მხოლოდ ამას მოასწავებს მოგების საშუალო ნორმა.

ა. სმიტმა ამ ფაქტის „რეგისტრაცია" მოახდინა და მასში არავი-ინაარი ეჭვი არ გამოუწვევია ამ ფაქტის კავშირის საკითხს მის მიერ წამოყენებულ ღირებულების თეორიასთან. ეს საკითხი მას მით უფრო ნაკლებად აწუხებდა, — შენიშნავს კ. მარქსი — რომ ღირებულების საკუთარ ეზოთერიულ თეორიასთან ერთად, მან წამოაყენა კიდევ სხვადასხვა თეორიები, და მას შეეძლო თავისი შეხედულებისამებრ მათგან რომელიმეს მიმხრობოდა.

საშუალო მოგების და თვით მისი სიდიდის განსაზღვრისათვის იმანენტური კანონი არ არის მოცემული ა. სმიტის კონცეფციაში. იგი კმაყოფილდება მტკიცებით, რომ კონკურენცია ამცირებს ამ X-ს[46].

დ. რიკარდო, — წერს კ. მარქსი — თუ არ ჩავთვლით ცალკეულ მცირე და შემთხვევით შენიშვნებს, უშუალოდ აიგივებს მოგებას ზედმეტ ღირებულებასთან. ამიტომ რიკარდოს თანახმად საქონელი იყიდება მოგებით არა იმიტომ, რომ იგი იყიდება თავისი ღირებულების ზევით, არამედ იმიტომ, რომ იგი იყიდება თავისი ღირებულების მიხედვით. მაგრამ ღირებულების განხილვისას (მისი „Rrinciples" პირველ თავში), დ. რიკარდო იყო პირველი, რომელიც ჩაუფიქრდა საქონლის ღირებულების განსაზღვრის დამოკიდებულებას იმ მოვლენისადმი, რომ ტოლდიდ კაპიტალებს მოაქვთ თანაბარი მოგება.

დ. რიკარდომ პირველმა მიაქცია ყურადღება, — აღნიშნავს კ. მარქსი — იმ გარემოებას, რომ ერთნაირი სიდიდის კაპიტალებს როდი აქვთ ერთნაირი ორგანული შედგენილობა. თვით განსხვავება ამ შედგენილობაში მან შეითვისა იმავე სახით, როგორც ეს მან იპოვა ა. სმიტთან (საბრუნავი და ძირითადი კაპიტალი) ე. ი. მან იცის მხოლოდ მიმოქცევის პროცესიდან გამომდინარე განსხვავებანი.

დ. რიკარდო პირდაპირ არ ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ ღირებულების კანონს პირველი შეხედვით ეწინააღმდეგება ის ფაქტი, რომ არაერთნაირი ორგანული შედგენილობის კაპიტალები, აწარმოებენ ერთი და იმავე ღირებულების საქონლით და მოაქვთ ერთი და იგივე ზედმეტი ღირებულება, რასაც ის აიგივებს მოგებასთან.

პირიქით იწყებს რა ღირებულების გამოკვლევას, — წერს კ. მარქსი — დ. რიკარდო უკვე გულისხმობს კაპიტალისა და მოგების სა-

---

[46] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 77, 78.

ერთო ნორმის არსებობას. იგი იმთავითვე აიგივებს ხარჯთფასებს და ღირებულებებს და ვერ ხედავს რომ ეს წანამძღვარი იმთავითვე ეწინააღმდეგება პირველი შეხედვით ღირებულების კანონს. მხოლოდ ამ წანამძღვარის საფუძველზე, რომელიც შეიცავს მთავარ წინააღმდეგობას და ძირითად სიძნელეს, დ. რიკარდო მიდის კერძო შემთხვევის განხილვაზე — ხელფასის ცვლილებისა, მისი მატებისა თუ შემცირებისა [47].

სხვა სიტყვებით ეს კატეგორია მოგების ერთნაირი ნორმისა, — აღნიშნავს კ. მარქსი — რომელსაც იღებენ სხვადასხვა ორგანული შედგენილობის კაპიტალები [48], ეწინააღმდეგება ღირებულების კანონს, ან როგორც დ. რიკარდო ამბობს, წარმოადგენს მისგან გამონაკლისს, რის გამოც მალთუსი სამართლიანად შენიშნავდა, რომ მრეწველობის განვითარებასთან ერთად რიკარდოსეული წესი იქცევა გამონაკლისად, ხოლო გამონაკლისი წესად. თვით წინააღმდეგობა არ იღებს რიკარდოსთან ნათელ გამოხატულებას, პირიქით იგი გამოდის მხოლოდ კერძო ფორმის სახით [49].

ასევე განსხვავებანი კაპიტალის ბრუნვის პერიოდებში, არ ახდენენ გავლენას მოგებათა ტოლობაზე. ეს კი კვლავ ეწინააღმდეგება ღირებულების კანონს, — რიკარდოს თანახმად, ეს კვლავ გამონაკლისია ღირებულების კანონიდან [50].

ამრიგად, დ. რიკარდომ ძალიან ცალმხრივად დასახა საქმე. მას რომ გამოეხატა იგი ზოგადი ფორმით, მაშინ ის მიიღებდა საკითხის აგრეთვე ზოგად გადაწყვეტას [51].

მაგრამ დიდია დ. რიკარდოს დამსახურება, — შენიშნავს კ. მარქსი. დ. რიკარდო ხედება ღირებულებასა და ხარჯთფასებს შორის განსხვავების არსებობას და იგი ჩამოაყალიბებს განსაზღვრული შემთხვევებისათვის, თუმცა კანონისაგან მხოლოდ გამონაკლისების სახით, — იმ წინააღმდეგობას, რომ არაერთნაირი ორგანული შედგენილობის კაპიტალებს მოაქვთ ერთნაირი ზედმეტი ღირებულება (მოგება), და ერთნაირი ღირებულებანი, ერთნაირი ღირებულების საქონელი (უფრო ზუსტად ერთნაირი ხარჯთფასების შემცველი საქონელი); მაგრამ დ. რიკარდო ურევს ამას [52].

---

[47] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 78, 79.

[48] მაგრამ დ. რიკარდო მიდის ამ დასკვნამდე მხოლოდ ცალკე შემთხვევაში და მხოლოდ შემოვლილი გზით (იქვე, გვ. 79).

[49] ი ქ ვ ე.

[50] ი ქ ვ ე, გვ. 80.

[51] ი ქ ვ ე.

[52] ი ქ ვ ე.

მალთუსმა გამოიყენა — შენიშნავს კ. მარქსი — დ. რიკარდოს ნიერ აღმოჩენილი წინააღმდეგობა ღირებულების კანონსა და არაერთნაირი შედგენილობის კაპიტალების ერთნაირ მოგებას შორის, რიკარდოსეული ღირებულების კანონის უარყოფისათვის [53].

რ. ტორენსი თავისი თხზულების დასაწყისშივე გამოდის რიკარდოს ამ აღმოჩენიდან, მაგრამ არა იმისათვის, რომ გადაწყვიტოს პრობლემა, არამედ იმისათვის, რომ თვით ეს „მოვლენა" წარმოადგინოს როგორც მოვლენის კანონი. მოვლენა გამომჟღავნებული კონკურენციის სფეროში, აქ მხოლოდ აღნიშნულია, რეგისტრირებულია. აქ უბრალოდ იგულისხმება „მოგების ჩვეულებრივი ნორმა", მაგრამ ახსნილი არ არის, საიდან მიიღება იგი და ბუნდოვანი წარმოდგენაც არ არის იმის შესახებ, რომ ეს ახსნას საჭიროებს [54].

კ. მარქსს მოყავს რა ტორენსის შემდეგი სიტყვები: „ტ ო ლ დ ი დ კ ა პ ი ტ ა ლ ე ბ ს, ა ნ უ, ს ხ ვ ა ს ი ტ ყ ვ ე ბ ი თ, დ ა გ რ ო ვ ი ლ ი შ რ ო მ ი ს თ ა ნ ა ბ ა რ რ ა ო დ ე ნ ო ბ ე ბ ს, ხ შ ი რ ა დ მ ო ძ რ ა ო ბ ა შ ი მ ო ჰ ყ ა ვ თ უ შ უ ა ლ ო შ რ ო მ ი ს ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა რ ა ო დ ე ნ ო ბ ა ნ ი, მაგრამ ეს სრულიადაც არ ცვლის საქმის ვითარებას", — შენიშნავს, რომ ტორენსის ამ დებულების დამსახურება მდგომარეობს არა იმაში, რომ ის აქაც მოვლენის ისევ მხოლოდ რეგისტრირებას ახდენს, არ ხსნის მას, არამედ იმაში, რომ კაპიტალებს შორის განსხვავებას, იგი განმარტავს იმ აზრით, რომ ერთნაირი სიდიდის კაპიტალებს მოყავთ მოძრაობაში ცოცხალი შრომის არა ერთნაირი რაოდენობანი, თუმცა ის ისევ აფუჭებს საქმეს იმით, რომ ამას „განსაკუთრებულ" შემთხვევად სახავს [55].

ამრიგად, — აღნიშნავს კ. მარქსი, — ტორენსის დამსახურებაა, რომ მას ეს ფორმულირება აქვს, მაგრამ როგორ დასკვნას აკეთებს იგი აქედან? იმ დასკვნას, რომ კაპიტალისტური წარმოების დროს ხდება გადატრიალება ღირებულების კანონში, ე. ი. რომ ღირებულების კანონი აბსტრაჰირებული კაპიტალისტური წარმოებისაგან, ეწინააღმდეგება კაპიტალისტური წარმოების მოვლენებს. მაგრამ ამ კანონის ადგილას ტორენსი არაფერს აყენებს, გარდა იმ მოვლენის უხეში, უაზრო გამოხატვისა, რომელიც თვითონ უნდა იყოს ახსნილი [56].

დ. რიკარდო ცდილობდა დაემტკიცებინა — წერს კ. მარქსი, —

---

[53] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 80.

[54] ი ქ ვ ე, გვ. 80, 81.

[55] ი ქ ვ ე, გვ. 81, 82.

[56] ი ქ ვ ე, გვ. 82.

რომ კაპიტალისა და დაქირავებული შრომის გამოცალკევება — ზოგიერთ გამონაკლისთა გარდა — არაფერს არ ცვლის საქონელთა ღირებულების განსაზღვრაში. რიკარდოსეულ გამონაკლისებზე დაყრდნობით ტორენსი უარყოფს თვით კანონს. იგი უკან უბრუნდება ა. სმიტს, რომლის წინააღმდეგ მიმართულია დ. რიკარდოს არგუმენტაცია, და რომლის მიხედვით მართალია „საზოგადოების განვითარების ადრინდელ პერიოდში“ საქონლის ღირებულება განისაზღვრება მასში მოქცეული სამუშაო დროით, მაგრამ ამას არა აქვს ადგილი იმ დროს, როცა წარმოიქმნა კაპიტალი და მიწის საკუთრება. ეს კი ნიშნავს, — აღნიშნავს კ. მარქსი — რომ კანონი რომელიც ძალაშია საქონელთათვის როგორც საქონელთათვის, ძალას კარგავს, როგორც კი საერთოდ ხდება გადასვლა საქონლიდან კაპიტალზე. მეორე მხრივ, პროდუქტი ყოველმხრივ იღებს საქონლის ფორმას, ყოველმხრივ ხდება საქონლად მხოლოდ კაპიტალისტური წარმოების განვითარებასთან ერთად. მაშასადამე, გამოდის, რომ საქონლის კანონი უნდა არსებობდეს ისეთ წარმოებაში, რომელიც არ აწარმოებს, ან მხოლოდ ნაწილობრივ აწარმოებს საქონელს, და არ უნდა არსებობდეს ისეთი წარმოებისას, რომლის ბაზისსაც წარმოადგენს პროდუქტის, როგორც საქონლის არსებობა. თვით კანონი, — შენიშნავს კ. მარქსი — ისევე როგორც საქონელი პროდუქტის საყოველთაო ფორმის სახით, გამოყვანილია კაპიტალისტური წარმოების პირობებიდან, ხოლო აქ კი გამოდის, რომ სწორედ კაპიტალისტური წარმოებისთვის ეს კანონი ძალას კარგავს [57].

ტორენსი — შენიშნავს კ. მარქსი — ჯერ კიდევ იმდენად მისდევს რიკარდოსეულ თეორიას, რომ მისი აზრით საქონლის ღირებულება განისაზღვრება შრომის რაოდენობით, მაგრამ იგი ამტკიცებს, რომ მხოლოდ „დაგროვილი შრომის რაოდენობა“ დახარჯული საქონელთა წარმოებაზე, არის ის, რაც განსაზღვრავს მათს ღირებულებას. მაგრამ აქ ტორენსი სავსებით იბნევა.

თუ „მე განვიხილავ“ საქონელს როგორც კაპიტალს, ე. ი. ამ შემთხვევაში ამასთან, როგორც წარმოების პირობას, — წერს კ. მარქსი, — მაშინ მისი ღირებულება დაიყვანება უშუალო შრომაზე, რომელსაც ეწოდება „დაგროვილი შრომა“, რადგან იგი არსებობს გასაგნობრივებული ფორმით. პირიქით, თუ „მე განვიხილავ“ ამავე საქონელს როგორც საქონელს, როგორც წარმოების პროცესის პროდუქტს და რეზულტატს, მაშინ მისი ღირებულება განისაზღვრება

---

[57] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 83, 84.

არა იმ შრომით, რომელიც დაგროვილია თვით მასში, არამედ შრომით, რომელიც მისი წარმოების პირობებშია დაგროვილი[58].

ნამდვილად მანკიერი, გამოუვალი წრეა — შენიშნავს კ. მარქსი — შეეცადო განსაზღვრო საქონლის ღირებულება კაპიტალის ღირებულებით: რადგან კაპიტალის ღირებულება ხომ უდრის იმ საქონელთა ღირებულებას, რომელთაგანაც იგი შედგება. ამ „ყმაწვილ-კაცის" წინააღმდეგ მართალი იყო ჯემს მილი — წერს კ. მარქსი — როცა იგი ამბობდა: „კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ა ქ ო ნ ე ლ ი ა, და თქმა იმისა, რომ საქონელთა ღირებულება კაპიტალის ღირებულებით განისაზღვრება, ნიშნავს იმის თქმას, რომ საქონლის ღირებულება საქონლის ღირებულებით განისაზღვრება" [59].

თავისი მცდარი შეხედულებიდან საქონლის ღირებულებაზე ტორენსი მიდის უხეშ მერკანტილისტურ წარმოდგენამდე „გასხვისებით მიღებული მოგების შესახებ". მოყავს რა ტორენსის მსჯელობა — ფერმერის მიერ დახარჯული 100 კვარტერი მარცვლეულიდან 120 კვარტერის ამონაგების მიღებისა, რომლისაგან 20 კვარტერი მარცვლეული შეადგენს მოგებას, — კ. მარქსი შენიშნავს: განხილვის ამ წესს თავისთავად ისევე არაფერი აქვს საერთო მოგების საკითხთან, როგორც, თუ ვიტყვით, რომ მავთული, რომელიც შრომის პროცესში გახდა ათასჯერ უფრო გრძელი, ვიდრე ლითონის ის ნაჭერი, რომლისგანაც ის გაკეთებულია, წარმოადგენს ათასჯერად მოგებას, რადგან მისი სიგრძე გადიდდა ათასჯერ.

მავთულის შემთხვევაში გადიდდა სიგრძე, მარცვლის შემთხვევაში გადიდდა კვარტერების რიცხვი. მაგრამ არც სიგრძის ნამეტი, არც რიცხვის ნამეტი არ წარმოქმნიან მოგებას, რომელიც მიმართებაშია მხოლოდ საცვლელ ღირებულებასთან, თუმცა ეს საცვლელი ღირებულება წარმოდგენილია ზედმეტ პროდუქტში [60].

რაც შეეხება საცვლელ ღირებულებას — აღნიშნავს კ. მარქსი — არ არის საჭირო კიდევ იმის განმარტება, რომ 90 კვარტერი მარცვლეულის ღირებულება შეიძლება უდრიდეს ან მეტიც კი იყოს, ვიდრე 100 კვარტერის, 100 კვარტერი მეტი ღირდეს, ვიდრე 120, და 120 კვარტერის ღირებულება უფრო მეტი, ვიდრე 500 კვარტერისა. ამრიგად, ისეთი მაგალითის საფუძველზე, რომელსაც არაფერი აქვს საერთო მოგებასთან, პროდუქტის ღირებულების გადანა-

---

[58] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 84, 85.

[59] ი ქ ვ ე, გვ. 85.

[60] ი ქ ვ ე, გვ. 87, 89.

ბეტთან ავანსებული კაპიტალის ღირებულებაზე, ტორენსი აკეთებს დასკვნას მოგების შესახებ. ფიზიოლოგიურადაც კი, სახმარი ღირებულების თვალსაზრისით, მისი მაგალითი მცდარია, რადგან სინამღვილეში ის 20 კვარტერი მარცვლეული, რომელიც მასთან გამოდის როგორც ზედმეტი პროდუქტი, ასე თუ ისე, თუმცა სხვა ფორმით, უკვე მოცემულია თვით წარმოების პროცესში. ბოლოს და ბოლოს ტორენსთან პირდაპირ ჩანს „ძველი გენიალური წარმოდგენა მოგებაზე, როგორც „გასხვისებით მიღებულ მოგებაზე" [61].

ტორენსის დამსახურებაა, — წერს კ. მარქსი — რომ მან საერთოდ აღძრა სადავო საკითხი წარმოების ხარჯების რაობის შესახებ [62].

დ. რიკარდო მუდამ ურევს საქონლის ღირებულებას წარმოების ხარჯებში, რამდენადაც ეს უკანასკნელი უდრის ხარჯთფასს. აქედან მისი გაკვირვება იმის გამო, რომ ს ე ი, თუმცა იგი ფასს განსაზღვრავს წარმოების ხარჯებით, მაგრამ აკეთებს აქედან სხვაგვარ დასკვნებს.

მალთუსი, ისევე როგორც რიკარდო, ამტკიცებს, რომ საქონლის ფასი განისაზღვრება წარმოების ხარჯებით და რიკარდოს მსგავსად შეაქვს მოგება წარმოების ხარჯებში.

მიუხედავად ამისა, ღირებულებას იგი განსაზღვრავს სრულიად სხვაგვარად — არა შრომის რაოდენობით, რომელსაც საქონელი შეიცავს, არამედ შრომის იმ რაოდენობით, რომელიც საქონელს შეუძლია თავის განკარგულებაში ჰქონდეს [63].

ორაზროვნებანი წარმოების ხარჯების ცნებაში — შენიშნავს კ. მარქსი — გამომდინარეობს თვით კაპიტალისტური წარმოების ბუნებიდან.

1. კაპიტალისტისათვის მის მიერ წარმოებული საქონლის ხარჯები არის ის, თუ რა უღირს კაპიტალისტს საქონელი.

ავანსებული კაპიტალის ღირებულების გარდა, — წერს კ. მარქსი — მას საქონელი არაფრად არ უღირს, ე. ი. არავითარ სხვა ღირებულებას საქონელზე კაპიტალისტი არ ხარჯავს. თუ კი იგი საქონლის საწარმოებლად ხარჯავს 100 გირვ. სტერლინგს ნედლეულზე, შრომის იარაღებზე, ხელფასზე და ა. შ., მაშინ მას საქონელი უღირს 100 გირვ. სტერლინგი, არც მეტი და არც ნაკლები. ამ აზრით ესმის წარმოების ხარჯები ტორენსს და ამავე აზრით ესმის ისინი ყოველ კაპი-

---

[61] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 89.

[62] ი ქ ვ ე.

[63] ი ქ ვ ე, გვ. 89, 90.

ტალისტს. როცა ის ანგარიშობს მოგებას, სულერთია — როგორიც არ უნდა იყოს ამ მოგების ნორმა [64].

აქ წარმოების ხარჯები უდრის კაპიტალისტის დანახარჯებს, უდრის ავანსებული კაპიტალის ღირებულებას, ე. ი. შრომის იმ რაოდენობას, რომელსაც შეიცავს წარმოების პროცესისათვის ავანსებული საქონელი. არც ერთ ეკონომისტს, — შენიშნავს კ. მარქსი — მათ შორის რიკარდოს, არ შეუძლია დარჩეს წარმოების ხარჯების ამ განსაზღვრის გარეშე (ავანსებული დანახარჯების, გაწეული ხარჯების და სხვ. აზრით). ეს არის ის, რასაც მალთუსი უწოდებდა ფასს მწარმოებლისათვის განსხვავებით ფასისა მყიდველისათვის. ავანსებულ დანახარჯთა ამ განსაზღვრას შეესაბამება ზედმეტი ღირებულების გარდაქმნა მოგების ფორმად [65].

2. წარმოების ხარჯები მათი პირველი განსაზღვრით არის ფასი, რომელსაც კაპიტალისტი იხდის საქონლის დამზადებისათვის წარმოების პროცესში, მაშასადამე, ის, რაც მას—კაპიტალისტს უღირს საქონელი. მაგრამ ის, რაც საქონლის წარმოება უღირს კაპიტალისტს,—წერს კ. მარქსი—და ის რაც ღირს საქონლის თვით ეს წარმოება — ორი სრულიად სხვადასხვა რამაა [66].

შრომა გასაგნობრივებული და უშუალო, — შენიშნავს კ. მარქსი — რომელშიც კაპიტალისტი ფასს იხდის საქონლის წარმოების დროს, და შრომა, რომელიც აუცილებელია საქონლის საწარმოებლად, სრულიად სხვადასხვაა თავისი სიდიდის მიხედვით. სხვაობა მათ შორის წარმოქმნის სხვაობას ავანსებულ და მიღებულ ღირებულებას შორის, კაპიტალისტისათვის საქონლის საყიდელ ფასსა და საქონლის გასაყიდ ფასს შორის (თუ საქონელი იყიდება მისი ღირებულების მიხედვით). ეს განსხვავება რომ არ არსებულიყო, მაშინ ფული ან საქონელი ვერასოდეს ვერ გადაიქცეოდა კაპიტალად. ზედმეტ ღირებულებასთან ერთად გაქრებოდა მოგების წყარო [67].

თვით საქონლის წარმოების ხარჯები — წერს კ. მარქსი — შედგება მისი წარმოების პროცესში მოხმარებული კაპიტალის ღირებულებიდან, ე. ი. გასაგნობრივებული შრომის იმ რაოდენობიდან, რომელიც შედის საქონელში, პლუს უშუალო შრომის ის რაოდენობა, რომელიც დახარჯულია საქონლის წარმოებაზე. საერთო ჯამი საქონ-

---

[64] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 90.

[65] ი ქ ვ ე, გვ. 90, 91.

[66] ი ქ ვ ე, გვ. 91.

[67] ი ქ ვ ე.

ლის წარმოებაზე მოხმარებული შრომისა — „გასაგნობრივებულის“ და „უშუალოსი“ — წარმოქმნის თვით საქონლის წარმოების ხარჯებს. ამ აზრით საქონლის წარმოების ხარჯები უდრის მის ღირებულებას. ღირებულების გადანამეტი (ე. ი. იმისა, რაც ღირს თვით საქონელი) ავანსებული კაპიტალის ღირებულებაზე (ე. ი. იმაზე, რაც საქონელი უღირს კაპიტალისტს) წარმოქმნის მოგებას, რომელიც გამომდინარეობს არა იქიდან, რომ საქონელი იყიდება თავის ღირებულებაზე უფრო მაღლა, არამედ იქიდან, რომ იგი იყიდება კაპიტალის მიერ გადახდილ დანახარჯთა ღირებულებაზე უფრო მაღლა. ეს განსაზღვრა წარმოების ხარჯებისა, საქონლის იმანენტური წარმოების ხარჯებისა, რომლებიც საქონლის ღირებულებას უდრის, გამოხატავს საქონლის წარმოების ძირითად პირობას და რჩება უცვლელი, სანამ უცვლელია შრომის პროდუქტიული ძალა [68].

3. ყოველ ცალკეულ დარგში ან ყოველ ცალკეულ წარმოებაში — აღნიშნავს კ. მარქსი — კაპიტალისტი ყიდის საქონელს, არა იმ ღირებულების მიხედვით, რომელსაც თვით ეს საქონელი შეიცავს, და მაშასადამე მოგების მასა, მიღებული ამ კაპიტალისტის მიერ, არ უდრის იმ ზედმეტი ღირებულების მასას, რომელიც გასაგნობრივებულია მის მიერ გასაყიდ საქონელში. პირიქით, მას შეუძლია მხოლოდ იმდენი ზედმეტი ღირებულების საშუალო რეალიზაცია თავის საქონელში, რამდენიც მოდის ამ საქონლის წილზე, როგორც საზოგადოებრივი კაპიტალის განსაზღვრულ ნაწილზე. ეს არის ხარჯთფასი — აღნიშნავს კ. მარქსი — და როდესაც ლაპარაკია წარმოების ხარჯებზე საკუთარი აზრით (ეკონომიური, კაპიტალისტური), მაშინ ეს არის ავანსებული კაპიტალის ღირებულება პლუს საშუალო მოგების ღირებულება [69].

როგორც არ უნდა გადაიხაროს ცალკეული საქონლის ეს ხარჯთფასი მისი ღირებულებისგან, იგი განისაზღვრება საზოგადოებრივი კაპიტალის ერთობლივი პროდუქტის ღირებულებით. ცალკეული კაპიტალები, — წერს კ. მარქსი — მათი მოგებათა გათანაბრების გამო, შეეფარდებიან ერთიმეორეს როგორც განსაზღვრული ნაწილები. ისინი იღებენ დივიდენდებს ზედმეტი ღირებულების (ზედმეტი პროდუქტის) საერთო ფონდიდან. ეს არაფერს არ ცვლის საქონლის ღირებულებაში, არაფერს არ ცვლის იმაში, რომ დამოუკიდებლად იმისა, უდრის ამ საქონლის ხარჯთფასი მის ღირებულე-

---

[68] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 91, 92.

[69] ი ქ ვ ე, გვ. 92, 93.

ბას ან უფრო მეტია ან უფრო ნაკლებია აბ უკანასკნელზე, მისი წარმოება შეუძლებელია უიმისოდ, თუ არ იწარმოება მისი ღირებულება. საერთო ურთიერთობაში შრომასა და კაპიტალს შორის არაფერი არ იცვლება იმის გამო, რომ წარმოების ზოგიერთ დარგებში ფასგადაუხდელი შრომის ნაწილს მიითვისებენ „თანამოძმე-კაპიტალისტები", და არა ის კაპიტალისტი, რომელსაც მოძრაობაში მოყავს შრომა წარმოების ამ განსაკუთრებულ დარგში. როგორიც არ უნდა იყოს შეფარდება საქონლის ღირებულებასა და მის ხარჯთფასს შორის, ეს უკანასკნელი ყოველთვის შეიცვლება, გადიდდება ან შემცირდება ღირებულების შეცვლისგან დამოკიდებულებით, ე. ი. საქონლის წარმოებისათვის აუცილებელი შრომის რაოდენობის შეცვლისაგან დამოკიდებულებით [70].

თუმცა უმეტესი საქონელთა ხარჯთფასები უნდა გადაიხაროს მათი ღირებულებისგან, — წერს კ. მარქსი — ე. ი. თუმცა მათი „წარმოების იარაღები" უნდა გადაიხაროს მათში მოცემული შრომის ერთობლივი რაოდენობისაგან, მიუხედავად ამისა წარმოების ხარჯები და ეს ხარჯთფასები „არა მარტო განისაზღვრებიან საქონელთა ღირებულებით და შეესაბამებიან ღირებულების კანონს (და არ ეწინააღმდეგებიან მას), არამედ, უფრო მეტიც, მხოლოდ ღირებულების და მისი კანონის საფუძველზე შეიძლება გაგებულ იქნეს თვით არსებობა წარმოების ხარჯებისა და ხარჯთფასებისა, მაშინ როდესაც ამ წანამძღვარის გარეშე იგი უაზრობად იქცევა" [71]. ამასთანავე გასაგები ხდება — შენიშნავს კ. მარქსი, — თუ რატომ ის ეკონომისტები, რომელნიც ერთი მხრივ ხედავენ ფაქტიურ მოვლენას კონკურენციის სფეროში, მეორე მხრივ არ ესმით მოსაშუალე პროცესები ღირებულების კანონსა და ხარჯთფასის კანონს შორის, მიმართავენ ფიქციას რომ კაპიტალი და არა შრომა განსაზღვრავს საქონლის ღირებულებას, ან უფრო ზუსტად, ღირებულება საერთოდ არ არსებობსო [72].

აქვე კ. მარქსი გვაძლევს წარმოების ფორმებსა და განაწილების ფორმებს შორის განსხვავების შესანიშნავ დახასიათებას.

მოგება, განაწილების ფორმა, — წერს კ. მარქსი, — არის ამასთან ერთად წარმოების ფორმა, წარმოების პირობა, წარმოების პროცესის აუცილებელი შემადგენელი ელემენტი. როგორ „უჭკუონ

---

[70] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი"), ნაწილი 3, თბ., 1975. გვ. 93.

[71] ი ქ ვ ე, გვ. 94.

[72] ი ქ ვ ე.

არიან“, მაშასადამე ჯონ სტიუარტ მილი და სხვები, რომელნიც თვლიან წარმოების ბურჟუაზიულ ფორმებს აბსოლუტურად, ხოლო განაწილების ბურჟუაზიულ ფორმებს შეფარდებითად, ისტორიულად და ამიტომ წარმავლად. განაწილების ფორმა — შენიშნავს კ. მარქსი — არის მხოლოდ წარმოების ფორმა sub alia specie [73]. ის differentia specifica [74], რომელიც შეადგენს ბურჟუაზიული განაწილების ზღუდეს, შედის თვით წარმოებაში, როგორც მისი მომცველი და გაბატონებული მასზე განსაზღვრულობა [75].

მაგრამ ის გარემოება, — წერს კ. მარქსი, — რომ თავისი საკუთარი იმანენტური კანონების შედეგად ბურჟუაზიული წარმოება იძულებულია, ერთი მხრივ, ისე განავითაროს საწარმოო ძალები, თითქოს იგი არ იყოს წარმოება შეზღუდულ საზოგადოებრივ საფუძველზე, ხოლო მეორე მხრივ, მას შეუძლია განავითაროს ისინი მაინც მხოლოდ ამ შეზღუდულობის ფარგლებში, — ეს გარემოება არის ყველაზე ღრმა და ყველაზე იდუმალი მიზეზი კრიზისებისა, ბურჟუაზიულ წარმოებაში წარმოქმნილი წინააღმდეგობებისა, რომელნიც თვით უხეში, ზერელე შეხედვითაც კი ახასიათებენ ამ წარმოებას როგორც ისტორიულად წარმავალ ფორმას [76].

ამის შემდეგ კ. მარქსი გვაძლევს ჯ ე მ ს მ ი ლ ი ს (1773—1836) შეხედულებათა კრიტიკულ ანალიზს. ჯემს მილი წარუმატებლად ცდილობდა გადაეწყვიტა რიკარდოსეული სისტემის წინააღმდეგობანი.

ჯემს მილი, — წერს კ. მარქსი, — იყო პირველი ვინც სისტემატური ფორმით გადმოსცა რიკარდოს თეორია, თუმცა მხოლოდ საკმაოდ აბსტრაქტულ მონახაზებში. იგი ესწრაფვის ფორმალურად ლოგიკურ თანმიმდევრობას. მისგან „ამიტომ“ — შენიშნავს კ. მარქსი — იწყება რიკარდიანული სკოლის დაშლა [77].

მასწავლებელთან (რიკარდოსთან) — წერს კ. მარქსი — ახალი და მნიშვნელოვანი (წინააღმდეგობათა „ნაკელში“) — იძულებით გამოი-

---

[73] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, სხვა თვალსაზრისით (რედ. იქვე, გვ. 95).

[74] სპეციფიკური განმასხვავებელი ნიშანი (რედ., იქვე, გვ. 95).

[75] ი ქ ვ ე, გვ. 95.

[76] ი ქ ვ ე, გვ. 95, 96. აქვე კ. მარქსი შენიშნავს, რომ ამას, მაგალითად, სრსმონდი თუმცა უხეშად, მაგრამ, ამავე დროს საკმაოდ სწორად განიხილავს როგორც წინააღმდეგობას წარმოებისათვის წარმოებასა და ისეთ განაწილებას შორის, რომელიც ipso (სწორედ ამის გამო, რედ.) გამორიცხავს პროდუქტიულობის აბსოლუტურ განვითარებას. (იქვე, გვ. 96).

[77] ი ქ ვ ე.

ყვანება წინააღმდეგობრივი მოვლენებიდან. თვით წინააღმდეგობანი — აღნიშნავს კ. მარქსი — რომელიც საფუძვლად უდევს მის თეორიას. მოწმობენ იმ სასიცოცხლო ფუნდამენტის სიმდიდრეს, საიდანაც ვითარდება თეორია.

სხვაგვარად არის საქმე მოწაფესთან (მილთან). ის ნედლეულს, რაზედაც იგი მუშაობს, არის უკვე არა თვით სინამდვილე, არამედ ის ახალი თეორიული ფორმა, რაც ამ სინამდვილეს სუბლიმაციის გზით ნისცა მასწავლებელმა [78].

ნაწილობრივ ახალი თეორიის მოწინააღმდეგეთა თეორიული მოსაზრებანი, — წერს კ. მარქსი, — ნაწილობრივ ხშირად პარადოქსალური დამოკიდებულება ამ თეორიისა რეალობისადმი უბიძგებენ მას ეცადოს უარყოს პირველნი, ხოლო წმინდა სიტყვიერი „ახსნა-განმარტებით" მოიცილოს უკანასკნელნი. ამ ცდის დროს თვით იგი იხლართება წინააღმდეგობებში, და თავისი ცდით გადაჭრას ისინი, დასაბამს აძლევს ამასთანავე იმ თეორიის დაშლას, რომელსაც იგი ღოგმატურად იცავს. მილს სურს, ერთი მხრივ, — შენიშნავს კ. მარქსი — დასახოს ბურჟუაზიული წარმოება, როგორც წარმოება, როგორც წარმოების აბსოლუტური ფორმა და ცდილობს ამიტომ დაამტკიცოს, რომ მისი ნამდვილი წინააღმდეგობანი წარმოადგენენ მხოლოდ მოჩვენებით წინააღმდეგობებს. მეორე მხრივ, იგი ცდილობს დასახოს რიკარდოს თეორია, ამ წარმოების წესის აბსოლუტურ თეორიულ ფორმად. ამასთან იგი ცდილობს უკუაგდოს ფორმალური მოსაზრებებით ის თეორიული წინააღმდეგობანი, რომლებიც ნაჩვენები იყო ნაწილობრივ სხვების მიერ, ნაწილობრივ შემჩნეული თვით მის მიერ. მაგრამ მილთან ჩვენ ჯერ კიდევ ვპოულობთ ერთგვარი ზომით რიკარდოს თვალსაზრისის შემდგომ განვითარებას იმ ფარგლებს იქით, რომლებშიც მას თვით რიკარდო გადმოსცემდა [79].

ჯ. მილი კიდევ იცავს — აღნიშნავს კ. მარქსი — იმავე ისტორიულ ინტერესებს, რასაც იცავდა რიკარდოც — სამრეწველო კაპიტალის ინტერესებს მიწის საკუთრების წინააღმდეგ. იგი უფრო მტკიცედ აკეთებს პრაქტიკულ დასკვნებს ამ თეორიიდან. მაგალითად მიწის რენტის თეორიიდან, — მიწის კერძო საკუთრების არსებობის წინააღმდეგ, რომელიც მას უნდოდა მეტნაკლებად უშუალოდ სახელმწიფო საკუთრებად გადაექცია [80].

---

[78] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 96.

[79] ი ქ ე ვ ე, გვ. 96, 97.

[80] ი ქ ე ვ ე, გვ. 97.

ჯ. მილთან ჩვენ ვხედებით ზედმეტი ღირებულების და მოგების ერთმანეთში არევას, სქოლასტიკურ მსჯელობას მოგების ნორმის გათანაბრების საკითხში, წინააღმდეგობათა ერთიანობის დაყვანას მათ უშუალო იგივეობაზე.

დ. რიკარდოს მოწაფეებში განსხვავება ზედმეტ ღირებულებასა და მოგებას შორის — წერს კ. მარქსი — ისევე არ აღინიშნება, როგორც თვით რიკარდოსთან. დ. რიკარდო ამჩნევს მას მხოლოდ იმ სხვადასხვა გაელენაში, რაც ხელფასის ცვლილებას შეუძლია მოახდინოს სხვადასხვა ორგანული შედგენილობის კაპიტალებზე, ხოლო ეს უკანასკნელი აღებულია რიკარდოსთან მხოლოდ მიმოქცევის პროცესთან დაკავშირებით.

არც თვით დ. რიკარდოს, არც მის მოწაფეებს — აღნიშნავს კ. მარქსი — არ ესმოდათ, რომ მაშინაც კი, თუ ჩვენ განვიხილავთ არა კაპიტალებს სხვადასხვა დარგებში, არამედ თითოეულ კაპიტალს ცალკე, რამდენადაც ეს კაპიტალი არ შედგება მხოლოდ ცვალებადი კაპიტალისაგან, — მოგების ნორმა და ზედმეტი ღირებულების ნორმა სხვადასხვაა, და მაშასადამე მოგებაც უნდა წარმოადგენდეს ზედმეტი ღირებულების შემდგომ განვითარებულ, სპეციფიკურად მოდიფიცირებულ ფორმას.

განსხვავებას ზედმეტ ღირებულებასა და მოგებას შორის ისინი ამჩნევენ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც საქმე ეხება თანაბარ მოგებას (მოგების საშუალო ნორმას) წარმოების სხვადასხვა სფეროს კაპიტალებისათვის და მათში ძირითადი და საბრუნავი კაპიტალის სხვადასხვა თანაფარდობას. ჯ. მილი ამ შემთხვევაში, — შენიშნავს კ. მარქსი — მხოლოდ იმეორებს, იმის პოპულარიზაციას ეწევა, რაც მოცემულია რიკარდოსთან I თავში „ღირებულების შესახებ“ [81].

ერთადერთი ახალი ეჭვი, — წერს კ. მარქსი — რომელიც მას აქ აღეძვრის, „დროსთან“ დაკავშირებულ საკითხებს ეხება. ჯ. მილი ამჩნევს, რომ „დრო როგორც ასეთი“ (მაშასადამე არა სამუშაო დრო, არამედ უბრალოდ დრო) არაფერს არ აწარმოებს, მაშასადამე, არ აწარმოებს „ღირებულებასაც“. ამ შემთხვევაში, როგორ შეეთანხმება ღირებულების კანონს ის ფაქტი, რომ განსაზღვრულ კაპიტალს, იმის გამო, რომ როგორც რიკარდო ამბობს, მისი ბრუნვისათვის საჭიროა უფრო ხანგრძლივი დრო, მოაქვს იგივე მოგება, რაც იმ კაპიტალს, რომელიც იყენებს მეტ უშუალო შრომას, მაგრამ ბრუნავს უფრო სწრაფად? ჩვენ ვხედავთ — შენიშნავს კ. მარქსი—

---

[81] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 97, 98.

რომ აქ ჯ. მილი იღებს მხოლოდ სრულიად ერთეულ შემთხვევას, რაც განზოგადებული სახით, შემდეგნაირად შეიძლება ფორმულირებულ იქნეს: როგორ ეთანხმება ხარჯთფასი და მის მიერ ნავარაუდევი მოგების საშუალო ნორმა (მაშასადამე საქონელთა ტოლფასეულობა, რომელნიც მოიცავენ შრომის არაერთნაირ რაოდენობას) იმ გარემოებას, რომ მოგება სხვა არაფერია, თუ არა საქონელში მოცემული სამუშაო დროის ნაწილი, სახელდობრ მისი ის ნაწილი, რომელიც მიითვისება კაპიტალისტის მიერ უეკვივალენტოდ? აქვე კ. მარქსს მოყავს ჯ. მილის შემდეგი დებულება „დროის" შესახებ: „დროს არაფრის გაკეთება არ შეუძლია... როგორღა შეუძლია ასეთ შემთხვევაში მას ღირებულების გადიდება? დრო მხოლოდ აბსტრაქტული ტერმინია. ის არის სიტყვა, ბგერა. და ერთი და იგივე ლოგიკური აბსურდი გამოდის, ვილაპარაკებთ აბსტრაქტულ ერთეულზე როგორც ღირებულების საზომზე თუ დროზე როგორც ღირებულების შემქმნელზე" [82].

სინამდვილეში, — შენიშნავს კ. მარქსი, — წარმოების სხვადასხვა სფეროში კაპიტალების კომპენსაციისათვის საფუძვლების განსაზღვრისას საქმე ეხება არა ზედმეტი ღირებულების წარმოებას, არამედ მის განაწილებას კაპიტალისტების სხვადასხვა კატეგორიათა შორის, ამიტომ აქ მნიშვნელობას იღებენ ისეთი თვალსაზრისები, რომელთაც აბსოლუტურად არავითარი დამოკიდებულება არა აქვთ ღირებულების — როგორც ასეთის — განსაზღვრასთან. ამასთან კომპენსაციისათვის საფუძველს წარმოადგენს ყველაფერი ის, რაც აიძულებს კაპიტალს წარმოების რომელიმე განსაკუთრებულ სფეროში უარი სთქვას იმ პირობებზე, რა პირობებშიც მას სხვა სფეროებში შეეძლო ეწარმოებინა უფრო მეტი ზედმეტი ღირებულება.

ასე მაგალითად, როცა გამოიყენება მეტი ძირითადი კაპიტალი და ნაკლები საბრუნავი; გამოიყენება უფრო მეტი მუდმივი კაპიტალი და ნაკლები ცვალებადი; როცა კაპიტალი იძულებულია მეტ ხანს დარჩეს მიმოქცევის პროცესში; როდესაც იგი იძულებულია მეტ ხანს დარჩეს წარმოების პროცესში, შრომის პროცესის გაუვლელად, რასაც ადგილი აქვს იქ, სადაც წარმოების პროცესი თავისი ტექნოლოგიური ბუნებით მოითხოვს შეწყვეტებს, რათა შესაქმნელმა პროდუქტმა განიცადოს ბუნების ძალთა გავლენა (მაგალითად, ღვინომ სარდაფში). ყველა ამ შემთხვევაში — (უკანასკნელ ამათგანს ჯ. მილი გამოყოფს და მას ეს სიძნელე წარმოდგენილი აქვს ძალიან ვიწროდ,

---

[82] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 98, 99.

მხოლოდ როგორც რაღაც ,ცალკეული რამ) — ადგილი აქვს კომპენსაციას [83].

სხვა სფეროებში წარმოებულ ზედმეტი ღირებულებიდან, — წერს კ. მარქსი — გარკვეული ნაწილი გადაიტანება ამ კაპიტალებზე, რომელნიც იმყოფებიან ნაკლებ ხელსაყრელ პირობებში შრომის უშუალო ექსპლოატაციისათვის, მხოლოდ მათი სიდიდის შესაბამისად. ეს გათანაბრება, რომლის დროს ცალკეული კაპიტალი გამოდის მხოლოდ როგორც საზოგადოებრივი კაპიტალის გარკვეული ნაწილი, ხორციელდება კონკურენციის საშუალებით [84].

ეს მოვლენა მეტად მარტივია, — წერს კ. მარქსი — რაკი გაგებულია შეფარდება ზედმეტ ღირებულებასა და მოგებას შორის, ხოლო შემდეგ გაგებულია მოგებათა გათანაბრება მოგების საერთო ნორმად.

მაგრამ, თუ კი ეს უნდათ გაიგონ — შენიშნავს კ. მარქსი — ყოველგვარი მოსაშუალეობის გარეშე, პირდაპირ ღირებულების კანონიდან, ე. ი. უნდა ახსნან მოგება, რომელსაც იღებს ცალკეული კაპიტალისტი ცალკეულ დარგში, იმ ზედმეტი ღირებულებიდან, რომელიც მოთავსებულია ამ კაპიტალის მიერ წარმოებულ საქონელში, მაშინ ეს წარმოადგენს პრობლემას, რომელიც გაცილებით უფრო გაღაუწყვეტელია, ვიდრე წრის კვადრატურა, რომლის მონახვა ალგებრულად შეიძლება. ეს არის ცდა წარმოიდგინო არსებულად ის, რაც არ არის [85].

მაგრამ სწორედ ამ უშუალო ფორმით ჯ. მილი ცდილობს პრობლემის გადაჭრას. ამიტომ არსებითად საკითხის გადაწყვეტა აქ შეუძლებელია, — შენიშნავს კ. მარქსი, — შესაძლებელია მხოლოდ სიძნელის სოფისტური თავიდან მოშორება სიტყვების თამაშით, ე. ი. მხოლოდ სქოლასტიკა. ეს იწყება ჯ. მილთან, ხოლო „უსინდისო უხამს" მაკ-კულოხთან ეს მანერა იღებს „უსირცხვილობის" ფორმას [86].

წინააღმდეგობა საერთო კანონსა და უფრო განვითარებულ კონკრეტულ ურთიერთობათა შორის აქ სურთ გადაწყვიტონ — წერს კ. მარქსი — არა შუალედი რგოლების მონახვით, არამედ კონკრეტულის აბსტრაქტულთან პირდაპირი შეფარდების და უშუალო შე-

---

[83] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 99

[84] ი ქ ვ ე.

[85] ი ქ ვ ე, გვ. 99, 100.

[86] ი ქ ვ ე, გვ. 100.

ბუების გზით. ამას სურთ ჰიაღწიონ სიტყვიერი ფიქციის მეოხებით, vera rerum vocabulas[87]-ს შეცვლის გზით. აქ ჩვენ წინაშეა — შენიშნავს კ. მარქსი — ნამდვილად „კამათი სიტყვების გარშემო", მაგრამ იგი კამათია „სიტყვების გარშემო" იმიტომ, რომ რეალური წინააღმდეგობანი, რომელთაც ვერ მიიღეს რეალური გადაწყვეტა, აქ ცდილობენ გადაჭრან ფრაზების საშუალებით. რომ ამ მანერამ, — აღნიშნავს კ. მარქსი — რომელიც ჯ. მილთან ჯერ მხოლოდ ჩანასახშია, უფრო მეტად დაანგრია რიკარდოს თეორიის მთელი საფუძველი, ვიდრე მოწინააღმდეგეთა ყველა თავდასხმებმა, ეს გამოჩნდება მაკ-კულოხის შეხედულებათა განხილვისას[88].

ჯ. მილი მიმართავს ამ მეთოდს — წერს კ. მარქსი — მხოლოდ იმ შემთხვევებში, როცა იგი აბსოლუტურად ვერ პოულობს სხვა გამოსავალს.

მაგრამ ძირითადი მისი მეთოდი სხვაა. სადაც ეკონომიური ურთიერთობა — შენიშნავს კ. მარქსი — მაშასადამე მისი გამომხატველი კატეგორიებიც შეიცავს დაპირისპირებულობებს, წარმოადგენს წინააღმდეგობას და სწორედ წინააღმდეგობათა ერთიანობას, მილი ხაზს უსვამს დაპირისპირებულობათა ერთიანობის მომეხტს და უარყოფს დაპირისპირებულობებს. დაპირისპირებულობათა ერთიანობას იგი აქცევს ამ დაპირისპირებულობათა უშუალო იგივეობად[89].

მაგალითად, საქონელში იმალება დაპირისპირებულობა სახმარსა და საცდელ ღირებულებას შორის. ეს დაპირისპირებულობა — წერს კ. მარქსი — ვითარდება შემდგომ, ვლინდება, რეალიზდება როგორც საქონლის გაორება საქონლად და ფულად. ეს მისი გაორება გვევლინება როგორც პროცესი, საქონლის მეტამორფოზმში, სადაც გაყიდვა და ყიდვა წარმოადგენენ ერთი პროცესის სხვადასხვა მომენტებს, მაგრამ ამ პროცესის თითოეული აქტი ამასთანავე შეიცავს თავის დაპირისპირებულობას. ჯ. მილი უსწორდება დაპირისპირებულობას იმით, რომ ფიქსაციას უკეთებს მხოლოდ ყიდვისა და გაყიდვის ერთიანობას, აქცევს ამიტომ მიმოქცევას გაცვლით ვაჭრობად, ხოლო გაცვლით ვაჭრობაში კვლავ კონტრაბანდული გზით შეაქვს კატეგორიები აღებული მიმოქცევიდან[90]. ჯემს მილთან გატა-

---

[87] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975. ნიუთების სწორ სახელწოდებათა (რედ., იქვე, გვ. 100).

[88] ი ქ ვ ე, გვ. 100, 101.

[89] ი ქ ვ ე, გვ. 101.

[90] ი ქ ვ ე.

რებულია აგრეთვე უეარგისი დაყოფა: „წარმოების შესახებ", „განაწილების შესახებ", „გაცვლის შესახებ", „მოხმარების შესახებ" [91].

ჯ. მილი უნაყოფოდ ცდილობდა შეეთანხმებია კაპიტალსა და შრომას შორის გაცვლა ღირებულების კანონთან; ნაწილობრივ იგი უბრუნდებოდა მოთხოვნისა და მიწოდების თეორიას.

ჯ. მილისათვის უაღრესად დამახასიათებელია, — წერს კ. მარქსი, — რომ ისე როგორც ფული მისთვის არის მხოლოდ მოხერხებულობისათვის გამოგონილი ხრიკი, ისე თვით კაპიტალისტური ურთიერთობა მისი აზრით გამოგონილია მოხერხებულობისათვის. მილი გულისხმობს მუშის ჩამოშორებას, მის გათიშვას შრომის ობიექტური პირობებისაგან, იგი აგრეთვე გულისხმობს კაპიტალისტისა და დაქირავებული მუშის ურთიერთობას, რათა შემდეგ წარმოიდგინოს მოხერხებულობის საქმედ ის, რომ მუშა ყიდის არა პროდუქტს, არა საქონელს, არამედ თავის წილს პროდუქტში (რომლის წარმოება მიმდინარეობს მისგან დამოუკიდებლად), მანამდე სანამ მუშამ იგი აწარმოვა; ანუ უფრო ზუსტად, რომ მუშის წილს პროდუქტში კაპიტალისტი გადაიხდის, გადააქცევს ფულად მანამდე. სანამ კაპიტალისტი გაყიდდეს, გაასაღებდეს პროდუქტს, რომელშიც მუშას წილი აქვს. ხელფასის ასეთი გაგებით, მილს სურს — წერს კ. მარქსი — გვერდი აუაროს სპეციფიკურ სიძნელეს, დაკავშირებულს განსახილველი ურთიერთობის სპეციფიკურ ფორმასთან [92].

რიკარდოს სისტემისათვის. — შენიშნავს კ. მარქსი — რომლის თანახმად მუშა ყიდის პირდაპირ თავის შრომას (და არა თავის სამუშაო ძალას) სიძნელე მდგომარეობდა შემდეგში: საქონლის ღირებულება განისაზღვრება იმ სამუშაო დროით, რაც ღირს ამ საქონლის წარმოება. რით აიხსნება ის, — აღნიშნავს კ. მარქსი, — რომ ღირებულების ეს კანონი არ ხორციელდება ყველაზე დიდ გაცვლაში, კაპიტალისტსა და დაქირავებულ მუშას შორის გაცვლაში? რატომ ის რაოდენობა გასაგნობრივებული შრომისა, რასაც მუშა ღებულობს ხელფასის სახით, არ უდრის უშუალო შრომის იმ რაოდენობას, რასაც იგი ხელფასის სანაცვლოდ ასრულებს? ამ სიძნელის დასაძლევად მილი გადააქცევს დაქირავებულ მუშას საქონელმფლობელად, რომელიც ყიდის კაპიტალისტზე თავის პროდუქტს, თავის საქონელს, რადგან მისი წილი პროდუქტში, საქონელში არის მისი

---

[91] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 101.

[92] ი ქ ვ ე, გვ. 101, 102.

პროდუქტი, მისი საქონელი, ღირებულება, წარმოებული მის მიერ განსაკუთრებული საქონლის ფორმაში.

სიძნელეს მილი გადაწყვეტს იმით, რომ კაპიტალისტსა და დაქირავებულ მუშას შორის გარიგებას, რომელიც შეიცავს ღაპირისპირებულობას გასაგნობრივებული და უშუალო შრომას შორის, იგი სახავს როგორც ჩვეულებრივ გარიგებას გასაგნობრივებულ შრომის მფლობელთა შორის, საქონელმფლობელთა შორის [93].

თუმცა მილმა — შენიშნავს კ. მარქსი — ასეთი ფანდით თავისთვის შეუძლებელი გახადა კაპიტალისტსა და დაქირავებულ მუშას შორის მიმდინარე პროცესის სპეციფიკური ბუნების გაგება, მაგრამ მან სრულებითაც არ შეამცირა თავისთვის სიძნელე, არამედ გაადიდა იგი, რადგან შედეგის თავისებურება ახლა უკვე აღარ შეიძლება გაგებულ იქნეს იმ საქონლის თავისებურებიდან, რომელსაც მუშა ყიდის.

მუშა მილის მიხედვით ისეთივე გამყიდველია საქონლის, როგორც ყოველგვარი სხვა საქონელმფლობელი [94]. ფრაზა მუშის „წილის" შესახებ მის საკუთარ პროდუქტში ემყარება — შენიშნავს კ. მარქსი — არსებითად შემდეგს: თუ განვიხილავთ არა ცალკეულ გარიგებას კაპიტალისტსა და მუშას შორის, არამედ მათ შორის გაცვლას კვლავწარმოების საერთო მსვლელობაში და თუ ყურადღებას მივაქცევთ ამ პროცესის ნამდვილ შინაარსს, და არა მისი გამოვლინების ფორმას, მაშინ სინამდვილეში გამოირკვევა, რომ ის, რასაც კაპიტალისტი უხდის მუშას (და აგრეთვე კაპიტალის ის ნაწილიც, რომელიც უპირისპირდება მუშას როგორც მუდმივი კაპიტალი), სხვა არაფერია, თუ არა თვით მუშის პროდუქტის ნაწილი; ამასთან პროდუქტის არა ის ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ უნდა გადაიქცეს ფულად, არამედ ის, რომელიც უკვე გაყიდულია, უკვე გადაქცეულია ფულად, რადგან ხელფასი გადაიხდება ფულით, და არა ნატურით.

მონობის (და ა. შ.) დროს, — აღნიშნავს კ. მარქსი — სადაც არ არის ცრუ მოჩვენებითობა, წარმოშობილი წინასწარ ფულად გარდაქმნით პროდუქტის იმ ნაწილის, რომელიც იხარჯება ხელფასზე, ნათლად ჩანს, რომ ის, რასაც მონა იღებს მუშაობის საფასურის სახით, სინამდვილეში არა „ავანსია" მონათმფლობელის მხრივ, არამედ მხოლოდ ის ნაწილია მონის გასაგნობრივებული შრომის, რო-

---

[93] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 102, 103.

[94] ი ქ ვ ე, გვ. 103.

მელიც უკან ძოედინება მასთან სააოსებო საშუალებათა ფორმით.

ასეთივეა — წერს კ. მარქსი — საქმის მდგომარეობა კაპიტალისტთან. იგი „ავანსად გასცემს“ მხოლოდ მოჩვენებით. ის რასაც იგი ავანსად აძლევს მუშას როგორც ხელფასს, ანუ, უფრო ზუსტად, ის რასაც იგი მას უხდის — რადგან სამუშაო ნაზღაურდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი შესრულებულია, არის მუშის მიერ წარმოებული და უკვე ფულად გარდაქმნილი პროდუქტის ნაწილი. მუშის პროდუქტის ნაწილი, მითვისებული კაპიტალისტის მიერ, წართმეული მუშისაგან, მოედინება მუშასთან ხელფასის ფორმით, როგორც ავანსი, თუ გნებავთ, ახალი პროდუქტისათვის [95].

სრულიად არ ეკადრება მილს (ეს უფრო შეეფერება მაკ-კულოხს, სეის ან ბასტიას) — შენიშნავს კ. მარქსი — ჩასჭიდოს ხელი კაპიტალისტსა და მუშას შორის გარიგების დამახასიათებელ ამ მოჩვენებითობას, რომ ახსნას თვით გარიგება. კაპიტალისტს არაფერი არა აქვს, რაც მას შეეძლო ავანსად მიეცა მუშისათვის, გარდა იმისა, რომ მან აღრე წაართვა მუშას, რაც მან ავანსად მიიღო სხვა ადამიანთა შრომით. თვით მალთუსიც კი ამბობს, რომ ის, რასაც კაპიტალისტი ავანსად გასცემს, შედგება არა „მაუდისა“ ან „სხვა საქონელთაგან“, არამედ „შრომისაგან“, ე. ი. სწორედ იმისაგან, რასაც კაპიტალისტი არ ასრულებს. კაპიტალისტი ავანსად აძლევს მუშას მუშის საკუთარ შრომას [96].

მთელი ეს ფრაზების შეცვლა — წერს კ. მარქსი — სრულებით არ შველის მილს, გვერდი აუაროს იმ საკითხის გადაჭრას, თუ გაცვლა დაგროვილი და უშუალო შრომას შორის (ასე ესმის რიკარდოს, და მის შემდგომ მილსა და სხვებს გაცვლის პროცესი კაპიტალსა და შრომას შორის) როგორ ეთანხმება ღირებულების კანონს, რომელსაც იგი პირდაპირ ეწინააღმდეგება.

ფრაზების შეცვლა რომ სრულიად ვერ შველის მილს, ამის საჩვენებლად კ. მარქსს მოყავს მილის შემდეგი სიტყვები: „რა პ რ ო პ ო რ ც ი ი თ ნაწილდება პროდუქტები მუშასა და კაპიტალისტს შორის, ანუ რა პროპორცია არეგულირებს ხელფასის დონეს?“ (Mill. Elémens d'économie politique. Traduits par Parisot, გვ 34). „მუშისა და კაპიტალის წილის განსაზღვრა არის საგანი სავაჭრო გა-

---

[95] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 106, 107.

[96] ი ქ ვ ე, გვ. 107

რიგებისა, ვ ა ჭ რ ო ბ ი ს ა მათ შორის. ყოველ თავისუფალ სავაჭრო გარიგებას არეგულირებს კონკურენცია, და ვაჭრობის პირობები იცვლება მ ო თ ხ ო ვ ნ ა ს ა დ ა მ ი წ ო დ ე ბ ა ს შ ო რ ი ს თ ა ნ ა ფ ა რ დ ო ბ ი ს ცვლილების მიხედვით". (იქვე, გვ. 34—35)" [97]. მუშას უხდიან მის „წილს" პროდუქტში. ეს ნათქვამი იყო მილის მიერ იმისათვის, — შენიშნავს კ. მარქსი — რომ გადაეცია მუშა მის ურთიერთობაში კაპიტალთან, საქონლის (პროდუქტის) ჩვეულებრივ გამყიდველად და მიეჩქმალა ამ ურთიერთობის სპეციფიკური ხასიათი. მუშის წილი პროდუქტში არის, უნდა ვიფიქროთ, მისი პროდუქტი, ე. ი. პროდუქტის ის ნაწილი, რომელშიც განივთებულია მუშის ახლად მიმატებული შრომა. განა ასე არ არის? გამოდის, რომ ასე არ არის. პირიქით, როდესაც ჩვენ ახლა ვკითხულობთ — შენიშნავს კ. მარქსი — როგორია მუშის „წილი" პროდუქტში, ე. ი. როგორია მისი პროდუქტი, მაშინ ჩვენ გვესმის, რომ მ ი ს ი პროდუქტი და მისი პ რ ო დ უ ქ ტ ი, ორი სრულიად სხვადასხვა რამეა. და ჩვენ კიდევ უნდა დავადგინოთ, რა არის მუშის პროდუქტი (ე. ი. მისი წილი პროდუქტში). „მისი პროდუქტი" იყო მაშასადამე უბრალო ფრაზა, რადგან ღირებულების ის ნაწილი, რომელსაც მუშა იღებს კაპიტალისტისაგან, განისაზღვრება არა მისი საკუთარი პროდუქციით [98].

ამრიგად, მილმა მხოლოდ გადასწია სიძნელე — შენიშნავს კ. მარქსი — ერთი ნაბიჯით. მისი გადაწყვეტის საქმეში იგი არ წასულა იმ ადგილიდან შორს, სადაც იგი იმყოფებოდა გამოკვლევის დასაწყისში. აქ, — შენიშნავს კ. მარქსი, — ადგილი აქვს ცნებათა არევას (quidproquo)[99].

თუ ჩავთვლით, — წერს კ. მარქსი — გაცვლას კაპიტალსა და დაქირავებულ შრომას შორის განუწყვეტელ აქტად, როგორც ის არის ყველასათვის, ვინც არ შემოიზღუდება კაპიტალისტური წარმოების ცალკეული აქტის ფიქსირებით, იზოლირებით — მაშინ მუშა ღებულობს თავისი პროდუქტის ღირებულების იმ ნაწილს, რომელიც მან აანაზღაურა, და მიუმატა მას ღირებულების ის ნაწილი, რომელიც მან მუქთად მისცა კაპიტალისტს. ეს მეორდება მუდამ. მაშასადამე,— შენიშნავს კ. მარქსი — სინამდვილეში მუშა მუდამ იღებს თავისი საკუთარი პროდუქტის ღირებულების ნაწილს, მის მიერ შექმნილი ღირებულების ნაწილს ან წილს. რამდენად დიდია ან მცირე მისი

---

[97] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 107.

[98] ი ქ ვ ე, გვ. 108.

[99] ი ქ ვ ე.

ხელფასი, ეს არ განისაზღვრება მისი წილით პროდუქტში, არამედ, პირიქით, მისი წილი პროდუქტში განისაზღვრება მისი ხელფასის სიდიდით. ფაქტიურად მუშა ღებულობს პროდუქტის ღირებულების წილს [100].

მაგრამ ის წილი, რასაც იგი იღებს განისაზღვრება შრომის ღირებულებით, და არა პირიქით, შრომის ღირებულება — წილით პროდუქტში.

შრომის ღირებულება, ე. ი. სამუშაო დრო, რომელიც საჭიროა მუშისათვის თავისი თავის კვლავწარმოებისათვის — წერს კ. მარქსი — არის ფიქსირებული სიდიდე; იგი ფიქსირებულია მისი სამუშაო ძალის გაყიდვით კაპიტალისტისადმი. ფაქტიურად ამით ფიქსირდება აგრეთვე მისი წილიც პროდუქტში. მაგრამ არა პირიქით, არა ისე, რომ ჯერ ფიქსირდება მისი წილი პროდუქტში და უკვე ამ წილით განისაზღვრება მისი ხელფასის სიმაღლე ან ღირებულება. ამაში მდგომარეობს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დებულება რიკარდოსი, ვინაიდან სხვაგვარად შრომის ფასი განსაზღვრავდა მის მიერ წარმოებულ საქონლის ფასს, მაშინ როდესაც რიკარდოს მიხედვით შრომის ფასი განსაზღვრავს მხოლოდ მოგების ნორმას.

როგორ ადგენს მილი — აღნიშნავს კ. მარქსი — იმ პროდუქტის „წილს", რომელსაც მუშა იღებს? იგი განსაზღვრავს მას მოთხოვნითა და მიწოდებით, კონკურენციით მუშებსა და კაპიტალისტებს შორის. მილის მიერ აქ მოცემული ფორმულირება გამოსადეგია ყველა საქონლის მიმართ, და კ. მარქსს კვლავ მოყავს ზემოთ მოტანილი მილის სიტყვები საკუთარი შენიშვნებით: „განსაზღვრა მუშისა და კაპიტალისტის" (გამყიდველისა და მყიდველის) „წილისა" (წაიკითხე: საქონლის ღირებულებაში) „არის მათ შორის სავაჭრო გარიგების, ვაჭრობის საგანი. ყოველ თავისუფალ სავაჭრო გარიგებას არეგულირებს კონკურენცია, და ვაჭრობის პირობები იცვლება მოთხოვნასა და მიწოდებას შორის თანაფარდობის ცვლილების მიხედვით (ციტირებ. თხზ., გვ. 34—35)" [101].

ამრიგად, — შენიშნავს კ. მარქსი—„აი სად არის დამარხული ძაღლის თავი!" ამას ამბობს მილი, რომელიც, როგორც რიკარდოელი ამტკიცებს, რომ მოთხოვნას და მიწოდებას შეუძლია, მართალია, განსაზღვრონ საბაზრო ფასის რყევა საქონლის ღირებულებაზე უფრო მაღლა ან უფრო დაბლა, მაგრამ მათ არ შეუძლიათ განსაზღვ-

---

[100] კ. მარქსი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 108.

[101] იქვე, გვ. 108, 109.

რონ თვით ეს ღირებულება; რომ მოთხოვნა და მიწოდება, ეს — უაზრო სიტყვებია, თუ მათ გამოვიყენებთ ღირებულების განსაზღვრისათვის, რადგან თვით მათი განსაზღერა უკვე გულისხმობს ღირებულების განსაზღვრას. ახლა კი მილი — შენიშნავს კ. მარქსი — იმისათვის რომ განსაზღვროს შრომის ღირებულება, ე. ი. ერთ-ერთი საქონლის ღირებულება, მიმართავს ამ ღირებულების განსაზღვრას მოთხოვნა-მიწოდებით [102].

ეხება რა მილის შემდგომ მსჯელობას ამ საკითხზე, კერძოდ იმის შესახებ, რომ პროპორცია, რომლის მიხედვითაც კაპიტალისტები და მუშები იყოფენ პროდუქტს „რაიმე წესით განსაზღვრულია", — კ. მარქსი შენიშნავს: — ის, რაც მილს უნდა განესაზღვრა, ეს იყო სწორედ ის „პროპორცია, რომლითაც ისინი" (კაპიტალისტები და მუშები) „იყოფენ პროდუქტს". იმისათვის, რომ განისაზღვროს ეს პროპორცია კონკურენციით, მილი ვარაუდობს, რომ ეს პროპორცია „რაიმე წესით განსაზღვრულია". რათა განსაზღვროს მუშის „წილი" კონკურენციით, მილი ვარაუდობს, რომ იგი „რაიმე წესით" განსაზღვრულია კონკურენციამდე. ეს ცოტაა, შენიშნავს კ. მარქსი. რათა უჩვენოს თუ როგორ ცვლის კონკურენცია პროდუქტის „რაიმე წესით" განსაზღვრულ განაწილებას, იგი გულისხმობს, რომ მუშები, როცა მათი რიცხვი იზრდება კაპიტალების მასაზე უფრო სწრაფად. კაპიტალისტებს „მიაწოდებენ თავიანთ შრომას უფრო დაბალი გასამრჯელოთი". ამრიგად, — აღნიშნავს კ. მარქსი, — აქ მილი პირდაპირ გამოთქვამს, რომ მუშების მიწოდება შედგება „შრომისაგან" და რომ ამ შრომას ისინი მიაწოდებენ „გასამრჯელოსათვის", ე. ი. ფულისათვის, „დაგროვილი შრომის" გარკვეული ჯამისათვის [103].

რათა გვერდი აუაროს — წერს კ. მარქსი — პირდაპირ გაცვლას შრომასა და კაპიტალს შორის, შრომის პირდაპირ გაყიდვას, მილი მიმართავს „პროდუქტის დანაწილების" თეორიას. ხოლო, რომ ახსნას ის პროპორცია, რომლითაც ნაწილდება პროდუქტი, იგი გულისხმობს შრომის უშუალო გაყიდვას ფულზე; ასე, რომ ეს თავდაპირველი გაცვლა კაპიტალსა და შრომას შორის შემდეგში ღებულობს თავის გამოხატულებას მუშის წილში მის პროდუქტში, და არა მისი წილი პროდუქტში განსაზღვრავს აღნიშნულ თავდაპირველ გაცვლას. და ბოლოს, როდესაც მუშების რიცხვი და კაპიტალების მასა არ იცვლება, უცვლელი რჩება „ხელფასის დონეც". მაგრამ როგორია

---

[102] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 109.

[103] ი ქ ვ ე, გვ. 111, 112

ხელფასის ეს დონე, როდესაც მოთხოვნა და მიწოდება შეესაბამება ერთი მეორეს? სწორედ ეს უნდა ყოფილიყო ახსნილი — შენიშნავს კ. მარქსი [104].

აქ ვერაფერს აგვიხსნის მითითება იმაზე, — წერს კ. მარქსი — რომ ხელფასის დონე იცვლება, როცა ირღვევა აღნიშნული წონასწორობა მოთხოვნასა და მიწოდებას შორის. ჯ. მილის ტავტოლოგიური ხვეულები ამტკიცებენ მხოლოდ იმას, რომ იგი აქ გრძნობს რიკარდოს თეორიაში რაღაც დაბრკოლებას, რომელსაც იგი ძლევს მხოლოდ იმით, რომ საერთოდ რჩება თეორიის გარეშე [105].

ამასთან კ. მარქსი აღნიშნავს, რომ მილი სწორად შენიშნავდა საქონლის ღირებულების კაპიტალის ღირებულებით განსაზღვრის საწინააღმდეგოდ, რომ „კ ა პ ი ტ ა ლ ი ა რ ი ს ს ა ქ ო ნ ე ლ ი, და თქმა იმისა, რომ საქონელთა ღირებულება განისაზღვრება კაპიტალის ღირებულებით, ნიშნავს იმის თქმას, რომ საქონლის ღირებულება განისაზღვრება საქონლის ღირებულებით, რომ საქონელთა ღირებულება თვით მათი ღირებულებით განისაზღვრება (Elements of Political Economy," პირველი გამოცემა, ლონდონი,1821, გვ. 74)".[106]

მილი არ ჩქმალავს დაპირისპირებულობას კაპიტალსა და შრომას შორის. მოყავს რა მილის შესაბამისი სიტყვები, კ. მარქსი შენიშნავს — აუცილებელია, რომ მოგების ნორმა იყოს დიდი, რათა მნიშვნელოვანი იყოს საზოგადოებრივი კლასი, დამოუკიდებელი უშუალო შრომისაგან; ამისათვის, მაშასადამე, ხელფასი უნდა იყოს შეფარდებით მცირე. აუცილებელია, რომ მუშების მასა არ იყოს თავისი დროის ბატონი, არამედ თავის მოთხოვნილებათა მონა იყოსო, რათა საზოგადოებრივ ნიჭს შეეძლოს თავისუფლად განვითარდეს იმ კლასებში, რომლებისთვისაც ეს მუშათა კლასი მხოლოდ ფუნდამენტს შეადგენსო. მუშათა კლასი წარმოადგენს განუვითარებლობას, რათა სხვა კლასები ადამიანთა განვითარებას წარმოადგენდნენო.

ეს, — აღნიშნავს კ. მარქსი, — ნამდვილად ის დაპირისპირებაა, რომელშიც ვითარდება ბურჟუაზიული საზოგადოება და ვითარდებოდა ყველა წინანდელი საზოგადოება, დაპირისპირებულობა, რომელიც გამოცხადებულია აუცილებელ კანონად, ეს არის არსებული

---

[104] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 112.

[105] ი ქ ვ ე.

[106] ი ქ ვ ე

ᲩᲓგომარეობა, გამოცხადებული როგორც აბსოლუტურად გონივრული[107].

კ. მარქსი, იქვე აღნიშნავს, რომ მილისათვის, როგორც რიკარდოელისთვის, განსხვავება შრომასა და კაპიტალს შორის, არის მხოლოდ განსხვავება შრომის სხვადასხვა ფორმებს შორის.

კ. მარქსს მოყავს მილის შემდეგი სიტყვები: „შრომა და კაპიტალი ნიშნავს: პირველი — უ შ უ ა ლ ო შ რ ო მ ა ს, მეორე — დ ა გ რ ო ვ ი ლ შ რ ო მ ა ს“. („Elements of Political Economy“, პირველი ინგლისური გამოცემა, ლონდონი, 1821, გვ. 75)[108].

მეორე ადგილას მილი ამბობს: „ა მ ო რ ი ს ა ხ ი ს შ რ ო მ ი ს შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ მათი ანაზღაურება ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს ე რ თ ი დ ა ი მ ა ვ ე ნ ო რ მ ი ს მ ი ხ ე დ ვ ი თ რ ო დ ი ხ დ ე ბ ა“. („Elémens d'économie politique“. Traduits par Parisot. Paris, 1823, გვ. 100)“[109]. ამრიგად — შენიშნავს კ. მარქსი — მილი აქ საქმის არსთან მიდის. ვინაიდან ის რითაც ნაზღაურდება უშუალო შრომა, ყოველთვის არის დაგროვილი შრომა, კაპიტალი, ამიტომ ანაზღაურება არა ერთნაირი ნორმის მიხედვით მოასწავებს მხოლოდ იმას, რომ უშუალო შრომის უფრო დიდი რაოდენობა იცვლება დაგროვილი შრომის უფრო ნაკლებ რაოდენობაზე, ისიც „ყოველთვის“, ვინაიდან წინაალმდეგ შემთხვევაში დაგროვილი შრომა ვერ გაიცვლებოდა უშუალო შრომაზე „კაპიტალის“ სახით, და არა თუ ვერ მოიტანდა, როგორც ეს სურს მილს საკმარისად დიდ შემოსავალს, არამედ საერთოდ ვერ მოიტანდა ვერავითარ შემოსავალს. აქ, მაშასადამე, — აღნიშნავს კ. მარქსი — აღიარებულია (რამდენადაც მილი, ისე როგორც რიკარდო, განიხილავს კაპიტალის გაცვლას შრომაზე, როგორც პირდაპირ გაცვლას დაგროვილი შრომისა უშუალო შრომაზე), რომ შრომის ეს ორი სახე იცვლება არათანაბარი პროპორციით და რომ ამ გაცვლის დროს ღირებულების კანონი, რომელიც გულისხმობს შრომის თანაბარ რაოდენობათა ერთიმეორეზე გაცვლას, მარცხს განიცდის[110].

მილს არ ესმოდა აგრეთვე სამრეწველო მოგების მარეგულირებელი როლი.

მილის მიერ წამოყენებულია — წერს კ. მარქსი — როგორც ერთგვარ ძირითად კანონად ის, რასაც რიკარდო ფაქტიურად გულისხ-

---

[107] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 112, 113.

[108] ი ქ ვ ე, გვ. 113.

[109] ი ქ ვ ე.

[110] ი ქ ვ ე, გვ. 114.

მობს რენტის თავისი თეორიის ასაგებად: „მოგების ნორმა მიწათ-მოქმედებაში არეგულირებს სხვა მოგებათა ნორმას" („Elements of Political Economy". Second edition. London, 1824, გვ. 78).[111]

ეს საფუძველშივე მცდარია — შენიშნავს კ. მარქსი, — რადგან კაპიტალისტური წარმოება იწყება მრეწველობაში, და არა მიწათ-მოქმედებაში, და ეუფლება უკანასკნელს მხოლოდ თანდათან, ასე რომ მხოლოდ კაპიტალისტური წარმოების განვითარებასთან ერთად ხდება სამიწათმოქმედო მოგების გათანაბრება სამრეწველო მოგებასთან და მხოლოდ ასეთი გათანაბრების შედეგად იწყებს სამიწათ-მოქმედო მოგება ზეგავლენის მოხდენას სამრეწველო მოგებაზე.

ამგვარად, — წერს კ. მარქსი — ზემოაღნიშნული დებულება, უპირველესად, ისტორიულად მცდარია. ხოლო მეორე, რაკი ადგილი აქვს ასეთ გათანაბრებას, ე. ი. თუ ნაგულისხმევია მიწათმოქმედების ისეთი განვითარება, როდესაც კაპიტალი მოგების ნორმაზე დამოკიდებულებით მრეწველობიდან მიწათმოქმედებაში გადაისროლება და პირიქით (vice versa), მაშინ ასევე არასწორი იქნებოდა იმის თქმა, რომ ამ მომენტიდან სამიწათმოქმედო მოგება მარეგულირებელი გახდებოდა, ნაცვლად იმის თქმისა, რომ აქ ადგილი აქვს მოგებათა შორის ურთიერთმოქმედებას [112].

თუმცაღა რენტის ასახსნელად — აღნიშნავს კ. მარქსი — რიკარდო თვითონაც ვარაუდობდა საპირისპირო მოვლენას. ხორბლის ფასი იზრდება; ამის შედეგად მოგება ეცემა — არა მიწათმოქმედებაში (ვიდრე არ არის ახალი მიწოდება უარესი მიწებიდან ანდა კაპიტალის მეორე, ნაკლები მწარმოებლობის დოზებიდან), — ვინაიდან ხორბლის ფასის გადიდება მოიჯარეს გადამეტებით უნაზღაურებს ხელფასის გადიდებას, — არამედ მრეწველობაში, სადაც ადგილი არა აქვს ასეთ კომპენსაციას. ამით ეცემა სამრეწველო მოგების ნორმა და ამიტომ კაპიტალი, რომელიც ამ უფრო დაბალი მოგების ნორმას იძლევა, შეიძლება გამოყენებულ იქნეს მიწის უარეს ნაკვეთებზე. მხოლოდ იმის გამო, რომ სამრეწველო მოგების შემცირება უკუგავლენას ახდენს უარესი მიწის ნაკვეთებიდან მიღებულ სამიწათმოქმედო მოგებაზე, ეს უკანასკნელი ეცემა საერთოდ, და მისი ნაწილი უკეთეს მიწის ნაკვეთებზე გამოეყოფა მოგებას რენტის ფორმით [113].

---

[111] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 114.

[112] ი ქ ვ ე, გვ. 114, 115.

[113] ი ქ ვ ე, გვ. 115.

ასეთია ამ პროცესის რიკარდოსეული გაგება, — შენიშნავს კ. მარქსი—რომლის მიხედვითაც, მაშასადამე, სამრეწველო მოგება სამიწათმოქმედო მოგებას არეგულირებს [114].

თუ ახლა, — წერს კ. მარქსი — მიწათმოქმედებაში მომსდარ გაუმჯობესებათა შედეგად, მოგება იქ კვლავ მოიმატებდა, მაშინ მოიმატებდა აგრეთვე სამრეწველო მოგებაც. მაგრამ ეს სრულიად არ გამორიცხავს იმას, რომ იმის მსგავსად, როგორც სამრეწველო მოგების შემცირება თავდაპირველად განაპირობებს სამიწათმოქმედო მოგების შემცირებას, ასევე მისი მომატებაც გამოიწვევს სამიწათმოქმედო მოგების მომატებას.

ასე ხდება ყოველთვის, როდესაც სამრეწველო მოგება მატულობს დამოუკიდებლად პურის და სხვა სოფლის მეურნეობაში წარმოებული აუცილებელი საგნების ფასისა, რომელნიც შედიან მუშების ხელფასში, ე. ი. როცა სამრეწველო მოგება მატულობს იმ საქონელთა ღირებულების დაცემის გამო, რომელნიც მუდმივ კაპიტალს შეადგენენ, და ა. შ. [115].

პირიქით, — წერს კ. მარქსი — რენტა აბსოლუტურად არ შეიძლებოდა ყოფილიყო ახსნილი, რომ სამრეწველო მოგება არ არეგულირებდეს სამიწათმოქმედო მოგებას. მოგების საშუალო ნორმა მოცემულია მრეწველობაში იმის მეოხებით, რომ ადგილი აქვს კაპიტალის მოგებათა გათანაბრებას და ამის შედეგად ღირებულებათა გადაქცევას ხარჯთფასებად. ეს ხარჯთფასი — ავანსებული კაპიტალის ღირებულება პლიუს საშუალო მოგება — წარმოქმნის იმ წანამძღვარს, რომელსაც მიწათმოქმედება იღებს მრეწველობისაგან, რადგან მიწათმოქმედებაში, მიწაზე საკუთრების გამო, აღნიშნულ გათანაბრებას არ შეიძლება ქონდეს ადგილი [116].

თუ შემდეგ სამიწათმოქმედო პროდუქტის ღირებულება — აღნიშნავს კ. მარქსი — უფრო მაღალია, ვიდრე ხარჯთფასი იქნებოდა. რომელსაც განსაზღვრავს საშუალო მოგება მრეწველობაში, მაშინ ამ ღირებულების გადანამეტი ხარჯთფასზე წარმოქმნის აბსოლუტურ რენტას.

მაგრამ, იმისათვის, რომ ხარჯთფასზე ღირებულების ამ გადანამეტის გაზომვა შეიძლებოდეს, ხარჯთფასი, უნდა წარმოადგენდეს

---

[114] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 115.

[115] ი ქ ე ე.

[116] ი ქ ვ ე, გვ. 115, 116

პირველადს (prius), ე. ი. თავზემოხვეული უნდა იყოს მრეწველობის მიერ მიწათმოქმედებაზე კანონის სახით [117].

შემდეგ კ. მარქსი ეხება რა მილის შეხედულებებს მოთხოვნაზე, მიწოდებაზე, ჭარბწარმოებაზე, კრიტიკულად განიხილავს მის მეტაფიზიკურ კონცეფციას მოთხოვნისა და მიწოდების უშუალო იგივეობის შესახებ. მილი ამტკიცებს — წერს კ. მარქსი — მოთხოვნისა და მიწოდების უშუალო იგივეობას, და მაშასადამე, ბაზრის საყოველთაო გავსების შეუძლებლობასაც. მოთხოვნა იმყოფებაო პროდუქტში, და ამასთან ამ მოთხოვნის სიდიდე იზომება ამ პროდუქტის ღირებულებითო. ეს იგივე აბსტრაქტული „დამტკიცების წესია", რომლითაც მილი ამტკიცებს, რომ ყიდვა და გაყიდვა მხოლოდ იდენტურნი არიან, და არ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ეს იგივე ტავტოლოგიური ფრაზებია, რომლითაც იგი ამტკიცებს, რომ ფასები დამოკიდებულია მიმოქცევაში მყოფი ფულის მასაზე. ამავე მანერას იგი იყენებს — წერს კ. მარქსი — იმის დასამტკიცებლადაც, რომ მიწოდება და მოთხოვნა (რომლებიც წარმოადგენენ მყიდველებსა და გამყიდველებს შორის ურთიერთობის განვითარების შემდგომ ფორმას) აუცილებლად უნდა ფარავდნენ ერთიმეორეს. ეს სულ იგივე ლოგიკაა — შენიშნავს კ. მარქსი. თუ რომელიმე მიმართება შეიცავს თავისთავში დაპირისპირებულობებს, მაშინ იგი არის არა მარტო დაპირისპირებულობა, არამედ დაპირისპირებულობათა ერთიანობაც. მაშასადამე — დაასკვნის ჯ. მილი — ეს არის ერთიანობა დაპირისპირებულობის გარეშე. ასეთია ჯ. მილის ლოგიკა, — აღნიშნავს კ. მარქსი, რომლის მეოხებითაც იგი თავიდან იშორებს „წინააღმდეგობებს" [118].

კ. მარქსი, მოყავს რა მაკ-კულოხის სიტყვები, რომ მილის მიზანია „განახორციელოს პოლიტიკური ეკონომიის პრინციპების ლოგიკური დედუქცია", რომ „მილი იკვლევს თითქმის ყველა საკითხს, რომლებიც დისკუსიის საგანს შეადგენენ. იგი ახერხებს ცხადყოს და გაამარტივოს ყველაზე რთული და ყველაზე ძნელი საკითხები და ბუნებრივ წესრიგში მოიყვანოს მეცნიერების სხვადასხვა პრინციპები" [119], თავის მხრივ შენიშნავს: ჯ. მილის ლოგიკიდან იმ დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ რიკარდოს წიგნის სრულიად არალოგიკურ სტრუქტურას (უკვე განხილულს კ. მარქსის მიერ) ჯ. მილი

---

[117] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 116.

[118] ი ქ ვ ე, გვ. 116, 117.

[119] ი ქ ვ ე, გვ. 121.

ძირითადად გულუბრყვილოდ ტოვებდა, როგორც „ბუნებრივ წესრიგს“ [120].

შემდეგ კ. მარქსი კრიტიკულად იხილავს შვეიცარიელი ბურჟუაზიული ეკონომისტის, რიკარდოს თეორიის ვულგარიზატორს გ. პ რ ე ვ ო ს შეხედულებებს. პრევო უარყოფდა რიკარდოს და ჯ. მილის ზოგიერთ დასკვნას. იგი ცდილობდა დაემტკიცებია, რომ მოგების განუწყვეტელი შემცირება არ არის გარდუვალი.

გ. პრევო თავისი ნაშრომის — „შენიშვნები რიკარდოს სისტემაზე“ (1825 წ.), საფუძვლად იღებდა რიკარდოს სისტემის მილისეულ გადმოცემას: მისი ზოგიერთი კრიტიკული შენიშვნა — კ. მარქსის სიტყვებით — ემყარებოდა რიკარდოს „წმინდა მოწაფურ გაუგებლობაზე“ [121].

აქვე კ. მარქსი ეხება სხვადასხვა ქვეყნებს შორის საგარეო ვაჭრობის დროს ღირებულების კანონის მოქმედებას. სეისთან, — წერს კ. მარქსი — მის შენიშვნებში რიკარდოს წიგნის თარგმანზე, რომელიც კონსტანსიომ შეასრულა, არის მხოლოდ ერთი სწორი შენიშვნა საგარეო ვაჭრობაზე [122]. მოგება შეიძლება მიღებულ იქნეს მოტყუების გზითაც, იმით რომ ერთი იძენს იმას, რასაც მეორე კარგავს. ერთი ქვეყნის შიგნით დანაკარგი და მოგება გათანაბრდებიან. მაგრამ ასე არ ხდება — წერს კ. მარქსი — სხვადასხვა ქვეყნებს შორის ურთიერთობებში. რიკარდოს თეორიის თვალსაზრისითაც კი, — რასაც სეი ვერ ამჩნევს, — ერთი ქვეყნის სამი სამუშაო დღე შეიძლება გაიცვალოს მეორე ქვეყნის ერთ სამუშაო დღეზე. აქ ღირებულების კანონი — აღნიშნავს კ. მარქსი — განიცდის „არსებითს მოდიფიკაციას“. ანდა სხვადასხვა ქვეყნის სამუშაო დღეები შეიძლება ერთიმეორესთან ისეთ მიმართებაში იყვნენ, როგორ მიმართებაშიც არის ერთი ქვეყნის შიგნით კვალიფიციური, რთული შრომა არაკვალიფიციურ, მარტივ შრომასთან. ამ შემთხვევაში უფრო მდიდარი ქვეყანა — წერს კ. მარქსი — უწევს ექსპლოა-

---

[120] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 121.

[121] ი ქ ვ ე.

[122] ი ქ ვ ე, კ. მარქსს მხედველობაში აქვს აქ სეის შენიშვნა რიკარდოს „პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლების“ მე-7 თავის მიმართ (თავი „საგარეო ვაჭრობის შესახებ“), რომელშიც სეის მოყავს მაგალითი შაქრის შესახებ, შემოტანილს საფრანგეთში ანტილის კუნძულებიდან და ღირებული საფრანგეთში უფრო იაფად, ეიდრე ეღირებოდა შაქარი თვით საფრანგეთში წარმოებული (იქვე, გვ. 658, რედ.).

ტაციას უფრო ღარიბს მაშინაც კი, როდესაც უკანასკნელი გაცვლის მეოხებით მოგებას იღებს, როგორც ეს უჩვენა ჯონ სტ. მილმა[123].

ამის შემდეგ კ. მარქსი გვაძლევს მთელ რიგ პოლემიკურ თხზულებათა კრიტიკულ დახასიათებას.

დრო 1820 და 1830 წ. შორის — წერს კ. მარქსი — წარმოადგენს მეტაფიზიკურად ყველაზე მნიშვნელოვან პერიოდს ინგლისური პოლიტიკური ეკონომიის ისტორიაში. ჩვენ წინაშე მოჩანს თეორიული ბრძოლები რიკარდოს თეორიის დასაცავად და წინააღმდეგ, მთელი რიგი ანონიმური პოლემიკური თხზულებები.

უმთავრესი მათგანი — აღნიშნავს კ. მარქსი — მოყვანილია აქ („ზედმეტი ღირებულების თეორიების" ამ ნაწილში, ა. ფ.), განსაკუთრებით კი მხოლოდ იმ პუნქტების შესახებ, რომელნიც მოცემულ თემას ეხება.

მაგრამ, ამასთან თვით ამ პოლემიკურ თხზულებებისათვისაც დამახასიათებელია, რომ ყველა ისინი ფაქტიურად მხოლოდ ღირებულების ცნების განსაზღვრისა და კაპიტალთან მისი მიმართების ირკვლივ ტრიალებენ[124].

ამ პოლემიკურ თხზულებათაგან კ. მარქსი პირველად ეხება შემდეგ ნაშრომს: „შენიშვნები პოლიტიკური ეკონომიის სიტყვების შესახებ ზოგიერთი დავის გამო, განსაკუთრებით იმ დავის გამო, რომელიც ეხება ღირებულებას და მოთხოვნასა და მიწოდებას" ლონდონი, 1821, „Observations on certain Verbal Disputes in Political Economy..."[125]

ამ თხზულებას — შენიშნავს კ. მარქსი — არ აკლია ერთგვარი სიმახვილე. ნაწილობრივ იგი მიმართული იყო სმიტის, მალთუსის წინააღმდეგ, მაგრამ აგრეთვე რიკარდოს წინააღმდეგაც.

ამ თხზულების ძირითადი აზრია, — წერს კ. მარქსი — დაამტკი-

---

[123] კ. მარქსი, „ზედმეტი ღირებელების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 122. 123.

თავისი შრომის პირველ ნარკვევში (1844 წ.) ჯ. სტ. მილი აღნიშნავდა: „ხშირად უცხოელებთან ვაჭრობის გზით ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ მათი საქონელი შრომისა და კაპიტალის უფრო ნაკლები დანახარჯით, ვიდრე ეს საქონელი თვით უცხოელებს უჯდებათ. და მიუხედავად ამისა, ასეთი ვაჭრობა ხელსაყრელია უცხოელებისათვის იმიტომ, რომ ის საქონელი, რომელსაც ისინი ჩვენგან სანაცვლოდ ღებულობენ, თუმცა ჩვენ იგი უფრო ნაკლებიც გვიღირდა, უფრო ძვირი დაუჯდებოდათ მათ, თუ ისინი მას თვითონ აწარმოებდნენ" (იქვე, გვ. 658, რედ.).

[124] იქვე, გვ. 127, 128.

[125] იქვე, გვ. 128.

ცოს, რომ, როგორც მისი ავტორი აღნიშნავს — „კამათი... მომდინარეობს მხოლოდ და მხოლოდ იქიდან, რომ სხვადასხვა პიროვნება სიტყვებს სხვადასხვა აზრით ხმარობს, ე. ი. იქიდან, რომ მოკამათენი, მსგავსად რაინდებისა ზღაპარში, სხვადასხვა მხრიდან განიხილავენ ფარს“ [126].

მსგავსი სკეპტიციზმი ყოველთვის არის მაუწყებელი — შენიშნავს კ. მარქსი — ამა თუ იმ თეორიის დაშლის, უშუალო „წინამორბედი უფიქრელი და უნამუსო ეკლექტიზმისა, რომელიც მომარჯვებულია საოჯახო გამოყენებისათვის“ [127].

მოყავს რა რიკარდოსეული ღირებულების თეორიის შესახებ ანონიმური ავტორის შენიშვნები, — კ. მარქსი წერს, — რომ რაც შეეხება შრომას, შენიშვნა რიკარდოს წინააღმდეგ სწორია იმდენად, რამდენადაც რიკარდოს მიხედვით კაპიტალი ყიდულობს უშუალოდ შრომას, ე. ი. რამდენადაც რიკარდო ლაპარაკობს უშუალოდ შრომის ღირებულებაზე, მაშინ როდესაც სინამდვილეში ის, რომლის დროებით მოხმარებასაც ყიდულობენ და ყიდიან, არის სამუშაო ძალა, რომელიც თვითონ წარმოადგენს გარკვეულ პროდუქტს. იმის ნაცვლად, რომ გადაწყვიტოს პრობლემა ანონიმური ავტორი — შენიშნავს კ. მარქსი — აქ მხოლოდ ხაზს უსვამს, რომ პრობლემა გადაუწყვეტელია [128].

სავსებით სწორია ისიც, რომ „ღირებულება. ან ფასი, მიწისა“, რომელიც არ არის შრომის პროდუქტი, გარეგნულად უშუალოდ ეწინააღმდეგება ღირებულების ცნებას და არ შეიძლება გამოყვანილ იქნეს უშუალოდ მისგან.

ამ ფრაზას — წერს კ. მარქსი — როგორც რიკარდოს წინააღმდეგ მიმართულ შენიშვნას მით უფრო ნაკლები მნიშვნელობა აქვს, რომ ანონიმური ავტორი არ გამოდის რიკარდოს რენტის თეორიის წინააღმდეგ, რომლითაც რიკარდო სწორედ იმას ხსნის, თუ კაპიტალისტური წარმოების საფუძველზე როგორ წარმოიქმნება მიწის ნომინალური ღირებულება, და გვიჩვენებს, რომ იგი არ ეწინააღმდეგება ღირებულების განსაზღვრას. მიწის ღირებულება სხვა არაფერია, თუ არა ფასი, გადახდილი კაპიტალიზებული მიწის რენტისათვის.

აქ მაშასადამე, იგულისხმება გაცილებით უფრო განვითარებული ურთიერთობანი, ვიდრე ისინი, რომელნიც პირველი შეხედვისთანა-

---

[126] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 128.

[127] ი ქ ვ ე.

[128] ი ქ ვ ე, გვ. 128, 129.

ვე გამომდინარეობენ საქონლისა და მისი ღირებულების უბრალო განხილვიდან.

მეორე შენიშვნა, — წერს კ. მარქსი — რომ რიკარდო ღირებულებას, რომელიც რაღაც შეფარდებითია, რაღაც აბსოლუტურად აქცევს — სხვა, უფრო მოგვიანებით გამოსულ პოლემიკურ თხზულებაში (სამუელ ბეილის) ასრულებს ამოსავალი პუნქტის როლს რიკარდოს მთელ სისტემაზე თავდასხმისათვის [129]. შემდეგში სამუელ ბეილის თხზულების განხილვისას კ. მარქსი ეხება ამ საკითხს. ანონიმური ავტორის ერთ-ერთ შენიშვნასთან დაკავშირებით — იმ წყაროს შესახებ, საიდანაც წარმოიშობა შრომის ანაზღაურებისათვის განკუთვნილი კაპიტალი — კ. მარქსი აღნიშნავს,—რომ ჩვენი ამოსავალი პუნქტია საქონელი, როგორც კაპიტალისტური წარმოების საფუძველი და წანამძღვარი.

ჩვენ ვიღებთ ცალკეულ პროდუქტებს და ანალიზს ვუკეთებთ იმ განსაზღვრულ ფორმებს, რომლებიც მათ გააჩნიათ როგორც საქონელს, ე. ი. რომლებიც მათ საქონლის დაღს ასვამენ. კაპიტალისტურ წარმოებამდე — წინანდელი წარმოების წესების დროს — პროდუქტის მნიშვნელოვანი ნაწილი — წერს კ. მარქსი — არ შედის მიმოქცევაში, არ იწარმოება როგორც საქონელი, მეორე მხრივ, წარმოებაში შემავალი პროდუქტების მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის საქონელი, არ შედის პროცესში საქონლის სახით.

პროდუქტების გადაქცევა საქონლად — წერს კ. მარქსი — ხდება მხოლოდ ცალკე შემთხვევებში, ვრცელდება მხოლოდ პროდუქციის ნამეტზე და ა. შ., ან მხოლოდ წარმოების ცალკეულ სფეროებზე (ადამმუშავებელი მრეწველობის პროდუქტებზე) და ა. შ. პროდუქტები მთელი თავისი მოცულობით არ შედიან პროცესში როგორც ვაჭრობის საგნები და მთელი მათი მასა არ გამოდის ამ პროცესიდან ვაჭრობის საგნების სახით. მაგრამ, მიუხედავად ამისა, პროდუქტის განვითარება საქონლად, სასაქონლო მიმოქცევა, და, მაშასადამე, ფულადი მიმოქცევაც გარკვეულ საზღვრებში, მაშასადამე რამდენადმე განვითარებული ვაჭრობაც — წარმოადგენენ წანამძღვარს, ამოსავალ პუნქტს კაპიტალისა და კაპიტალისტური წარმოების წარმოქმნისა [130].

სწორედ ასეთ წანამძღვრად — წერს კ. მარქსი — ჩვენ განვიხილავთ საქონელს, გამოვდივართ რა მისგან როგორც კაპიტალისტუ-

---

[129] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 129.

[130] ი ქ ვ ე, გვ. 130, 131.

რი წარმოების უმარტივესი ელემენტისაგან [131]. მაგრამ მეორე მხრივ, — აღნიშნავს კ. მარქსი — საქონელი წარმოადგენს კაპიტალისტური წარმოების პროდუქტს, შედეგს. ის რაც გამოდის როგორც კაპიტალისტური წარმოების ელემენტი, შემდეგში ავლენს თავს როგორც მისი საკუთარი პროდუქტი. მხოლოდ კაპიტალისტური წარმოების საფუძველზე საქონელი იქცევა პროდუქტის საყოველთაო ფორმად, და რაც უფრო ვითარდება ეს წარმოება, მით უფრო მეტი ოდენობით შედიან კაპიტალისტური წარმოების პროცესში პროდუქტები როგორც ინგრედიენტები (შემადგენელი ნაწილები) საქონლის ფორმით [132]. საქონელი, როგორც ის გამოდის კაპიტალისტური წარმოებიდან — აღნიშნავს კ. მარქსი — განსხვავდება იმ საქონლისაგან, რომლისგან ჩვენ გამოვდივართ, როგორც კაპიტალისტური წარმოების ელემენტისაგან. ჩვენ წინ არის უკვე არა ცალკეული საქონელი, ცალკეული პროდუქტი. „ცალკეული საქონელი, ცალკეული პროდუქტი არა მხოლოდ რეალურად, პროდუქტის სახით, არამედ საქონლის სახითაც გვევლინება, როგორც ნ ა წ ი ლ ი ერთობლივი პროდუქტისა, როგორც არა მარტო რეალური, არამედ აგრეთვე როგორც იდეალური ნაწილი. ყოველი ცალკეული საქონელი გამოდის როგორც კაპიტალის გარკვეული ნაწილის და ამ კაპიტალის მიერ შექმნილი ზედმეტი ღირებულების ნაწილის მატარებელი“ [133].

წარმოების პროცესის შედეგის სახით გამოდის არა ცალკეული საქონელი — წერს კ. მარქსი — არამედ იმ საქონელთა მთელი მასა, რომლებშიც კვლავწარმოებულია ერთობლივი კაპიტალის ღირებულება პლუს ზედმეტი ღირებულება. ცალკეული პროდუქტის ღირებულება განისაზღვრება მთელი წარმოებული ღირებულებით გაყოფილის პროდუქტების რიცხვზე და ერთობლივი ღირებულების მხოლოდ ასეთი შესაბამისი ნაწილის სახით. ცალკეული პროდუქტი იქცევა საქონლად. „ახლა უკვე არა ცალკეულ განსაკუთრებულ საქონელზე დახარჯული შრომა, რომლის გამოანგარიშებაც უმრავლეს შემთხვევებში სრულიად შეუძლებელი იქნებოდა და რომელიც რაოდენობის მიხედვით ერთ საქონელში შეიძლება უფრო მეტი იყოს, ვიდრე მეორეში, არამედ ერთობლივი შრომა, სათანადო ნაწილი ამ ერთობლივი შრომისა, საშუალო რომელიც მიიღება ერთობლივი ღირებულების გაყოფით პროდუქტების რიცხვზე, განსაზღვრავს

---

[131] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 131.

[132] ი ქ ვ ე.

[133] ი ქ ვ ე.

ცალკეული პროდუქტის ღირებულებას და ახდენს მის ფორმირებას საქონლის სახით“ [134].

შემდეგ, ანონიმური ავტორის ერთ-ერთ შენიშვნასთან დაკავშირებით რიკარდოს მიმართ, — კ. მარქსი აღნიშნავს, — რიკარდო გულისხმობს კაპიტალისტურ წარმოებას და იგი არ იკვლევს საკითხს იმის შესახებ, ადვილად ვითარდება თუ არა იგი ნაყოფიერ თუ შეფარდებით არანაყოფიერ მიწაზე. იქ სადაც ის არსებობს იგი ყველაზე მეტად პროდუქტიულია იმ ადგილებში, სადაც მიწა ყველაზე მეტად ნაყოფიერია. როგორც საზოგადოებრივი, ისე შრომის ბუნებრივი საწარმოო ძალები, გამოდიან კაპიტალის საწარმოო ძალის სახით. თვით რიკარდო ერთ-ერთ ადგილას — წერს კ. მარქსი, — აიგივებს — და ეს სწორიცაა — შრომის საწარმოო ძალებს, შრომასთან, რომელიც აწარმოებს კაპიტალს, აწარმოებს იმ სიმდიდრეს, რომელიც შრომის განმკარგულებელია, და არა იმ სიმდიდრეს, რომელიც ეკუთვნის შრომას. მისი გამოთქმა „კაპიტალი, ანუ შრომის გამოსაყენებლად საჭირო საშუალებანი“, არსებითად ერთადერთია — წერს კ. მარქსი — სადაც იგი კაპიტალის ნამდვილ ბუნებას იგებს. თვითონ იგი იმდენად შეპყრობილია კაპიტალისტური თვალსაზრისით, რომ ეს დამახინჯება, ეს ცნებათა არევა (quidproquo) წარმოუდგება მას, როგორც თავისთავად ნაგულისხმევი [135].

შრომის ობიექტური პირობები, — ამასთან თვით ამ შრომის მიერ შექმნილი — ნედლეული და შრომის იარაღები, — არ არიან ისეთი საშუალებები, რომელთაც შრომა იყენებს თავის საშუალებათა სახით, არამედ პირიქით — წერს კ. მარქსი — ისინი არიან შრომის გამოყენების საშუალებები.

შრომა კი არ იყენებს მათ — შენიშნავს კ. მარქსი — არამედ ისინი იყენებენ შრომას. შრომა არის „ამ ნივთებისათვის ის საშუალება, რომლის მეოხებითაც ხდება მათი დაგროვება კაპიტალის სახით, და არა ის საშუალება, რომელიც მოუპოვებდა მუშას პროდუქტებს, სიმდიდრეს“ [136].

ამის შემდეგ, კ. მარქსი კრიტიკულად იხილავს მ ე ო რ ე ანონი-

---

[134] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 132.

[135] ი ქ ვ ე, გვ. 134, 135.

[136] ი ქ ვ ე, გვ. 135.

ბოლოს მოყავს რა ამ ანონიმური ავტორის გამოთქმები „სიტყვების გარშემო კამათის კიდევ ერთი წყარო, „ერთ ადამიანს უნდა ამით თქვას“, „მეორეს უნდა ამით თქვას“ — კ. მარქსი აღნიშნავს, რომ ეს უკანასკნელი ფრაზები გვიჩვენებს „ამ პკეის დამჩემებელი თხუპნიას“ მანერას (იქვე, გვ. 137).

მური ავტორის პოლემიკურ თხზულებას: „გამოკვლევა პრინციპებისა, რომელთაც ახლახან ბ-ნი მალთუსი იცავდა, რომლებიც შეეხება მოთხოვნის ბუნებას და მოხმარების აუცილებლობას და რომელთაგანაც ის დასკვნა კეთდება, რომ გადასახადებს და არამწარმოებელ მომხმარებელთა შენახვას შეუძლია ხელი შეუწყოს სიმდიდრის ზრდას", ლონდონი, 1821; —„An Inquiry into those Principles..."[137]

ეს თხზულება — შენიშნავს კ. მარქსი — რიკარდიანული მიმართულებისაა. იგი არაცუდად ილაშქრებს მალთუსის წინააღმდეგ. ამ ვაჟბატონთა უსასრულო შეზღუდულობას გვიჩვენებს. აქ მეღავნდება — აღნიშნავს კ. მარქსი, — თუ რად გადაიქცევა მათი შორსმჭვრეტელობა, როცა ისინი მიწის საკუთრების ნაცვლად კაპიტალს განიხილავენ.

მიუხედავად ამისა, — შენიშნავს კ. მარქსი — ეს არის ერთ-ერთი საუკეთესო პოლემიკური თხზულება ზემომოხსენებული ათწლეულისა[138].

ანონიმურ ავტორს ახასიათებს ბურჟუაზიული შეზღუდულობა. რიკარდოსეული დაგროვების თეორიის გაშუქებისას მას არ გაეგება კაპიტალისტური წარმოების წინააღმდეგობანი, რომელნიც კრიზისებს წარმოშობენ.

აქ ნაგულისხმევია — წერს კ. მარქსი — 1) კაპიტალისტური წარმოება, როდესაც წარმოება ცალკეულ დარგში რეგულირდება არა უშუალოდ საზოგადოების მოთხოვნილებებით და მიმდინარეობს არა საზოგადოების კონტროლქვეშ, არამედ რეგულირდება იმ საწარმოო ძალებით, რომელნიც ყოველი ცალკეული კაპიტალისტის განკარგულებაშია საზოგადოების მოთხოვნილებათაგან დამოუკიდებლად: 2) ნაგულისხმევია, რომ წარმოება მიუხედავად ამისა, წარიმართება ისე პროპორციულად, თითქოს წარმოების სხვადასხვა დარგში კაპიტალს უშუალოდ იყენებდეს საზოგადოება თავის მოთხოვნილებათა შესაბამისად[139].

ასეთი ვარაუდისას, რაც წარმოადგენს „წინააღმდეგობას განსაზღვრაში" (contradictio in adjecto), — შენიშნავს კ. მარქსი — ე. ი. „იმ შემთხვევაში, თუ კაპიტალისტური წარმოება აბსოლუტურად

---

[137] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 137.

[138] ი ქ ვ ე.

[139] ი ქ ვ ე, გვ. 137, 139.

სოციალისტური იქნებოდა, აოავითარ ჭარბწარმოებას სინამდვილეში ადგილი არ ექნებოდა“ [140].

ანონიმური ავტორის ერთ-ერთ შენიშვნასთან დაკავშირებით, კ. მარქსი აღნიშნავს, — რომ რიკარდო აიგივებს აქ კაპიტალის „პროდუქტიულ“ გამოყენებას „მომგებიან“ გამოყენებასთან, მაშინ როდესაც კაპიტალისტური წარმოებისას „პროდუქტიულია“ მხოლოდ ის, რაც „მომგებიანია“ და სწორედ ამაში მდგომარეობს მისი განსხვავება აბსოლუტური წარმოებისაგან და მისი ზღვარდებულობა. „პროდუქტიულად“ რომ აწარმოო, უნდა აწარმოო ისე, რომ მწარმოებელთა მასა გამორიცხული იყოს პროდუქტის მოთხოვნის ნაწილიდან, უნდა აწარმოო ანტაგონიზმის პირობებში იმ კლასთან, რომლის მოხმარება ვერასგზით ვერ შეედარება მის წარმოებას, — რადგან სწორედ მისი წარმოების გადანამეტი მის მოხმარებაზე შეადგენს კაპიტალის მოგებას.

მეორე მხრივ — წერს კ. მარქსი — უნდა იწარმოებოდეს ისეთი კლასებისათვის, რომლებიც, მოიხმარებენ, მაგრამ არ აწარმოებენ. თვით კაპიტალისტმა, თუ კი მას სურს დაგროვება, არ უნდა წამოაყენოს მოთხოვნა თავის პროდუქტებზე, რამდენადაც ისინი შედიან შემოსავალში იმ მოცულობით, რითაც იგი მათ აწარმოებს. სხვანაირად მას არ შეეძლება დაგროვება. ამიტომ მალთუსი — წერს კ. მარქსი — უპირისპირებს კაპიტალისტს ისეთ კლასებს, რომელთა ამოცანაა არა დაგროვება, არამედ დახარჯვა [141].

ეს რიკარდოელი, რიკარდოს მაგალითის მიხედვით — წერს შემდეგ კ. მარქსი — სწორად ცნობს იმ კრიზისებს, რომლებიც უეცარი ცვლილებების გამო ვაჭრობის მსვლელობაში იჩენენ თავს [142].

ამას ადგილი ჰქონდა ინგლისში 1815 წლის ომის შემდეგ. სწორედ ასევე — აღნიშნავს კ. მარქსი—ყველა გვიანდელი ეკონომისტი აღიარებდა ყოველთვის კრიზისების ერთადერთ შესაძლებელ მიზეზად იმას, რაც ყოველი მოცემული კრიზისის ყველაზე მეტად ხელშესახები საბაბი იყო [143].

---

[140] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 139.

[141] ი ქ ვ ე, გვ. 141.

[142] ი ქ ე ე, გვ. 143.

[143] დ. რიკარდოს თხზულებაში, თავი 19 დასათაურებულია: „ვაჭრობის მსვლელობაში უეცარი ცვლილებების შესახებ“. ამასთან „ვაჭრობაში“ აქ იგულისხმება, არა მარტო საავჭრო, არამედ საწარმოო საქმიანობაც ამა თუ იმ ქვეყანაში (იქვე, გვ. 659, რედ.).

კრიზისის ძიზეზად იგი ცნობს აგრეთვე საკრედიტო სისტემასაც

თითქოს თვით საკრედიტო სისტემა — შენიშნავს კ. მარქსი — არ აღმოცენდა კაპიტალის „პროდუქტიული", ე. ი. „მომგებიანი" გამოყენების სიძნელისაგან. ინგლისელები იძულებულნი არიან, მაგალითად, თავიანთი საკუთარი კაპიტალი საზღვარგარეთ გაასესხონ, რათა შექმნან თავისთვის ბაზარი. ჭარბწარმოებაში, საკრედიტო სისტემაში და ა. შ. — წერს კ. მარქსი — კაპიტალისტური წარმოება ცდილობს გაარღვიოს საკუთარი ზღუდე და აწარმოოს თავის ზომის ვადაჭარბებით. მას ერთი მხრივ აქვს ასეთი მისწრაფება. მეორე მხრივ, იგი იტანს მხოლოდ ისეთ წარმოებას, რომელიც შეესაბამება არსებული კაპიტალის მომგებიან გამოყენებას. „აქედან — კრიზისები, რომელნიც ამასთან მუდამ ერეკებიან კაპიტალისტურ წარმოებას საკუთარ საზღვრებს იქით და აიძულებენ ზღაპრული სისწრაფით იმის მიღწევას, — საწარმოო ძალების განვითარების მხრივ, — რასაც იგი თავისი საზღვრების შიგნით მხოლოდ ძლიერ ნელა განახორციელებდა" [144].

შემდეგ კ. მარქსი კრიტიკულად, მოკლედ იხილავს ინგლისელი მწერლის და ეკონომისტის, რიკარდოს კომენტატორის თ ო მ ას დ ე კ ვ ი ნ ს ი ს პოლემიკურ ნაშრომს „დიალოგები სამი იურისტისა ტემპლიდან პოლიტიკური ეკონომიის შესახებ, უმთავრესად ბ-ნ რიკარდოს „საფუძვლებთან" დაკავშირებით". ლონდონი, ჟურნალში, 1824 [145].

ავტორს არ გააჩნია უნარი დაძლიოს რიკარდოსეული თვალსაზრისის ნამდვილი ნაკლოვანებანი. აქ მოცემულია ცდა, — აღნიშნავს კ. მარქსი — უარყოფილ იქნას რიკარდოს წინააღმდეგ წამოყენებული ყველა კრიტიკული მოსაზრება. იმის საჩვენებლად რა იცის ავტორმა საქმის არსების შესახებ — კ. მარქსს მოტანილი აქვს მისი შემდეგი სიტყვები: — „პოლიტიკური ეკონომიის ყველა სიძნელე შეიძლება დაყვანილ იქნეს საკითხზე: რა არის საცვლელი ღირებულების საფუძველი" [146].

ამ თხზულებაში — წერს კ. მარქსი — ხშირად საკმაოდ მწვავედ ნაჩვენებია რიკარდოს თვალსაზრისის ნაკლოვანება, თუმცა ეს კეთდება უფრო დიალექტიკური სიღრმის აფექტაციით, ვიდრე ნამდვილი დიალექტიკური სიღრმით.

ნამდვილი სიძნელენი, — შენიშნავს კ. მარქსი — რომელნიც გა-

---

[144] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 143.

[145] ი ქ ვ ე, გვ. 145.

[146] ი ქ ვ ე.

მომდინარეობენ არა ღირებულების განსაზღვრიდან, არამედ იქიდან, რომ რიკარდომ არასაკმარისად განავითარა ამ საფუძველზე შემდგომი განსაზღვრებანი და ცდილობდა ძალდატანებით და უშუალოდ შეეგუებინა ღირებულების მარტივ ურთიერთობასთან უფრო კონკრეტული ურთიერთობანი, — სრულიადაც არ არის გადაჭრილი და არც როგორც საჭიროა შეგრძნობილიც არაა [147].

მაგრამ ეს თხზულება — შენიშნავს კ. მარქსი — დამახასიათებელია იმ პერიოდისათვის, როცა ის გამოვიდა. ჩანს იმ ხანად პოლიტიკურ ეკონომიაში კიდევ სერიოზულად ეკიდებოდნენ თანმიმდევრობასა და აზროვნებას. უფრო სუსტია ამავე ავტორის გვიანდელი ნაწარმოები „პოლიტიკური ეკონომიის ლოგიკა" (1844 წ.).

დე კვინსი მწვავედ აფორმულირებს რიკარდოს შეხედულებათა განსხვავებას წინანდელი შეხედულებებისაგან და არ ცდილობს სიტყვიერი ინტერპრეტაციის მეშვეობით — წერს კ. მარქსი — პრობლემებისათვის ყოველივე სპეციფიკურის შესუსტებას ან უკუგდებას და ამ გზით მისი მხოლოდ ფრაზის სახით შენარჩუნებას; ეს კეთდებოდა შემდეგში და ამან ფართოდ გაუღო კარები უდარდელ და უპრინციპო ეკლექტიზმს [148].

ერთი პუნქტი რიკარდოს მოძღვრებისა, რომელსაც დე კვინსი განსაკუთრებით ხაზს უსვამს, ეს არის დებულება იმის შესახებ, რომ ერთი საქონლის უნარი იყოს ყველა სხვა საქონლის განმკარგულებელი (მისი მყიდველობითი ძალა, ე. ი. მისი ღირებულება განხილული, როგორც რომელიმე სხვა საქონელში რეალიზებული) სრულიად განსხვავებულია მისი ნამდვილი ღირებულებისაგან [149].

შემდეგ კ. მარქსი გვაძლევს ვრცელ კრიტიკულ განხილვას ინგლისელი ბურჟუაზიული ვულგარული ეკონომისტის და ფილოსოფოსის ს ა მ უ ე ლ ბ ე ი ლ ი ს პოლემიკური თხზულების: „კრიტიკული გამოკვლევა ღირებულების ბუნების, საზომისა და მიზეზების შესახებ; უმთავრესად ბ-ნ რიკარდოსა და მის მიმდევართა შრომებთან დაკავშირებით". „აზრების ჩამოყალიბებისა და გამოქვეყნების შესახებ ნარკვევების" ავტორის თხზულება (ლონდონი, 1825) [150].

ეს არის — წერს კ. მარქსი — მთავარი თხზულება რიკარდოს წინააღმდეგ. (იგი მიმართულია აგრეთვე მალთუსის წინააღმდეგ). ავტორი ცდილობს უკუაგდოს დოქტრინის საფუძველი — ღირებუ-

---

[147] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 145.

[148] ი ქ ვ ე, გვ. 145, 146.

[149] ი ქ ვ ე, გვ. 146.

[150] ი ქ ვ ე.

ლება. დადებითი აზრით იგი არ წარმოადგენს არავითარ ფასეულობას, გარდა „ღირებულების საზომის“ განსაზღვრისა, ანუ, უფრო ზუსტად, ფულის, როგორც ღირებულების საზომის, ფუნქციის განსაზღვრისა.

რადგან ეს თხზულება, როგორც აღნიშნული იყო — შენიშნავს კ. მარქსი — უკავშირდება თავისი ძირითადი აზრით თხზულებას „Observations on certain Verbal Disputes in Political Economy, ამიტომ აქ კ. მარქსი უბრუნდება ამ „Observations“ და მოყავს მისგან სათანადო ადგილები.

„Observations“ ავტორს და სამუელ ბეილის ახასიათებდა ზერელე რელატივიზმი ღირებულების კატეგორიის გაგებაში; ადგილი ჰქონდა შრომითი ღირებულების თეორიის, როგორც პოლიტიკური ეკონომიის საფუძვლის უარყოფას [151].

„Observations“-ის ავტორი — წერს კ. მარქსი, — უსაყვედურებს რიკარდოს, რომ იგი ღირებულებას, საქონელთა შეფარდებითი თვისებიდან მათ ერთიმეორისადმი მიმართებაში, რაღაც აბსოლუტურად აქცევს.

ამ მხრივ რიკარდოს მხოლოდ ის უნდა ვუსაყვედუროთ, რომ იგი—წერს კ. მარქსი — არ ატარებს მკაცრ დანაწილებას სხვადასხვა მომენტებს შორის ღირებულების ცნების განვითარებაში; არა აქვს ერთიმეორისაგან გამოყოფილი საქონლის საცვლელი ღირებულება, როგორც იგი გამოდის ან ვლინდება საქონელთა გაცვლის პროცესში, და საქონლის როგორც ღირებულების ყოფიერება, განსხვავებით მისი როგორც ნივთის, პროდუქტის, სახმარი ღირებულების ყოფიერებისაგან [152].

ის რაოდენობრივი შეფარდება — წერს კ. მარქსი — რომლითაც საქონელნი იცვლებიან ერთიმეორეზე როგორც სახმარი ღირებულებანი, მართალია არის მათი ღირებულების გამოხატულება, მათი რეალიზებული ღირებულება, მაგრამ არა თვით მათი ღირებულება, ვინაიდან ერთი და იგივე ღირებულებითი შეფარდება სახმარ ღირებულებათა სრულიად სხვადასხვა რაოდენობით გამოიხატება. საქონლის ყოფიერება, როგორც ღირებულებისა არ არის გამოხატული მისი საკუთარი სახმარი ღირებულებით, მისი როგორც სახმარი ღირებულების ყოფიერებით. საქონლის ღირებულება ვლინდება მისი გამოხატულებით სხვა სახმარ ღირებულებებში, ე. ი. იმ შეფარდე-

---

[151] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 146, 147.

[152] ი ქ ვ ე, გვ. 147.

ბით, რომლითაც ეს სხვა სახმარი ღირებულებანი მოცემულ საქონელზე გაიცვლებიან [153].

ერთი და იმავე საქონლის ღირებულება — შენიშნავს კ. მარქსი—მის შეუცვლელად, შეიძლება წარმოდგენილ იქნეს უსასრულოდ სახმარ ღირებულებათა სხვადასხვა რაოდენობით, იმისდა მიხედვით გამოვხატავ თუ არა მე იმას, ამა თუ იმ საქონლის სახმარი ღირებულებით. ეს არ ცვლის ღირებულებას, თუმცა ცვლის მის გამოხატულებას.

თუ საქონელნი ერთიმეორეზე იცვლება იმ შეფარდებით — აღნიშნავს კ. მარქსი, — რომლითაც ისინი წარმოადგენენ სამუშაო დროის თანაბარ რაოდენობას, მაშინ მათი ყოფიერება გასაგნობრივებული სამუშაო დროის სახით, მათი ყოფიერება განივთებული სამუშაო დროის სახით, არის ის, რაც მათ აერთიანებს, ის რაც შეადგენს მათს ელემენტს. როგორც შრომის ასეთი პროდუქტები, საქონელნი თვისობრივად ერთი და იგივეა და ერთიმეორისაგან განსხვავდებიან მხოლოდ რაოდენობრივად, იმისდა მიხედვით, წარმოადგენენ თუ არა ისინი მეტი თუ ნაკლები რაოდენობით ერთსა და იმავეს — სახელდობრ სამუშაო დროს.

ღირებულებანი — წერს კ. მარქსი — ისინი არიან როგორც გამოხატულებანი ამ იდენტური ელემენტისა, ხოლო ტოლდიდ ღირებულებებს კი, ეკვივალენტებს, ისინი წარმოადგენენ იმდენად, რამდენადაც ისინი წარმოადგენენ სამუშაო დროის თანაბარ რაოდენობებს. სწორედ როგორც გამოხატულებანი ამ ერთიანი საწყისის ეს სხვადასხვა ნივთები არიან ღირებულებანი და შეეფარდებიან ერთიმეორეს როგორც ღირებულებანი, ამით კი მოცემულია განსხვავებაც მათი ღირებულებების სიდიდეში, მოცემულია მათი ღირებულების იმანენტური საზომი [154].

რომ შესაძლებელი იყოს, — წერს კ. მარქსი — A საგნის ღირებულების გაზომვა B საგნით, A-ს უნდა ჰქონდეს ღირებულება, დამოუკიდებელი ამ ღირებულების გაზომვაზე B-თი, და ორივე უნდა იყოს (თვისობრივად) ტოლი მესამე ნივთისა, რომელიც მათში გამოიხატება. სრულიად შეცდომა იქნებოდა გვეთქვა — წერს კ. მარქსი, — რომ ამის შედეგად საქონლის ღირებულება რაღაც შეფარდებითიდან რაღაც აბსოლუტურად გადაიქცევა. პირიქით, სახმარი

---

[153] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 149, 150.

[154] ი ქ ვ ე, გვ. 150, 151.

ღირებულების სახით საქონელი გამოდის ოოგორც რაღაც დამოუკიდებელი. ღირებულების სახით, პირიქით, იგი გამოდის მხოლოდ როგორც რაღაც დადგენილი [155], განსაზღვრული მხოლოდ მისი მიმართებით საზოგადოებრივად აუცილებელი, ერთნაირ, მარტივ სამუშაო დროსთან.

თუ როგორ ღრმა ფეტიშიზმში — წერს კ. მარქსი — ჩაეფლო ეს „ჭკუის დამჩემებელი მთითხვნელი“ [156], თუ როგორ გადააქცევს იგი რელატიურს რაღაც პოზიტიურ რამედ, ამას გვიჩვენებს მისი შემდეგი ფრაზა: „ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა არის ნ ი ვ თ ე ბ ი ს თ ვ ი ს ე ბ ა, ს ი მ დ ი დ რ ე — ა დ ა მ ი ა ნ თ ა თვისება. ამ აზრით ღირებულება აუცილებლად გულისხმობს გაცვლას, სიმდიდრე — არა“ [157].

სიმდიდრე აქ — სახმარი ღირებულებანია — წერს კ. მარქსი. ცხადია სიმდიდრეს ისინი წარმოადგენენ ადამიანების მიმართ, ან ადამიანებისათვის, მაგრამ ესა თუ ის ნივთი სახმარი ღირებულებაა, და ამიტომაც სიმდიდრის ელემენტი ადამიანებისათვის, სწორედ საკუთარ თვისებათა გამო.

თუ ყურძენს წავართმევთ იმ თვისებებს „რაც მას ყურძნად ხდის, მაშინ გაქრება ის სახმარი ღირებულება, რაც მას როგორც ყურძენს ადამიანებისათვის აქვს; და იგი აღარ იქნება როგორც ყურძენი სიმდიდრის ელემენტი. სიმდიდრე როგორც სახმარ ღირებულებათა იდენტური — ეს ნ ი ვ თ თ ა ი ს თ ვ ი ს ე ბ ე ბ ი ა, რომლებითაც ადამიანები სარგებლობენ და რომლებიც გამოხატავენ მიმართებას მათი მოთხოვნილებებისადმი. ჩვენი ავტორის [158] აზრით კი, პირიქით, „ღირებულება“ წარმოადგენს „ნ ი ვ თ ე ბ ი ს თ ვ ი ს ე ბ ა ს“ [159].

ამრიგად, — აღნიშნავს კ. მარქსი — სწორედ იგი, ეს „დიდად ბრძენი ჩერჩეტი“ გადააქცევს ღირებულებას აბსოლუტურ რაღაცად, „ნივთების თვისებად“, იმის ნაცვლად რომ ხედავდეს მასში მხოლოდ რაღაც შეფარდებით მიმართებას ნივთებისა საზოგადოებ-

---

[155] დ ა დ გ ე ნ ი ლ ი (das Geselzte) — ტერმინია ჰეგელისეული ფილოსოფიის, რომელიც აღნიშნავს რაღაცას გაპირობებულს განსხვავებით უპირობოსაგან, თავდაპირველისაგან. პირველადისაგან, ისეთ რამეს, რასაც აქვს თავისი საფუძველი არა თავისთავში, არამედ რაღაც სხვაში (გვ. 660, რედ.).

[156] „Observations“ ანონიმური ავტორი (ა. ფ.).

[157] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 152.

[158] „Observations“ ანონიმური ავტორი (ა. ფ.).

[159] ი ქ ვ ე, გვ. 153.

რივი შრომისადმი, კერძო გაცვლაზე დამყარებული საზოგადოებრივი შრომისადმი [160].

რიკარდოს შეცდომა მდგომარეობს იმაში — შენიშნავს კ. მარქსი — რომ იგი მხოლოდ ღირებულების სიდიდეს განიხილავს. ამიტომ იგი ყურადღებას აქცევს მხოლოდ შრომის იმ შეფარდებითს რაოდენობას, რომელსაც წარმოადგენენ სხვადასხვა საქონელი, რომელსაც ისინი როგორც ღირებულებანი შეიცავენ განსახიერებული სახით.

მაგრამ საქონელში განხორციელებული შრომა, — წერს კ. მარქსი — უნდა გამოიხატოს როგორც საზოგადოებრივი შრომა, როგორც განსხვისებული ინდივიდუალური შრომა. ფასში ეს გამოხატულია იდეალურად. მისი რეალიზება კი მხოლოდ გაყიდვით ხდება. ეს გადაქცევა საქონელში განხორციელებულ ცალკეულ ინდივიდთა შრომის ერთნაირ საზოგადოებრივ შრომად, ეს თვისობრივი მხარე საქმისა — შენიშნავს კ. მარქსი — რომელსაც შეიცავს საცვლელი ღირებულების გამოხატვა ფულში, რიკარდოსთან არ არის განვითარებული. ამ გარემოებას — საქონელში მოთავსებული შრომის ერთნაირ საზოგადოებრივ შრომად, ფულის სახით წარმოდგენის აუცილებლობას რიკარდო — მხედველობიდან უშვებდა [161].

კაპიტალის განვითარება, თავის მხრივ, უკვე გულისხმობს საქონლის საცვლელი ღირებულების სრულ განვითარებას — აღნიშნავს კ. მარქსი — და ამიტომაც მის დამოუკიდებელ არსებობას ფულის სახით. ღირებულების მიერ მოპოვებული დამოუკიდებლობა კაპიტალში უფრო მეტად ვლინდება, ვიდრე ფულში [162].

შეფარდებითი ღირებულება — წერს კ. მარქსი — ნიშნავს 1) ღირებულების სიდიდეს საერთოდ ღირებულების მყოფობის თვისებრივი განსაზღვრისაგან განსხვავებით. ამიტომ ეს უკანასკნელიც არ არის რაღაც აბსოლუტური. 2) შეფარდებითი ღირებულება ნიშნავს ერთი საქონლის ღირებულებას გამოხატულს სხვა საქონლის სახმარ ღირებულებაში. ეს არის მისი ღირებულების მხოლოდ შეფარდებითი გამოხატულება, მისი შეფარდებისა იმ საქონლის მიმართ, რომელშიც ის გამოხატულია. „ერთი გირვანქა ყავის ღირებულება მხოლოდ შეფარდებით არის გამოხატული ჩაიში. იმისათვის, რომ იგი აბსოლუტურად გამოეხატოთ—შეფარდებითი ფორმითაც კი, ე. ი. მი-

---

[160] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომ)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 154.

[161] ი ქ ვ ე, გვ. 155.

[162] ი ქ ვ ე, გვ. 155, 156.

სი შეფარდებით არა სამუშაო დროსთან, არამედ სხვა საქონელთან, საჭირო იქნებოდა მისი გამოხატვა ყველა სხვა საქონელთან განტოლებათა უსასრულო მწკრივით. ეს იქნებოდა მისი შეფარდებითი ღირებულების აბსოლუტური გამოხატვა (შეფარდებითი ფორმით). ღირებულების აბსოლუტური გამოხატვა იქნებოდა მისი გამოხატვა სამუშაო დროით, და ამ აბსოლუტური გამოხატვის მეშვეობით იგი გამოხატული იქნებოდა რაღაც შეფარდებითის სახით, მაგრამ იმ აბსოლუტური მიმართების ფარგლებში, რომლის ძალითაც ის არის ღირებულება" [163].

ამის შემდეგ კ. მარქსი უბრუნდება ბეილის თხზულების კრიტიკულ განხილვას. მისი თხზულების დადებით დამსახურებას — შენიშნავს კ. მარქსი — წარმოადგენს მხოლოდ ერთი — რომ მან პირველმა უფრო სწორად განსაზღვრა ღირებულების საზომი, ე. ი. სინამდვილეში ფულის ერთ-ერთი ფუნქცია, ანუ ფული განსაკუთრებულ ფორმაგანსაზღვრულობაში [164]. ბურჟუაზიულ ეკონომისტებს შორის იგი ყველაზე ახლო მივიდა ფულის ამ ფუნქციის გაგებამდე.

მაგრამ ფულში, — წერს კ. მარქსი — მეღავნდება, რომ თვით საქონლის მიერ შესრულებული პროცესის შედეგად, მისი საცვლელი ღირებულება განცალკევდება რაღაც დამოუკიდებლის სახით და რეალურად ღებულობს გამოხატულებას თავისუფალი ფორმით საქონლის სახმარი ღირებულების გვერდით, მსგავსად იმისა, როგორც ამას ადგილი აქვს უკვე საქონლის ფასში.

ავტორს თხზულებისა — შენიშნავს კ. მარქსი — „Observations on certain Verbal Disputes", ისე როგორც ბეილის, ვერაფერი გაუგია ღირებულებისა და ფულის არსებისა, რაკი მათ ღირებულების განცალკევება რაღაც დამოუკიდებლის სახით ეკონომისტების რაღაც სქოლასტიკურ გამონაგონად მიაჩნიათ [165].

ღირებულების ეს განცალკევება — აღნიშნავს კ. მარქსი — ღირებულების რაღაც დამოუკიდებლის სახით კიდევ უფრო მეტად მეღავნდება კაპიტალში, რომელსაც გარკვეული აზრით შეიძლება ეწოდოს მოძრაობის პროცესის შემსრულებელი ღირებულება, მაშასადამე, რადგან ღირებულებას მხოლოდ ფულში გააჩნია დამოუკიდებელი არსებობა, — შეიძლება ეწოდოს მოძრაობის პროცესის შემსრულებელი ფული, რომელიც გაივლის რიგ პროცესებს, რომლებ-

---

[163] კ. მარქსი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 157.

[164] იქვე, გვ. 157, 158.

[165] იქვე, გვ. 162, 163.

შიც ის შეინახება, გამოდის თავისი თავიდან და უბრუნდება თავისთავს გადიდებული რაოდენობით [166].

ის რომ სინამდვილის პარადოქსი — წერს კ. მარქსი — გამოიხატება აგრეთვე სიტყვიერ პარადოქსებშიც, რომლებიც ეწინააღმდეგება ჩვეულებრივ ადამიანურ განსჯას, ეწინააღმდეგება იმას, რაც მხედველობაში აქვთ ვულგარულ ეკონომისტებს — ეს თავისთავად გასაგებია.

წინააღმდეგობანი, გამომდინარე იმისაგან, რომ საქონელწარმოების საფუძველზე „კერძო შრომა საყოველთაო საზოგადოებრივი შრომის სახით გამოიხატება, რომ ადამიანთა ურთიერთობანი წარმოგვიდგება როგორც ნივთთა ურთიერთობანი და როგორც ნივთები, — ეს წინააღმდეგობანი არსებობენ თვით საგანში, და არა საგნის სიტყვიერ გამოხატულებაში“ [167].

რიკარდოსათვის გადამწყვეტ ამოცანას — შენიშნავს კ. მარქსი— წარმოადგენს ღირებულების სიდიდის განსაზღვრა. ამიტომაც მან ვერ გაიგო ის სპეციფიკური ფორმა, რომელშიც შრომა არის ღირებულების ელემენტი, განსაკუთრებით ვერ გაიგო აუცილებლობა იმისა, რომ ცალკეული შრომა წარმოდგენილი იყოს, როგორც აბსტრაქტულად საყოველთაო და, ამ ფორმით, როგორც საზოგადოებრივი შრომა. ამიტომ რიკარდომ ვერ გაიგო ფულის წარმოქმნის კავშირი ღირებულების არსთან და ამ ღირებულების სამუშაო დროით განსაზღვრასთან [168].

ბეილის თხზულებას — აღნიშნავს კ. მარქსი — ერთგვარი დამსახურება აქვს იმდენად, რამდენადაც იგი თავისი კრიტიკული მოსაზრებით ააშკარავებს არევას „ღირებულების საზომისა“, რომელიც გამოხატულია ფულში, ღირებულების იმანენტურ საზომთან და სუბსტანციასთან. მაგრამ თვითონ მას რომ გაეანალიზებინა ფული როგორც „ღირებულების საზომი“, არა მარტო როგორც რაოდენობრივი საზომი, არამედ როგორც საქონელთა თვისობრივი გარდაქმნაც მაშინ იგი თვითონ მივიდოდა ღირებულების სწორ ანალიზამდე. ამის ნაცვლად ბეილი ვერ მიდის იმ გარეგნული „ღირებულების საზომის“ ზერელე განხილვაზე უფრო შორს, რომელიც უკვე გულისხმობს ღირებულებას [169].

---

[166] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 163.

[167] ი ქ ვ ე.

[168] ი ქ ვ ე, გვ. 163, 164.

[169] ი ქ ვ ე, გვ. 164.

ბეილი — წერს კ. მარქსი — ჩასჭიდებია იმ ფორმას, რომლითაც საქონლის საცვლელი ღირებულება საქონლის სახით გამოიხატება, ვლინდება. ზოგადი ფორმით იგი ავლენს თავის თავს მაშინ, როცა გამოხატულია საქონლის ფულად ფასში. განსაკუთრებულ ფორმაში იგი ავლენს თავისთავს მაშინ, როცა რომელიმე საქონლის საცვლელ ღირებულებას გამოვხატავთ რომელიმე სხვა საქონლის სახმარი ღირებულებით. ფაქტიურად საქონლის საცვლელი ღირებულება ვლინდება, გამოხატავს თავის თავს სხვა საქონელთათვის მუდამ მხოლოდ იმ რაოდენობრივი შეფარდებით, რომლითაც მათი გაცვლა ხდება [170].

ასეთია უშუალო გამოვლენა და ამას ჩასჭიდებია ბეილიც. ის ყველაზე ზედაპირული ფორმა — შენიშნავს კ. მარქსი — რომელშიც საცვლელი ღირებულება ვლინდება როგორც რაოდენობრივი შეფარდება, რომლითაც საქონელთა ერთიმეორეზე გაცვლა ხდება, არის ბეილის აზრით მათი ღირებულება [171].

ბეილი ფიქრობს, — აღნიშნავს კ. მარქსი, რომ თუ ერთი საქონლის ღირებულება გამოიხატება მეორე საქონელში, მაშინ პირველი საქონლის ღირებულება სხვა არაფერია თუ არა მისი განტოლება სხვა საქონელთან. ბეილის ფორმულირებით, ეს ტავტოლოგიაა, ვინაიდან იგი (ბეილი) არსებითად ამბობს: თუ საქონლის ღირებულება სხვა არაფერია, თუ არა მისი საცვლელი შეფარდება სხვა საქონელთან, მაშინ ეს ღირებულება სხვა არაფერია, თუ არა ეს შეფარდება [172].

ბეილის „ფილოსოფიური სიღრმის" საჩვენებლად კ. მარქსს მოყავს მისი შემდეგი მსჯელობა: „ისევე როგორც ჩვენ არ შეგვიძლია ვილაპარაკოთ რ ო მ ე ლ ი მ ე ს ა გ ნ ი ს დ ა შ ო რ ე ბ ი ს მ ა ნ ძ ი ლ ზ ე, თუ არ ვიგულისხმებთ მეორე საგანს, რ ო მ ე ლ თ ა ნ ა ც ი გ ი ა მ მ ი მ ა რ თ ე ბ ა შ ი ი მ ყ ო ფ ე ბ ა, ასევე ჩვენ არ შეგვიძლია ვილაპარაკოთ საქონლის ღირებულებაზე სხვანაირად, თუ არა რომელიმე ს ხ ვ ა ს ა ქ ო ნ ე ლ თ ა ნ დაკავშირებით, რ ო მ ე ლ თ ა ნ ა ც მ ი ს ი შ ე ფ ა რ დ ე ბ ა ხდება. ნივთს არ შეიძლება ღირებულება ჰქონდეს სხვა ნივთთან მიმართების გარეშე"..., „ისევე როგორც ნივთს, თ ა ვ ი ს თ ა ვ ა დ არ შეიძლება ჰქონდეს დაშორების მ ა ნ ძ ი ლ ი სხვა ნივთთან მიმართების გარეშე" [173].

ამის შესახებ კ. მარქსი შენიშნავს, რომ როდესაც ჩვენ ელაპარა-

---

[170] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" შეოთხე ტომი)", ნაწილი 3. თბ., 1975, გვ. 165. 166.

[171] ი ქ ვ ე, გვ. 166.

[172] ი ქ ვ ე, გვ. 170.

[173] ი ქ ვ ე.

კობთ მანძილზე როგორც ორ ნივთს შორის მიმართებაზე, ჩვენ ვგულისხმობთ თვით ნივთებისათვის რაღაც „შინაგანად დამახასიათებელს“, რაღაც მათ „თვისებას“, რომელიც მათ საშუალებას აძლევს იმყოფებოდნენ ერთი მეორისაგან დაშორებით. „როგორია მანძილი A ბგერასა და მაგიდას შორის? ეს კითხვა უაზროა. როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ მანძილზე ორ ნივთს შორის, ჩვენ ელაპარაკობთ სივრცეში მათი მდებარეობის განსხვავებაზე. ამრიგად, ჩვენ ვგულისხმობთ, რომ ორივე იმყოფება სივრცეში, ორივენი წერტილებია სივრცეში, ე. ი. ჩვენ ვაერთიანებთ მათ ერთ კატეგორიად როგორც სივრცეში არსებულ საგნებს, და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩვენ ისინი გავაერთიანეთ sub specie spatii (სივრცის თვალსაზრისით. რედ.), ჩვენ განვასხვავებთ მათ როგორც სივრცის სხვადასხვა წერტილებს. მათი ესა თუ ის ადგილმდებარეობა სივრცეში არის მათი ერთიანობა“ [174].

მაგრამ როგორია ეს ერთიანობა — წერს კ. მარქსი — ერთმანეთზე გასაცვლელი საგნებისა? რაშია მათი იგივეობა, რაც მათთვის შესაძლებელს ხდის ერთიმეორეზე გაცვლას გარკვეული პროპორციით? ფაქტიურად ყოველივე ამაში — შენიშნავს კ. მარქსი „ბევრი მხოლოდ მიმდევარია ოხზულების „Observations on certain Verbal Disputes“ ავტორისა [175]. რადგან პროდუქტი — წერს კ.მარქსი— იწარმოება არა როგორც მოხმარების უშუალო საგანი მწარმოებელთათვის, არამედ მხოლოდ როგორც ღირებულების მატარებელი, ასე ვთქვათ როგორც თამასუქი საზოგადოებრივი შრომის ყველა გამოხატულების გარკვეულ რაოდენობაზე, ამიტომ ყველა პროდუქტი იძულებულია როგორც ღირებულება, თავის თავს მისცეს ყოფიერების ფორმა, განსხვავებული მათივე სახმარი ღირებულების ყოფიერებისაგან. სწორედ ეს განვითარება პროდუქტში მოთავსებული შრომისა როგორც საზოგადოებრივი შრომისა, ვანვითარება პროდუქტთა ღირებულებისა, განაპირობებს ფულის წარმოქმნას, ე. ი. საცვლელი ღირებულების არსებობის დამოუკიდებელი ფორმისა. ეს კი შესაძლებელია საქონელთათვის მხოლოდ იმის გამო, რომ ისინი საქონელთა მასიდან გამოყოფენ ერთ საქონელს, თავიანთ ღირებულებებს ყველანი ამ გამოყოფილი საქონლის სახმარი ღირებულებით ზომავენ და ამიტომ გადააქცევენ ამ განსაკუთრებულ საქონელში მოთავსებულ შრომას უშუალოდ საყოველთაო, საზოგადოებ-

---

[174] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 170, 171.

[175] ი ქ ვ ე, გვ. 171.

რივ შრომად [176]. თავისი უცნაური აზროვნების წესით ბეილი — წერს კ. მარქსი — ებღაუქება რა მხოლოდ მოვლენათა ზედაპირს, აკეთებს საწინააღმდეგო დასკვნას: მხოლოდ იმიტომ რომ გარდა საქონელთა არსებობს ფული, მხოლოდ ამიტომ წარმოიქმნება ღირებულების ცნება, რომელიც ღირებულებას გადააქცევს წმინდა რაოდენობრივი შეფარდებიდან, რომლის მიხედვითაც საქონელთა ერთიმეორეზე გაცვლა ხორციელდება იმ მიმართულებისაგან დამოუკიდებელ რაიმედ (რაც, მისი აზრით, გადააქცევს საქონლის ღირებულებას აბსოლუტურ რაღაცად, რაღაც სქოლასტიკურ არსად, რომელიც საქონელთაგან განცალკევებით არსებობს) [177].

ბეილის მიხედვით არა განსაზღვრა პროდუქტისა როგორც ღირებულებისა, ფულის წარმოქმნას იწვევს და გამოიხატება ფულში, არამედ ფულის არსებობა, ღირებულების ცნების ფიქციას წარმოქმნის [178].

ამრიგად, ბეილის შეხედულებებით — შენიშნავს კ. მარქსი — ღირებულება=ფასს, მათ შორის არ არის არავითარი განსხვავება. მაგრამ თუმცა საქონელს—წერს კ. მარქსი—აქვს სხვადასხვა სახის ღირებულება სხვადასხვა სახე, ანუ სხვადასხვა ფასი, იმდენი სახის ღირებულება, რამდენიც არის საქონელი, ყველა ეს სხვადასხვა გამოხატულებანი ყოველთვის გამოხატავს ერთსა და იმავე ღირებულებას. ყველა ეს სხვადასხვა გამოხატულებანი არიან ეკვივალენტები, რომელთაც არა თუ შეუძლიათ ერთი მეორის შეცვლა გამოხატვაში, არამედ ენაცვლება კიდეც ერთმანეთს თვით გაცვლაში. ერთი და იგივე შეფარდება საქონლისა, რომლის ფასზეც ლაპარაკია გამოიხატება სხვადასხვა „საცვლელ შეფარდებაში" ყველა სხვადასხვა საქონელთან, და მიუხედავად ამისა, აქ გამოიხატება მუდამ ერთი და იგივე ურთიერთობა [179]. მაშასადამე, — შენიშნავს კ. მარქსი — ეს შეფარდება, თავისი თავის ტოლი რომ რჩება, განსხვავებულია თავისი სხვადასხვა გამოხატულებისაგან, ანუ ღირებულება განსხვავებულია ფასისაგან, ფასები კი მხოლოდ ღირებულების გამოხატულებანია. მაგრამ ბეილი — აღნიშნავს კ. მარქსი — ვერ მიდის ამ უბრალო დასკვნამდეც. „რიკარდო კი არ არის აქ ფიქსაციის მიმდევარი, არამედ ბეილია ფეტიშისტი, რადგან მას ესმის ღირებულება, თუმცაღა არა როგორც თვისება (იზოლირებულად განხილული) ცალკეული ნივთისა, მაგრამ მაინც როგორც ნ ი ვ თ თ ა უ რ თ ი ერ-

---

[176] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 172

[177] ი ქ ვ ე. გვ. 172, 173.

[178] ი ქ ვ ე, გვ. 173.

[179] ი ქ ვ ე, გვ. 175.

თობა ერთმანეთს შორის, მაშინ როდესაც ღირებულება არის მხოლოდ ადამიანთა შორის ურთიერთობა, საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც გამოიხატება ნივთებში, მიიღებს ნივთობრივ გამოხატულებას — ის არის ურთიერთობა ადამიანებისა მათს ერთობლივ საწარმოო საქმიანობაში“ [180].

ამავე დროს თვით ბეილის, რომელიც შენიშნავდა რიკარდოს შეხედულებებში ზოგიერთ წინააღმდეგობებს, თავის მხრივ ახასიათებდა მთელი რიგი სხვა წინააღმდეგობანი და დაბნეულობა.

კ. მარქსს მოყავს ბეილის შემდეგი სიტყვები: „...მაგრამ ეს განსხვავება თანაბარი ღირებულების შრომით წარმოებული ორი საქონლის ღირებულებაში შეუთავსებელი იქნებოდა მოგებათა აღიარებულ ტოლობასთან, რასაც ბ-ნი რიკარდო სხვა ავტორებთან ერთად აღიარებს“ [181], და იქვე შენიშნავს, რომ ამ უკანასკნელ ფრაზაში ბეილიმ შეუცნობლად მიაგნო სწორ მოსაზრებას რიკარდოს წინააღმდეგ, რომელიც უშუალოდ აიგივებდა მოგებას ზედმეტ ღირებულებასთან, ხოლო ღირებულებებს ხარჯთფასებთან [182].

სწორედ ფორმულირებული ეს საწინააღმდეგო მოსაზრება — წერს კ. მარქსი — დაიყვანება შემდეგამდე: თუ საქონელთ გაცვლა მათი ღირებულების მიხედვით ხდება, მაშინ ისინი იძლევიან არათანაბარ მოგებას, რადგან მაშინ მოგება უდრის იმ ზედმეტ ღირებულებას, რომელიც მოთავსებულია მათში. ეს საწინააღმდეგო მოსაზრება სწორია — აღნიშნავს კ. მარქსი — მაგრამ ეს ლაპარაკობს არა ღირებულების თეორიის წინააღმდეგ, არამედ რიკარდოს შეცდომის წინააღმდეგ ამ თეორიის გამოყენებაში.

მაგრამ თვითონ ბეილი შორს იყო საკითხის სწორი გაგებისაგან. იგი ურევდა ღირებულებას ფასთან, და სუბიექტივისტური თვალსაზრისით იხილავდა ამ საკითხს: ვერ არკვევდა ხარჯთფასთა და ღირებულებათა შორის განსხვავების საკითხს [183]. ბეილი „უცებ ღრმა ფილოსოფოსი ჩდება“ — შენიშნავს კ. მარქსი და მოყავს მისი შემდეგი სიტყვები: „არსებობს განსხვავება შრომასა, როგორც ღირებულების მიზეზსა და შრომასა, როგორც ღირებულების საზომს შორის, საერთოდ ღირებულების მიზეზსა და საზომს

---

[180] კ. მარქსი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 175, 176.

[181] იქვე, გვ. 176, 190.

[182] იქვე, გვ. 190.

[183] იქვე. გვ. 190, 191.

შორის“ [184], სინამდვილეში — წერს კ. მარქსი — არსებობს ძალიან მნიშვნელოვანი განსხვავება, თვით ბეილის მიერ შეუმჩნეველი, „ღირებულების საზომსა“ (ფულის აზრით) და „ღირებულების მიზეზს“ შორის. ღირებულების „მიზეზი“ გადააქცევს სახმარ ღირებულებებს ღირებულებად.

ღირებულების გარეგანი საზომი უკვე გულისხმობს ღირებულების არსებობას. ოქრო, მაგალითად, შეიძლება იყოს ბამბის ღირებულების საზომი, მხოლოდ იმ პირობით, რომ ოქროს და ბამბას, როგორც ღირებულებას, გააჩნიათ ორივე მათგანისაგან განსხვავებული ერთიანი საწყისი. ღირებულების „მიზეზი“ არის ღირებულების სუბსტანცია, და ამიტომაც ღირებულების იმანენტური საზომიც [185]. აქვე კ. მარქსს მოყავს ბეილის შემდეგი სიტყვები: „ყველა გარემოება ... რომელნიც არაპირდაპირ თუ უშუალოდ, განმსაზღვრელ ზეგავლენას ადამიანთა ცნობიერებაზე საქონელთა გაცვლისას, შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ღირებულების მიზეზი [186].

ეს სინამდვილეში — წერს კ. მარქსი — ნიშნავს შემდეგს: საქონლის ღირებულების, ან ორ საქონელს შორის ეკვივალენტობის მიზეზს წარმოადგენენ ის გარემოებანი, რომელნიც აიძულებენ გამყიდველს ანდა მყიდველსა და გამყიდველს მიიჩნიონ რაიმე საქონლის ღირებულებად, ანუ ეკვივალენტად [187]. საქონლის ღირებულების განმსაზღვრელი „გარემოებანი“, სრულიადაც არ არიან შეცნობილი იმის შედეგად, — შენიშნავს კ. მარქსი — რომ მათ უწოდებენ ისეთ გარემოებებს, რომელნიც ზეგავლენას ახდენენ გამცვლელთა „ცნობიერებაზე“ და რომელნიც, ასეთი გარემოებების სახით, არსებობენ აგრეთვე გამცვლელთა ცნობიერებაში, ან შეიძლება არც არსებობენ ანდა არსებობენ დამახინჯებული წარმოდგენის სახით [188].

იგივე, ცნობიერებისაგან დამოუკიდებელი, თუმცა მასზე ზემოქმედნი, გარემოებანი, — წერს კ. მარქსი — რომელნიც აიძულებენ მწარმოებლებს გაყიდონ თავიანთი პროდუქტები როგორც საქონელი,—გარემოებანი, რომელნიც განასხვავებენ საზოგადოებრივი წარმოების ერთ ფორმას მეორისაგან, — ანიჭებენ მათ პროდუქტებს

---

[184] კ. მარქსი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 194.

[185] იქვე, გვ. 195.

[186] იქვე.

[187] იქვე.

[188] იქვე.

სახმარ ღირებულებასთან დამოუკიდებელ საცელელ ღირებულებას [189].

ამრიგად, ბეილის ღირებულების საფუძვლად მიაჩნდა ყველა გარემოებანი, რომელნიც ახდენენ ზემოქმედებას ადამიანის ცნობიერებაზე საქონელთა გაცვლისას და ამით მას გადაქონდა ღირებულების საკითხი ცნობიერების სფეროში.

„გარემოებანი", რომელნიც ზემოქმედებენ საქონელმწარმოებელთა ცნობიერებაზე, არ შეიძლება იყვნენ ღირებულების ფაქტორი. ამ პროდუქტების მწარმოებლების „ცნობიერებამ" შეიძლება სრულიად არ იცოდეს, სინამდვილეში რით განისაზღვრება მათი საქონლის ღირებულება, ანუ რა ხდის მათ პროდუქტებს ღირებულებად, — მისთვის, ცნობიერებისათვის ეს შეიძლება არც კი არსებობდეს [190].

პროდუქტების მწარმოებელნი — აღნიშნავს კ. მარქსი — ჩაყენებული არიან ისეთ პირობებში, რომელნიც განსაზღვრავენ მათ ცნობიერებას ისე, რომ მათთვის სავალდებულო არ არის ამის ცოდნა.

„ყოველ ადამიანს შეუძლია მოიხმაროს ფული როგორც ფული, და არ იცოდეს, რა არის ფული. ეკონომიური კატეგორიები დამახინჯებულად აისახება ცნობიერებაში. ბეილის საკითხი ცნობიერების სფეროში იმიტომ გადააქვს, რომ თეორიის ნაწილში იგი ჩიხში მოექცა" [191].

იმის მაგიერ, რომ თქვას — შენიშნავს კ. მარქსი — თუ თვით მას რა ესმის „ღირებულებად", ან „ღირებულების მიზეზად", ბეილი გვეუბნება: ეს არის ის, რასაც წარმოადგენს მყიდველი ან გამყიდველი გაცვლის აქტში.

სინამდვილეში ამ ვითომდა ფილოსოფიური ფრაზის საფუძველს შეადგენს — წერს კ. მარქსი — შემდეგი:

1) საბაზრო ფასი განისაზღვრება სხვადასხვა გარემოებით, რომლებიც გამოიხატება მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობით, და როგორც ასეთნი, გავლენას ახდენენ ბაზარზე სავაჭრო გარიგების დამდებ ადამიანთა „ცნობიერებაზე".

2) საქონლის ღირებულებათა ხარჯთფასებად გადაქცევისას მხეღველობაში მიიღება „სხვადასხვა გარემოება", რომელნიც ზემოქმე-

---

[189] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებელების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 195.

[190] ი ქ ვ ე.

[191] ი ქ ვ ე.

დებენ ცნობიერებაზე, როგორც „კომპენსაციის საფუძვლები", ანდა წარმოუდგებიან მას ასეთებად [192].

მაგრამ ყველა ეს საფუძველი კომპენსაციის—შენიშნავს კ. მარქსი — ზეგავლენას ახდენს კაპიტალისტის — როგორც ასეთის ცნობიერებაზე და გამომდინარეობს თვით კაპიტალისტური წარმოების ბუნებისაგან, და არა მყიდველისა და გამყიდველის სუბიექტური გეგებიდან. მყიდველისა და გამყიდველის თავებში ისინი, პირიქით, არსებობენ როგორც თავისთავად გასაგები „მარადიული ჭეშმარიტებანი" [193].

ბეილი, როგორც მისი წინამორბედნიც — წერს კ. მარქსი — ებღაუქება ღირებულებათა და ხარჯთფასთა რიკარდოსეულ არევას, რათა დაამტკიცოს, რომ ღირებულება არ განისაზღვრება შრომით, რადგან ხარჯთფასები გადაიხრებიან ღირებულებისაგან. ეს საკუთრივ სწორია, წინააღმდეგ რიკარდოსეული გაიგივებისა ხარჯთფასებთან ღირებულებათა, მაგრამ არა თვით დებულების ღირებულების შრომით განსაზღვრის წინააღმდეგ [194].

ამასთან დაკავშირებით, ბეილი, — აღნიშნავს კ. მარქსი — აციტირებს უპირველესად იმას, რაც ნათქვამი იყო თვით რიკარდოს მიერ საქონელთა შეფარდებითი ღირებულების იმ ცალილების შესახებ, რასაც ადგილი აქვს შრომის ღირებულების გაღიდების შედეგად.

შემდეგ იგი იხსენიებს „დროის გავლენას" (განსხვავება წარმოების დროში სამუშაო დროის გაუგრძელებლად), მხედველობაში აქვს რა იგივე შემთხვევა, რომელმაც უკვე მილის დაეშვებაც გამოიწვია. ნამდვილ საერთო წინააღმდეგობას, — წერს კ. მარქსი — რომელიც მდგომარეობს თვით ფაქტში მოგების საშუალო ნორმის არსებობისა, მიუხედავად კაპიტალის სხვადასხვა შედგენილობისა, მისი მიმოქცევის სხვადასხვა პერიოდისა და ა. შ., ბეილი ვერ ამჩნევს. იგი იმეორებს მხოლოდ ამ წინააღმდეგობის გამოვლენის იმ ცალკეულ ფორმებს, რაზედაც უკვე ყურადღება მიაქციეს თვით რიკარდომ და მომდევნო ავტორებმა.

ამრიგად, აქ ბეილი — შენიშნავს კ. მარქსი — „გეველინება მხო-

---

[192] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 195, 196.

[193] ი ქ ვ ე, გვ. 196.

[194] ი ქ ვ ე.

ლოდ როგორც თუთიყუში, რომელიც სხვის სიტყვებს იმეორებს: კრიტიკას იგი ერთი ნაბიჯითაც ვერ სწევს წინ“ [195].

ამის შემდეგ კ. მარქსი კრიტიკულად განიხილავს ინგლისელი ბურჟუაზიული ეკონომისტის ჯ. რ. მ ა კ-კ უ ლ ო ხ ი ს შეხედულებებს, რომელთანაც ადგილი ჰქონდა რიკარდოს თეორიის ვულგარიზაციას და სრულ დაშლას, მისი მოჩვენებითი თანმიმდევრული განეითარების საბაბით, კაპიტალისტური წარმოების ცინიკურ აპოლოგეტიკას და უსინდისო ეკლექტიზმს.

მაკ-კულოხი — წერს კ. მარქსი — რიკარდოს ეკონომიური თეორიის ვულგარიზატორია და ამასთან მისი დაშლის ყველაზე უბადრუკი ნიმუშია. იგი ვულგარიზატორი იყო არა მხოლოდ რიკარდოსი, არამედ აგრეთვე ჯემს მილისაც. საერთოდ იგი ყოველმხრივ ვულგარული ეკონომისტია, არსებულის აპოლოგეტი [196].

ერთადერთი, რაც მას კომიზმამდე აშინებს — აღნიშნავს კ. მარქსი — ეს არის მოგების დაცემის ტენდენცია. მუშების მდგომარეობით იგი საესებით კმაყოფილია, საერთოდ კმაყოფილია ბურჟუაზიული ეკონომიკის ყველა წინააღმდეგობებით, რომლებიც მძიმე ტვირთად აწევს მუშათა კლასს.

თავის შემდგომ თხზულებებში — წერს კ. მარქსი — იგი რიკარდოსაგან განსხვავებით ხდება მეტად ტკბილმოუბარი მიწის მესაკუთრეთა მიმართ. მაგრამ მთელი მისი „ნაზი ზრუნვის საგანს შეადგენენ საწყალი კაპიტალისტები იმის გამო, რომ მოგების ნორმას დაცემის ტენდენცია აქვს“ [197].

მაკ-კულოხი მოითხოვს რიკარდოს ღირებულების თეორიის „სრულყოფას“, სინამდვილეში კი იგი თავს ანებებს საქონლის ღირებულების რიკარდოსეულ განსაზღვრას მასზე დახარჯული შრომის რაოდენობით, და როგორც კ. მარქსი აღნიშნავს — იგი „უსირცხვილოდ გადადის რიკარდოდან მალთუსზე“, რომლის შეხედულებით საქონლის ღირებულება განისაზღვრება შრომის იმ რაოდენობით,

---

[195] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 196, 197.

სხვა ადგილას კ. მარქსი მიუთითებს რა ბეილის ერთ-ერთ ფრაზაზე („სიმდიდრისა“ და „ღირებულების“ განმარტების შესახებ) შენიშნავს, რომ ეს „მე მარწმუნებს იმაში“, რომ ბეილმ გამოიყენა მის მიერ საგანგებოდ მიჩქმალული — „Observations“ როგორც პლაგიატორმა“ (იქვე, გვ. 194).

[196] ი ქ ვ ე, გვ. 201.

ერთ ადგილას მას კ. მარქსი „შოტლანდიელ არქიშარლატანს“ უწოდებს. (იქვე, გვ. 202).

[197] ი ქ ვ ე, გვ. 201.

რომელსაც საქონელი ყიდულობს და რომელიც ყოველთვის უნდა იყოს მეტი საქონელში მოთავსებული შრომის რაოდენობაზე [198]. განსხვავება მაკ-კულოხსა და მალთუსს შორის მდგომარეობს მხოლოდ იმაში, — წერს კ. მარქსი, რომ მალთუსთან ეს გამოთქმულია ისე, როგორც იგი სინამდვილეშია, ე. ი. როგორც ანტითეზა რიკარდოს დებულების მიმართ. ხოლო მაკ-კულოხი ღებულობს ამ ანტითეზას მას შემდეგ, რაც მან მიიღო რიკარდოს ფორმულირება იმ მოჩვენებითი თანმიმდევრობით, რომელიც სპობს რიკარდოს თეორიის აზრს [199].

რიკარდოს მოძღვრების შინაგანი ბირთვი — შენიშნავს კ. მარქსი — თუ როგორ ხდება მოგების რეალიზაცია საქონელთა გაცვლის საფუძველზე მათი ღირებულების მიხედვით, — მაკ-კულოხს არ ესმის, და იგი მისთვის არც არსებობს.

რადგან საცვლელი ღირებულება, — წერს კ. მარქსი — რომელიც მაკ-კულოხის მიხედვით „ბაზრის ჩვეულებრივი მდგომარეობისას" უდრის ნამდვილ ღირებულებას, მაგრამ „ფაქტიურად" მუდამ აღემატება მას, რადგან ამ გადანამეტზე დამყარებულია მოგება, — არის ის „რაოდენობა შრომისა ან რომელიმე სხვა საქონლისა", რომელზეც საქონელი იცვლება, ამიტომ „ყოველ სხვა საქონელზე" შეიძლება ითქვას ის, რაც „შრომაზე" ითქმის [200].

სხვა სიტყვებით საქონელი იცვლება — შენიშნავს კ. მარქსი — არა მარტო უშუალო შრომის მეტ რაოდენობაზე, ვიდრე შრომის ის რაოდენობაა, რომელსაც საქონელი შეიცავს, არამედ სხვა საქონელში მატერიალიზებული შრომის უფრო მეტ რაოდენობაზე, ვიდრე შრომის ის რაოდენობაა, რომელსაც თვით გასაცვლელი საქონელი შეიცავს, — ე. ი. მოგება არის „გასხვისებით მიღებული მოგება" და ამით ჩვენ ისევ მივედით მერკანტილისტებთან. მალთუსი — აღნიშნავს კ. მარქსი — პირდაპირ აკეთებს ამ დასკვნას, ხოლო მაკ-კულოხთან იგი გვევლინება როგორც თავისთავად ნაგულისხმევი რამ, მაგრამ იმ პრეტენზიით, რომ ეს არის რიკარდოს სისტემის განვითარება [201].

რიკარდოს სისტემის ეს სრული დაშლა, რაც მას სრულ „გალიმატიად" აქცევს, — აღნიშნავს კ. მარქსი — დაშლა, რომელიც ამავე დროს თავს იწონებს იმით, რომ იგი ვითომ მისი თანმიმდევრული

---

[198] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 204.

[199] ი ქ ვ ე.

[200] ი ქ ვ ე.

[201] ი ქ ვ ე, გვ. 204, 205.

განვითარებაა, ბრბომ, განსაკუთრებით კონტინენტის ბრბომ (მათ რიცხვში ბ-ნმა როშერმაც) მიიღო როგორც ძალიან შორს წასული, უკიდურესობამდე მიყვანილი დასკვნა რიკარდოს სისტემიდან, და ამრიგად დაუჯერა მაკ-კულოხს ის, რომ თითქოს მის მიერ ათვისებული, რიკარდოსეული მანერა, რომლითაც იგი ფარავს თავის „უმწეო, უაზრო და უსინდისო ეკლექტიზმს", მართლაც არის ამ სისტემის თანმიმდევრულად გატარების მეცნიერული ცდა [202].

ამრიგად, უარყოფდა რა რიკარდოს პოლიტიკური ეკონომიის საფუძველს, მაკ-კულოხი კიდევ უფრო შორს მიდიოდა და როგორც შენიშნავს კ. მარქსი — ანგრევდა თვით ამ საფუძვლის საფუძველს.

პირველი სიძნელე რიკარდოს სისტემაში — წერს კ. მარქსი — მდგომარეობდა კაპიტალსა და შრომას შორის „ღირებულების კანონის" თანახმად გაცვლაში. მეორე სიძნელე მდგომარეობდა იმაში, რომ ტოლდიდ კაპიტალებს, როგორიც უნდა იყოს მათი ორგანული შედგენილობა, მოაქვთ თანაბარი მოგება, ან მოგების საერთო ნორმა.

სინამდვილეში — შენიშნავს კ. მარქსი — ეს იყო შეუცნობელი პრობლემა იმის გამოკვლევისა, თუ როგორ ხდება ღირებულებათა გადაქცევა ხარჯთფასებად [203].

მაკ-კულოხი ცდილობდა გადაეწყვიტა რიკარდოს სისტემის სიძნელენი, თავისებური გზით. იგი ამახინჯებდა შრომის ცნებას, აერიცელებდა რა მას ბუნების პროცესებზე, აიგივებდა საცვლელ ღირებულებას და სახმარ ღირებულებას. ამასთან იგი აპოლოგეტურად განმარტავდა მოგებას, როგორც „დაგროვილი შრომის ხელფასს". მაკ-კულოხი იზიარებდა რა ჯემს მილის შეხედულებას, რომ ღირებულება იქმნება არა მარტო ცოცხალი შრომით, არამედ დაგროვილი შრომითაც, წარმოების საშუალებებით, მიდიოდა უფრო შორს და ამტკიცებდა, რომ ვითომ, ბუნების ძალებიც ქმნიან ღირებულებას. იგი არ ხედავდა არავითარ განსხვავებას მუშის შრომასა, წარმოების საშუალებებსა და ბუნების ძალებს შორის.

---

[202] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 205.

მაკ-კულოხმა — შენიშნავს კ. მარქსი — მოინდომა გამდიდრება რიკარდოს ეკონომიურ თეორიის წყალობით, რაც მან კიდევაც შეძლო გასაოცარი მოხერხებით. სწორედ ისევე, როგორც სეი მდიდრდებოდა სმიტის თეორიის წყალობით, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ სეის, ყოველ შემთხვევაში აქვს ის დამსახურება, რომ მან მოიყვანა სმიტის თეორია გარკვეულ ფორმალურ წესრიგში და ალაგ-ალაგ, თუ არ ჩავთელით გაუგებლობის შემთხვევებს, ნებას აძლევდა თავის თავს გამოეთქვა ზოგიერთი თეორიული დაეჭვებაც (იქვე, გვ. 205).

[203] ი ქ ვ ე, გვ. 211.

მაკ-კულოხი ემყარება რა მილის უაზრო შეხედულებას, ცარიელი ფრაზით თავიდან იშორებს სიძნელეს — აღნიშნავს კ. მარქსი, ამ სიძნელის გამომწვევ დამახასიათებელ განსხვავებას. ეს დამახასიათებელი განსხვავება, წერს კ. მარქსი — მდგომარეობს შემდეგში: სამუშაო ძალის სახმარი ღირებულება არის შრომა, ამიტომაც იგი ქმნის საცვლელ ღირებულებას. სხვა საქონელთა სახმარი ღირებულება არის სახმარი ღირებულება განსხვავებით საცვლელი ღირებულებისაგან, რის გამოც არც ერთი ცვლილება, რასაც განიცდის ეს სახმარი ღირებულება, არ ახდენს გავლენას მათს წინასწარ განსაზღვრულ საცვლელ ღირებულებაზე [204].

სიძნელეს თავიდან იშორებს იმით, რომ — წერს კ. მარქსი — საქონელთა სახმარ ღირებულებებს უწოდებენ საცვლელ ღირებულებებს, ხოლო იმ ოპერაციებს, იმ სამსახურს, რასაც ისინი ეწევიან წარმოებაში როგორც სახმარი ღირებულებანი, უწოდებენ შრომას. ასევე ჩვეულებრივადაც ლაპარაკობენ — შენიშნავს კ. მარქსი — მუშა პირუტყვისა და სამუშაო მანქანების შრომაზე, ხოლო პოეტური ენითაც დაშვებულია ისეთი გამოთქმები, როგორიცაა: რკინა შრომობს გახურებისას, ანდა რკინა შრომობს, როცა ის კვნესის ეროს დარტყმისას. არაფერია იმაზე ადვილი დასამტკიცებელი, — წერს კ. მარქსი, — რომ „ყოველი „ოპერაცია" არის შრომა, ვინაიდან შრომა არის გარკვეული ოპერაცია. ასევე კარგად შეიძლება იმის დამტკიცება, რომ ყოველივე სხეულებრივს აქვს შეგრძნება, ვინაიდან ყოველივე შემგრძნობი სხეულებრივია" [205]. აქვე კ. მარქსს მოყავს მაკ-კულოხის შემდეგი სიტყვები: „შრომა შეიძლება სრული უფლებით განსაზღვრულ იქნეს როგორც ყოველი ისეთი სახე მოქმედებისა, ანუ ოპერაციისა, — სულ ერთია, ასრულებენ მას ადამიანები, ცხოველები, მანქანები თუ ბუნების ძალები — რომელიც მიმართულია იქითკენ, რომ რაიმე სასურველი შედეგი გამოიწვიოს" [206].

ეს შეეხება არა მხოლოდ შრომის იარაღებს — აღნიშნავს კ. მარქსი — არამედ ნედლეულსაც (მაგალითად მატყლი შეღებვისას).

ე. ი. მაკ-კულოხის შეხედულებით — აღნიშნავს კ. მარქსი — არც ერთი ნივთი არ შეიძლება დამუშავდეს თუ „თვითონ არ იმუშავა,

---

[204] კ. მარქსი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 211, 214.

[205] იქვე, გვ. 214.

[206] იქვე, გვ. 215.

არ იშრომა. და ამ გზით წარმოების პროცესში შემავალი ყველა საქონელი ადიდებს თავის ღირებულებას, არა მარტო იმით, რომ მათი საკუთარი ღირებულება შეინახება, არამედ იმითაც, რომ ისინი ქმნიან ახალ ღირებულებას იმის მეოხებით, რომ ისინი თვითონ „შრომობენ", მარტოოდენ გასაგნობრივებულ შრომას როდი წარმოადგენენ ამით რა თქმა უნდა, თავიდან აცილებულია ყოველგვარი სიძნელე" [207].

ამრიგად, მაკ-კულოხის მტკიცებით ყველა საქონელი, რომელიც შედის წარმოების პროცესში, ადიდებს თავის ღირებულებას იმით, რომ ისინი „მუშაობენ", ე. ი. იგი მხოლოდ სხვა სიტყვებით გადმოსცემს სეის ვულგარულ თეორიას წარმოების სამი ფაქტორის შესახებ.

არსებითად — შენიშნავს კ. მარქსი — ეს მხოლოდ ფრაზეოლოგიური განმეორებაა, სხვა დასახელებაა სეისეული „კაპიტალის პროდუქტიულ მომსახურებათა", „მიწის პროდუქტიულ მომსახურებათა" და ა. შ., რის წინააღმდეგ რიკარდო მუდამ კამათობს [208].

მაკ-კულოხი სიტყვასიტყვით გადმოიწერს სეიდან — შენიშნავს კ. მარქსი — მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იქ, „სადაც სეი ლაპარაკობს მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ზ ე, მაკი (მაკ-კულოხი — ა. ფ.) ამ მოქმედებას უწოდებს შ რ ო მ ა ს" [209].

სეი უწოდებდა კაპიტალისა და ბუნების მოქმედებას „მომსახურებას", ხოლო მაკ-კულოხი — შრომას, მაგრამ სეი მაინც არ თვლიდა წყლის, ცეცხლის და სხვ. მოქმედებას შრომად თუმცა ისინი მისი აზრით ქმნიან ღირებულებას; ამ მხრივ იგი სეიზე უფრო დაბლა იდგა [210].

---

[207] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 215.

[208] ი ქ ვ ე.

[209] ი ქ ვ ე, გვ. 216.

[210] მ ა კ-კ უ ლ ო ხ ი კიდევ უფრო უაზროა — შენიშნავს კ. მარქსი — ვიდრე სეი, რომელიც ცეცხლის, მანქანების და ა. შ. „მოქმედებას" არ უწოდებს შრომას და უფრო არათანმიმდევრულია. მაშინ როდესაც სეის შეხედულებით „ღირებულება" იქმნება ქარის, ცეცხლით და ა. შ., მაკ-კულოხი თვლის ღირებულების შემქმნელად მხოლოდ იმ სახმარ ღირებულებებს, იმ ნივთებს, რომელნიც შეიძლება მონოპოლიზებული იქნენ. მაგრამ ქარი ან ორთქლი ან წყალი არ შეიძლება გამოყენებულ იქნენ როგორც მამოძრავებელი ძალები ქარის წისქვილის, ორთქლის მანქანის, წყლის ბორბლის უქონლად. იმ ადამიანებს, რომელნიც ფლობენ და მონოპოლიზებული აქვთ ის ნივთები, რომელთა ფლობაც აუცილებელია ბუნების ძალების გამოსაყენებლად, მონოპოლიზებული აქვთ აგრეთვე ბუნების

რიკარდო, სმიტის მსგავსად, — წერს კ. მარქსი, — ღირებულების ერთადერთ წყაროდ ასახელებს შრომას, როგორც ადამიანურ, უფრო მეტიც, როგორც სოციალურად განსაზღვრულ ადამიანურ საქმიანობას. სხვა ეკონომისტებისაგან რიკარდო განსხვავდება სწორედ იმ თანმიმდევრობით, რითაც იგი საქონელთა ღირებულებას განმარტავს როგორც მხოლოდ საზოგადოებრივად განსაზღვრული შრომის „განსახიერებას“ [211]. ამ დროს აღმოჩნდნენ ადამიანები, — შენიშნავს კ. მარქსი — რომელთაც გაბედეს იმის მტკიცება, თითქოს უბადრუკმა მაკ-კულოხმა აიყვანა რიკარდოს შეხედულებანი უკიდურეს მწვერვალზე. მან (მაკ-კულოხმა), ვინც იჩენდა უაზრო მისწრაფებას ეკლექტურად „გამოეყენებია“ რიკარდოსეული თეორია და მის: საპირისპირო კონცეფციები, ვინც აიგივებდა ამ თეორიის პრინციპს და მთელი პოლიტიკური ეკონომიის პრინციპს, აიგივებდა თვით შრომას, როგორც ადამიანის მოქმედებას, ადამიანის საზოგადოებრივად განსაზღვრულ მოქმედებას, იმ ფიზიკურ და სხვა მოქმედებასთან, რომელიც დამახასიათებელია საქონელთათვის, როგორც სახმარ ღირებულებათათვის, როგორც ნივთებისათვის, მან, ვინც თვით შრომის ცნებას კარგავდა [212].

მას შემდეგ, რაც მაკ-კულოხმა — წერს კ. მარქსი — საქონელი გადააქცია მუშებად, გასაგებია, რომ ეს „მუშები“ ღებულობენ აგრეთვე ხელფასს და რომ მათ, გარდა მათი ღირებულებისა, რასაც ისინი „დაგროვილი შრომის“ სახით ფლობენ, უნდა მიეცეს კიდევ ხელფასიც მათი „ოპერაციებისა“ თუ „მოქმედებისათვის“. საქონელთა ამ ხელფასს (per) procura (მინდობილობით, რწმუნებით — რედ.) ჩაიჯიბავენ კაპიტალისტები, ის არის „დაგროვილი შრომის ხელფასი“, alias (სხვანაირად რომ ვთქვათ — რედ.) მოგება. და ამით მაკ-კულოხის აზრით დამტკიცებულია, რომ თანაბარი მოგება თანაბარ კაპიტალებზე, იმისაგან დამოუკიდებლად მოყავს მათ მოძრაობაში ბევრი თუ ცოტა შრომა, უშუალოდ გამომდინარეობს ღირებულების სამუშაო დროით განსაზღვრიდან [213].

ეს ძალები. „მე შეიძლება მქონდეს — წერს კ. მარქსი — ნებისმიერი ოდენობის ჰაერი, წყალი და ა. შ. მაგრამ წარმოების ფაქტორებს ისინი წარმოადგენენ ჩემთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მე მაქვს ის საქონელი, ის ნივთები, რომელთა მოხმარებისას ისინი მოქმედებენ, როგორც წარმოების ფაქტორები. ამ მხრივ მაკ, მაშასადამე, სეიზე კიდევ უფრო დაბლა დგას“ (იქვე, გვ. 218).

[211] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 216, 217.

[212] ი ქ ვ ე, გვ. 217, 218.

[213] ი ქ ვ ე, გვ. 215, 216.

სახმარი ღირებულებისა და საცვლელი ღირებულების გაიგივებით — აღნიშნავს კ. მარქსი — მთავრდება, მაშასადამე, რიკარდოს შეხედულებათა ეს ვულგარიზაცია, რომელიც უნდა განხილულ იქნეს სკოლის როგორც ასეთის „დაშლის უკანასკნელი და ყველაზე ბინძური გამოხატულება[214]. აქვე მოყავს რა მაკ-კულოხის სიტყვები, — რომ „კ ა პ ი ტ ა ლ ი ს მ ო გ ე ბ ა არის მხოლოდ სხვა სახელწოდება დ ა გ რ ო ვ ი ლ ი შ რ ო მ ი ს ხ ე ლ ფ ა ს ი ს აღსანიშნავად“ — კ. მარქსი შენიშნავს — „ე. ი. სხვა სახელწოდება ხელფასისათვის, რომელსაც საქონელს უხდიან იმ მომსახურებისათვის, რასაც იგი ასრულებს როგორც ს ა ხ მ ა რ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა წარმოების პროცესში“ [215].

შემდეგ, მოკლედ ეხება რა კრიტიკულად ინგლისელ ბურჟუაზიულ ეკონომისტებს ე. გ. უ ე ი კ ფ ი ლ დ ს და პ. ჯ. ს ტ ი რ ლ ი ნ გ ს, კ. მარქსი ამავე მეოცე (20) თავის დასასრულს გვაძლევს ინგლისელი ბურჟუაზიული ეკონომისტის, პოლიტიკური ეკონომიის კლასიკური სკოლის ეპიგონის, ჯ ო ნ ს ტ ი უ ა რ ტ მ ი ლ ი ს (1806—1873) შეხედულებათა კრიტიკულ დახასიათებას. ჯ. სტ. მილი უნაყოფოდ ცდილობდა უშუალოდ გამოეყვანა ღირებულების თეორიიდან რიკარდოსეული დებულება მოგების ნორმასა და ხელფასის სიდიდეს შორის უკუპროპორციულობის შესახებ.

აქ ადგილი ჰქონდა ზედმეტი ღირებულების ნორმის არევას მოგების ნორმაში, „გასხვისებით მიღებული მოგების“ კონცეფციის ელემენტებს [216].

მოყავს რა ჯ. სტ. მილის სიტყვები, რომ „...კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ა ნ ა ზ ღ ა უ რ ე ბ ა ს ხ ვ ა ს ა რ ა ფ ე რ ს ნ ი შ ნ ა ვ ს, თ უ ა რ ა დ ა ხ ა რ ჯ უ ლ შ რ ო მ ა ზ ე გ ა ც ე მ უ ლ ი ხ ე ლ ფ ა ს ი ს ა ნ ა ზ ღ ა უ რ ე ბ ა ს“, — კ. მარქსი შენიშნავს — ეს უკვე თავისთავად არასწორია, ვინაიდან დახარჯული შრომა და გაცემული ხელფასი სრულიადაც არ არის ერთი და იგივე. პირიქით, დახარჯული შრომა უდრის ხელფასისა და მოგების ჯამს. კაპიტალის ანაზღაურება ნიშნავს ანაზღაურებას როგორც ფასგადახდილი შრომის (ხელფასის), ისე კაპიტალისტის მიერ ფასგადაუხდელი, მაგრამ მის მიერ გაყიდული შრომის (მოგების) ანაზღაურებას [217].

ჯ. სტ. მილი აქ ერთმანეთში ურევს — წერს კ. მარქსი — „დახარ-

---

[214] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 221.

[215] ი ქ ვ ე, გვ. 222.

[216] ი ქ ვ ე, გვ. 227.

[217] ი ქ ვ ე, გვ. 228.

ჯულ შრომას“ და დახარჯული შრომის ამ ნაწილს, რომელშიც ფასს იხდის ამ შრომის გამომყენებელი კაპიტალისტი, მაგრამ ეს არევა თავისთავად არ ლაპარაკობს სასარგებლოდ მის მიერ რიკარდოსეული თეორიის გაგებისა, რომლის სახელითაც იგი გამოდის [218].

ჯ. სტ. მილი — აღნიშნავს კ. მარქსი — არ ასხვავებს ზედმეტ ღირებულებას მოგებისაგან. ამავე დროს ჯ. სტ. მილს სურს — წერს კ. მარქსი — გამოიყვანოს მოგების ნორმის კანონები უშუალოდ რიკარდოსეული კანონიდან იმის შესახებ, რომ „მოგება დამოკიდებულია ხელფასზე, იგი დიდდება ხელფასის დაცემის დროს და ეცემა ხელფასის გადიდების დროს“, — ამ რიკარდოსეული დებულებიდან, სადაც რიკარდო ერთმანეთში ურევს ზედმეტ ღირებულებას და მოგებას [219].

მილისათვის არ იყო მთლიანად ნათელი ის საკითხიც, რომლის გადაწყვეტას იგი ცდილობდა, რის გამოც თვითონ კ. მარქსი იძლევა მისი საკითხის მოკლე ფორმულირებას. მოგების ნორმა არის ზედმეტი ღირებულების შეფარდება — წერს კ. მარქსი — ავანსებული კაპიტალის (მუდმივი და ცვალებადი კაპიტალი ერთად აღებული) მთელ ჯამთან, მაშინ როდესაც თვით ზედმეტი ღირებულება არის გადანამეტი იმ შრომის რაოდენობისა, რასაც მუშა ასრულებს, შრომის იმ რაოდენობაზე, რაც მან მიიღო ავანსად ხელფასის სახით; ე. ი. ზედმეტი ღირებულება განიხილება მხოლოდ ცვალებადი, ანუ ხელფასზე დახარჯული, კაპიტალის და არა მთელი კაპიტალის მიმართ. ამიტომ ზედმეტი ღირებულების ნორმა და მოგების ნორმა წარმოადგენენ ორ სხვადასხვა ნორმას, თუმცა მოგება არის მხოლოდ sub certa specie (გარკვეული თვალსაზრისით — რედ.) განხილული ზედმეტი ღირებულება [220].

ზედმეტი ღირებულების ნორმის შესახებ სწორია იმის მტკიცება, რომ იგი „დამოკიდებულია“ მხოლოდ „ხელფასზე, დიდდება ხელფასის დაცემის დროს და ეცემა ხელფასის გადიდების დროს“. ზედმეტი ღირებულების ჯამის შესახებ — აღნიშნავს კ. მარქსი — ეს მტკიცება არ იქნებოდა სწორი, რადგან იგი ერთდროულად დამოკიდებულია არა მარტო იმ ნორმაზე, რომლითაც თითოეული

---

[218] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 228.

[219] ი ქ ე ე.

[220] ი ქ ვ ე, გვ. 229.

მუშის ზედმეტი შრომის მითვისება ხდება. არამედ აგრეთვე იმავეროულად ექსპლუატირებული მუშების რიცხვზეც [221].

რადგან მოგების ნორმა არის ზედმეტი ღირებულების შეფარდება მთელი ავანსებული კაპიტალის ერთობლივ ღირებულებასთან, ამიტომ იგი განისაზღვრება ზედმეტი ღირებულების დაცემით ან გადიდებით, ე. ი. ხელფასის გადიდებით ან დაცემით; მაგრამ — შენიშნავს კ. მარქსი — გარდა ამ განსაზღვრისა, მოგების ნორმა მოიცავს კიდევ ისეთ განსაზღვრებს, რომელნიც ხელფასის გადიდებაზე თუ დაცემაზე არ არიან დამოკიდებული და არც შეიძლება უშუალოდ ამაზე დაყვანილი იქნენ [222].

ჯ. სტ. მილი, — წერს კ. მარქსი — ერთი მხრივ უშუალოდ აიგიცებდა რიკარდოსთან ერთად მოგებას და ზედმეტ ღირებულებას, ხოლო მეორე მხრივ (ანტირიკარდოელებთან წინააღმდეგ პოლემიკაში) მას მოგების ნორმა ესმოდა არა რიკარდოსეული აზრით, არამედ მისი ნამდვილი მნიშვნელობით, როგორც ზედმეტი ღირებულების შეფარდება მთელი ავანსებული კაპიტალის ერთობლივ ღირებულებასთან (ცვალებადის პლუს მუდმივი). იგი წვალობდა იმის დასამტკიცებლად, რომ მოგების ნორმა უშუალოდ განისაზღვრება კანონით, რომელიც ზედმეტ ღირებულებას განსაზღვრავს და გამოიხატება ისაში, რომ რაც უფრო ნაკლებია ის ნაწილი, რასაც მუშა მიითვისებს თავისი სამუშაო დღიდან, მით უფრო მეტია ის ნაწილი, რომელიც ხვდება კაპიტალისტს და vice versa (პირიქით — რედ.), მაგრამ თვით მისთვის არ იყო ნათელი, რა პრობლემის გადაწყვეტა სურდა, ხოლო მას რომ სწორად ჩამოეყალიბებინა თვით პრობლემა — შენიშნავს კ. მარქსი — „მაშინ არ შეეძლო მოეცა მისი ა მ გ ვ ა რ ი მ ც დ ა რ ი გადაწყვეტა“ [223].

ამის შემდეგ კ. მარქსი ღრმად კრიტიკულად ავლენს ჯ. სტ. მილის მთელ რიგ მცდარ დებულებებს აღნიშნულ და სხვა საკითხებში [224]. მეოცე თავის დასასრულს კ. მარქსი დაასკვნის, რომ რი-

---

[221] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 229.

[222] ი ქ ვ ე.

[223] ი ქ ვ ე, გვ. 229, 230.

[224] უკანასკნელი უაზრობა — წერს კ. მ ა რ ქ ს ი, — დაყვანილია იმ წარმოდგენაზე „გასხვისებით მიღებული მოგების“ შესახებ, რომელიც აქ ესოდენ აბსურდულად მხოლოდ იმიტომ წარმოგვიდგება, რომ მოგება უნდა შექმნას არა ფულში გამოხატულმა ნომინალურმა ღირებულებამ, არამედ თვით გაყიდული პროდუქტის ამა თუ იმ ნაწილმა. ამით, მაშასადამე ბ-ნმა მილმა — შენიშნავს კ. მარქსი — რიკარდოს დაცვის სურვილით უარყო მისი ძირითადი შეხედულება

კარდოს სკოლის მთელი გადმოცემა გვიჩვენებს, რომ ამ სკოლის დამლა ხდება ორი პუნქტის მიხედვით:

1) „გაცვლა კაპიტალისა და შრომას შორის ღირებულების კანონის შესაბამისად.

2) მოგების საერთო ნორმის წარმოქმნა. ზედმეტი ღირებულების და მოგების გაიგივება. ღირებულებებსა და ხარჯთფასებს შორის დამოკიდებულების გაუგებლობა“ [225].

ღ. იგი აღმოჩნდა გაცილებით უფრო ჩამორჩენილი დ. რიკარდოზე, ა. სმიტზე და ფიზიოკრატებზე.

ჯ. სტ. მილის პირველი ცდა — დაიცვას რიკარდოსეული მოძღვრება — შენიშნავს კ. მარქსი — მაშასადამე მდგომარეობს იმაში, რომ იგი იმთავითვე უკუაგდებს მის იმ ძირითად პრინციპს, რომ მოგება შეადგენს საქონლის ღირებულების მხოლოდ ნაწილს, ე. ი. მხოლოდ იმ ნაწილს საქონელში მოთავსებული სამუშაო დროისა, რომელსაც კაპიტალისტი თავის პროდუქტთან ერთად ყიდის, მაგრამ რომელშიც მან მუშას ფასი არ გადაუხადა. მილის მიხედვით, კაპიტალისტი მუშას უნაზღაურებს მთელ მის სამუშაო დღეს და მიუხედავად ამისა, მაინც მოგებას ღებულობს (იქვე, გვ. 241).

[225] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 282.

§ 4. „ზედმეტი ღირებულების თეორიების“

(„კაპიტალის“ IV ტომის)

მესამე ნაწილის მოკლე შინაარსი

(დასასრული)

„ზედმეტი ღირებულების თეორიების“ ოცდამეერთე თავში (21) კ. მარქსი შესანიშნავად, ღრმა მეცნიერულად ახასიათებს პოლიტიკ-ეკონომების პროლეტარულ მოწინააღმდეგეთა შეხედულებებს, რომლებიც რიკარდოსეული თეორიიდან გამოდიოდნენ.

პოლიტიკური ეკონომიის რიკარდოსდროინდელ პერიოდში — წერს კ. მარქსი — ჩვენ წინაშე გამოდიან ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის მოწინააღმდეგენიც — კომუნიზმი (ოუენი) და სოციალიზმი მისი განვითარების ყველაზე დაწყებით სტადიაში (ფურიე, სენ-სიმონი), მაგრამ კ. მარქსი აქ განიხილავს თავისი გეგმის შესაბამისად მხოლოდ იმ მოწინააღმდეგეებს, რომელნიც თვითონ გამოდიან პოლიტიკ-ეკონომების წანამძღვრებიდან; ყველა ისინი გამოდიან მართლაც რიკარდოსეული ფორმიდან [1].

ფ. ენგელსი აღნიშნავს, იმ ვრცელ ლიტერატურას, „რომელმაც ოციან წლებში რიკარდოს ღირებულების და ზედმეტი ღირებულების თეორია კაპიტალისტური წარმოების წინააღმდეგ პროლეტარიატის ინტერესების სასარგებლოდ მოაბრუნა და ბურჟუაზიას მისივე საკუთარი იარაღით ებრძოდა“ [2].

კ. მარქსი პირველად კრიტიკულად განიხილავს პამფლეტს „The Source and Remedy of the National Difficulties, deduced from Principles of Political Economy, in a letter to Lord John Russel“, London, 1821, (ავტორის დასახელების გარეშე)— „ეროვ-

---

[1] კ. მარქსი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 293.

[2] ფ. ენგელსი, „წინასიტყვაობა (1885 წ.), იხ. კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. II, თბ., 1957, გვ. 15.

ნულ სიძნელეთა წყარო და გადაწყვეტა, გამოყვანილი პოლიტიკური ეკონომიის ძირითადი დებულებებიდან წერილი ლორდ ჯონ რასელს. ლონდონი. 1821. (ეს ნაკლებად ცნობილი პამფლეტი მოცულობით 40 გვერდამდე) წარმოადგენს—წერს კ. მარქსი—არსებითად წინ გადადგმულ ნაბიჯს რიკარდოსთან შედარებით. აქ არის გადმოცემული შეხედულება მოგებაზე, რენტაზე და სარგებელზე, როგორც მუშების ზედმეტ შრომაზე. დახასიათებულია თანაფარდობა კაპიტალის დაგროვებასა და ე. წ. „სამუშაო ფონდს" შორის. ზედმეტ ღირებულებას ანუ „მოგებას", — წერს კ. მარქსი — როგორც მას უწოდებს რიკარდო (იგი მას ხშირად უწოდებს აგრეთვე „ზედმეტ პროდუქტს"), ანუ „სარგებელს", როგორც მას პამფლეტის ავტორი უწოდებს, — ეს ავტორი პირდაპირ ახასიათებს როგორც „ზედმეტ შრომას", შრომას, რომელსაც მუშა ასრულებს უსასყიდლოდ. რამდენადაც მნიშვნელოვანი იყო ღირებულების დაყვანა შრომაზე, იმდენადვე მნიშვნელოვანი იყო ზედმეტ პროდუქტში წარმოდგენილი ზედმეტი ღირებულების დაყვანა ზედმეტ შრომაზე [3].

არსებითად ეს იყო ნათქვამი — შენიშნავს კ. მარქსი — უკვე ა სმიტის მიერ და შეადგენს ერთ-ერთ მთავარ მომენტს იმისა, რაც მოგვცა რიკარდომ. მაგრამ დ. რიკარდოსთან ეს არსად არ არის გამოთქმული და ფიქსირებული აბსოლუტური ფორმით [4].

თუ რიკარდოსი და სხვა პოლიტიკ-ეკონომების ინტერესები მხოლოდ ის იყო — წერს კ. მარქსი — რომ გაეგოთ კაპიტალისტური წარმოების ურთიერთობანი და გამოეცხადებინათ ისინი წარმოების აბსოლუტურ ფორმებად, ეს პამფლეტი და ამავე კატეგორიის დანარჩენი თხზულებანი, ეუფლებიან რიკარდოს და სხვა პოლიტიკ-ეკონომების მიერ გამომჟღავნებულ კაპიტალისტური წარმოების საიდუმლოებებს, რათა სამრეწველო პროლეტარიატის პოზიციებიდან გაილაშქრონ კაპიტალისტური წარმოების წინააღმდეგ [5]. მოყავს რა ამ პამფლეტის ავტორის სიტყვები, რომ „რამდენიც არ უნდა ერგებოდეს წილად კაპიტალისტს" (კაპიტალის თვალსაზრისით), „მას შეუძლია მიიღოს მხოლოდ მუშის ზედმეტი შრომა, რადგან მუშამ უნდა იარსებოს" — კ. მარქსი შენიშნავს: ცხოვრების ეს აუცილებელი პირობე-

---

[3] კ. მარქსი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 283, 284.

[4] იქვე, გვ. 284.

[5] იქვე.

ბი, ეს მინიმუმი, რომლითაც მუშას შეუძლია იარსებოს, ამიტომ ზედმეტი შრომის რაოდენობაც, რომლის გამოწურვაც მისგან შეიძლება, წარმოადგენს მართლაც რაღაც მეტად შეფარდებითს[6].

აქ მოგება და ა. შ. პირდაპირ დაყვანილია — შენიშნავს კ. მარქსი — ისეთი სამუშაო დროის მითვისებაზე, რომელშიც მუშა არ იღებს არავითარ ეკვივალენტს. შემდეგ იმავე ავტორის სიტყვებზე: — „საერთოდ აღიარებულია, რომ, სარგებელს, რომელსაც კაპიტალისტებს უხდიან, რენტის ფორმა იქნება ეს, სესხის სარგებლის თუ მეწარმის მოგების ფორმით, სხვების შრომიდან იხდიან“ — კ. მარქსი წერს: „მაშასადამე, რენტა, სესხის სარგებელი, მეწარმის მოგება მხოლოდ სხვადასხვა ფორმაა იმ „კაპიტალის სარგებლისა“, რომელიც, თავის მხრივ, „მუშის ზედმეტ შრომაზე“ დაიყვანება, ეს ზედმეტი შრომა წარმოდგენილია ზედმეტ პროდუქტში. კაპიტალისტი ზედმეტი შრომის ანუ ზედმეტი პროდუქტის მფლობელია. ზედმეტი პროდუქტი არის კაპიტალი“[7].

რიგი შენიშვნების შემდეგ, კ. მარქსი აღნიშნავს ამ პამფლეტის ავტორის მიერ დაყენებული საკითხების მნიშვნელობას საგარეო ვაჭრობის როლის შესახებ კაპიტალისტურ საზოგადოებაში და „თავისუფალი დროის“, როგორც ნამდვილი სიმდიდრის შესახებ. პამფლეტის ავტორი იზიარებს რიკარდოს მოძღვრებას საგარეო ვაჭრობაზე. რიკარდოსთან ეს მოძღვრება მიმართულია, — აღნიშნავს კ. მარქსი — მხოლოდ მისი ღირებულების თეორიის დამტკიცებაზე. პამფლეტში კი ხაზგასმულია, რომ აგრეთვე საგარეო ვაჭრობის შე-

---

[6] კ. მარქსი, „ზედმეტი ღირებელების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 284.

აქვე კ. მარქსის მიერ მოყვანილია ამ ავტორის შემდეგი სიტყვები: „თუ მუშა შეიძლება იქამდე მიიყვანო, რომ იგი პურის ნაცვლად კარტოფილით ისაზრდოებს, მაშინ უდაოდ სწორია, რომ ასეთი მდგომარეობის დროს მისი შრომიდან უფრო მეტის ამოქაჩვა შეიძლება; ე. ი. თუ პურით კვებისას იგი იძულებული იყო საკუთარი თავისა და თავისი ოჯახის შესანახად ორშაბათისა და სამშაბათის შრომა დეხარჯა, მაშინ კარტოფილით საზრდოობისას მას დასჭირდება ამისთვის მხოლოდ ორშაბათის ნახევარი, ხოლო ორშაბათის მეორე ნახევარი და მთელი სამშაბათი განთავისუფლდება სახელმწიფოს სასარგებლოდ ანდა კაპიტალისტისათვის“ (იქვე, გვ. 285).

[7] იქვე, გვ. 285. „კაპიტალის სარგებელში“ პამფლეტის ავტორი გულისხმობს იმას, რასაც კ. მარქსი უწოდებს ზედმეტ ღირებულებას, მაგრამ აქ პამფლეტის ავტორი ზედმეტი ღირებულების ნორმას ურეეს მოგების ნორმაში (რედ. იქვე, გვ. 665).

დეგებშიც განსახიერებულია არა მარტო ეროვნული შრომა, არამედ ეროვნული ზედმეტი შრომაც[8].

მხოლოდ საგარეო ვაჭრობა, ბაზრის განვითარება მსოფლიო ბაზრად, — წერს კ. მარქსი — აქცევს ფულს მსოფლიო ფულად და აბსტრაქტულ შრომას საზოგადოებრივ შრომად. აბსტრაქტული სიმდიდრე, ღირებულება, ფული—მაშასადამე აბსტრაქტული შრომა-- ვითარდება იმ ზომით, რა ზომითაც კონკრეტული შრომა გადაქცევა მსოფლიო ბაზრის მომცველ შრომის სხვადასხვა სახეობათა ერთობლიობად. კაპიტალისტური წარმოება ემყარება ღირებულებას. მაგრამ ეს შესაძლებელია მხოლოდ საგარეო ვაჭრობისა და მსოფლიო ბაზრის საფუძველზე. ამრიგად, საგარეო ვაჭრობა და მსოფლიო ბაზარი არის კაპიტალისტური წარმოების როგორც წანამძღვარი, ისე შედეგიც[9].

განხილული პამფლეტი — აღნიშნავს კ. მარქსი — არ არის თეორიული გამოკვლევა. ეს პროტესტია იმ ყალბი მიზეზების წინააღმდეგ, რომელთაც მიაწერდნენ პოლიტიკ-ეკონომები მაშინდელ გაჭირვებასა და „ეროვნულ სიძნელეებს". ამიტომ აქ არ არის პრეტენზიები, რომ ზედმეტი ღირებულების როგორც ზედმეტ შრომად გაგებამ განაპირობოს ეკონომიური კატეგორიების მთელი სისტემის საერთო კრიტიკა. ავტორი პირიქით — წერს კ. მარქსი -- დგას რიკარდოსეული სისტემის ნიადაგზე, და მხოლოდ თანმიმდევრულად აკეთებს იმ დასკვნას, რომელიც მოცემულია თვით ამ სისტემაში და იყენებს მას მუშათა კლასის ინტერესებისათვის კაპიტალის წინააღმდეგ[10]. დანარჩენში — შენიშნავს კ. მარქსი — ავტორი იმყოფება იმ ეკონომიური კატეგორიების ტყვეობაში, რომელნიც მან ნახა თავის წინამორბედებში. როგორც რიკარდო ზედმეტი ღირებულებისა და მოგების არევას მიჰყავს არასასიამოვნო წინააღმდეგობამდე, ისე ეს ავტორიც ასეთსავე წინააღმდეგობამდე მიჰყავს იმას, რომ მან ზედმეტი ღირებულება მონათლა კაპიტალის სარგებლის სახელით[11].

მართალია იგი დგას რიკარდოზე მაღლა იმ მხრივ, — წერს კ. მარქსი — რომ მას დაყავს ყოველი ზედმეტი ღირებულება ზედმეტ შრომაზე, აგრეთვე, თუმცა იგი უწოდებს ზედმეტ ღირებულებას კაპიტალის სარგებელს, მაგრამ ამასთან ხაზს უსვამს, რომ კაპიტა-

---

[8] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 301.

[9] ი ქ ვ ე, გვ. 302.

[10] ი ქ ვ ე, გვ. 302, 303.

[11] ი ქ ვ ე, გვ. 303.

ლის სარგებელი მას ესმის როგორც ზედმეტი შრომის საერთო ფორმა განსხვავებით მისი განსაკუთრებული ფორმებისგან — რენტისა, სესხის სარგებლისა და მეწარმის მოგებისაგან.

ამრიგად, იგი (პამფლეტის ავტორი) განასხვავებს — აღნიშნავს კ. მარქსი—ზედმეტი შრომის თუ ზედმეტი ღირებულების საერთო ფორმას მათი განსაკუთრებული ფორმებისაგან, რასაც არ აკეთებენ დ. რიკარდო და ა. სმიტი, ყოველ შემთხვევაში არ აკეთებენ შეგნებულად და თანმიმდევრულად. მაგრამ ამ განსაკუთრებული ფორმებიდან ერთის სახელწოდებას, სარგებელს, იგი კვლავ იღებს, როგორც საერთო ფორმის სახელწოდებას, მაგრამ ეს საკმარისია იმისათვის, რომ კვლავ ჩავარდეს ეკონომიურ აბდაუბდაში [12].

მოყავს რა ავტორის სიტყვები, რომ „ერი ნამდვილად მდიდარია მხოლოდ მაშინ, როცა კაპიტალის გამოყენებისათვის არავითარ სარგებელს არ იხდიან, როცა 12 საათის ნაცვლად მხოლოდ 6 საათს მუშაობენ. სიმდიდრე არის მ უ შ ა ო ბ ი ს ა გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი დ რ ო და მეტი არაფერი". — კ. მარქსი აღნიშნავს, რადგან აქ „სარგებლად" იგულისხმება ყოველგვარი ფორმა ზედმეტი ღირებულებისა (მოგება, რენტა, სესხის სარგებელი), და რადგან კაპიტალი პამფლეტის ავტორის თანახმად არის დაგროვილი შრომა, რომელსაც შეუძლია მიიღოს ზედმეტი შრომაც, ამიტომ, მისი აზრით, გამოთქმა „კაპიტალი სარგებელს არ იძლევაო" ნიშნავს: არ არსებობს არავითარი კაპიტალი, არ არსებობს არც ზედმეტი პროდუქტი, არც ზედმეტი შრომა, მხოლოდ მაშინ არის ერი ნამდვილად მდიდარი; მაგრამ ეს შეიძლება ნიშნავდეს: არ არსებობს არც პროდუქტი, არც შრომა იმ პროდუქტისა და იმ შრომის გადამეტებით, რომლებიც საჭიროა მუშების კვლავწარმოებისათვის. ანდა: მუშები თვითონ ისაკუთრებენ ამ გადანამეტს (პროდუქტის გადანამეტს თუ შრომისა). მაგრამ ავტორს რომ მხედველობაში არამარტო ეს უკანასკნელი აქვს, —აღნიშნავს კ. მარქსი—ნათლად ჩანს იქიდან, რომ იგი დებულებასთან „არავითარი სარგებელი კაპიტალის სარგებლობისათვის" აერთებს შემდეგ დებულებებს: „ერი ნამდვილად მდიდარია, მხოლოდ მაშინ, როცა 12 საათის ნაცვლად მხოლოდ 6 საათს მუშაობენ". „ს ი მ დ ი დ რ ე ა რ ი ს მ უ შ ა ო ბ ი ს ა გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი დ რ ო და მ ე ტ ი ა რ ა ფ ე რ ი" [13], — ეს კი შეიძლება ნიშნავდეს წერს კ. მარქსი—შემდეგს: თუ ყველამ უნდა იმუშაოს, თუ მოხსნილია დაპირისპირებულობა გადაჭარბებით მომუშავეთა და უსაქმურთა შო-

---

[12] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 303.

[13] ი ქ ვ ე, გვ. 304, 305.

რის, რაც იქნებოდა იმის შედეგი, რომ კაპიტალი აღარ იარსებებდა, და თუ მხედველობაში მივიღებთ საწარმოო ძალების განვითარებას ისე, როგორც იგი შექმნილია კაპიტალის მიერ, — მაშინ საზოგადოება 6 საათში აწარმოებს პროდუქტთა აუცილებელ სიუხვეს, აწარმოებს ამ 6 საათის განმავლობაში უფრო მეტს, ვიდრე ახლა აწარმოებს 12 საათში, და ამასთანავე ყველას ექნება 6 საათი „მუშაობისაგან თავისუფალი დრო", ე. ი. ყველას ექნება ნამდვილი სიმდიდრე — ისეთი დრო, რომელიც არ შთაინთქმება უშუალოდ პროდუქტიული შრომის მიერ; არამედ ისეთი დრო, რომელიც დარჩება თავისუფალი სიამოვნებისათვის, გართობისათვის, რის შედეგადაც ფართო გასაქანი მიეცემა თავისუფალ მოქმედებას და განვითარებას [14].

დრო — ეს გასაქანია ნიჭის და ა. შ. განვითარებისათვის. ცნობილია, — შენიშნავს კ. მარქსი — რომ თვით პოლიტიკ-ეკონომები დაქირავებული მუშების მონურ შრომას იმით ამართლებენ, რომ ეს შრომა ქმნის გართობის საშუალებას, თავისუფალ დროს სხვებისათვის, და ამით დაქირავებული მუშების საზოგადოებისათვისაც (მთლიანად) [15].

ანდა — წერს კ. მარქსი — პამფლეტის ავტორის ზემოთ აღნიშნულ სიტყვებს შეიძლება ჰქონდეს ასეთი აზრიც, რომ მუშები ახლა მუშაობენ 6 საათს იმის გადამეტებით, რაც ახლა საჭიროა მათი საკუთარი კვლავწარმოებისათვის. მაგრამ ასეთი არ უნდა იყოს პამფლეტის ავტორის შეხედულება, რადგან იმას, რაც ახლა სჭირდება მუშებს, იგი გვისახავს როგორც არაადამიანურ მინიმუმს [16].

თუ კაპიტალი აღარ იარსებებს, მაშინ ისინი (მუშები) იმუშავებენ უკვე მხოლოდ 6 საათს, — წერს კ. მარქსი — და უსაქმურებმაც უნდა იმუშაონ ამდენივე. მატერიალური სიმდიდრე ამით ყველასათვის დაყვანილი იქნებოდა მუშების დონემდე, მაგრამ ყველას ექნებოდა თავისუფალი დრო თავისი განვითარებისათვის [17].

პამფლეტის ავტორისათვის, — შენიშნავს კ. მარქსი — ეს ცხადია, ნათელი არ არის, მაგრამ მიუხედავად ამისა, ყოველ შემთხვევაში რჩება ეს მშვენიერი თეზისი:

„ერი ნამდვილად მდიდარია მაშინ, როცა 12 საათის ნაცვლად

---

[14] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 305.

[15] ი ქ ვ ე.

[16] ი ქ ვ ე.

[17] ი ქ ვ ე.

6 საათს მუშაობენ. სიმდიდრე არის მუშაობისაგან თავისუფალი დრო და მეტი არაფერი"[18]. ასევე დ. რიკარდოც — წერს კ. მარქსი — აღნიშნავს, რომ ნამდვილი სიმდიდრე მდგომარეობს იმაში, რომ იქმნება რაც შეიძლება ნაკლები ღირებულების შემცველი, რაც შეიძლება მეტი სახმარი ღირებულება, ე. ი. რაც შეიძლება ნაკლებ სამუშაო დროში იქმნება მატერიალური სიმდიდრის რაც შეიძლება მეტი სიუხვე. აქაც ასევე „მუშაობისაგან თავისუფალი დრო" და სარგებლობა იმით, რაც შექმნილია სხვების სამუშაო დროის განმავლობაში, წარმოგვიდგება, როგორც ჭეშმარიტი სიმდიდრე, მაგრამ — შენიშნავს კ. მარქსი — როგორც ყველაფერი კაპიტალისტურ წარმოებაში და ამიტომ ამ წარმოების განმმარტებელთა ნაწერებშიც, — ანტაგონიზმის ფარგლებში[19].

სიმდიდრისა და ღირებულების დაპირისპირებულობა — აღნიშნავს კ. მარქსი — გამოდის რიკარდოსთან იმ ფორმით, რომ წმინდა პროდუქტი უნდა იყოს რაც შეიძლება მეტი მთლიან პროდუქტთან შედარებით. ეს კი — კვლავ ანტაგონისტური ფორმით — ნიშნავს, რომ საზოგადოების ის კლასები, რომელთა დროც მხოლოდ ნაწილობრივ ან სრულიად არ არის შთანთქმული მატერიალური წარმოების მიერ, თუმცა ისინი სარგებლობენ ამ მატერიალური წარმოების ნაყოფით, უნდა იყვნენ უფრო მრავალრიცხოვანნი იმ კლასებთან შედარებით, რომელთა დროც მთლიანად შთანთქმულია მატერიალური წარმოების მიერ და რომელთა მოხმარება შეადგენს მხოლოდ პირობას იმისათვის, რომ ისინი იყვნენ ასეთი „სასაპალნე ცხოველები" მაღალი კლასებისათვის[20]. ეს მაინც იმის სურვილს ნიშნავს — შენიშნავს კ. მარქსი, — რომ „საზოგადოების რაც შეიძლება მცირე ნაწილი იყოს განწირული მონური შრომისათვის, იძულებითი შრომისათვის. და ეს არის ის ყველაზე მაღალი რამ, რასაც კაპიტალისტურ თვალსაზრისზე მდგომნი აღწევენ"[21].

---

[18] კ. მარქსი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 306.

კ. მარქსი წერს: „Der Verfasser ist sich offenbar selbst nicht klar. Nevertheless bleibt immer der schöne Satz:

„Eine Nation ist wirklich reich, wenn 6 statt 12 Stunden gearbeitet wird. Wealth is disposable time, and nothing more". (Karl Marx. „Theorien über den Mehwert (Vierter Band des „Kapitals"), Dritter Teil, Berlin, 1972, S. 252).

[19] იქვე.

[20] იქვე.

[21] იქვე.

ამას პამფლეტის ავტორი უარყოფს. სამუშაო დრო, — წერს კ. მარქსი — მაშინაც კი როდესაც საცვლელი ღირებულება აღარ იქნება, მუდამ დარჩება სიმდიდრის შემქმნელ სუბსტანციად და მისი წარმოებისათვის საჭირო ხარჯების საზომად. მაგრამ მუშაობისაგან თავისუფალი დრო — შენიშნავს კ. მარქსი — თვით არის სიმდიდრე: ნაწილობრივ პროდუქტების მოხმარების, ნაწილობრივ თავისუფალი მოქმედებისათვის, რომელიც არ განისაზღვრება, შრომის მსგავსად, განსახორციელებელი გარეგანი მიზნის ზეგავლენით, რომლის განხორციელებაც წარმოადგენს ბუნებრივ აუცილებლობას ან სოციალურ მოვალეობას[22]. აქვე კ. მარქსი გვაძლევს მომავალ, კომუნისტურ, სოციალური ანტაგონიზმების გარეშე საზოგადოებაში სამუშაო დროის ბრწყინვალე დახასიათებას:

თავისთავად ცხადია, რომ თვით სამუშაო დრო — აღნიშნავს კ. მარქსი — იმით რომ „იგი შეზღუდული იქნება ნორმალური საზომით, შემდეგ, რომ იგი დაიხარჯება უკვე არა სხვისთვის, არამედ თვით ჩემთვის, — მეპატრონეებსა და მუშებს შორის არსებული სოციალური ანტაგონიზმების და ა. შ. მოსპობასთან ერთად მიიღებს, როგორც ნამდვილი სოციალური შრომა და, ბოლოს, როგორც ბაზისი თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი დ რ ო ი ს ა თ ვ ი ს, სრულიად სხვა, უფრო თავისუფალ ხასიათს და რომ ისეთი ადამიანის ს ა მ უ შ ა ო დ რ ო ს, რომელიც ამასთან ერთად არის ადამიანი, რომელსაც თავის განკარგულებაში თავისუფალი დრო აქვს, უნდა ექნეს გაცილებით უფრო მაღალი თვისება, ვიდრე მუშა პირუტყვის სამუშაო დროს“[23].

ამის შემდეგ კ. მარქსის მიერ კრიტიკულად არის განხილული ვ. რ ე ი ვ ნ ს ტ ო ნ ი ს, ინგლისელი ეკონომისტის — რიკარდოელის, რომელიც იცავდა პროლეტარიატის ინტერესებს, თხზულება „აზრები სახელმწიფო სესხთა სისტემისა და მისი შედეგების შესახებ“, ლონ-

---

[22] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 306, 307.

კ. მარქსი წერს: „Dies hebt der Verfasser auf. T i m e o f l a b o u r, auch wenn der Tauschwert aufgehoben, bleibt immer die schaffende Substanz des Reichstums und das Maß der K o s t, die seine Produktion erheischt. Aber free time, d i s p o s a b l e t i m e, ist der Reichtum selbst—teils zum Genuß der Produkte, teils zur free activity, die nicht wie die labour durch den Zwang eines äußren Zwecks bestimmt ist, der erfüllt werden muß, dessen Erfüllung Naturnotwendigkeit oder soziale Pflicht, wie man will“. (Karl Marx. „Theorien über den Mehrwert (Vierter Band des „Kapitals“), dritter Teil, Berlin, 1972, S. 253.

[23] ი ქ ვ ე, გვ. 307.

დონი 1824 „Thoughts on the Funding System...", — დახასიათებულია მისი შეხედულება კაპიტალზე როგორც მუშების ზედმეტ პროდუქტზე, აღნიშნულია კაპიტალისტური განვითარების ანტაგონისტური ფორმის შერევა თვით მის შინაარსში, აქედან გამომდინარე უარყოფითი დამოკიდებულება საწარმოო ძალების კაპიტალისტური განვითარების ნაყოფისადმი [24].

ეს — აღნიშნავს კ. მარქსი — უაღრესად შესანიშნავი თხზულებაა.

ზემოთ აღნიშნული ავტორი პამფლეტისა „The Source and Remedy..." განიხილავს — წერს კ. მარქსი — ზედმეტ ღირებულებას მის პირველადს ფორმაში, ზედმეტი შრომის ფორმაში, რის გამოც მის ძირითად თვალსაზრისს შეადგენს სამუშაო დროს ხანგრძლივობა. ამასთან, ზედმეტ შრომას, ანუ ზედმეტ ღირებულებას იგი განიხილავს უმთავრესად მათს აბსოლუტურ ფორმაში, სამუშაო დროის იმ დროის საზღვრებს იქით გაგრძელების ფორმაში, რომელიც აუცილებელია თვით მუშის კელავწარმოებისათვის, და არა შრომის საწარმოო ძალთა განვითარების მეშვეობით აუცილებელი შრომის შემოკლების ფორმაში [25].

ამ აუცილებელი შრომის შემოკლება წარმოადგენს დ. რიკარდოს ძირითად თვალსაზრისს — აღნიშნავს კ. მარქსი — მაგრამ იმ სახით, როგორც ეს ხდება კაპიტალისტური წარმოებისას, როგორც საშუალება კაპიტალის წილხვედრი სამუშაო დროის გაგრძელებისა. ამის საპირისპიროდ პამფლეტის ავტორი საბოლოო მიზნად აცხადებს სამუშაო დროის შემოკლებას მწარმოებელთათვის და მუშაობის შეწყვეტას ზედმეტი პროდუქტის მფლობელთათვის [26].

რეივნსტონი — წერს კ. მარქსი — ჩანს სამუშაო დღეს მოცემულად გულისხმობს, ამიტომ მისი მსჯელობის მთავარ საგანს შეადგენს შეფარდებითი ზედმეტი ღირებულება, ანუ ის ზედმეტი პროდუქტი, რომელიც წილად ხვდება კაპიტალს შრომის საწარმოო ძალის განვითარების შედეგად. ზედმეტი შრომა განიხილება აქ მეტწილად ზედმეტი პროდუქტის ფორმაში, მაშინ როდესაც პამფლეტის ავტორთან ზედმეტი პროდუქტი განიხილება მეტწილად ზედმეტი შრომის ფორმაში [27].

---

[24] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 307.

[25] ი ქ ვ ე.

[26] ი ქ ვ ე, გვ. 307, 308.

[27] ი ქ ვ ე, გვ. 308.

იმ ანტითეზისში, რომელიც რიკარდოსეულმა თეორიამ გამოიწვია თავისი საკუთარი წანამძღვრების საფუძველზე — აღნიშნავს კ. მარქსი — დამახასიათებელია შემდეგი: პოლიტიკური ეკონომია მისი განვითარების კვალობაზე, — რომელმაც ყველაზე უფრო მკაფიო გამოხატულება მიიღო რიკარდოსთან, — სულ უფრო გარკვეულად სახავდა შრომას, როგორც ღირებულების ერთადერთ ელემენტს და სახმარი ღირებულების ერთადერთ, აქტიურ შემქმნელს, საწარმოო ძალების განვითარებას — როგორც ერთადერთ საშუალებას სიმდიდრის ნამდვილი გადიდებისათვის, ხოლო შრომის საწარმოო ძალების რაც შეიძლება მეტ განვითარებას — როგორც საზოგადოების ეკონომიურ ბაზისს. ასეთია ნამდვილად კაპიტალისტური წარმოების ბაზისი [28].

მაგრამ იმდენადვე, რამდენადაც შრომა განიხილება, როგორც ერთადერთი წყარო საცვლელი ღირებულებისა და როგორც აქტიური წყარო სახმარი ღირებულებისა, სწორედ ამდენადვე „კაპიტალი" იმავე პოლიტიკ-ეკონომების მიერ, — წერს კ. მარქსი — განსაკუთრებით რიკარდოს მიერ, ხოლო მას შემდეგ კი უფრო მეტად, ტორენსის, მალთუსის, ბეილის და სხვების მიერ, განიხილება როგორც წარმოების რეგულატორი, სიმდიდრის წყარო და წარმოების მიზანი; მაშინ როდესაც შრომა გაგებულია მათ მიერ როგორც დაქირავებული შრომა, მისი მატარებელი მხოლოდ როგორც პაუპერი, ერთ-ერთი მუხლი წარმოების ხარჯებისა და წარმოების უბრალო ინსტრუმენტი, რომელიც განწირულია ხელფასის მინიმუმზე, და ამ მინიმუმზე იძულებულია დაბლა დაეცეს ყოველთვის თუ მუშები აღმოჩნდებიან კაპიტალზე „ზედმეტი" რაოდენობით [29]. ამ წინააღმდეგობაში პოლიტიკურმა ეკონომიამ—აღნიშნავს კ. მარქსი — მხოლოდ გამოთქვა კაპიტალისტური წარმოების არსი, არსი დაქირავებული შრომისა, თავისი თავისათვის გაუცხოებული შრომისა, რომელსაც მის მიერ შექმნილი სიმდიდრე უპირისპირდება როგორც უცხო სიმდიდრე, მისი საკუთარი საწარმოო ძალა — როგორც მისი პროდუქტის საწარმოო ძალა, „მისი გამდიდრება — როგორც თვითგაღარიბება, მისი საზოგადოებრივი ძალა — როგორც მასზე გაბატონებული ძალა საზოგადოებისა"[30].

---

[28] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 308.

[29] ი ქ ვ ე, გვ. 308, 309.

[30] ი ქ ვ ე, გვ. 309.

საზოგადოებრივი შრომის ამ სპეციფიკურ, ისტორიულ ფორმას, — წერს კ. მარქსი — როგორც იგი გვეელინება კაპიტალისტურ წარმოებაში, ეს პოლიტიკ-ეკონომები აცხადებენ საყოველთაო, მარადიულ ფორმად, ხოლო ამ წარმოებით ურთიერთობებს კი საზოგადოებრივი შრომის აბსოლუტურად და არა ისტორიულად აუცილებელ, ბუნებრივ და გონიერულ ურთიერთობებად.

ამრიგად, — შენიშნავს კ. მარქსი — ისინი აცხადებენ რა ერთსა და იმავე დროს სიმდიდრის ერთადერთ წყაროდ, ერთი მხრივ, შრომას ამ სიტყვის აბსოლუტური გაგებით, ვინაიდან მათთვის დაქირაველებული შრომა და შრომა იდენტურია, ხოლო მეორე მხრივ, ამავე აბსოლუტური აზრით, კაპიტალს, მუშის სიღატაკეს და ვინც არ მუშაობს იმის სიმდიდრეს, ისინი მუდამ მოძრაობენ აბსოლუტურ წინააღმდეგობებში, ყოველგვარი დაეჭვების გარეშე.

სისმონდი თავის მიხვედრით ამ წინააღმდეგობის შესახებ — შენიშნავს კ. მარქსი — ეპოქას ქმნის პოლიტიკურ ეკონომიაში [31].

მაგრამ, რადგან სინამდვილეში მოცემულმა ამ რეალურმა წინააღმდეგობებმა შემდეგ მიიღეს თავისი თეორიული და მკაფიო, თუმცაღა შეუცნობელი გამოხატულება რიკარდოს და სხვა პოლიტიკ-ეკონომების თეორიაში, ამიტომ სრულიად ბუნებრივი იყო — აღნიშნავს კ. მარქსი — რომ იმ მოაზროვნეებმა, რომლებიც პროლეტარიატის მხარეზე დადგნენ, ხელი ჩასჭიდეს მათთვის თეორიულად უკვე დამუშავებულ წინააღმდეგობას [32].

როგორც რიკარდოს — წერს კ. მარქსი — არ ესმის მის სისტემაში ჩამოყალიბებული კაპიტალისა და შრომის იგივეობა, ისევე ამ თხზულებათა ავტორებს (რიკარდოს თვალსაზრისით პროლეტარიატის ინტერესების დამცველებს) არ ესმით ის წინააღმდეგობა კაპიტალსა და შრომას შორის, რომელსაც ისინი სახავენ. ამიტომ იმათაც კი მათ შორის, ვინც ყველაზე მნიშვნელოვანია. მაგალითად ჰოდსკინი, „კაპიტალისტური წარმოების ყველა ეკონომიური წანამძღვარი თვითონ მარადიულ ფორმებად მიაჩნიათ და მხოლოდ იმის წადილი აქვთ, რომ წაშალონ კაპიტალი, ამ წანამძღვართა საფუძველი და ამასთანავე აუცილებელი შედეგი“ [33]. რეივნსტონთან — წერს კ. მარქსი — ძირითადი აზრი შემდეგია: შრომის საწარმოო ძალების განვითარება ქმნის კაპიტალს, ანუ საკუთრებას, ე. ი. ზედმეტ

---

[31] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 309.

[32] ი ქ ვ ე, გვ. 310.

[33] ი ქ ვ ე.

პროდუქტს უსაქმურთათვის. კაპიტალი სხვისი შრომის პროდუქტზე ბატონობაა. საკუთრება —რეივნსტონის მიხედვით ნიშნავს — წერს კ. მარქსი — მხოლოდ სხვისი შრომის პროდუქტის მითვისებას, ხოლო ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთვხვევაში, თუ ვითარდება პროდუქტიული შრომა, რაც რეივნსტონს ესმის ისეთ შრომად, რომელიც აწარმოებს აუცილებლობის საგნებს. კაპიტალის, ანუ საკუთრების განვითარების ერთ-ერთი შედეგია არაპროდუქტიული შრომა, „მოხმარების ინდუსტრია" [34].

რეივნსტონის მსგავსად, პამფლეტის „The source and Remedy.." ავტორის, თანახმად — აღნიშნავს კ. მარქსი — კაპიტალისა და საკუთრების გარეშე არ შეიქმნებოდა არც „კეთილმოწყობილობის საგნები", არც მანქანები, არც ფუფუნების საგნები, არ იქნებოდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა განვითარება, არც ის სულიერი პროდუქტებიც, რაც შედეგია მდიდრების მოცალებისა [35]. პამფლეტისტი და რეივნსტონი—წერს კ. მარქსი—ამბობენ ამას არა კაპიტალის გასამართლებლად, არამედ ამას ხდიან ამოსავალ წერტილად კაპიტალზე თავდასასხმელად, რადგან ყოველივე ეს ხდება მხოლოდ მუშების ინტერესების საწინააღმდეგოდ და არა მუშებისათვის. მაგრამ ამით ისინი ფაქტიურად აღიარებენ, რომ ეს არის კაპიტალისტური წარმოების შედეგი, რომ ეს წარმოება არის საზოგადოებრივი განვითარების რაღაც ისტორიული ფორმა, რომელიც თუმცა წინააღმდეგობაშია მოსახლეობის იმ ნაწილის ინტერესებთან, რომელნიც ამ განვითარების საფუძველს შეადგენენ [36]. ამ მხრივ — შენიშნავს კ. მარქსი—ისინი იზიარებენ—თუმცა საპირისპირო პოლუსებიდან — პოლიტიკ-ეკონომების შეზღუდულობას, ურევენ რა ამ განვითარების ანტაგონისტურ ფორმას, თვით მის შინაარსში. ერთნი ცდილობენ უკვდავყონ ეს ანტაგონიზმი მისი ნაყოფისათვის, მეორენი მზად არიან რათა თავი დააღწიონ ანტაგონიზმს, მსხვერპლად შეწირონ ის ნაყოფი, რომელიც აღმოცენდა ამ ანტაგონისტური ფორმის ფარგლებში [37].

ამით განსხვავდება ის გამოსვლა ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის წინააღმდეგ „ისეთი ადამიანების იმავდროული გამოს-

[34] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 310, 311. „მოხმარების ინდუსტრია" (industry of consumption) რეივნსტონს ესმის, როგორც ფუფუნების საგნების წარმოება და ყოველგვარი მომსახურება საკუთრების მფლობელთათვის (რედ. იქვე, გვ. 666.)

[35] ი ქ ვ ე, გვ. 311.

[36] ი ქ ვ ე, გვ. 311, 312.

[37] ი ქ ვ ე, გვ. 312.

ელისაგან, როგორიც ოუენია, და, მეორე მხრივ, აგრეთვე სისმონდის გამოსვლისაგან, რომელიც ხსნას იმაში ეძებს, რომ უკან უბრუნდება ანტაგონიზმის მოძველებულ ფორმებს, რათა თავი დააღწიოს მის მწვავე ფორმას" [38].

შემდეგ, ამავე (21) თავში კ. მარქსი გვაძლევს თ. ჰ ო დ ს კ ი ნ ი ს, ინგლისელი ეკონომისტის და პუბლიცისტის (რომელიც იცავდა პროლეტარიატის ინტერესებს, აკრიტიკებდა კაპიტალიზმს უტოპიური სოციალიზმის პოზიციებიდან, იყენებდა რიკარდოს თეორიას სოციალისტური დასკვნებისათვის) თხზულებათა კრიტიკულ განხილვას:

1) „შრომის დაცვა კაპიტალის პრეტენზიებისაგან, ანუ კაპიტალის არაპროდუქტიულობის დამტკიცება. შენიშვნებით დაქირავებულ მუშებს შორის ახლანდელ გაერთიანებათა შესახებ. მუშის თხზულება" ლონდონი, 1825 „Labour Defended against...".

2) „სახალხო პოლიტიკური ეკონომია. ლონდონის მუშათა სკოლაში წაკითხული ოთხი ლექცია". ლონდონი, 1827 „Popular Political Economy..." [39].

თუ ზემოთ აღნიშნულმა პამფლეტებმა და რიგმა სხვა მათმა მსგავსმა უკვალოდ ჩაიარეს — აღნიშნავს კ. მარქსი — სამაგიეროდ ჰოდსკინის ამ თხზულებებმა, განსაკუთრებით პირველმა, მოახდინეს მნიშვნელოვანი „სენსაცია" და ისინი ჯერ კიდევ მიეკუთვნებიან ინგლისური პოლიტიკური ეკონომიის მნიშვნელოვან ნაწარმოებებს [40].

პირველ თხზულებაში ავტორს სურს დაამტკიცოს „კაპიტალის არაპროდუქტიულობა". რიკარდო არსად არ ამტკიცებდა, — შენიშნავს კ. მარქსი, — რომ კაპიტალი პროდუქტიულია ღირებულების წარმოების აზრით. კაპიტალი რიკარდოს მიხედვით, პროდუქტს მიუმატებს მხოლოდ საკუთარ ღირებულებას, რომელიც დამოკიდებულია მისი კვლავწარმოებისათვის საჭირო სამუშაო დროზე. ღირებულება მას აქვს, მხოლოდ როგორც „დაგროვილ შრომას" (უფრო ზუსტად როგორც გასაგნობრივებულ შრომას) და მხოლოდ ამ თავის ღირებულებას იგი უმატებს იმ პროდუქტს, რომელშიც იგი შედის [41].

რაც შეეხება კაპიტალის პროდუქტიულობას სახმარ ღირებულე-

---

[38] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 312.

[39] ი ქ ვ ე. გვ. 314 (გვ. 684, რედ.).

[40] ი ქ ვ ე.

[41] ი ქ ვ ე.

ბათა წარმოების აზრით, სმიტთან, რიკარდოსთან — საერთოდ პოლიტიკ-ეკონომებთან — წერს კ. მარქსი — იგი ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ წინანდელ სასარგებლო სამუშაოთა პროდუქტები, კვლავ მსახურობენ როგორც წარმოების საშუალებანი: როგორც შრომის საგანი, შრომის იარაღი და მუშის საარსებო საშუალებანი. კაპიტალს პოლიტიკ-ეკონომები განიხილავენ არა როგორც ისტორიულად წარმავალი, გარკვეული საზოგადოებრივი წარმოებითი ურთიერთობის გამოხატულებას, არამედ როგორც წარმოების მარადიულ ურთიერთობას; ამით იგი დაჰყავთ შრომის საეროო ურთიერთობაზე იმ მატერიალურ პირობებთან, რომლებიც საერთოა ყოველი წარმოების წესისათვის და არ შეიცავენ არაფერს კაპიტალის სპეციფიკური ხასიათიდან [42].

პირველ პამფლეტს (ანონიმურს—„The Source and Remedy...") —აღნიშნავს კ. მარქსი—გამოყავს რა სწორი დასკვნა რიკარდოს თეორიიდან, დაჰყავს ზედმეტი ღირებულება ზედმეტ შრომაზე. მეორე პამფლეტი (რეივნსტონის „Thoughts on the Funding System...") უფრო ზუსტად განსაზღვრავს შეფარდებითს ზედმეტ ღირებულებას, რომელიც დამოკიდებულია შრომის საწარმოო ძალის განვითარების ღონისაგან. რიკარდო იმავეს ამბობდა — წერს კ. მარქსი — მაგრამ იგი გაურბოდა რეივნსტონის დასკვნას: შრომის საწარმოო ძალის გადიდება ადიდებს მხოლოდ უცხო, შრომაზე გაბატონებულ სიმდიდრეს, კაპიტალს. მესამე პამფლეტი (ჰოდსკინის „Labour Defended against...") აყალიბებს, — შენიშნავს კ. მარქსი — იმ ზოგად დებულებას, რომელიც საკითხის რიკარდოსეული განხილვის აუცილებელი შედეგია, დებულებას კაპიტალის არაპროდუქტიულობის შესახებ. ეს მიმართულია ტორენსის, მალთუსის და სხვათა წინააღმდეგ: რომელნიც რიკარდოს დებულებას „შრომა არის ღირებულების შემქმნელი" აქცევენ საპირისპირო დებულებად „კაპიტალი არის ღირებულების შემქმნელი" [43].

რადგან პოლიტიკ-ეკონომები — აღნიშნავს კ. მარქსი — აიგივებენ წარსულ შრომას კაპიტალთან, ისინი, როგორც „კაპიტალის პინდარები [44]", წინ წამოსწევენ წარმოების ს ა გ ნ ო ბ რ ი ვ ელემენტებს და გადაჭარბებულად აფასებენ მის მნიშვნელობას შედარებით ს უ ბ ი ე ქ ტ უ რ ე ლ ე მ ე ნ ტ თ ა ნ, ცოცხალ, უშუალო

---

[42] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 314, 316.

[43] ი ქ ვ ე, გვ. 317, 318.

[44] ხოტბის შემსხმელი მომღერლები. ძველი ბერძენი პოეტის პინდარის სახელის მიხედვით (იქვე, გვ. 329, რედ.).

შრომასთან. მათთვის შრომა ხდება ადეკვატური მხოლოდ მაშინ, როცა იგი კ ა პ ი ტ ა ლ ა დ იქცევა, როცა იგი თავის თავს უპირისპირდება, როცა შრომის პასივი მის აქტივს უპირისპირდება“ [45]. ამიტომ პროდუქტი —წერს კ. მარქსი — ბატონობს მწარმოებელზე, საგანი — სუბიექტზე, განხორციელებული შრომა — განსახორციელებელ შრომაზე, და ა. შ. ყველა ამ კონცეფციაში წარსული შრომა გამოდის არა როგორც ცოცხალი შრომის მხოლოდ საგნობრივი მომენტი, რომელიც ცოცხალ შრომას ექვემდებარება, არამედ პირიქით; არა როგორც ცოცხალი შრომის ბატონობის ელემენტი, არამედ როგორც ბატონობა ამ შრომაზე. იმიტომ, რომ ტექნოლოგიურადაც გაამართლონ კაპიტალისტური ფორმა, — შენიშნავს კ. მარქსი — რომელშიც შრომისა და შრომის პირობების ურთიერთობა თავდაყირა დგას, ასე რომ მუშა კი არ იყენებს ამ პირობებს, არამედ შრომის პირობები იყენებენ მუშას, პოლიტიკო-ეკონომები (ბურჟუაზიული ეკონომისტები) შრომის საგნობრივ მომენტს ანიჭებენ რაღაც მცდარ მნიშვნელობას თვით შრომის საპირისპიროდ [46].

სწორედ ამიტომ ჰოდსკინი — წერს კ. მარქსი — პირიქით, დაჟინებით ამტკიცებს, რომ ეს საგნობრივი მომენტი, მთელი განივთებული სიმდიდრე, არაჩვეულებრივად უმნიშვნელოა წარმოების ცოცხალ პროცესთან შედარებით, და სინამდვილეში მნიშვნელობა აქვს მხოლოდ, როგორც ამ პროცესის მომენტს, და თავისთავად კი მას მნიშვნელობა არა აქვს. ამასთან ჰოდსკინი რამდენადმე ვერ აფასებს (მაგრამ ეს ბუნებრივიცაა პოლიტიკო-ეკონომების ფეტიშიზმის საპირისპიროდ), — შენიშნავს კ. მარქსი — იმ მნიშვნელობას, რაც შრომის წარსულს აქვს მისი აწმყოსათვის [47].

მაგრამ კაპიტალისტურ წარმოებაში, რომ წარსული შრომა ვამოდიოდეს მხოლოდ როგორც კვარცხლბეკი და ა. შ. შექმნილი, — აღნიშნავს კ. მარქსი — შრომისათვის თვით შრომის მიერ, მაშინ ასეთი დავა არ იქნებოდა. დავის საგანი არსებობს მხოლოდ იმიტომ, რომ კაპიტალისტური წარმოების რეალურ ყოფიერებაში, და ასევე

---

[45] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 329.

[46] ი ქ ვ ე, გვ. 329, 330.

[47] ი ქ ვ ე, გვ. 330.

ის თეორიაშიც. განივთებული შრომა გამოდის როგორც ანტაგონისტური დაპირისპირება თვით ცოცხალი შრომისადმი [48].

ჰოდსკინს არ ესმოდა კაპიტალის ფეტიშიზაციის ხასიათი, განპირობებული თვით კაპიტალისტური წარმოების წესის პირობებით, რომ ეს არის — შენიშნავს კ. მარქსი — საქონელწარმოებაზე, საცვლელ ღირებულებაზე დამყარებული შრომის სპეციფიკური დამახასიათებელი ნიშანი და რომ ეს „quidproquo" (ცნებათა არევა, ერთის მიღება მეორის ნაცვლად, რედ.) „ვლინდება საქონელში, ფულში რასაც ჰოდსკინი ვერ ხედავს, და კიდევ უფრო მეტად — კაპიტალში" [49].

მოქმედებანი, რაც აქვთ ნივთებს — წერს კ. მარქსი — როგორც შრომის პროცესის საგნობრივ მომენტებს, კაპიტალში მიეწერება ამ ნივთებს როგორც ისეთ მოქმედებათ, რაც გააჩნიათ ამ ნივთებს თავიანთ პერსონიფიკაციაში, თავიანთ დამოუკიდებლობაში, შრომის საპირისპიროდ. პოლიტიკო-ეკონომების წარმოდგენით მათ აღარ ექნებოდათ ეს მოქმედებანი თუ კი აღარ დაუპირისპირდებოდნენ შრომას ამ გაუცხოებული ფორმით [50].

კაპიტალისტი, როგორც კაპიტალისტი — შენიშნავს კ. მარქსი— არის „მხოლოდ კაპიტალის პერსონიფიკაცია, — საკუთარი ნებისყოფითა და პიროვნებით დაჯილდოებული ქმნილება შრომისა, მტრულად განწყობილი შრომისადმი. ჰოდსკინს ეს მიაჩნია წმინდა სუბიექტურ ილუზიად, რომლის უკან ექსპლოატატორთა კლასების თაღლითობა და ინტერესები იმალება" [51].

ჰოდსკინი ვერ ხედავდა იმას, თუ წარმოდგენის ეს წესი როგორ გამომდინარეობდა თვით რეალური ურთიერთობიდან, — აღნიშნავს კ. მარქსი — ვერ ხედავდა, რომ ეს უკანასკნელი კი არ არის პირველის გამოხატულება, არამედ პირიქით. ამავე აზრით „ამბობენ ინგლისელი სოციალისტები: „ჩვენ გვესაჭიროება კაპიტალი, და არა კაპიტალისტი". მაგრამ თუ ისინი თავიდან იშორებენ კაპიტალისტს, მაშინ ისინი შრომის პირობებს ართმევენ კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ხასიათს" [52].

---

[48] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 330. სრულიად ამის მსგავსად—შენიშნავს აქვე კ. მარქსი „რელიგიის ტყვეობაში მყოფი აზროვნების პროცესში აზროვნების პროდუქტი არა მარტო თვით აზროვნებაზე ბატონობის პრეტენზიას აცხადებს, არამედ ახორციელებს კიდეც ამ ბატონობას" (იქვე, გვ. 330).

[49] ი ქ ვ ე, გვ. 353.

[50] ი ქ ვ ე.

[51] ი ქ ვ ე.

[52] ი ქ ვ ე.

აქვე კ. მარქსი მოკლედ ეხება ინგლისელი ეკონომისტის, სოციალისტ-უტოპისტის რ. ოუენის მიმდევრის ჯ. ბ რ ე ი ს შეხედულებებს, როგორც პოლიტიკ-ეკონომების მოწინააღმდეგისა[53].

მომდევნო ოცდამეორე თავში (22) კ. მარქსი გვაძლევს ჯ. რ ა მ ს ე ი ს, ინგლისელი ეკონომისტის, კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენლის, შეხედულებათა კრიტიკულ განხილვას; მისი თხზულებაა „ნარკვევი სიმდიდრის განაწილების შესახებ", ედინბურგი, 1836[54]. გადავდივართ რა რამსეიზე — შენიშნავს კ. მარქსი — ჩვენ კვლავ ვუბრუნდებით პოლიტიკ-ეკონომებს. რამსეის მთავარი დამსახურება, — კ. მარქსის აზრით, — მდგომარეობს უპირველესად იმაში, რომ იგი ფაქტიურად განასხვავებს ერთმანეთისაგან მუდმივსა და ცვალებად კაპიტალს. მართალია იმ ფორმით, რომ მიმოქცევის პროცესიდან აღებულ განსხვავებებს ძირითადსა და საბრუნავ კაპიტალს შორის იგი ნომინალურად ინარჩუნებს, როგორც ერთადერთ განსხვავებებს, მაგრამ ძირითად კაპიტალს იგი იმგვარად განსაზღვრავს, რომ ეს კაპიტალი მუდმივი კაპიტალის ყველა ელემენტს შეიცავს. „საბრუნავ კაპიტალში", — აღნიშნავს კ. მარქსი — რამსეი გულისხმობდა კაპიტალის იმ ნაწილს, რომელიც წარმოადგენს ხელფასს, ხოლო ძირითად კაპიტალში — კაპიტალის იმ ნაწილს, რომელიც წარმოადგენს შრომის ობიექტურ პირობებს — შრომის საშუალებებს და შრომის მასალას[55]. რამსეის შეცდომა — წერს კ. მარქსი— მდგომარეობდა იმაში, რომ კაპიტალის ეს დაყოფა აღებული უშუალოდ წარმოების პროცესიდან მას გაიგივებული ჰქონდა მიმოქცევის პროცესიდან გამომდინარე განსხვავებასთან. ეს იყო პოლიტიკოეკონომების ტრადიციებისადმი მისი მიმდევრობის შედეგი[56].

რამსეის დამსახურებად კ. მარქსი თვლის — 1) რომ ის უარყოფს ა. სმიტის დროიდან გავრცელებულ მცდარ შეხედულებას, თითქოს ერთობლივი პროდუქტის ღირებულება იშლება სხვადასხვა სახელწოდების შემოსავლად; — 2) რომ ის განსაზღვრავს მოგების ნორმას ორნაირად: ხელფასის ნორმით, ე. ი. ზედმეტი ღირებულების ნორმით და მუდმივი კაპიტალის ღირებულებით[57].

---

[53] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)" ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 381, 386.

[54] ი ქ ვ ე ე, გვ. 387.

[55] ი ქ ვ ე ე, გვ. 387, 388.

[56] ი ქ ვ ე ე, გვ. 388.

[57] ი ქ ვ ე ე, გვ. 401.

რამსეი — წერს კ. მარქსი — სჩადის რიკარდოსთან შეღარებით საპირისპირო ცოდვას. რიკარდოს სურს ძალდატანებით გაუთანაბროს ზედმეტი ღირებულების ნორმა მოგების ნორმას, რამსეი პირიქით, აყენებს მოგების ნორმის ორგვარ განსაზღვრას: 1) მისი განსაზღვრა ზედმეტი ღირებულების ნორმით, მაშასადამე ხელფასის ნორმით, 2) მისი განსაზღვრა ამ ზედმეტი ღირებულების შეფარდებით მთელ ავანსებულ კაპიტალთან. ამგვარად აქ — შენიშნავს კ. მარქსი — რამსეი ფაქტიურად განსაზღვრავს მოგების ნორმას იმ ნაწილით, რომელსაც მუდმივი კაპიტალი შეადგენს მთელ კაპიტალში. ამ ორგვარ განსაზღვრას — წერს კ. მარქსი, — რამსეი, ვერ არკვევს რა საქმის არსს, წარმოგვიდგენს როგორც მოგების ნორმის განმსაზღვრელ ორ პარალელურ გარემოებას[58]. რამსეი ვერ ხედავდა ამ გარდაქმნას, რასაც ზედმეტი ღირებულება განიცდის, ვიდრე იგი მოგებად გადაიქცევა. ამიტომ თუ რიკარდო, ღირებულების თეორიის გატარების მიზნით, ცდილობს ნაძალადევად დაიყვანოს მოგების ნორმა ზედმეტი ღირებულების ნორმაზე, — ჯ. რამსეი ცდილობს ზედმეტი ღირებულება დაიყვანოს მოგებაზე. ის წესი, რომლითაც იგი წარმოგვიდგენდა მუდმივი კაპიტალის ღირებულების გაღლენას მოგების ნორმაზე, იყო ან ძალზე არასაკმარისი, ან პირდაპირ მცდარი[59]. ჯ. რამსეიმ — საერთოდ ვერ გაარკვია ნათლად ურთიერთდამოკიდებულება ღირებულებისა, ზედმეტი ღირებულებისა და მოგების[60].

საბოლოო ანგარიშით რამსეის შეხედულებით — წერს კ. მარქსი — გამოდის, რომ: 1) კაპიტალისტური წარმოების წესი არ არის საზოგადოებრივი წარმოების აუცილებელი, ე. ი. აბსოლუტური ფორმა.

თვითონ რამსეი გამოთქვამს ამას — შენიშნავს კ. მარქსი — მსოლოდ იმ შეზღუდული ფორმულირებით, რომ „საბრუნავი კაპიტალი“ და „ხელფასი“ იქნებოდა ზედმეტი, ხალხის ძირითადი მასა რომ არ იყოს ისე ღარიბი, რომ იგი იძულებულია თავისი წილი პროდუქტში ავანსად მიიღოს მანამდე, სანამ პროდუქტი მზად არის. 2) მისივე (რამსეის) შეხედულებით გამოდის, რომ სარგებელი, სამრეწველო მოგებისაგან განსხვავებით, ისევე როგორც მიწის რენტაც ისეთი ხორცმეტებია, არა არსებითი კაპიტალისტური წარმოე-

---

[58] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 401.

[59] ი ქ ვ ე.

[60] ი ქ ვ ე, გვ. 412.

ბისათვის, რომელთა ეკუთვნება ამ წარმოებას შეუძლია[61]. ამ ბურჟუაზიული იდეალის — წერს კ. მარქსი — „ნამდვილად განხორციელება შესაძლებელი რომ იყოს, მაშინ ამის შედეგი მხოლოდ ის იქნებოდა, რომ მთელი ზედმეტი ღირებულება უშუალოდ მრეწველ კაპიტალისტებს მოუწევდა და საზოგადოება (ეკონომიურად) დაყვანილი იქნებოდა კაპიტალისა და დაქირავებული შრომის მარტივ დაპირისპირებულობამდე, — ეს ისეთი გამარტივებაა, რაც, უეჭველია, დააჩქარებდა ამ წარმოების წესის დაღუპვას“[62].

მომდევნო ოცდამესამე (23) თავში კ. მარქსი კრიტიკულად განიხილავს ა. ე. შ ე რ ბ უ ლ ი ე ს შეხედულებებს, შვეიცარელი ეკონომისტის, სისმონდის მიმდევარისა[63], რომელიც სისმონდის თეორიას აკავშირებდა რიკარდოს თეორიის ელემენტებთან. მისი თხზულებაა „სიმდიდრე ან სიღარიბე“, პარიზი, 1841[64].

როგორც რამსეისთვის, ისე შერბულიესთვისაც — წერს კ. მარქსი — მნიშვნელოვანია მხოლოდ ის, რომ ორივე ფაქტიურად უპირისპირებენ ერთიმეორეს ცვალებად და მუდმივ კაპიტალს, და არ ჩერდებიან მიმოქცევიდან აღებულ განსხვავებაზე ძირითადსა და საბრუნავ კაპიტალს შორის. ვინაიდან შერბულიე კაპიტალის ნაწილს, დაყვანილს „საარსებო საშუალებათა ფონდზე“ უპირისპირებს კაპიტალის იმ ნაწილს, რომელიც შედგება ნედლეულისაგან, დამხმარე მასალისა და შრომის საშუალებებისაგან (იარაღებისა და მანქანებისაგან). მაგრამ, მუდმივი კაპიტალის ამ შემადგენელი ნაწილებიდან ორი — ნედლეული და დამხმარე მასალა — თავისი მიმოქცევის ფორმის მიხედვით საბრუნავ კაპიტალს ეკუთვნის[65].

შერბულიესთან ვხვდებით მიხვედრას მოგების ნორმის დამოკიდებულებისა კაპიტალის ორგანული შედგენილობისაგან და ამასთან ერთად მის დაბნეულობას ამ საკითხში.

ფორმულები, რომელთაც შერბულიე იძლევა მოგების ნორმისათვის — აღნიშნავს კ. მარქსი — არიან ან მოგების მათემატიკური გამოსახულებანი მისი ჩვეულებრივი გაგებით და არ შეიცავენ არა-

---

[61] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 427.

[62] ი ქ ვ ე, გვ. 427, 428.

[63] ჯერ კიდევ დიდი საკითხია — შენიშნავს კ. მარქსი, — შეტანილ უნდა იქნეს თუ არა იგი (შერბულიე) ცალკე პოლიტიკო-ეკონომების ამ რიგში, რამდენადაც მისი ნათქვამის მეტი ნაწილი — სისმონდის ყაიდისაა (იქვე, გვ. 429).

[64] ი ქ ვ ე, გვ. 429.

[65] ი ქ ვ ე, გვ. 431.

ვითარ კანონს, ან ისინი პირდაპირ მცდარი არიან, თუმცა შერბულიეს აქვს გარკვეული ბუნდოვანი წარმოდგენა საგანზე და უახლოვდება მის გაგებას[66].

კ. მარქსს მოყავს შერბულიეს შემდეგი სიტყვები: — „მ ო გ ე ბ ი ს ნ ო რ მ ა, ანუ მოგების შეფარდება კაპიტალთან არის, ამიტომ შედეგი ორი სხვადასხვა შეფარდების კომბინაციისა, სახელდობრ: შ ე ფ ა რ დ ე ბ ი ს ა გ ა მ ო ყ ე ნ ებ უ ლ დ ა მ ო ხ მ ა რ ე ბ უ ლ კ ა პ ი ტ ა ლ ს შ ო რ ი ს დ ა შ ე ფ ა რ დ ე ბ ი ს ა მ ო ხ მ ა რ ე ბ უ ლ კ ა პ ი ტ ა ლ ს ა დ ა პ რ ო დ უ ქ ტ ს შ ო რ ი ს“[67],— და იქვე შენიშნავს, — რომ ჯერ საჭირო იყო მოგების ახსნა. მაგრამ შერბულიესაგან ახსნის ნაცვლად მიღებულია მოგების ისეთი განსაზღვრება, რომელიც გამოხატავს ამ მოგების მხოლოდ გამოვლენის წესს, გამოხატავს მხოლოდ იმ ფაქტს, რომ მოგება არის ერთობლივი პროდუქტის ღირებულების გადანამეტი მოხმარებული კაპიტალის ღირებულებაზე, ე. ი. მიღებულ იქნა მოგების ჩვეულებრივი განსაზღვრა.

ახლა საჭიროა, — წერს კ. მარქსი — გაგებულ იქნეს მოგების ნორმა, მაგრამ კვლავ შერბულიესგან მიიღება მხოლოდ ჩვეულებრივი განსაზღვრა: მოგების ნორმა არის მოგების შეფარდება ერთობლივ კაპიტალთან. ანუ, რაც იგივეა, შეფარდება პროდუქტის ღირებულების გადანამეტისა ამ პროდუქტის ხარჯთფასზე წარმოებისთვის ავანსებულ ერთობლივ კაპიტალთან[68].

კაპიტალის ელემენტების მიახლოებით სწორი გარჩევის პარალელურად მათ დამახინჯებულ გაგებას და უხეშ გამოყენებას, იმის შეუცნობელ მიხვედრას, რომ მოგება და მოგების ნორმა პირდაპირ დაკავშირებულია ამ ელემენტების თანაფარდობასთან, მივყევართ მხოლოდ იმისაკენ, — შენიშნავს კ. მარქსი, — რომ მეორდება „უფრო დოქტრინებული ფორმით საყოველთაოდ ცნობილი ფრაზები, რომლებშიც ნამდვილად მხოლოდ დადასტურებულია მოგებისა და მოგების ნორმის არსებობა, მაგრამ არაფერია ნათქვამი მათი არსის შესახებ“[69]. საქმე არ ხდება უკეთესი იმით, რომ „შერბულიე დოქტრინებულ ფორმულებს ალგებრულად გამოსახავს“[70].

---

[66] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 437, 438.

[67] ი ქ ვ ე, გვ. 443.

[68] ი ქ ვ ე, გვ. 443, 444.

[69] ი ქ ვ ე, გვ. 444.

[70] ი ქ ვ ე.

კ. მარქსი ავლენს აგრეთვე რიგ საკითხებში სისმონდიზმის ელემენტებს შერბულიეს შეხედულებებში, რაც წარმოადგენს „სისმონდისა და რიკარდოს ურთიერთგამომრიცხველ კონცეფციათა უცნაურ შეხამებას“ [71], მათ ეკლექტიკურ შეერთებას.

„ზედმეტი ღირებულების თეორიების“ მესამე ნაწილის უკანასკნელ ოცდამეოთხე (24) თავში კ. მარქსის მიერ მოცემულია ვრცელი კრიტიკული ანალიზი რიჩარდ ჯონსის შეხედულებებისა, ინგლისელი ეკონომისტის, კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის. ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენლისა მისი თხზულებანია: 1) „ნარკვევი სიმდიდრის განაწილებისა და გადასახადთა წყაროების შესახებ. ნაწ. 1: რენტა“. ლონდონი, 1831 [72].

რ. ჯონსის ამ პირველი ნაშრომის (რენტის შესახებ) დამახასიათებელ მხარეს კ. მარქსის სიტყვებით წარმოადგენს ის, რაც აკლია ყველა ინგლისელ ეკონომისტს სერ ჯემს სტიუარტის შემდეგ—წარმოების წესების ისტორიული განსხვავების გაგების ელემენტები [73].

რიკარდოს მომდევნო უახლეს ეკონომისტებში — წერს კ. მარქსი — ჯონსმა ნახა რენტის, როგორც დამატებითი მოგების განსაზღვრა, გამომდინარე იმისგან, რომ ფერმერი კაპიტალისტია, რომელიც ელოდება საშუალო მოგებას, და აგრეთვე, რომ თვით მიწათმოქმედება კაპიტალისტური წარმოების წესს ექვემდებარება. ჯონსი არ იზიარებს იმ ილუზიას, რომ კაპიტალი არსებობს სამყაროს დასაწყისიდან [74].

რ. ჯონსი იკვლევს რენტას — აღნიშნავს კ. მარქსი — ყველა მის გარდაქმნებში: დაწყებული საბატონო შრომის ყველაზე პრიმიტიული ფორმით და გათავებული თანამედროვე ფერმერის რენტით. ყოველთვის იგი მიდის იმ დასკვნამდე, რომ შრომისა და შრომის პირობების გარკვეულ ფორმას შეესაბამება რენტის გარკვეული ფორმა, ე. ი. მიწის საკუთრების. ბოლოს მივდივართ ფერმერის რენტაზე. სწორედ აქ — შენიშნავს კ. მარქსი — დამაჯერებლად ვლინდება ჯონსის უპირატესობა: იგი ამტკიცებს, რომ ის, რასაც რიკარდო და სხვები განიხილავენ როგორც მიწის საკუთრების მარადიულ ფორმას, არის მისი ბურჟუაზიული ფორმა. ჯონსი გვიჩვენებს, რომ რენტა რიკარდოსეული აზრით არსებობს მხოლოდ ისეთ საზოგა-

---

[71] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 453, 473.

[72] ი ქ ვ ე, გვ. 474.

[73] ი ქ ვ ე.

[74] ი ქ ვ ე, გვ. 474, 475.

დოებაში, რომლის ბაზისს კაპიტალისტური წარმოების წესი წარმოადგენს. მიწის რენტის დამატებით მოგებად გადაქცევა მოასწავებს, რომ ამიერიდან არა მიწის მესაკუთრე, არამედ კაპიტალისტი ხდება უშუალოდ მიმთვისებელი ზედმეტი შრომის[75]. რენტის შეფარდებითი სიდიდე, როგორც — აღნიშნავს კ. მარქსი — დამოკიდებულია უკვე მხოლოდ ზედმეტი ღირებულების განაწილებაზე კაპიტალისტსა და მიწის მესაკუთრეს შორის და არა თვითონ ამ ზედმეტი შრომის მიღებაზე. ეს მომენტი არსებითად ჩანს ჯონსთან თუმცა ნათლად იგი ამას არ გამოთქვამს[76].

დ. რიკარდოსთან შედარებით — წერს კ. მარქსი — რ. ჯონსი დგამს არსებით ნაბიჯს წინ, როგორც მოვლენების ახსნისადმი ისტორიული მიდგომის აზრით, ისე ეკონომიური დეტალების მხრივაც. თუმცა მის თეორიაში „გვხვდება გაუგებრობებიც“[77]. თუ როგორ წარმოიქმნება დამატებითი მოგება, ჯონსი ამას ვერ ხსნის, ანდა უფრო სწორად, ხსნის მას მხოლოდ რიკარდოსებურად, ე. ი. სხვადასხვა მიწების ბუნებრივი ნაყოფიერების ხარისხს სხვაობით[78].

რ. ჯონსის დამსახურებაა, — წერს კ. მარქსი — „პირველად ხაზგასმით აღნიშნა იმისა, „რომ რაკი ჩვენ უკვე ვიგულისხმეთ რენტის არსებობა, მისი ზრდა (თუ მუდამ ივარაუდება, რომ არავითარი გადატრიალება წარმოების წესში არ ხდება) საერთოდ გამოწვეული იქნება სასოფლო-სამეურნეო კაპიტალის, მიწათმოქმედებაში გამოყენებული კაპიტალის, გადიდებით. ამას შეიძლება ადგილი ჰქონდეს არა მხოლოდ მაშინ, როცა ფასები უცვლელი რჩება, არამედ მაშინაც, როცა ეს ფასები მათს წინანდელ დონეზე დაბლა ეცემა“[79].

რ. ჯონსი გამოდის მიწათმოქმედების კლებადი ნაყოფიერების შესახებ მტკიცებათა წინააღმდეგ. ამის შესახებ კ. მარქსს მოყავს ჯონსის შემდეგი სიტყვები: „ოდესღაც მარცვლეულის საშუალო მოსავალი ინგლისში არ აღემატებოდა 12 ბუშელს აკრზე. ახლა იგი დაახლოებით ორჯერ მეტია“.

„კაპიტალისა და შრომის ყოველი შემდგომი დანახარჯი, რაც მიწას ხმარდება, შეიძლება უფრო ეკონომიურად და ეფექტიანად იქნეს გამოყენებული, ვიდრე წინა დანახარჯი“.

---

[75] კ. მარქსი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 475, 477, 478.

[76] იქვე, გვ. 478.

[77] იქვე.

[78] იქვე, გვ. 479.

[79] იქვე, გვ. 482.

„რენტა, დიდდება ორჯერ, სამჯერ, ოთხჯერ და ა. შ., როცა კაპიტალი, იმავე მიწაში დაბანდებული, რომელშიაც წინათ ბანდდებოდა, დიდდება ორჯერ, სამჯერ, ოთხჯერ მოგების შეუმცირებლად და დამუშავებული მიწების შეფარდებითი ნაყოფიერების შეუცვლელად“ [80].

ამრიგად, — წერს ამის შემდეგ კ. მარქსი — ეს პირველი პუნქტია, სადაც რ. ჯონსს უპირატესობა აქვს დ. რიკარდოს წინაშე. რაკი რენტა უკვე არსებობს „იგი შეიძლება იზრდებოდეს მიწაში გამოყენებული კაპიტალის უბრალო გადიდებით, მიუხედავად სხვადასხვა მიწების ნაყოფიერებისა და კაპიტალის თანმიმდევრულად გამოყენებული დოზებიდან მიღებული ამოსაგების ყოველგვარი ცვლილებისა და ასევე მიუხედავად სამიწათმოქმედო პროდუქტთა ფასის ყოველნაირი ცვლილებებისა“ [81].

შემდეგი პუნქტი რ. ჯონსთან ასეთია — აღნიშნავს კ. მარქსი — და მოყავს მისი სიტყვები: „რენტის ხრდისათვის არ არის არსებითად აუცილებელი, რომ შეფარდება სხვადასხვა მიწების ნაყოფიერებას შორის ზუსტად უცვლელი რჩებოდეს“ [82].

აქ ჯონსი — შენიშნავს კ. მარქსი — მხედველობიდან უშვებს რომ, პირიქით, მიწების ნაყოფიერების სხვაობათა გადიდებამ, მაშინაც კი, როცა მთელი სამიწათმოქმედო კაპიტალი გამოიყენება უფრო ნაყოფიერად, უნდა გაადიდოს, და ნამდვილად გაადიდებს დიფერენციული რენტის მასას[83]. მიწის ნაყოფიერებაში განსხვავებათა შემცირებამ კი — წერს კ. მარქსი — უნდა, პირიქით, შეამციროს დიფერენციული რენტა, ე. ი. რენტა გამომდინარე ამ სხვაობათაგან. მიზეზის მოსპობით ისპობა შედეგიც და მიუხედავად ამისა, რენტა (აბსოლუტური რენტის გარეშე) შეიძლება გაიზარდოს, მაგრამ მაშინ უკვე მხოლოდ მიწათმოქმედებაში გამოყენებული კაპიტალის გადიდების გამო [84].

კ. მარქსი კრიტიკულად არჩევს აგრეთვე რ. ჯონსის მეორე თხზულებას: 2) „შესავალი ლექცია პოლიტიკურ ეკონომიაში წაკითხული სამეფო კოლეჯში ლონდონში 1833 წლის 27 თებერვალს

---

[80] კ. მარქსი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 482.

[81] იქვე.

[82] იქვე, გვ. 483.

[83] იქვე.

[84] იქვე.

ხელფასის შესახებ ლექციების კურსის პროსპექტის დამატებით". ლონდონი, 1833 [85].

კ. მარქსს მოყავს რ. ჯონსის სიტყვები „სამუშაო ფონდის" („Labor Fund") შესახებ, რომელიც მას ესმის, როგორც „იმ შემოსავალთა ერთობლივი მასა, რომელთაც მოიხმარენ მუშაკები, მიუხედავად იმისა, თუ როგორია ამ შემოსავალთა წყარო" [86].

მთავარი რ. ჯონსთან (ტერმინი „სამუშაო ფონდი უნდა ვიფიქროთ ეკუთვნის მალთუსს) [87] — წერს კ. მარქსი — მდგომარეობს შემდეგში: საზოგადოების მთელი ეკონომიური სტრუქტურა ტრიალებს შრომის ფორმის ირგვლივ, ე. ი. იმ ფორმის ირგვლივ, რა ფორმითაც მუშაკი მიითვისებს საარსებო საშუალებებს, ანუ თავისი პროდუქტის იმ ნაწილს, რომლითაც იგი არსებობს. ამ „სამუშაო ფონდს" აქვს სხვადასხვა ფორმა და კაპიტალი მხოლოდ მისი ერთ-ერთი ფორმაა, ისტორიულად უფრო გვიანდელი ფორმა [88].

მხოლოდ ჯონსთან — წერს კ. მარქსი — არსებითი განსხვავება, დადგენილი ა. სმიტის მიერ — ნაზღაურდება შრომა კაპიტალით ანდა უშუალოდ შემოსავლიდან — აღწევს თავის სრულ განვითარებას, და ეს განსხვავება ხდება გადამწყვეტი გასაღები საზოგადოების სხვადასხვა ეკონომიურ სტრუქტურათა გასაგებად. ამით იმავე დროს ქრება უაზრო წარმოდგენა, თითქოს, რადგან კაპიტალში მუშის შემოსავალი კაპიტალისტის მიერ პირველად მითვისებულის ფორმით, სხვანაირად, რომ ვთქვათ რაღაც, მისი დანაზოგის ფორმით წარმოგვიდგება, ამიტომ ეს ვითომ არის რაღაც უფრო მეტი ვიდრე ფორმის განსხვავება [89].

რ. ჯონსის „Syllabus of a Course of Lectures on the Wages of Labor" — შენიშნავს კ. მარქსი — განსხვავდება მისი წიგნიდან რენტის შესახებ. წიგნში რენტის შესახებ განხილულია მიწის საკუთრების სხვადასხვა ფორმები, რომელთაც შეესაბამება შრომის სხვადასხვა ფორმები, რომელთაც შეესაბამება შრომის სხვადასხვა საზოგადოებრივი ფორმა. „Syllabus"-ში რ. ჯონსი — წერს კ. მარქ-

---

[85] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 491.

[86] ი ქ ვ ე, გვ. 483.

[87] ის, რასაც რ. ჯონსი „სამუშაო ფონდს" („Labor Fund") უწოდებს, მალთუსის ნაწერებში გვევლინება სახელწოდებით „შრომის შესანახი ფონდები" („funds for the maintenance of labour") (იქვე, გვ. 671, რედ.).

[88] ი ქ ვ ე, გვ. 492.

[89] ი ქ ვ ე.

სი — ამოდის შრომის ამ სხვადასხვა ფორმებიდან, და როგორც რაღაც მათ მიერ წარმონაქმნს განიხილავს მიწის საკუთრების სხვადასხვა ფორმებს და კაპიტალს. იმ ფორმას, რომლითაც მუშაკს უპირისპირდება შრომის პირობები (განსაკუთრებით მიწა, ბუნება) შეესაბამება მისი შრომის სოციალური განსაზღვრულობა. ნამდვილად მისი შრომის ეს სოციალური განსაზღვრულობა მხოლოდ აღნიშნულ ფორმაში პოულობს თავის ობიექტურ გამოხატულებას [90], ჩვენ დავინახავთ ამიტომ — შენიშნავს კ. მარქსი — რომ „სამუშაო ფონდის" სხვადასხვა ფორმა „შეესაბამება მუშაკის განსხვავებულ დამოკიდებულებას თავისი საკუთარი წარმოების პირობებთან. მუშაკის მიერ თავისი პროდუქტის (ან მისი ნაწილის) მითვისების წესი დამოკიდებულია მის მიმართებაზე წარმოების პირობებთან" [91].

ის გარემოება, რომ ზედმეტი შრომა — წერს კ. მარქსი — გადაიქცევა კაპიტალად, იმის ნაცვლად, რომ უშუალოდ შემოსავლის სახით გაიცვალოს შრომაზე, ქმნის შთაბეჭდილებას, რომ კაპიტალი არის შემოსავლიდან დანაზოგი [92].

ასეთია რ. ჯონსის ამოსავალი თვალსაზრისი. მართლაც, — წერს კ. მარქსი — საზოგადოების განვითარების პროცესში აღმოჩნდება ხოლმე, რომ კაპიტალის მასას შეადგენს კაპიტალად უკუგადაქცეული შემოსავალი, მაგრამ კაპიტალისტური წარმოებისას აგრეთვე თავდაპირველი „სამუშაო ფონდიც" თვით წარმოგვიდგება როგორც კაპიტალისტის დანაზოგი. თვით კვლავწარმოებული „სამუშაო ფონდი", იმის ნაცვლად, რომ დარჩეს მუშაკის მფლობელობაში, როგორც ეს იყო პირველ შემთხვევაში, წარმოგვიდგება როგორც კაპიტალისტის საკუთრება, როგორც მუშისათვის უცხო სა-

---

[90] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 493.

[91] ი ქ ვ ე.

აქვე კ. მარქსს მოყავს რ. ჯონსის შემდეგი სიტყვები „სამუშაო ფონდის" სამ კატეგორიად დაყოფის შესახებ: „სამუშაო ფონდი" — ამბობს რ. ჯონსი — „შეიძლება დაიყოს სამ კატეგორიად: 1) შემოსავალი, რომელსაც აწარმოებენ ისეთი მუშაკები, რომლებიც თვითონ მოიხმარენ მას და რომელიც არასდროს არ ეკუთვნის სხვა პირებს" (ამ შემთხვევაში მუშაკი, მისი შემოსავლის გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი ფ ო რ მ ი ს ა გ ა ნ დამოუკიდებლად თავისი წარმოების იარაღების ფაქტიური მფლობელი უნდა იყოს).

2) შემოსავალი, რომელიც მუშაკისაგან განსხვავებულ კლასებს ეკუთვნის, და რომელსაც ხარჯავენ ეს კლასები შრომის უშუალო შენახვისათვის.

3) კ ა პ ი ტ ა ლ ი საკუთარი აზრით (იქვე, გვ. 493).

[92] ი ქ ვ ე, გვ. 495.

კუთრება. და ამ მომენტმა — შენიშნავს კ. მარქსი — ვერ მიიღო ჯონსთან განვითარება[93].

ის, რასაც რ. ჯონსი — წერს კ. მარქსი — ლექციათა კურსის ამ პროსპექტში ლაპარაკობს მოგების ნორმისა და მისი გავლენის შესახებ დაგროვებაზე, — მოისუსტებს. მოყავს რა ამის შესახებ ჯონსის სიტყვები, კ. მარქსი აღნიშნავს, რომ ჯონსს არ ესმის, რომ გამოყენებული კაპიტალის გადიდების „შესაძლებლობიდან" გამომდინარეობს სწორედ „მოსახლეობის რიცხვთან შედარებით გამოყენებული კაპიტალის რაოდენობის გადიდების" შედეგად მოგების ნორმის დაცემა". მაგრამ იგი,—შენიშნავს კ. მარქსი—„უახლოვდება სწორ შეხედულებას"[94].

შემდეგ კ. მარქსს მოყავს რა რ. ჯონსის შემდეგი სიტყვები: — „შრომის შესანახად განკუთვნილი კაპიტალის რაოდენობა, შეიძლება იცვლებოდეს ერთობლივი კაპიტალის სიდიდის ყოველგვარი ცვლილების მიუხედავად" (ეს მნიშვნელოვანი დებულებაა)... „ზოგჯერ შეიძლება იმის შემჩნევა, თუ როგორ ხშირად აქვს ადგილი დასაქმებული მუშების რიცხვის დიდ მერყეობას და ამასთან დაკავშირებით დიდ გაჭირვებას, მაშინ როდესაც თვითონ კაპიტალი უფრო უხვი ხდება", — შენიშნავს, რომ — ამ დებულებაში რ. ჯონსი აკეთებს სწორ განზოგადებას"[95].

აქვე, კ. მარქსი შენიშნავს, რომ ერთობლივი კაპიტალი შეიძლება იგივე დარჩეს და ამასთან შეიძლება მოხდეს ცვალებადი კაპიტალის სიდიდის ცვლილება, განსაკუთრებით შემცირება. კაპიტალის ორივე შემადგენელ ნაწილს შორის თანაფარდობის ცვლილება არ ნიშნავს უსათუოდ ცვლილებას ერთობლივი კაპიტალის სიდიდეში[96].

მეორე მხრივ — წერს კ. მარქსი — ერთობლივი კაპიტალის ზრდა შეიძლება დაკავშირებული იყოს ცვალებადი კაპიტალის არა მხოლოდ შეფარდებითს, არამედ აგრეთვე აბსოლუტურ შემცირებასთანაც. იგი ყოველთვის დაკავშირებულია ამ ცვალებადი კაპი-

---

[93] კ. მარქსი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 495.

[94] იქვე, გვ. 495, 496.

[95] იქვე, გვ. 496, 497.

[96] იქვე, გვ. 497.

ტალის ძლიერ მერყეობასთან და, მაშასადამე, „დასაქმებული მუშების რიცხვის მერყეობასთან“ [97].

ამის შემდეგ კ. მარქსი კრიტიკულად იხილავს რ. ჯონსის მესამე თეზისულებას: 3) „ლექციები ხალხთა პოლიტიკურ ეკონომიაში, წაკითხული ოსტ-ინდოეთის კოლეჯში ჰეილიბერიში“. ჰარტფორდი, 1852 [98].

სხვა პოლიტიკ-ეკონომებისგან, ალბათ სისმონდის გამოკლებით — წერს კ. მარქსი — რ. ჯონსს განასხვავებს ის, რომ იგი როგორც არსებით მომენტს ხაზს უსვამს კაპიტალის სოციალურ ფორმაგანსაზღვრულობას. ამ ფორმაგანსაზღვრულობაზე მას დაჰყავს მთელი განსხვავება კაპიტალისტურ წარმოების წესსა და სხვა წარმოების წესებს შორის.

კაპიტალის ეს სოციალური ფორმაგანსაზღვრულობა მდგომარეობს იმაში, რომ შრომა უშუალოდ გადაიქცევა კაპიტალად, და რომ მეორე მხრივ, კაპიტალი ყიდულობს შრომას არა მისი სახმარი ღირებულებისათვის, არამედ თავისი საკუთარი ღირებულების გასადიდებლად, ზედმეტი ღირებულების, უფრო მაღალი საცვლელი ღირებულების შექმნისათვის, „მოგების მიღების მიზნით“ [99].

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ რ. ჯონსთან ჩანასახი კაპიტალისტური წარმოების სწორი ისტორიული გაგებისა გაბუნდოვნებული იყო ბურჟუაზიული ფეტიშისტური წარმოდგენით კაპიტალზე, როგორც „დაგროვილ მარაგზე“. თუმცა რ. ჯონსი — წერს კ. მარქსი — ასე ახლო მიდის სწორ შეხედულებამდე და გარკვეული აზრით თვითონ გამოთქვამს მას, მაგრამ, მეორე მხრივ, იგი, როგორც პოლიტიკ-ეკონომი „მაინც იმდენადაა ბურჟუაზიული ფეტიშიზმით შეპყრობილი, რომ არავის არ შეუძლია იმის თავდები იყოს, რომ ჯონსს აქ მხედველობაში არა აქვს ის სხვადასხვა ფუნქცია, რომელთაც შეიძლება ემსახურებოდეს უბრალოდ „დაგროვილი მარაგი“ როგორც ასეთი“ [100].

კ. მარქსს მოყავს რა რ. ჯონსის დებულება: — „კაპიტალი, ანუ დ ა გ რ ო ვ ი ლ ი მ ა რ ა გ ი, მხოლოდ გვიან, მას შემდეგ რაც მან შეასრულა მრავალგვარი სხვა ფუნქცია სიმდიდრის წარმოებისას, თავის თავზე იღებს მუშაკისათვის მისი ხელფასის ა ვ ა ნ ს ა დ გ ა-

---

[97] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 497.

[98] ი ქ ვ ე, გვ. 498.

[99] ი ქ ვ ე, გვ. 503, 504.

[100] ი ქ ვ ე, გვ. 508.

ცემის ფუნქციას“ [101]. — იგი შენიშნავს, — ეს არის სრული გამოხატულება იმ წინააღმდეგობის, რომ, ერთი მხრივ რ. ჯონსთან ადგილი აქვს კაპიტალის სწორ ისტორიულ განხილვას, ხოლო მეორე მხრივ, ეს განხილვა გაბუნდოვანებულია პოლიტიკო-ეკონომებისათვის ჩვეული შეზღუდული წარმოდგენით, თითქოს „მარაგი“ როგორც ასეთი „კაპიტალი“ იყოს. ამიტომ „დაგროვილი მარაგი“ ხდება ჯონსთან პიროვნება, რომელიც მუშაკებისათვის „ხელფასის ავანსად გაცემის ფუნქციას თავის თავზე იღებს“ [102]. რ. ჯონსი არღვევს — აღნიშნავს კ. მარქსი — პოლიტიკო-ეკონომებისათვის დამახასიათებელ შეზღუდულობას, თუმცა ჯერ კიდევ იმყოფება მის ტყვეობაში. ამ შეზღუდულობის დარღვევა აუცილებელი ხდება როგორც კი კაპიტალისტური წარმოების წესი განიხილება ისტორიულად განსაზღვრულ წარმოების წესად [103].

ჩვენ ვხედავთ, — შენიშნავს კ. მარქსი — რამსეიდან ჯონსამდე როგორი დიდი ნახტომია გაკეთებული [104]. სწორედ კაპიტალის იმ ფუნქციას, — წერს კ. მარქსი, რომელიც მას კაპიტალად ხდის, — ხელფასის ავანსად გაცემას, — რამსეი აცხადებდა შემთხვევით ფუნქციად, რომელიც გამოწვეულია მხოლოდ ხალხის ძირითადი მასის სიღატაკით და უმნიშვნელოა წარმოების პროცესისათვის, როგორც ასეთისათვის. ამ შეზღუდული ფორმით რამსეი უარყოფს კაპიტალისტური წარმოების წესის აუცილებლობას. ჯონსი კი უჩვენებს, რომ სწორედ ეს ფუნქცია ხდის კაპიტალს კაპიტალად და განაპირობებს კაპიტალისტური წარმოების წესის თავისებურებებს. იგი უჩვენებს, თუ როგორ წარმოიქმნება ეს ფორმა საწარმოო ძალების განვითარების მხოლოდ გარკვეულ საფეხურზე და ქმნის მაშინ სრულიად ახალ მატერიალურ ბაზისს [105]. მაგრამ ამიტომაც — შენიშნავს კ. მარქსი — ჯონსს „გაცილებით უფრო ღრმად, ვიდრე რამსეის, ესმის აგრეთვე ამ ფორმის „გაუქმების შესაძლებლობაც“, მისი მხოლოდ ისტორიულად წარმავალი აუცილებლობა“ [106].

აქვე, კ. მარქსი გვაძლევს შესანიშნავ კრიტიკულ ანალიზს რ. ჯონსის შეხედულებისა რიგ სხვა საკითხებზე და ამით სრულ-

---

[101] კ. მარქსი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 508.

[102] იქვე.

[103] იქვე.

[104] იქვე.

[105] იქვე, გვ. 508, 509.

[106] იქვე, გვ. 509.

დება ეს უკანასკნელი (24) თავი „ზედმეტი ღირებულების თეორიების“.

* * *

„ზედმეტი ღირებულების თეორიების“ დამამთავრებელ მესამე წაწილს თან ერთვის კ. მარქსის ვრცელი შრომა „დამატების“ სახით შემდეგი სახელწოდებით: „შემოსავალი და მისი წყაროები. ვულგარული პოლიტიკური ეკონომია“ [107].

შემოსავლის ფორმა და შემოსავლის წყაროები — წერს კ. მარქსი — გამოხატავენ კაპიტალისტური წარმოების ურთიერთობებს ყველაზე ფეტიშისტური ფორმით. ეს არის მათი ყოფიერება იმ სახით, როგორც ეს ვლინდება ზედაპირზე, მასში დაფარული კავშირისა და გამაშუალებელი შუალედური რგოლებისაგან მოწყვეტილი. ასე „ხდება მიწა მიწის რენტის წყარო, კაპიტალი — მოგების წყარო, — შრომა კი — ხელფასის წყარო. ის დამახინჯებული ფორმა, რომლითაც ნამდვილად არსებული სიმახინჯე გამოიხატება, ბუნებრივად კვლავ აისახება ამ წარმოების წესის აგენტთა წარმოდგენებში. ეს არის განსაკუთრებული სახის ფიქცია უფანტაზიოდ, ვულგარული ობივატელის რელიგია... მაგრამ ყველა ამ ფორმიდან ყველაზე დასრულებულ ფეტიშს წარმოადგენს სარგებელ მომტანი კაპიტალი“ [108].

იხილავს რა შემოსავლისა და მისი წყაროების პრობლემას, კ. მარქსი ავლენს ვულგარული პოლიტიკური ეკონომიის ფესვებს, მის ანტიმეცნიერულ ხასიათს, გვაძლევს შესანიშნავ დახასიათებას კლასიკურ ბურჟუაზიულ და ვულგარულ პოლიტიკურ ეკონომიას შორის არსებითი განსხვავების, ვულგარული სოციალიზმის ღრმა კრიტიკას.

კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია, — წერს კ. მარქსი — ცდილობს ანალიზის მეშვეობით დაიყვანოს სიმდიდრის სხვადასხვა ფორმები მათ შინაგან ერთიანობაზე. მას სურს გაიგოს შინაგანი კავშირი მთელისა განსხვავებით გამოვლენის ფორმათა

---

[107] კ. მარქსის 1861—1863 წლების ხელნაწერის XV—XVIII რვეულების ვრცელი მასალიდან „ზედმეტი ღირებულების თეორიების“ ამ გამოცემაში თვით კ. მარქსის გეგმის შესაბამისად შეტანილია „დამატების“ სახით მხოლოდ XV რვეულში მოცემული (გვ. 891—950) განყოფილება: „შემოსავალი და მისი წყაროები. ვულგარული პოლიტიკური ეკონომია“. ამით მთავრდება კ. მარქსის შრომის მთელი ისტორიულ-კრიტიკული ნაწილი (იქვე, გვ. 675, რედ.).

[108] კ. მარქსი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები“ („კაპიტალის “მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 539, 540.

ბრავალსახეობისაგან. ამიტომ მას დაჰყავს რენტა დამატებით მოგებაზე, რის გამოც რენტა ქრება როგორც თავისთავადი ფორმა და აღმოჩნდება მისი მოჩვენებითი წყაროსგან, მიწისგან განცალკევებული. კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია ასევე ჩაშოაცლის სარგებელს მის დამოუკიდებელ ფორმას, უჩვენებს რომ სარგებელი არის მოგების ნაწილი. და ამრიგად მას დაყავს მოგების ერთ ფორმაზე შემოსავლის ყველა ის ფორმა, ანუ ტიტული, რითაც არამუშა ღებულობს საქონლის ღირებულების ნაწილს [109]. მაგრამ მოგება, — შენიშნავს კ. მარქსი — დაყვანილია ზედმეტ ღირებულებაზე, რადგან მთელი საქონლის ღირებულება დაიყვანება შრომაზე, ხოლო მასში მოთავსებული შრომის ფასგადახდილი რაოდენობა დაიყვანება ხელფასზე. მაშასადამე ამ რაოდენობის გადანამეტი დაიყვანება სხვადასხვა ტიტულით უსასყიდლოდ მითვისებულ ფასგადაუხდელ შრომაზე, ზედმეტ შრომაზე. კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია ამ ანალიზის დროს ზოგჯერ წინააღმდეგობაში ვარდება, იგი ხშირად ცდილობს მოახდინოს ეს დაყვანა და დაამტკიცოს სხვადასხვა ფორმათა წყაროს ერთიანობა, უშუალოდ შუალედური რგოლების გამოვლინების გარეშე [110]. მაგრამ ეს — წერს კ. მარქსი — გამომდინარეობს მისი ანალიზური მეთოდიდან, რომლითაც უნდა იწყებოდეს კრიტიკა და გაგება. კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომია დაინტერესებულია — „არა იმით, რომ გენეტიკურად გამოიყვანოს სხვადასხვა ფორმა, არამედ იმით, რომ დაიყვანოს ისინი ანალიზის მეშვეობით მათ ერთიანობაზე, რადგან იგი გამოდის მათგან როგორც მისთვის მოცემულ წანამძღვართაგან. მაგრამ ანალიზი აუცილებელი წანამძღვარია გენეტიკური გააზრებისა, იმისა, რომ გაგებულ იქნეს ფორმაწარმოქმნის პროცესი მის სხვადასხვა ფაზაში“ [111]. დასასრულ, კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ნაკლია და შეცდომა — შენიშნავს კ. მარქსი — რომ იგი კაპიტალის ძირითად ფორმას, სხვისი შრომის მითვისებისაკენ მიმართულ წარმოებას, იხილავს არა როგორც საზოგადოებრივი წარმოების ისტორიულ ფორმას, არამედ როგორც მის ბუნებრივ ფორმას [112].

სულ სხვაგვარადაა საქმე — წერს კ. მარქსი — ვულგარული პო-

---

[109] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 601.

[110] ი ქ ვ ე.

[111] ი ქ ვ ე, გვ. 601, 602.

[112] ი ქ ვ ე, გვ. 602.

ლიტიკური ეკონომიის მიმართ, ისიც იმ დროიდან, როცა პოლიტიკურმა ეკონომიამ თვითონ დაარღვია თავისი ანალიზით საკუთარი წანამძღვრები, როცა უკვე არსებობს აგრეთვე პოლიტიკური ეკონომიის ანტითეზაც მეტნაკლებად ეკონომიური, უტოპიური, კრიტიკული და რევოლუციური ფორმით [113]. ამასთან, კ. მარქსი აღნიშნავს კანონზომიერ კავშირს კაპიტალისტური წარმოების რეალურ მოძრაობასა და ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიაში მისი ასახვის ხასიათს შორის. პოლიტიკური ეკონომიის და „თვით მის მიერ წარმოშობილი ანტითეზის განვითარება ხომ ფეხდაფეხ მიჰყვება კაპიტალისტური წარმოებისათვის დამახასიათებელ საზოგადოებრივ წინააღმდეგობათა და კლასობრივი ბრძოლების რ ე ა ლ უ რ განვითარებას“ [114]. მხოლოდ მას შემდეგ — შენიშნავს კ. მარქსი, — რაც პოლიტიკურმა ეკონომიამ მიაღწია განვითარების გარკვეულ საფეხურს და ჩამოყალიბდა მტკიცე ფორმებში,—ე. ი. ადამ სმიტის შემღეგ, — მას სცილდება, როგორც პოლიტიკური ეკონომიის განსაკუთრებული სახეობა, მისი ვულგარული ელემენტი [115].

სეისთან გვაქვს — წერს კ. მარქსი, — იმ ვულგარულ წარმოდგენათა გამოყოფა, რომელნიც აქა-იქ ა. სმიტსაც მოეპოვება. დ. რიკარდოს გამოჩენასთან ერთად და მისი მეოხებით პოლიტიკური ეკონომიის შემდგომ განვითარებასთან ერთად ახალ საზრდოს პოულობს აგრეთვე ვულგარული ეკონომისტი, რომელიც თვითონ არაფერს აწარმოებს. რაც უფრო მეტად — შენიშნავს კ. მარქსი — პოლიტიკური ეკონომია აღწევს თავის დასრულებას, რაც უფრო იგი ღრმად მიდის და ვითარდება როგორც ანტაგონიზმის სისტემა, მით უფრო დამოუკიდებლად უპირისპირდება მას მისივე საკუთარი ვულგარული ელემენტი; სანამ ბოლოს „ეს ვულგარული ელემენტი არ ნახულობს თავის საუკეთესო გამოხატულებას სწავლულ-სინკრეტული და უპრინციპო-ეკლექტიკური კომპილაციის სახით“ [116].

იმისდა მიხედვით, თუ როგორ ღრმად მიდის პოლიტიკური ეკონომია — წერს კ. მარქსი — „იგი არა მხოლოდ თვითონ არის წინააღმდეგობათა და დაპირისპირებულობათა გამომხატველი, არამედ მის წინააღმდეგ გამოდის მისი საკუთარი დაპირისპირებულობა, და ეს ხდება ერთდროულად საზოგადოების ეკონომიურ ცხოვრებაში

---

[113] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 602.

[114] ი ქ ვ ე.

[115] ი ქ ვ ე.

[116] ი ქ ვ ე, გვ. 602, 603.

რეალურ წინააღმდეგობათა განვითარებასთან ერთად“ [117]. ამის შესაბამისად ვულგარული პოლიტიკური ეკონომია შეგნებულად ხდება სულ უფრო აპოლოგეტური [118]. ამიტომ, სეი, რომელიც სმიტთან პოულობს წინააღმდეგობებს ჯერ კიდევ შედარებით განუვითარებელი სახით, წარმოგვიდგება ჯერ კიდევ კრიტიკოსად და მიუდგომლობის ნიმუშად, მაგალითად, ბასტიასთან შედარებით, ჰარმონიის ამ მქადაგებელთან და პროფესიით აპოლოგეტთან [119].

მაგრამ ბასტია არ წარმოადგენს — შენიშნავს კ. მარქსი — კიდევ უკანასკნელ საფეხურს. იგი კიდევ გამოირჩევა სწავლულობის ნაკლებობით და იმ მეცნიერების სრულიად ზერელე ცოდნით, რომელსაც იგი გაბატონებული კლასის ინტერესებისათვის ალამაზებს. მის აპოლოგეტიკას ჯერ კიდევ ახასიათებს მგზნებარება [120]. ყველაზე უკანასკნელ ფორმას წარმოადგენს — წერს კ. მარქსი — „პ რ ო ფ ე ს ო რ უ ლ ი ფ ო რ მ ა, რომელიც საქმეს ხელს ჰკიდებს „სტორიულად“ და ბრძნული ზომიერებით გამოძებნის ყველგან „საუკეთესოს“. თანაც მისთვის მნიშვნელობა არა აქვს ამის შედეგად თუ მიიღება წინააღმდეგობანი, არამედ მნიშვნელოვანია მხოლოდ შერჩეულის სისრულე. ეს არის გამოცლა ყველა სისტემისათვის, რომელთაც ჩამოამტვრევენ თავიანთ მახვილ კუთხეებს და რომელნიც მშვიდობიანად ეგუებიან ერთიმეორეს ამონაწერების საერთო რვეულში“ [121].

აპოლოგეტიკის გზნება შეზავებულია აქ სწავლულობით, რომელიც გადმოჰყურებს „ზემოდან ქვემოთ ეკონომიურ მოაზროვნეთა გაზვიადებებს და მხოლოდ კურიოზების სახით შეაქვს ისინი თავის უბადრუკ ნათითხნში“ [122]. რადგან ამგვარი შრომები — აღნიშნავს კ. მარქსი — „მხოლოდ მაშინ გამოდის, როცა პოლიტიკურ ეკონომიას, როგორც მეცნიერებას უკვე დამთავრებული აქვს თავისი გზა, ამიტომ ისინი ამასთან ამ მეცნიერების ს ა მ ა რ ე ს წარმოადგენენ“ [123]. ამგვარი ოსტატია — შენიშნავს კ. მარქსი — ბატონი პრო-

---

[117] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 603.

[118] ი ქ ვ ე.

[119] ი ქ ვ ე.

[120] ი ქ ვ ე.

[121] ი ქ ვ ე, გვ. 603, 604.

[122] ი ქ ვ ე, გვ. 604.

[123] ი ქ ვ ე.

კ. მარქსი ამის შესახებ შემდეგნაირად წერს: „Die Hitze der Apologetik wird hier gemäßigt durch die Gelehrsamkeit, die wohlwollend auf die

ფესორი რ ო შ ე რ ი, „რომელმაც თავისი თავი მორიდებულად პოლიტიკური ეკონომიის თუკიდიდედ გამოაცხადა“ [124].

მაშინ როდესაც კლასიკურ და ამიტომ კრიტიკულ პოლიტიკ-ეკონომებს — წერს კ. მარქსი — გაუცხოების ფორმები უქმნის სიძნელეებს და ისინი ცდილობენ ანალიზის საშუალებით მოხსნან ეს ფორმები „ეულგარული პოლიტიკური ეკონომია, პირიქით, სწორედ ამ გ ა უ ც ხ ო ე ბ უ ლ ო ბ ა შ ი, რომელშიც პროდუქტის ღირებულების სხვადასხვა ნაწილები, ერთიმეორეს უპირისპირდებიან, პირველად გრძნობს თავს სრულიად თავისუფლად:

როგორც სქოლასტიკოსი თავის სტიქიაში გრძნობს თავს, როცა საქმე აქვს ფორმულასთან „მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სულიწმინდა ღმერთი“, ასევე ეულგარული ეკონომისტიც თავის სტიქიაში გრძნობს თავს, როცა საქმე აქვს ფორმულასთან „მიწა — რენტა, კაპიტალი — სარგებელი, შრომა — ხელფასი“ [125].

გარდა ამისა, ეს — აღნიშნავს კ. მარქსი — მეტად დიდ სამსახურს უწევს აპოლოგეტიკას, ვინაიდან ფორმულაში „მიწა—რენტა. კაპიტალი — სარგებელი, შრომა — ხელფასი“ ზედმეტი ღირებულების სხვადასხვა ფორმები და კაპიტალისტური წარმოების „სხვადასხვა პერსონაჟები (Gestalten) ერთმანეთს უპირისპირდებიან არა გაუცხოებულად. არამედ როგორც ერთმანეთისთვის გარეშენი და ინდიფერენტულნი, როგორც მარტოოდენ განსხვავებულნი, ა ნ ტ ა გ ო ნ ი ზ მ ი ს გ ა რ ე შ ე“ [126]. სხვადასხვა შემოსავალი გამომდინარე-

---

Übertreibungen der ökonomischen Denker herabsicht und sie nur als Kuriosa in ihrem mittelmäßigen Brei herumschwimmen läßt. Da derartige Arbeiten zugleich erst auftreten, sobald der Kreis der politischen Ökonomie als Wissenschaft sein Ende erreicht hat, ist es zugleich die Grabstätte dieser Wissenschaft".

Karl Marx, Theorien über den Mehrwert. (vierter Band des „Kapitals"), dritter Teil, neunzehntes bis vierundzwanzigstes Kapitel und Beilagen.

Karl Marx, Friedrich Engels, Werke, Band 26, dritter Teil. Berlin, 1972, S. 492.

[124] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 604.

როშერის მიერ თავისი თავის გაიგივება თუკიდიდესთან—შენიშნავს იქვე კ. მარქსი—შეიძლება ემყარება იმ წარმოდგენას, რომელიც მას აქვს თუკიდიდეზე, სახელდობრ, — რომ „თუკიდიდე თითქოს მუდამ ერთმანეთში ურევდა მიზეზს და შედეგს“ (იქვე, გვ. 604).

[125] ი ქ ვ ე, გვ. 604, 605.

[126] ი ქ ვ ე, გვ. 605.

ობს სრულიად სხვადასხვა წყაროდან (ერთი — მიწიდან, მეორე — კაპიტალიდან, მესამე — შრომიდან) და მაშასადამე — შენიშნავს კ. მარქსი — ისინი არ იმყოფებიან ერთმანეთთან მტრულ კავშირში, ვინაიდან საერთოდ არ იმყოფებიან არავითარ შინაგან კავშირში, და თუ, მიუხედავად ამისა ისინი წარმოებაში მოქმედებენ ერთად, ეს არის ჰარმონიული მოქმედება, ჰარმონიის გამოხატულება. თუ მათ შორის — წერს კ. მარქსი — ადგილი აქვს ანტაგონიზმს, ეს წარმოიშობა მხოლოდ კონკურენციით, იმის გამო, თუ წარმოების რომელმა აგენტმა უფრო მეტი უნდა მიითვისოს ერთად შექმნილი პროდუქტიდან, ღირებულებიდან; და თუ ზოგჯერ საქმე მიდის მუშტიკრივამდე, მაინც ამ კონკურენციის (მიწასა, კაპიტალსა და შრომას შორის) საბოლოო შედეგად მიიღება, რომ ისინი იმდენად ადიდებენ პროდუქტის ღირებულებას, რომ თითოეულს წილად ხვდება უფრო დიდი ნაწილი, ასე, რომ თვით მათი კონკურენცია ხდება წარმოების ყველა აგენტთა ჰარმონიის მხოლოდ ბიძგის მიმცემ გამოხატულებად [127]. ამრიგად, როგორც შენიშნავს კ. მარქსი — ვულგარული ეკონომისტები გამოთქვამენ დოქტრინერულ ენაზე კაპიტალისტური წარმოების ზერელე გარეგნული სახით ამსახველ წარმოდგენებს და მოტივებს „საზოგადოების გაბატონებული ნაწილის, კაპიტალისტების, თვალსაზრისით, მაშასადამე, არა გულუბრყვილოდ და ობიექტურად, არამედ აპოლოგეტურად“ [128].

„დამატების“ დასასრულს კ. მარქსის მიერ კრიტიკულად, მოკლედ განხილულია ვულგარული სოციალიზმის ბრძოლა სარგებლის წინააღმდეგ (პრუდონი) [129], მათ მიერ გაუგებლობა შინაგან კავშირისა სარგებელსა და დაქირავებული შრომის სისტემას შორის და ამასთან დაკავშირებით ზოგიერთი საკითხი.

---

[127] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 605, 606.

[128] ი ქ ვ ე, გვ. 539, 540.

[129] მაგალითად პრუდონი — აღნიშნავს კ. მარქსი — ურევდა ფულს როგორც მიმოქცევის საშუალებას და ფულს როგორც კაპიტალს. რადგან კაპიტალი გაიცემა სესხად ფულის ფორმით, ამიტომ პრუდონი ფიქრობდა, რომ ეს სპეციფიკური თვისება გააჩნია ფულად კაპიტალს, ე. ი. ნაღდ ფულს. პრუდონის მიხედვით ყველაფერი უნდა გაიყიდოს, მაგრამ არაფერი არ უნდა გაიცეს სესხად. ისე როგორც პრუდონს სურდა შეენახა საქონელი, მაგრამ არ სურდა რომ საქონელი გამხდარიყო „ფული“, „ასევე აქაც მას სურს შეინახოს საქონელი, და ფული, მაგრამ ისინი არ უნდა გადაიქცნენ კაპიტალად. თუ უკუვაგდებთ გამოთქმის ყველა ფანტასტიკურ ფორმას — შენიშნავს კ. მარქსი — ეს ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ საჭირო არაა გადავიდეთ წვრილი, მეშჩანურ-გლეხური და ხელოსნური წარმოებიდან მსხვილ მრეწველობაზე“ (იქვე, გვ. 633).

* * *

კ. მარქსის „ზედმეტი ღირებულების თეორიები“ წარმოადგენს გენიალურ ისტორიულ-კრიტიკულ ნაშრომს, მასში მოცემული თეორიული დებულებანი არსებითად ავსებენ „კაპიტალის“ შესაბამის განყოფილებებს. მასში შესანიშნავად არის შეხამებული და გადახლართული ისტორიულ-კრიტიკული გამოკვლევანი და პოლიტიკური ეკონომიის ძირეული პრობლემების თეორიული დამუშავება. იგი წარმოადგენს მძლავრ იარაღს თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის, რეფორმისტებისა და რევიზიონისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. მას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების მემკვიდრეობაში პოლიტიკური ეკონომიის დარგში. გენიალური, უკვდავი იდეებით იგი გზას უნათებს თანამედროვე პირობებში პროლეტარიატს, მშრომელ მასებს მათ რევოლუციურ ბრძოლაში კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში სკკპ XXV ყრილობაზე (1976 წ.) აღნიშნავდა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია კომუნისტური აღზრდის საქმეს, მთელ თავის რევოლუციურ გარდამქმნელ საქმიანობას აგებს „მარქსისტულ-ლენინური თეორიის მტკიცე საძირკველზე. მარქსიზმ-ლენინიზმი — ეს არის ერთადერთი საიმედო საფუძველი სწორი სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავებისათვის. იგი გვაძლევს ისტორიული პერსპექტივის გაგებას, გვეხმარება მრავალი წლით ადრე განვსაზღვროთ სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური განვითარების მიმართულება, სწორად გავერკვეთ საერთაშორისო მოვლენებში. მარქსიზმ-ლენინიზმის ძალაა მუდმივი შემოქმედებითი განვითარება[130].

---

[130] სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976, გვ. 98.

§ 5. „ზედმეტი ღირებულების თეორიები“

(„კაპიტალის“ IV ტომი)

და თანამედროვეობა

ახალ ისტორიულ პირობებში მარქსის თეორია შემოქმედებით განავითარა ვ. ი. ლენინმა, რომელმაც „კაპიტალის“ შემდეგ, თავის გენიალურ ნაშრომში „იმპერიალიზმი, როგორც კაპიტალიზმის უმაღლესი სტადია“ მოგვცა ახალი ეპოქის ანალიზი.

კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა — აღნიშნავდა ი. ბ. სტალინი — მოგვცეს „კაპიტალში“ „კაპიტალიზმის საფუძვლების ანალიზი“; ვ. ი. ლენინმა „კაპიტალის“ ძირითად დებულებებზე დაყრდნობით მოგვცა „იმპერიალიზმის დასაბუთებული მარქსისტული ანალიზი, როგორც კაპიტალიზმის უკანასკნელი ფაზისა“ [1]. ამ ანალიზის ბაზაზე წარმოიშვა ვ. ი. ლენინის „ცნობილი დებულება იმის შესახებ, რომ იმპერიალიზმის პირობებში შესაძლებელია სოციალიზმის გამარჯვება ცალკეულ, ცალკე აღებულ, კაპიტალისტურ ქვეყნებში“ [2].

ვ. ი. ლენინმა და მისმა მოწაფეებმა ყოველმხრივ განავითარეს მარქსისტული თეორია, მარქსისტული პოლიტიკური ეკონომია. ვ. ი. ლენინმა თანმიმდევრობით გამოიყენა მარქსის მეთოდი, „კაპიტალის“ დებულებანი, გამოარკვია იმპერიალიზმის ისტორიული ადგილი, გამოავლინა მისი როგორც ლპობადი, მომაკვდავი კაპიტალიზმის, სოციალისტური რევოლუციის წინადღის არსი, ამხილა ბურჟუაზიული, რეფორმისტული და რევიზიონისტული თეორიები. ვ. ი. ლენინი თავის გენიალურ ნაშრომებში მრავალგზის მიმართავს „კაპიტალს“, მის ოთხივე ტომს, კერძოდ „ზედმეტი ღირებულების თეორიებს“; იგი დიდად აფასებს კ. მარქსის ამ გენიალური ნაშრომის, როგორც ისტორიულ-კრიტიკულ, ისე წმინდა თეორიულ შინაარსს, გვაძლევს მის შემოქმედებით განვითარებას.

---

[1] И. В. Сталин. Соч., т. 10, М., 1949, стр. 93, 94.

[2] იქვე, გვ. 94.

ვ. ი. ლენინი „განსაკუთრებით მაღალ შეფასებას აძლევს „ზედმეტი ღირებულების თეორიების“ იმ განყოფილებებს, სადაც კ. მარქსი აკითარებს თავის საკუთარ შეხედულებებს მიწის რენტის ბუნების შესახებ“ [3].

ვ. ი. ლენინი ეყრდნობა და ფართოდ იყენებს კ. მარქსის „კაპიტალის“ III ტომთან ერთად „ზედმეტი ღირებულების თეორიებს“ მარქსიზმის რევიზიის წინააღმდეგ (ს. ბულგაკოვის, ე. დავიდის, პ. მასლოვის და სხვ. შიერ) აგრარულ საკითხში და რსდმპ აგრარული პროგრამის დამუშავებისას, მიწის რენტას თეორიის შემოქმედებით განვითარებისას.

ვ. ი. ლენინი აკრიტიკებს ნიადაგის „კლებადი ნაყოფიერების კანონის“ დამცველებს (ს. ბულგაკოვს, შემდეგ გერმანელ რევიზიონისტ ე. დავიდს) და აღნიშნავს, რომ ვისაც „კაპიტალის“ III ტომი და „Theorien über den Mehrwert“-ის მეორე ტომის მეორე ნაწილი [4] წაუკითხავს, „იცის საწინააღმდეგო“ [5].

კ. მარქსი — წერს ვ. ი. ლენინი — „ა თ ე უ ლ ჯ ე რ გვიჩვენებს, რომ კაპიტალის დამატებით დაბანდებათა ნაყოფიერების შ ე მ ც ი რ ე ბ ი ს შემთხვევას ის სავსებით ისევე თანასწორუფლებიანად, თანაბრად შესაძლებლად თვლის, როგორც კაპიტალის დამატებით დაბანდებათა ნაყოფიერების ზ რ დ ი ს შემთხვევას“ [6].

აკრიტიკებდა რა რევიზიონისტ პ. მასლოვის მიერ წამოყენებულ მიწის მუნიციპალიზაციის მენშევიკურ პროგრამას, ვ. ი. ლენინი განიხილავდა რუსეთისათვის კაპიტალისტური აგრარული ევოლუციის შესაძლებელ ორგზის საკითხთან დაკავშირებულ პირობებს მიწათმოქმედებაში ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გადატრიალების შესახებ რუსეთში და აღნიშნავდა, რომ მიწათმოქმედებაში ბურჟუაზიული გადატრიალების პირობებზე, მიწათმფლობელობის ურთიერთობათა თვალსაზრისით „ძალიან რელიეფურად ლაპარაკობს ბარქსი „ზედმეტი ღირებულების თეორიების“ („Theorien über den Mehrwert,“ II. Band, 2. Teil, Stuttgart, 1905) უკანასკნელ ტომში“.[7]

---

[3] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., изд. 2, т. 26, ч. I, М., 1962, стр. XVI.

[4] კ. კაუცკის რედაქციით გამოცემული იყო „ზედმეტი ღირებულების თეორიები“ (1905—1910 წლებში) სამ ტომად, რომლისგანაც მეორე ტომი თავის მხრივ იყოფოდა ორ ნაწილად იხ. К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., изд. 2, т. 26, ч. I, М., 1962, стр. XVI.

[5] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 13, თბ., 1950, გვ. 221.

[6] ი ქ ვ ე.

[7] ი ქ ვ ე, გვ. 334.

„არჩევს რა როდბერტუსის შეხედულებებს და გვიჩვენებს რა ან პომერანელი მემამულის თეორიის მთელ შეზღუდულობას, „ჩამოთვლის რა დაწვრილებით მისი გონებაჩლუნგობის ყოველ ცალკეულ გამოვლინებას“ (II, 1. Teil, S. 256—258, erster Blödsinn—sechster Blödsinn des Herrn Rodbertus)[8], მარქსი გადადის რიკარდოს რენტის თეორიაზე (II, 2. Teil, § 3 b) „რიკარდოს რენტის თეორიის ისტორიული პირობები“ — წერს ვ. ი. ლენინი[9].

შემდეგ მოყავს რა კ. მარქსის ამ წიგნიდან შესაბამისი ადგილები[10], ვ. ი. ლენინი შენიშნავს: „ეს მარქსის შესანიშნავად ღრმა მსჯელობაა, დაფიქრებულან კი ამაზე ოდესმე ჩვენი „მუნიციპალისტები?“ [11].

კაპიტალისტური მიწის რენტის, აბსოლუტური და დიფერენციული რენტის არსის გარკვევისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს მონოპოლიის ორი სახის საკითხს სოფლის მეურნეობაში. ეს საკითხი პირველად ვ. ი. ლენინმა გააშუქა შრომაში „აგრარული საკითხი და „მარქსის კრიტიკოსები“, რომლის ნაწილი (თავი I—IV) გამოქვეყნებული იყო 1901 წ.[12], მაშინ როდესაც ჯერ კიდევ არ იყო გამოქვეყნებული კ. მარქსის „ზედმეტი ღირებულების თეორიები“, და მაშასადამე იგი არ შეიძლებოდა ცნობილი ყოფილიყო ვ. ი. ლენინისათვის.

თავის შენიშვნაში ამავე შრომის ახალი გამოცემისათვის (1908 წ.) ვ. ი. ლენინი უთითებდა რა კ. მარქსის „ზედმეტი ღირებულების თეორიების“ მეორე ნაწილს, წერდა, რომ „ზედმეტი ღირებულების თეორიების“ (Theorien über den Mehrwert, II, Band, II. Teil) მეორე ტომის მეორე ნაწილში, რომელიც 1905 წელს გამოვიდა, კ. მარქსი „იძლევა აბსოლუტური რენტის საკითხის ისეთ განმარტებებს, რომლებიც ადასტურებენ ჩემი განმარტების სისწო-

---

[8] (ბატონ როდბერტუსის პირველი — მეექვსე უაზრობანი რედ.), იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 13, თბ., 1950, გვ. 335.

[9] იქვე.

[10] იქვე, გვ. 335, 338. იხ. კ. მარქსი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“ ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 308, 310 (თავი მეთერთმეტე).

[11] იქვე, გვ. 338.

[12] ვ. ი. ლენინის ამ შრომის „აგრარული საკითხი და „მარქსის კრიტიკოსები“ I—IX თავი დაწერილი იყო იენის-სექტემბერში 1901 წ., ხოლო თავი X—XII 1907 წ. შემოდგომას. პირველად დაიბეჭდა: თავი I—IV დეკემბერში 1901 წ., თავი V—IX თებერვალში 1906 წ., თავი X—XII—1908 წ. (В. И. Ленин, ПСС, т. 5, М., 1972, стр. 95, 436 Ред.).

რეს (განსაკუთრებით მონოპოლიის ორი სახის შესახებ)“ [13]. მოყავს რა სათანადო ადგილები კ. მარქსის ამ წიგნიდან [14] ვ. ი. ლენინი შენიშნავს, რომ კ. მარქსი „სრული გარკვეულობით განასხვავებს აქ მიწის განსაზღვრულობას და მიწის კერძო საკუთრებას“ [15].

აბსოლუტური და დიფერენციული რენტის არსის, მათ შორის განსხვავებულობის გარკვევა, წარმოადგენდა თეორიულ საფუძველს ვ. ი. ლენინის მიერ მიწის ნაციონალიზაციის პროგრამის შემუშავებისათვის. მიწის ნაციონალიზაციის საკითხი კაპიტალისტურ საზოგადოებაში — წერს ვ. ი. ლენინი — „იყოფა ორ, არსებითად განსხვავებულ ნაწილად: დიფერენციული და აბსოლუტური რენტის საკითხად. ნაციონალიზაცია ცვლის პირველის მფლობელს და ძირს უთხრის მეორის არსებობას. მაშასადამე, ნაციონალიზაცია არის, ერთი მხრივ, კერძო რეფორმა კაპიტალიზმის ფარგლებში (ზედმეტი ღირებულების ერთი ნაწილის მფლობელის გამოცვლა), — ხოლო მეორე მხრივ, გაუქმება მონოპოლიისა, რომელიც აფერხებს საერთოდ კაპიტალიზმის მთელ განვითარებას.

ამ ორი მხარის, ე. ი. დიფერენციული და აბსოლუტური რენტის ნაციონალიზაციის, განუსხვავებლად შეუძლებელია გავიგოთ რუსეთში ნაციონალიზაციის საკითხის მთელი ეკონომიური მნიშვნელობა“ [16].

თვით პ. მასლოვის შესახებ ვ. ი. ლენინი შენიშნავს: „ეს „მარქსისტი“ არც კი კადრულობს სხვების სასწავლებლად გაეცნოს მარქსს, შეისწავლოს თუნდაც 1905 წელს გამოსული „ზედმეტი ღირებულების თეორიები“, სადაც რენტის თეორია გადაღებულია, შეიძლება ითქვას, მასლოვებისათვისაც კი!“ [17].

თავის შრომაში „პროლეტარული რევოლუცია და რენეგატი კაუცკი“ (1918 წ.), ვ. ი. ლენინი აღნიშნავს, რომ კაუცკიმ არ შეიძლება არ იცოდეს მარქსის პოლემიკა როდბერტუსთან და „მარქსის შესანიშნავი განმარტებანი „ზედმეტი ღირებულების თეორიებში“, სადაც განსაკუთრებით ნათლად არის ნაჩვენები მიწის ნაციონალი-

---

[13] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 5, თბ., 1949, გვ. 149.

[14] ი ქ ვ ე, გვ. 149, 150.

(იხ. კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 408, 409, 410 (თავი მეცამეტე).

[15] ავტორის შენიშვნა 1908 წლის გამოცემისათვის (რედ.).

იხ. ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 5, თბ., 1949, გვ. 150.

[16] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 13, თბ., 1950, გვ. 370

[17] ი ქ ვ ე, გვ. 372.

ზაციის რევოლუციური მნიშვნელობაც ბურჟუაზიულ-დემოკრატიული აზრით“ [18].

ვ. ი. ლენინი „ზედმეტი ღირებულების თეორიებზე“ მითითებით აღნიშნავს: კ. მარქსი ცხადყოფს, რომ მიწათმფლობელი სრულიად ზედმეტი ფიგურაა კაპიტალისტური წარმოებისთვის, რომ ამ უკანასკნელის მიზანი „საესებით მიიღწევა“ თუ მიწა სახელმწიფოს ეკუთვნის [19].

მოყავს რა „ზედმეტი ღირებულების თეორიებიდან“ შესაბამისი ადგილი, ინგლისში კაპიტალისტური წარმოების განვითარებისას— „clearing of estates (სიტყვასიტყვით — მამულების წმენდის ან მიწების წმენდის)“ შესახებ [20], ვ. ი. ლენინი წერს, რომ რუსეთშიც გარდაუვალია შუასაუკუნეობრივი მიწათმფლობელობის რევოლუციური „წმენდა“ და ვერავითარი ძალა მას ვერ შეაჩერებს. „საკითხი მხოლოდ იმაში მდგომარეობს და ბ რ ძ ო ლ ა მ ა რ ტ ო ო დ ე ნ ი მ ი ს გ ა მ ო წარმოებს, იქნება ეს „წმენდა“ მ ე მ ა მ უ ლ უ რ ი თუ გ ლ ე ხ უ რ ი. შუასაუკუნეობრივი მიწათმფლობელობის „წმენდა“ მემამულეთა მიერ — ეს არის გლეხთა გაძარცვა 1861 წელს, ეს არის სტოლიპინის 1906 წლის აგრარული რეფორმა (კანონმდებლობა 87 მუხლის მიხედვით). მ ი წ ე ბ ი ს გ ლ ე ხ უ რ ი „წ მ ე ნ დ ა“ კ ა პ ი ტ ა ლ ი ზ მ ი ს ა თ ვ ი ს — ეს არის მ ი წ ი ს ნ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ ა ც ი ა [21].

ამასთან, როგორც აღნიშნავს ვ. ი. ლენინი, არ არის სწორი ის შეხედულება, თითქოს ნაციონალიზაცია შეიძლება განხორციელდეს კაპიტალიზმის მხოლოდ ძალიან მაღალ საფეხურზე. „მაშინ დღის წესრიგში დაისმება უკვე არა ბურჟუაზიული, არამედ სოციალისტური რევოლუციის საკითხი. მიწის ნაციონალიზაცია ყველაზე თანმიმდევარ ბურჟუაზიულ ღონისძიებას წარმოადგენს. მარქსი ა რ ა ე რ თ ხ ე ლ ამტკიცებდა ამას, დაწყებული „ფილოსოფიის სიღატაკით“. „ზედმეტი ღირებულების თეორიებში“ მარქსი ამბობს (II. Band, I. Teil, S. 208):

„რადიკალური ბურჟუა თეორიულად მიდის მიწის კერძო საკუთრების უარყოფამდე... მაგრამ პრაქტიკულად მას არ ჰყოფნის გაბე-

[18] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 28, თბ., 1952, გვ. 385.

[19] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 13, თბ., 1950, გვ. 397.

[20] „Theorien über den Mehrwert,“ II. Band, 2. Teil, Stuttgart, 1905. („ზედმეტი ღირებულების თეორიები“, II ტომი, 2 ნაწილი, შტუტგარდი, 1906, რედ.). ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 15, 1950, გვ. 186, 187.

იხ. კ. მარქსი „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 187.

[21] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 15, თბ., 1950, გვ. 187

დულობა, რადგან თავდასხმა საკუთრების ერთ ფორმაზე, შრომის პირობების მიმართ კერძო საკუთრების ფორმაზე, ძალიან სახიფათო იქნებოდა სხვა ფორმისთვისაც, გარდა ამისა, ბურჟუამ თავისთავი თვითონ „გაიტერიტორიალა“ [22].

მოყავს რა „ზედმეტი ღირებულების თეორიებიდან“ ეს ადგილი ვ. ი. ლენინი იქვე აღნიშნავს, რომ რუსეთში ბურჟუაზიული რევოლუცია ისეთ პირობებში ხდება, როდესაც არსებობს რადიკალური ბურჟუა (გლეხი), რომელსაც „შესწევს ვაჟკაცობა“ წამოაყენოს ნაციონალიზაციის პროგრამა მრავალმილიონიანი მასების გულისათვის და რომელიც ჯერ კიდევ არ „გატერიტორიალებულა“; იგი მეტ ზარალს ნახულობს მიწის შუასაუკუნეობრივი საკუთრებიდან, ვიდრე სარფსა და „მოგებას“ მიწის ბურჟუაზიული საკუთრებიდან.

„რუსეთის რევოლუცია ვერ გაიმარჯვებს ისე, თუ ეს „რადიკალური ბურჟუა“, რომელიც კადეტსა და მუშას შორის მერყეობს, მასობრივი გამოსვლით მხარს არ დაუჭერს პროლეტარიატს რევოლუციურ ბრძოლაში. რუსეთის რევოლუცია ვერ გაიმარჯვებს სხვანაირად, თუ არა როგორც პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული დიქტატურა“ [23].

ლენინიზმი — მარქსიზმის ახალი, უმაღლესი ეტაპი არის — „ერთიანი ინტერნაციონალური მოძღვრება. იგი წარმოადგენს მთელი მსოფლიო განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოცდილებისა და მეცნიერული ცოდნის განზოგადებას, რაც კ. მარქსის და ფ. ენგელსის შემდეგ დაგროვდა“ [24].

ლენინური ეტაპი რევოლუციური თეორიის განვითარებაში — ეს „არის XX საუკუნის მარქსიზმი, თანამედროვე ეპოქის მარქსიზმი. ლენინური ეტაპი არ შემოიზღუდება ლენინის სიცოცხლის პერიოდით, ეს ეტაპი განუწყვეტლივ გრძელდება სკკპ და მოძმე პარტი-

---

[22] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 15,თბ., 1950, გვ. 195.

(იხ. კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 2, თბ., 1968, გვ. 47 (თავი მერვე).

[23] ი ქ ე ე.

ვ. ი. ლენინი ამავე საკითხზე წერდა: „მიწის ნაციონალიზაცია=გლეხთა მიერ ძველი მიწათმფლობელობის დამსხვრევა არის ამერიკული გზის ეკონომიური საფუძველი. 1906 წ. XI კანონი =მემამულეთა მიერ ძველი მიწათმფლობელობის დამსხვრევა არის პრუსიული გზის ეკონომიური საფუძველი“. (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 16, თბ., 1951, გვ. 143).

[24] სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი. მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელი. თეზისები კარლ მარქსის დაბადების 150 წლისთავისათვის, 1968.

ების თეორიული მოღვაწეობით, ხორციელდება მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის პროგრამულ მითითებებში“ [25].

იმპერიალიზმის ეპოქაში, კაპიტალიზმის საერთო კრიზისის პირობებში, კიდევ უფრო ღრმავდება ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კრიზისი, კიდევ უფრო ძლიერდება იმპერიალიზმის სწავლული მჯღაბნელებისა და მათი ცრუსოციალისტური დამქაშების გაცოფებული თავდასხმები „კაპიტალის“ იდეებზე, სსრ კავშირზე, სოციალიზმის მსოფლიო სისტემაზე, კომუნიზმზე.

ანტიკომუნიზმის მღვრიე ტალღები ბობოქრობს იმპერიალიზმის ბანაკში. უშედეგოა, სასტიკ მარცხს განიცდის იმპერიალისტებისა და მათი „მეცნიერი“ დამქაშების თავდასხმები მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების წინააღმდეგ.

მარქსიზმი — აღნიშნავდა ი. ბ. სტალინი— „არის მუშათა კლასის საარსებო ინტერესების მეცნიერული გამოხატულება. რომ მოსპო მარქსიზმი, უნდა მოსპო მუშათა კლასი, მუშათა კლასის მოსპობა კი შეუძლებელია“ [26].

XIX საუკუნის ვულგარული პოლიტიკური ეკონომია წარმოადგენს თანამედროვე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის იდეურ სათავეს.

„ზედმეტი ღირებულების თეორიებს“ უდიდესი მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ვულგარული ბურჟუაზიული ეკონომისტების, რეფორმისტებისა და რევიზიონისტების წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელნიც ცდილობენ მიჩქმალონ მონოპოლისტური კაპიტალიზმის ღრმა წინააღმდეგობანი, დაამტკიცონ მისი გაუმჯობესების, ტრანსფორმაციის შესაძლებლობა. კაპიტალიზმის დასაცავად ისინი ხშირად იყენებენ მონოპოლიზმამდელი კაპიტალიზმის დროინდელ ვულგარული ეკონომისტების ყველაზე რეაქციულ თეორიებს, რომელნიც თავის დროზე ასე ღრმად და ბასრად გაკრიტიკებულ იქნა კ. მარქსის მიერ „ზედმეტი ღირებულების თეორიებში“ [27].

თანამედროვე ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიაში გვხვდე-

---

[25] სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტი. მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელი. თეზისები კარლ მარქსის დაბადების 150 წლისთავისათვის, 1968.

[26] ი. ს ტ ა ლ ი ნ ი, ლენინიზმის საკითხები, თბ., 1939, გვ. 605.

[27] „ზედმეტი ღირებულების თეორიები“ წარმოადგენს „შესანიშნავს ნიმუშს, ღრმა მეცნიერული, ობიექტური და ნამდვილად პარტიული მიდგომის ბურჟუაზიულ-ეკონომიური აზრის სხვადასხვა სკოლებისა და სისტემებისადმი. რამდენადაც უახლესი ბურჟუაზიულ-პოლიტიკური ეკონომია მრავალ შემთხვევაში აწარმოებს მკვდარი დოგმების გალვანიზაციას, რომელთაგან მარქსს ქვაზე ქვაზე არ დაუტოვებია, ბურჟუაზიული ეკონომიური თეორიების მარქსისეული კრიტიკა — ეს სრუ-

ბა, მაგალითად, ძველი, გაცვეთილი დებულება, თითქოს ხელფასის გადიდებას აუცილებლად მივყავართ საქონლის ღირებულებისა და მაშასადამე მისი ფასის გადიდებისაკენ. ამ დებულების ანტიმეცნიერულ ხასიათს არაერთგზის ხაზს უსვამს კ. მარქსი „ზედმეტი ღირებულების თეორიებში". თანამედროვე კაპიტალიზმის დამცველები ფართოდ იყენებენ ამ ცრუ დებულებას ხელფასის გადიდებაზე მუშათა კლასის მოთხოვნილების წინააღმდეგ, ამართლებენ მშრომელთა მასების საცხოვრებელ დონეზე მონოპოლიების გამწვავებულ შეტევებს.

თანამედროვე პირობებში იმპერიალიზმის აპოლოგეტები კეინსი და მისი მიმდევრები იმეორებენ კ. მარქსის მიერ „ზედმეტი ღირებულების თეორიებში" მხილებულ მალთუსის ანტიმეცნიერულ თეორიას არაპროდუქტიული მოხმარების შეუზღუდავი ზრდის საჭიროებაზე, როგორც საშუალების ჭარბწარმოების წინააღმდეგ.

კ. მარქსი ღრმად აკრიტიკებს მალთუსის შეხედულებებს ჭარბწარმოების საკითხებზე. მალთუსის მტკიცებით მიწის რენტის მიმღებნი არ კმარან იმისათვის, რომ შეიქმნას „საკმარისი მოთხოვნა"; აუცილებელია ხელოვნური საშუალებების გამოყენება (დიდი გადასახადები, მრავალრიცხოვანი არმიების შენახვა და სხვა., მნიშვნელოვანი სახელმწიფო ვალი და დრო და დრო ძვირადღირებული ომები). ასეთია — შენიშნავს კ. მარქსი „სამკურნალო საშუალებანი" მალთუსის მიხედვით [28].

ამჟამად კეინსიანელები ამტკიცებენ არაპროდუქტიული მოხმარების გადიდების სარგებლიანობას, მოითხოვენ კერძო და სახელმწიფო ინვესტიციების გაზრდას, სახელმწიფო ხარჯების გადიდებას უპირველესად სამხედრო მიზნებით, იცავენ ეკონომიკის მილიტარიზაციის, გამალებული შეიარაღების, მხსნელ როლს კაპიტალიზმის უკრიზისო განვითარებისათვის.

მალთუსის მარქსისეული კრიტიკა აღნიშნულ საკითხზე საესებით შეიძლება გავავრცელოთ იმპერიალიზმის აპოლოგეტების ამ ცრუმტკიცებათა წინააღმდეგ.

თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტების და რევიზიონისტების მტკიცებათა საწინააღმდეგოდ კაპიტალიზმის უკრიზისო

ლიად არ არის დიდი ხნის წინათ განვლილი ისტორიის ფურცელი, არამედ ბასრი იარაღია ბურჟუაზიული აპოლოგეტიკის არსებითად ძველი კონცეფციების მოდერნიზირებული ვარიანტის მხილებისათვის".

(იხ. Карл Маркс. Биография, М., 1968, стр. 462. Институт Марксизма-ленинизма при ЦК КПСС).

[28] კ. მარქსი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 55.

განვითარების შესახებ „ზედმეტი ღირებულების თეორიებში“ კ. მარქსის მიერ შესანიშნავად ღრმა მეცნიერულად არის დასაბუთებული ეკონომიური კრიზისების გარდუვალობა კაპიტალიზმის დროს.

კრიზისი ააშკარავებს იმ მომენტების ერთიანობას — წერს კ. მარქსი, რომელნიც ერთიმეორის მიმართ დამოუკიდებელნი გახდნენ და ამ მოჩვენებითად ინდიფერენტული მომენტების შინაგანი ერთიანობის გარეშე კრიზისიც არ იქნებოდა. „მაგრამ არა, ამბობს ეკონომისტი — აპოლოგეტი. რადგან ერთიანობას ადგილი აქვს, კრიზისს არ შეიძლება ადგილი ჰქონდეს. ეს კი, თავის მხრივ, მხოლოდ იმის მტკიცებას ნიშნავს, რომ საპირისპირო მომენტების ერთიანობა გამორიცხავს მათს დაპირისპირებულობას“ [29].

აქვე, კ. მარქსი აყალიბებს შესანიშნავ დასკვნას თანამედროვე კრიზისების საერთო საფუძვლის შესახებ. საწარმოო ძალების — წერს კ. მარქსი — სწორედ „შეუჩერებელი განვითარება და აქედან გამომდინარე მასობრივი წარმოება, რაც ისეთ პირობებში ხდება, რომ, ერთი მხრივ, მწარმოებელთა მასისათვის მოხმარება შეზღუდულია პირველი საჭიროების საგნებით, მეორე მხრივ კი, წარმოების საზღვარს კაპიტალისტების მოგება წარმოადგენს, — აი რა შეადგენს თანამედროვე ჭარბწარმოების საფუძველს“ [30].

თანამედროვე კაპიტალიზმის ეკონომიკის განვითარება შესანიშნავად ადასტურებს კ. მარქსის მიერ „ზედმეტი ღირებულების თეორიებში“ მოცემულ ბრწყინვალე დებულებებს ამ საკითხზე.

იმპერიალიზმის აპოლოგეტები, იმპერიალისტური ომების, ადამიანთა მასობრივი მოსპობის გამართლებისათვის, აგრეთვე ხალხთა მასების სიღატაკის ვითომ ფატალური აუცილებლობის, მოსახლეობის რიცხოვნებისა და არსებულ ბუნებრივ რესურსებს შორის ვითომ გარდაუვალი შეუსაბამობის დასამტკიცებლად, კვლავ ფართოდ იყენებენ კ. მარქსის მიერ გაკამტვერებული მალთუსისა და მალთუსიანელთა კაცთმოძულე მოსახლეობის თეორიებს.

თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტები ფართოდ ქადაგებენ ყველა პროფესიის ნაყოფიერების აპოლოგეტურ კონცეფციას, კიდეე ერთხელ „უარყოფენ“ მარქსის შრომითი ღირებულების თეორიას, ცდილობენ შეცვალონ იგი „სარგებლიანობის“, „მოთხოვნისა და მიწოდების“ „წარმოების ხარჯების“ და სხვა ეულგარული თეორიებით.

---

[29] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 2, თბ., 1963, გვ. 671.

[30] ი ქ ვ ე, გვ. 709.

ბურჟუაზიული ეკონომისტები კიდევ ერთხელ ქადაგებენ „სამ-ერთიან ფორმულას“, რომლის მიხედვით რენტა განისაზღვრება — მიწით, სარგებელი — კაპიტალით, ხელფასი — შრომით. „ზედმეტი ღირებულების თეორიებში“ კ. მარქსი ამხელს ბურჟუაზიული აპოლოგეტების მიერ ამ ფორმულის გამოყენებას კაპიტალიზმის დროს კლასებს შორის ჰარმონიის არსებობის დასამტკიცებლად.

ფორმულაში „მიწა — რენტა, კაპიტალი — სარგებელი, შრომა — ხელფასი“, — წერს კ. მარქსი — ზედმეტი ღირებულების სხვადასხვა ფორმები და კაპიტალისტური წარმოების სხვადასხვა პერსონაჟები უპირისპირდებიან ერთმანეთს არა გაუცხოვებულად, არამედ როგორც მარტოოდენ განსხვავებულნი, ანტაგონიზმის გარეშე. სხვადასხვა შემოსავალი სრულიად სხვადასხვა წყაროდან გამომდინარეობს, — ერთი — მიწიდან, მეორე — კაპიტალიდან, მესამე შრომიდან, და მაშასადამე ისინი არ იმყოფებიან ერთმანეთთან მტრულ კავშირში, ვინაიდან საერთოდ არ იმყოფებიან არავითარ შინაგან კავშირში და თუ მიუხედავად ამისა ისინი მოქმედებენ წარმოებაში ერთად, ეს არის ჰარმონიული მოქმედება, ჰარმონიის გამოხატულება. თუ მათ შორის ადგილი აქვს ანტაგონიზმს ეს მხოლოდ კონკურენციით წარმოიშობა, რომელიც საბოლოოდ თვით ჰარმონიის ბიძგის მიმცემია[31].

კ. მარქსის ეს სიტყვები აცამტვერებს იმპერიალიზმის აპოლოგეტების ცრუმტკიცებებს თანამედროვე კაპიტალიზმის ანტაგონისტურ წინააღმდეგობათა გარეშე, ჰარმონიული განვითარების შესახებ.

„ზედმეტი ღირებულების თეორიებში“ კ. მარქსი ბრწყინვალედ ამხელს ბურჟუაზიული ეკონომისტების მცდარ შეხედულებებს წარმოების ფორმებისა და განაწილების ფორმებს შორის განსხვავების შესახებ, რაც აგრეთვე გავრცელებულია თანამედროვე ვულგარულ პოლიტიკურ ეკონომიაში.

კ. მარქსი აკრიტიკებს ჯ. სტ. მილს და სხვ., რომელნიც თვლიდნენ წარმოების ბურჟუაზიულ ფორმებს აბსოლუტურად, ხოლო განაწილების ბურჟუაზიულ ფორმებს შეფარდებითად, ისტორიულად, წარმავლად. განაწილების ფორმა — წერს კ. მარქსი არის მხოლოდ წარმოების ფორმა სხვა თვალსაზრისით. და ის სპეციფიკური განმასხვავებელი ნიშანი, რომელიც შეადგენს ბურჟუაზიული განაწი-

---

[31] კ. მარქსი, „ზედმეტი ღირებულების ზეორიები („კაპიტალის“ მეოთხე ტომი)“, ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 605, 606.

ლების ზღუდეს, შედის თვით წარმოებაში როგორც მისი მომცველი და მასზე გაბატონებული განსაზღვრულობა [32].

ამით მხილებულია თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტების და რევიზიონისტების შეხედულებათა ანტიმეცნიერული ხასიათი, რომელნიც ცდილობენ გათიშონ კაპიტალისტური წარმოებისა და განაწილების ფორმები, დაამტკიცონ მათი განვითარების დამოუკიდებელი ხასიათი, შეიმუშაონ განაწილების ფორმების „გაუმჯობესების" სხვადასხვა საშუალებები, კაპიტალისტური წარმოების ბატონობის შენარჩუნების პირობებში.

მარქსიზმის ყველა სახის „უარმყოფელთა" მტკიცებით XX საუკუნეში განვითარება არ წავიდა კ. მარქსის ეკონომიური თეორიით ნაჩვენები გზით, ვითომ თანამედროვე კაპიტალიზმმა სავსებით იცვალა თავისი ბუნება,ვითომ კაპიტალისტური ექსპლოატაცია აღარ არსებობს. აქ, უპირველესად ისინი მიუთითებენ კაპიტალისტური საკუთრების ფორმების ევოლუციაზე, რომ ნაცვლად XIX საუკუნის კაპიტალიზმისა, სადაც კაპიტალზე ინდივიდუალური საკუთრება ჭარბობდა, ახლა, ამბობენ ისინი, ჭარბობს საწარმოების აქციონერული ფორმა, სულ უფრო მეტ ადგილს იკავებს სახელმწიფო საკუთრება. ყოველივე ეს, მათი აზრით, მოასწავებს კერძო სკუთრების შეცვლას საზოგადოებრივით, კაპიტალიზმის ტრანსფორმაციას.

იმპერიალისტური ბურჟუაზია „თავისი ქვეყნების ხალხებზე ძალაუფლებას ინარჩუნებს არა მარტო ძალადობით, არამედ მოტყუებითაც. იგი სულ უფრო ფართო მასშტაბით მიმართავს მასების დამონების იდეოლოგიურ საშუალებებს, მთელი რეაქციული ძალების „ტოტალურ" იდეურ მობილიზაციას ანტიკომუნიზმისა და ანტისოვეტიზმის ალმით" [33].

მაგალითად, ამჟამად ფართოდ გავრცელებული კონვერგენციის ბურჟუაზიული თეორიის მტკიცებით (ჯ. გელბრეიტი, ფ. პერრუ, უ. ბაკინგემი, ი. ტინბერგენი და სხვ.) კონვერგენცია თანამედროვე ეკონომიკაში ნიშნავს სოციალიზმის და კაპიტალიზმის სისტემების სტრუქტურაში „მსგავსების" წარმოქმნას, რაც გამომდინარეობს არსებობის ერთნაირი პირობებისადმი ამ სისტემების სულ უფრო მზარდი შეგუებისაგან, მათი მსგავსი ნიშნების წარმოქმნისაგან და დაპირისპირების გაქრობისაგან, რის გამოც ისინი ერთიმე-

---

[32] კ. მ ა რ ქ ს ი, „ზედმეტი ღირებულების თეორიები („კაპიტალის" მეოთხე ტომი)", ნაწილი 3, თბ., 1975, გვ. 95.

[33] ვლადიმერ ილიას ძე ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის თეზისები, თბ., 1970, გვ. 51.

ორეს უახლოვდებიან. პერსპექტივაში ხდება ამ ორი სისტემის შერწყმა, მათი გარდაქმნა „შერეული“ ტიპის ერთიან საზოგადოებრივ სისტემად. ამ თეორიის მომხრენი ცდილობენ მიაწერონ სოციალიზმს ის ბოროტებანი, რაც კაპიტალიზმს ახასიათებს და ვარაუდობენ სოციალისტური საზოგადოების გადაგვარებას, მასში სახელმწიფო-მონოპოლისტური ტენდენციების განვითარებას.

ამრიგად, კონვერგენციის ბურჟუაზიული თეორია (ისე როგორც სხვა ანტიმარქსისტული თეორიები) გაქნილად იცავს თანამედროვე მონოპოლისტურ კაპიტალიზმს, მისი კლასობრივი არსი იგივეა, რაც ანტიკომუნიზმის სხვა ფორმების.

ამ აპოლოგეტურ თეორიებს არაფერი საერთო არა აქვთ სინამდვილესთან, და წარმოადგენენ როგორც კ. მარქსის შეხედულებების, ისე თანამედროვე კაპიტალიზმის ფალსიფიკაციას.

კაპიტალისტურმა საკუთრებამ განიცადა ერთგვარი მოდიფიკაცია, მაგრამ კაპიტალისტური საკუთრების არსი ამით არ შეცვლილა. ახალი მოვლენები თანამედროვე კაპიტალიზმის დროს, არ ამტკიცებენ, რომ კ. მარქსის „კაპიტალი“ მოძველდა, არამედ პირიქით, ეს მოვლენები შეიძლება სწორად გაგებულ და ახსნილ იქნეს მხოლოდ მარქსისტულ-ლენინური თეორიის საფუძველზე.

ბურჟუაზიულ იდეოლოგებთან ერთად კ. მარქსის მოძღვრებას ამახინჯებენ რეფორმისტული, რევიზიონისტული და დოგმატური თეორიები.

რეფორმისტებისა და რევიზიონისტებისათვის დამახასიათებელია მარქსიზმის ფალსიფიკაცია და უარყოფა — მისი „შესწორების“, „მოდერნიზაციის“ სახით. ახალ მოვლენებს კაპიტალიზმის ეკონომიკაში რეფორმისტები სახავენ, როგორც თვით ბურჟუაზიული ანტაგონისტური წინააღმდეგობათა დაძლევას, რათა უარყონ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება კლასობრივი ბრძოლისა და პროლეტარული რევოლუციის შესახებ. მარცხს განიცდის აგრეთვე მარქსიზმ-ლენინიზმის კრიტიკის ცდები „მემარცხენე“ ფრაზების ნიღბით.

იმპერიალიზმის აპოლოგეტებისა და მათი რეფორმისტული და რევიზიონისტული დამქაშების მტკიცება, რომ „კაპიტალის“ შემდეგ თითქოს თანამედროვე კაპიტალიზმმა იცვალა თავისი ბუნება, შეძლო მწვავე წინააღმდეგობათა შერბილება და დაძლევა, წარმოადგენს სინამდვილის დამახინჯებას.

სანამ არსებობს კაპიტალისტური საკუთრება, როგორი ფორმაც არ უნდა ჰქონდეს მას (ინდივიდუალური, ჯგუფური, სახელმწიფოებრივი), ზედმეტი ღირებულების კანონი, სამუშაო ძალის ღირებუ-

ლება და კაპიტალიზმის სხვა ეკონომიური კატეგორიები, შეუძლებელია პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის კლასობრივ წინააღმდეგობათა მოსპობა[34].

ვერაფერი ვერ შეაჩერებს მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გავრცელებას, საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ზრდას, მის წარმატებებს. კ. მარქსის გენიალურმა წინასწარხედვამ, „კაპიტალის“ იდეებმა მომავალი საზოგადოების შესახებ განხორციელება პოვა სსრ კავშირში, სოციალიზმის მსოფლიო სისტემაში, რასაც დასაწყისი მისცა დიდი ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ.

ამხანაგი ლ. ი. ბრეჟნევი სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში სკკპ XXV ყრილობაზე აღნიშნავდა, რომ „მსოფლიო პოლიტიკაში მომხდარი ძვრები, დაძაბულობის შენელება სოციალიზმის იდეების ფართოდ გავრცელების ხელსაყრელ შესაძლებლობებს ქმნიან. მაგრამ მეორე მხრივ, ორი სისტემის იდეური ბრძოლა სულ უფრო აქტიური ხდება, იმპერიალისტური პროპაგანდა — კი სულ უფრო გაწაფული.

ორი მსოფლმხედველობის ბრძოლაში არ შეიძლება იყოს ნეიტრალიზმი და კომპრომისები. აქ საჭიროა მაღალი პოლიტიკური სიფხიზლე, აქტიური, ოპერატიული და დამაჯერებელი პროპაგანდისტული მუშაობა, მტრის იდეოლოგიურ დივერსიათა დროზე მოგერიება“[35].

კ. მარქსის „ზედმეტი ღირებულების თეორიები“ წარმოადგენს მრისხანე, ბასრ იარაღს თანამედროვე ბურჟუაზიული იდეოლოგიურ დივერსიათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

---

[34] ა. ფ ა ნ ც ხ ა ვ ა, კ. მარქსის „კაპიტალი“, თბ., 1971, გვ. 106.

[35] სკკპ XXV ყრილობის მასალები, თბ., 1976, იქვე, გვ. 101.

შინაარსი

შესავალი	3
§ 1. „ზედმეტი ღირებულების თეორიების“ („კაპიტალის“ IV ტომის) პირველი ნაწილის მოკლე შინაარსი	7
§ 2. „ზედმეტი ღირებულების თეორიების“ („კაპიტალის“ IV ტომის) მეორე ნაწილის მოკლე შინაარსი	32
§ 3. „ზედმეტი ღირებულების თეორიების“ („კაპიტალის“ IV ტომის) მესამე ნაწილის მოკლე შინაარსი	94
§ 4. „ზედმეტი ღირებულების თეორიების“ („კაპიტალის“ IV ტომის) მესამე ნაწილის მოკლე შინაარსი (დასასრული) . . .	175
§ 5. „ზედმეტი ღირებულების თეორიები“ („კაპიტალის“ IV ტომი) და თანამედროვეობა	210

Арчил Яковлевич Панцхава

«ТЕОРИИ ПРИБАВОЧНОЙ СТОИМОСТИ»
(IV ТОМ «КАПИТАЛА») К. МАРКСА

(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета
Тбилиси 1977

რედაქტორი ვ. გამყრელიძე
გამომცემლობის რედაქტორი ა. კაკარავა
ტექრედაქტორი ი. ხუციშვილი
კორექტორი ე. თოფჩიაშვილი

გადაეცა წარმოებას 5/VIII-76
ხელმოწერილია დასაბეჭდად 31/III-77
ქაღალდის ფორმატი 60×90/16
ნაბეჭდი თაბახი 14
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 12,67

სბ 145

ფასი 1 მან. 58 კაპ.

შეკ. 1532 უე 08245 ტირ. 1800

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პრ. 14.
Издательство Тбилис. университета, Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14
თბილისის უნივერსიტეტის სტამბა, თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Тип. Тбилисского университета, Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.